ცისკარი

644
1963/5

1

ივნისი 1963

ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში 1963 წლის ლენინური პრემიის მოსაპოვებლად შერჩეულ ნაწარმოებთა შორის წარდგენილია ალექსანდრე გრიბოედოვის ძეგლი, შესრულებული ქართველი მოქანდაკის მერაბ მერაბიშვილის მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ჟურნალი

საქართველოს ალკკ ც.კ-სა და
მწერალთა კავშირის
ორგანო

9451.

1

იანვარი

1963

გამომცემლობა «საბჭოთა მწერალი»

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

ტაგუ მეგურიშვილი
აქა მშვიდობა. ლექსი 3

მედეა კახიძე
ან კი რა იცის. ლექსი 5

თეიმურაზ აგულაძე
ლექსები 6

ხუტა გაგუა
ლექსები 7

ვახტანგ ჯავახაძე
ლექსები 10

რეზო ამაშუკელი
შვილი. ლექსი 13

გიორგი გიგაური
გზები. ლექსი 14

დავით ჯავახიშვილი
მშვიდი დილა. მოთხრობა 16

გივი გეგეჭკორი
მზიანი დღე. პოემა 24

ოტია იოსელიანი
ჯარისკაცი დაბრუნდა. მოთხრობა. დასასრული 33

გრიგოლ აბაშიძე
დიდი ღამე. რომანი. გაგრძელება 54

იან ოტჩენაშეკი
რომეო, ჯულიეტა და წყვდიადი. მოთხრობა. ჩეხურიდან თარგმნა თ. ჯავახიშვილმა 81

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

გოგი გაჩეჩილაძე
„ამოდის, ნათდება!“ 105

ფილიპე ბერიძე
„თითქოს ლექსია, მაგრამ მაინც არ არის ლექსი“... 109

არლი თაყაიშვილი
წასაშლელი სტრიქონები 116

სარგის ცაიშვილი
დავით გურამიშვილი 125

აკაკი ბაქრაძე
„მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ 132

მეცნიერება და ტექნიკა

იაროსლავ პუტიკი
სინდისი. თარგმნა ვერა ბუაჩიძემ 146

რედაქტორი კონსტანტინე ლორთქიფანიძე

სარედაქციო კოლეგია:

გურამ გვერდწითელი, კარლო კალაძე, მუხრან მაჭავარიანი, როინ მეტრეველი, ჯანსუღ ჩარკვიანი (პ./მგ. მდივანი), გიორგი ციციშვილი, ვახტანგ ჭელიძე, სერგი ჭილაია, თამაზ ჭილაძე, ლაშა ჯანაშია.

ჟურნალი გააფორმა მხატვარმა გულდა კალაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯაგუ მებურიშვილი

აქა მშვიდობა

სამოცდასამის შეირხა კარი,
ისრის ნისკარტი აკენკავს წამსაც
და შეჩვეული მეგობრის დარად
დამენანება ძველი წლის წასვლა.

დღე დღევანდელი წარსულად იქცა,
დღე დღევანდელი დაღლილ ფრთებს კეცავს...
კიდევ ერთი წლით დაბერდა მიწა,
კიდევ ერთი წლით დაბერდა ზეცა.

დინჯად მობრძანდა ახალი წელი,
ახალი ლტოლვა,
ახალი წინსვლა
და გიდღეგრძელებთ კრძალვით და ღელვით,
რასაც მოელით ახალი წლისგან.

ნაღვერდლიანი გამრავლდეს კერა,
იხაროს ახლად დარგულმა ნერგმა,
ყველგან სჭარბობდეს სიცოცხლის ფერი
და მწვანე ფერი მეფობდეს ყველგან.

მე ვადღეგრძელებ იმ კაცის იმედს,
მე ვადღეგრძელებ იმ კაცის ნატვრას,
ვინც რკინის მადანს
ცივსა და მძიმეს
საკუთარ ხელის სითბოსაც ატანს.

იგი თვით მოსპობს სიცოცხლის მომსპობს
მკლავით მაგარით,
მკლავით ძლიერით;
მერე ღიმილით გახედავს კოსმოსს,
მერე მიიტანს მარსზე იერიშს.

გათხოვდეს ყველა,
ითხოვოს ყველამ,
ყველა უშვილოს გაუჩნდეს შვილი.
არ გაუშავდეს სამოსი დედებს,
აკვნებს არასდროს დაეცეს ჩრდილი.

აქა მშვიდობა!..
მშვიდობა მანდაც!..
ისმის თოფების გრიალი ირგვლივ.
გავარდეს თოფი, გავარდეს, მაგრამ...
ახალწლის ღამეს გავარდეს იგი,
ქორწილის ღამეს გავარდეს იგი,
და ძეობაში გავარდეს იგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედეა კახიძე

ან კი რა იცის

ამ დიდ ქალაქში არავინ გვიცნობს,
მაინც სუყველა ჩვენ გვითვალთვალებს,
მე მაცინებს და მაოცებს ის, რომ
ჩვენც შეყვარებულ წყვილად ჩაგვთვალეს.

მათ რა იციან, სხვა დარდი მლახვრავს,
არ გვიფიქრია არცერთს ამაზე,
ასე რომ იყოს, ჩემს დასანახად
არ გააყოლებ თვალებს ლამაზებს.

ასე რომ იყოს, განა გადავჭრით
თოვლით გაყინულ ქუჩებს სირბილით,
შენ არ დახედავ საათს ათასჯერ,
ხმაში გექნება ჩემი სირბილე.

ან კი რა იცის სხვა ქვეყნის კაცმა
ჩემი სამშობლოს მზე და ამინდი,
რომ თუ ქართველი სამშობლოს გასცდა,
მაინც სიყვარულს იქით არ მიდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიმურაზ აბულაძე

მზის ჩასვლა

მიდის და მიაქვს დარდი ფარული,
დიდი სიშორის და მოკრძალების...
მთელი დღე ხალხში ისიყვარულა
და მაინც უკან რჩება თვალები.

მიდის და მიაქვს საკუთარ ბედად,
მიდის და მიაქვს სხივების ჩქერით —
გადაბელილი მუხების სევდა
და შეთვალული ალუბლის ფერი.

☆

ეს ქუჩა მიდის სასაფლაოსკენ,
ამ ქუჩას დიდი სევდა აწუხებს.
ჩამწკრივებული თეთრი ვერხვები
აშრიალებენ სურვილს გაუმხელს.

ეს ქუჩა მივა სასაფლაომდე
და იმას იქით არ გადაუხვევს...
აშრიალებენ დუმილს ვერხვები
და ქუჩას დიდი სევდა აწუხებს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუჯა გაგუა

ირემი

სხვა არაფერი არ მახსოვს, — მარტო
უცხო ქალაქში უხმოდ ყიალი.
სხვა არაფერი... თვალები ფართო,
ჩაფიქრებული და ნაღვლიანი.

მზერა ყვიროდა, გადავირევი.
სახეზე ღამის გეფინა ჩრდილი.
და შენ ტიროდი, ასე ირემი
თავჩაქინდრული უცრემლოდ ტირის.

— რა საჭიროა, რა საჭიროა
ეს ყოველივე!
და თვალზე ცრემლი
მომადგა —
ვიგრძენ, როგორც ჭრილობა,
უსუსურობა შენი და ჩემი.

ვამბობდი: — წადი, გაიყინები,
საშინლად თოვს და ცივი ქარია!
შენ კი იდექი, როგორც ირემი,
შერიგებული რკინის გალიას.

ირემო ჩემო, დარდდამჩნეულო,
თავისუფლებას გადაჩვეულო,
ბრალია-მეთქი, ვაი, ბრალია,
ცხოვრება იქცეს ვიწრო გალიად!

ვთრთოდი, ვბორგავდი, ვწუხდი ძალიან..
მოულოდნელად (ვით ჟრუანტელი!)
დაიმსხვრა ღამე—ბნელი გალია
და ყველაფერი გახდა ნათელი.

ჩვენი გზა უცებ ორად გაიყო,
აღარ მომენდე, არ დამიჯერე
(თუ მოგაგონდა: სადღაც მთა იყო,
სადღაც ტყე იყო!) და გაიჭერი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გაიჭერი ირმის ფეხებით,
თავისუფლებას დაბრუნებული.
და აგედევნენ ქარში ვერხვები...
მხრებში მოხრილი, გაბრუებული.

უხმოდ დავადექ ვიწრო ქვაფენილს,
თვალს მჭრიდა თოვლის თეთრი
სინათლე...
და უცხო იყო იქ ყველაფერი,
და არც სადგური ჰგავდა წინანდელს.

☆ ———————————

რა სითეთრეა

რა სითეთრეა!
ქათქათა ჭადრებს
ძირს დაუხრიათ ფრთებივით რტონი.
ნეტა, ეს დილა
ამგვარად ადრე
თუ გაათენა სითეთრემ თოვლის!

თეთრი — ქალები,
თეთრი — მტრედები,
თეთრი — ქარები,
თეთრი — კედლები.

სითეთრე ჰყვავის,
ვით მაგნოლია;
თეთრია ყვავიც,
როგორც თოლია.

ო, არა შურის,
არა ბოროტის, —
კეთილი სულის
გახსნა ბოლომდის.

მწამს, ახლა არვინ მოიპოება,
ახსოვდეს —
შავი არის რა ფერის,
და იწერება თეთრად პოემა,
მოთხრობა,
ლექსი
და
ყველაფერი.

ალალი — თეთრი,
კეთილი — თეთრი,
სალამი — თეთრი,
მტრედივით თეთრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიყვარხარ — თეთრი,
თეთრი — გაცნობა.
— ვინა ხარ?
თეთრი კაიკაცობა!

უმწიკვლო ყოვლად,
ვით ბავშვის ცრემლი,
ეს თეთრი თოვლი
სულია ჩემი.

კარგებო, წყნარად!
კარგებო, ფრთხილად!
...თამამად, ჩქარა,
გათენდა დილა.

☆

წვიმა ქალაქში

ქარში იბრძვიან სველი ნაძვები
და ყიჟინებენ რტოები მათი.
ქუდს ისწორებენ მამაკაცები,
ძლივს იმაგრებენ ქალები მანდილს.

და ამოძრავებს წვიმა და ქარი
რაღაც უაზროდ და ქაოსურად
მოხუცებს, ბავშვებს, კაცებს და ქალებს —
სუყველას, გარეთ ვინც გამოსულა.

ასფალტზე რბიან წვიმის წვეთები —
თაგუნებივით ეძებენ ხვრელებს.
თვალაგზნებული ვდგავარ, ვსველდები
და ჯიბეებში არ ვმალავ ხელებს.

თითქოს ეს წვიმა — წვიმა როდია,
თითქოსდა მძაფრი ქარი არა ქრის;
მაინც მიდიან, მაინც მოდიან,
მაინც მოძრაობს მთელი ქალაქი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ ჯავახაძე

როდენი: „ქარი“

მეგობარივით უყვარდა ქარი,
რომელიც ძვირი სტუმარი იყო,
ჰგავდნენ დღეები,
        მშვიდი და წყნარი,
ერთფეროვანი პოეტის სტრიქონს.
ერთხელ დაირღვა დუმილი მკაცრი:
სარკმელს მოადგა ქარი — მოყვასი,
ფართოდ გააღო სარკმელი კაცმა
და შემოუშვა ქარი ოთახში.
არ ისვენებდა სული ვიღაცის,
რომელსაც ჰქონდა დიდი სათქმელი...
ფრთხილად მიხურა კაცმა სარკმელი
და შეიტყუა ქარი თიხაში.
თავის სურვილი ქართან დამალა,
არ დასცდენია სიტყვა რიოში,
არწყო წვეთ-წვეთად,
როგორც წამალი,
და შეაპარა მარმარილოში.
ბოლოს დამშვიდდა გული წყეული,
რომელსაც უნდა: მიზეზი ჰქონდეს...
და ქარი —
ქვაში გამომწყვდეული —
აშრიალებდა ოცნების ტოტებს.

☆

მალე გავენდე,
მალე გამენდო,
თითქოს უეცრად გაიხსნა ფარდა;
ჩვენ არაფერი გვქონდა საერთო,
მაგრამ რაღაცა საერთო გვაკლდა.
ცოტა ვიარეთ უერთმანეთოდ,
ცოტა კი არა,
ძალიან ცოტა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ისე გვაკლდა რაღაც საერთო,
თითქოსდა რაღაც საერთო გვქონდა.
თავს ვაფარებდით ერთგულ ქალაქებს
და ღამეს,
როგორც მყუდრო სარეცელს...
რაღაც ვიპოვნეთ,
რაღაც დავკარგეთ,
და ერთმანეთის ხელებს დავეძებთ.

☆

მორჩილად სდუმან ჩემი ლექსები,
რომლებიც ვეღარ გამოვაჩინე,
ვერც დავივიწყე, —
ვერ დავეხსენი
მარადიული ძილით დასჯილებს.

ქარს გავატანე მათი ვედრება,
გამოვარიდე მზიან ტალავერს
და მოვეთარე, —
ასე დედები
ართვალ და ავთვალ შვილებს მალავენ.

მათ არ შეეძლოთ,
მხოლოდ უნდოდათ,
სათქმელი მაინც ეთქვათ მცირედი,
შემომცქერიან ახლა უნდობლად:
ვერ გამიმართლეს მშობლის იმედი.

თვით მისტირიან იმედს დათერთლილს
და ნაადრევად დასმულ წერტილებს,
და ესიზმრებათ რკინის სტამბები —
მტვრიან უჯრებში გამოკეტილებს.

☆

არის საღამო ვალსებით სავსე,
ისმის ნაცნობი ზარების რეკვა...
მე მინდა,
მაგრამ ვიღაცა მასწრებს
და ჩემზე უფრო ლამაზად ცეკვავს.

შენ ვერ პოულობ უბრალო მიზეზს
და იმეორებ სიტყვებს ღვარძლიანს,
მე კი გარწმუნებ ისევ და ისევ,
რომ მთვრალი კაცი კარგი კაცია;

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ადვილია, თავისუფალი
ადამიანი დაეჭვდეს უცებ;
რომ ღარიბია სუფრა უქალოდ,
რადგან ქალს თვალი ანგარიშს უწევს;

რომ შეჩვეული ხანგრძლივ მოლოდინს
ბავშვი თანდათან ხდება გულცივი;
რომ შეიძლება იყოს ბოროტი
კაცი, რომელსაც სახე უცინის;

რომ თვალი ზოგჯერ მისთვის უბრწყინავთ,
რომ დაანახონ უცნობს თუ ნაცნობს;
და რომ ჩვენ ხშირად ვამბობთ უწყინარ
ტყუილს, რომელიც ორთავეს გვაწყობს;

რომ ხშირად ვხატავთ მუქი ფერებით
ჩვენი ცხოვრების ლამაზ სურათებს;
რომ ხშირად ვფიქრობთ
და გვეჩვენება,
თითქოს სხვებს ჩვენზე მეტად უმართლებს;

რომ გვინდა უცხო გზების დანახვა,
და ქვეყნებს ვეტრფით მაღალ მთებიანს;
რომ იმ მაღალი მთების გადაღმა
ჩვენი ოცნების ქალაქებია...

აქ კი ღამეა ვალსებით სავსე,
ამაღლებულა ცასავით ჭერი, —
მე მინდა,
მაგრამ ვიღაცა მასწრებს
და ჩემზე უფრო ხმამაღლა მღერის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეზო ამაშუკელი

შვილი

ლურჯ სინათლეში სძინავთ თოჯინებს
და ესიზმრებათ
გამჭვირვალე მწვანე ბურთები...
ცისკენ თანდათან გაფრენილი
მწვანე ბურთები...
ფერად კაბებში სძინავთ თოჯინებს,
ხედავენ სიზმრებს
ლამაზები და სათუთები...

...როდესაც ჩრდილი დაეცემა შორეულ გზებს
და ლილისფერი ღიავდება
ნაზად და ფრთხილად,
როცა შეღებავს კაბადონებს წითელი მზე
და ნისკარტებით მოიტანენ
ჩიტები დილას.

როცა სინათლით ივსებიან
თეთრი თაღები
და დღე შემოდის თეთრ სარკმელში
გაზაფხულივით,
ნამძინარევი თოჯინები
თვალებს აღებენ
და გულუბრყვილო გრძელ წამწამებს აფახულებენ...

გულზე ეხლება სიხარული
როგორც მდინარე,
მირბის სარკმელთან,
ეგებება მეწამულ დღეს,
მოკლე პერანგით, ფეხშიშველი და მოცინარი
უწვდის სამყაროს
პაწაწინა ვარდისფერ ხელს...

სადღაც, შორეულ ოკეანეში
შუადღის მზეზე აფეთქებენ წყალბადის ბომბებს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი გიგაური

გზები

გზები მოდიან,
გზები მიდიან
და ამრავლებენ გზაჯვარედინებს,
გზები რთულია,
გზები დიდია,
გზებს ოფლის ღვარად გადავედინე.
ბევრი ვიპოვე ამ ლამაზ გზებზე,
ბევრიც დავკარგე და ახლაც ვეძებ...

და იცით,
მაინც ვარ მადლიერი
დაუსრულებელ გზათა გაცნობით,
სადღაც სიკეთის შუქი იელვებს,
სადღაც იელვებს შუქი კაცობის.

დამედინება მკერდზე ცვარნამად
ღიმილი უხვი და მადლიანი.
გულში სიხარულს ვეღარ დავმალავ
შენი სიკეთით, ადამიანო.

ღიმილთან ერთად სევდაც შემხვდება
და ვაჭკაცურად თვალში შევხედავ.
არ დავაბიჯებ მოძმის სამარეს,
არ ავათრთოლებ ძვლებს ქცეულს მიწად,
თვალებზე მომდგარ ცრემლებს
დავმალავ,
გზად დაცემული რომ მშვიდად იწვეს.

თუ მიწერია სიკვდილი ადრე,
დავტოვებ ანდერძს, —
როგორც წესია,

დამასაფლაონ გზისპირას სადმე,
სადაც სიკეთე დამითესია.

იქ ალბათ ჩემზეც იტყვიან ქებას,
ისე რომ იგრძნონ საფლავის ქვებმა...

გზები მიდიან,
გზები მოდიან
და ამრავლებენ გზაჯვარედინებს,
ქვეყნად ღიმილი ყველგან როდია,
მკერდზე ცვარნამად რომ დამედინოს.



ᲛᲣᲨᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

I

ᲒᲐᲡᲮᲐᲡᲐ ᲑᲐᲚᲐᲮᲘ ᲚᲐᲦᲐᲓ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲤᲔᲠᲓᲝᲑᲖᲔ, ᲛᲣᲮᲚᲐᲛᲓᲔ ᲬᲕᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ. ᲑᲐᲑᲣᲐᲬᲕᲔᲠᲐᲪ ᲙᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲯᲘᲨᲘᲐᲜᲘ ᲘᲧᲝ ᲐᲥ, ᲗᲠᲘᲐᲚᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲫᲝᲕᲠᲔᲑᲖᲔ. ᲡᲣᲡᲢᲘ ᲜᲘᲐᲕᲘ ᲕᲔᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲐᲙᲚᲔᲑᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲛᲣᲨᲢᲘᲡᲝᲓᲔᲜᲐ ᲗᲐᲕᲡ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲝᲓᲜᲐᲕ ᲗᲣ ᲐᲐᲥᲐᲜᲐᲕᲔᲑᲓᲐ ᲮᲐᲜᲓᲐᲮᲐᲜ.

ᲨᲣᲐᲓᲦᲔ ᲘᲧᲝ, ᲪᲮᲔᲚᲝᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲖᲔᲡ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲕᲔᲠ ᲐᲛᲝᲔᲬᲝᲕᲐ ᲓᲘᲚᲘᲡ ᲜᲐᲛᲘ ᲐᲛ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲑᲐᲚᲐᲮᲘᲓᲐᲜ.

ᲔᲥᲕᲡᲘᲝᲓᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲝᲙᲚᲔᲨᲐᲠᲕᲚᲘᲐᲜᲘ ᲑᲘᲭᲣᲜᲐ ᲤᲔᲮᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲐᲨᲠᲘᲐᲚᲔᲑᲓᲐ ᲑᲐᲚᲐᲮᲡ, ᲮᲔᲚᲨᲘ ᲨᲘᲜᲓᲘᲡ ᲬᲙᲔᲠᲚᲐ ᲔᲭᲘᲠᲐ ᲓᲐ ᲮᲛᲐᲚᲘᲕᲘᲗ ᲘᲥᲜᲔᲕᲓᲐ ᲐᲥᲔᲗ-ᲘᲥᲘᲗ, ᲣᲬᲧᲐᲚᲝᲓ ᲮᲝᲪᲐᲕᲓᲐ ᲓᲘᲓᲗᲐᲕᲐ ᲑᲐᲑᲣᲐᲬᲕᲔᲠᲔᲑᲡ. ᲬᲐᲥᲪᲔᲣᲚᲘ ᲑᲐᲚᲐᲮᲘ ᲒᲐᲣᲑᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲡᲬᲝᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲣᲙᲐᲜ ᲓᲐ ᲑᲘᲭᲣᲜᲐᲡ ᲒᲐᲗᲔᲚᲘᲚᲘ ᲙᲕᲐᲚᲘ ᲜᲔᲚ-ᲜᲔᲚᲐ ᲥᲠᲔᲑᲝᲓᲐ.

— ᲪᲝᲢᲜᲔ! — ᲒᲐᲘᲡᲛᲐ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲮᲛᲐᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲫᲐᲮᲘᲚᲘ. — ᲜᲣ ᲒᲐᲠᲑᲘᲮᲐᲠ, ᲛᲝᲒᲕᲘᲪᲐᲓᲔ!

— „წინ წასული თხაო“... — ჩაიმღერა თავისთვის ბიჭუნამ, ცოტახანს კიდევ „ებრძოლა“ ბაბუაწვერებს, მერე შეჩერდა და უკან მოიხედა. მზემ პირდაპირ თვალებში შეუჭყიტინა და ხელით დაიჩრდილა სახე.

უკან სამნი მოდიოდნენ, საკმაოდ მოშორებით, მაგრამ ცოტნემ მაინც მკაფიოდ გაარჩია, ვინ რომელი იყო. სამივეს მოზრდილი ზურგჩანთა ეკიდა მხრებზე. სულ წინ კახა მოაბიჯებდა, მისი უფროსი ძმა, ტუჩის ზემოთ ახლახან რომ ამოსვლოდა ბუსუსები (რითაც ყოველთვის უზომოდ ამაყობდა ცოტნე). მერე დედა მოდიოდა, ისე ყოჩაღად, რომ ცოტნე ახლა სხვა, ახალმა სიამაყემ აავსო, ხელები პირთან მიიტანა, თვალები დახუჭა და დაიყვირა:

— გა-მო-ი-ქე-ცით! გიიც-დიით!

„მამა ყოველთვის ყველაზე უკან მოდის“, — გაიფიქრა მერე.

დედამ ალერსიანი ღიმილით მიხედა უკან მომავალ კაცს და ჩუმი ხმით უთხრა:

— ცოტნე სულ გამოიცვალა, რაც შენ დაბრუნდი, დამჯერე გახდა. მე, მარტოს, ცოტა არ იყოს მიბრიყვებდა.

კაცს ღრმა, ირიბი ნაჭრილობევი აჩნდა ლოყაზე და უცნაურად ეკეცებოდა ხოლმე გაღიმებისას; ახლაც ასე დაეკეცა და ხმამაღლა თქვა:

— რაც იყო — იყო! ამიერიდან ყოველთვის ერთად ვიქნებით, არა, კახა?!

— ჰო, მამა, — დაბოხებული ხმით უპასუხა კახამ და გაიღიმა.

— ნამდვილად ერთად ვიქნებით! — რატომღაც აღელდა დედა, ღიმილიც კი გაუქრა სახიდან; ჯერ კახა აათვალიერა შეშფოთებული თვალებით, მერე ცოტნეს გახედა.

— ...გიიც-დიით!—ყვიროდა ცოტნე.

დედას ისევ ალერსიანად გაეღიმა და სამივემ ნაბიჯს აუჩქარა. ცოტახნის შემდეგ კაცი შეჩერდა. მათი ნაკვალევი მუქმწვანე ზოლად მოჩანდა ფერდზე. ბალახი მძიმედ. ნელ-ნელა სწორდებოდა. მერე ისევ წამოეწია წინწასულებს.

ბალახიანი ფერდი ჩათავდა და ტყე დაიწყო. ტყეში გრილოდა. ზემოდან ფოთლების ჩუმი შრიალი ისმოდა. ლურჯი ცა პატარ-პატარა ნაფლეთებადღა მოჩანდა ფოთლებს შორის.

— დავისვენოთ, — თქვა მამამ და მძიმე ზურგჩანთა მოიხსნა.

ცოტნე „მიეხმარა“.

— შენ ყველაზე ღონიერი ხარ! — თქვა ამაყად.

— მე არ მომეხმარები, ბიჭო? — იღიმებოდა დედა.

ცოტნე დედასაც „მიეხმარა“, მერე ტანმსხვილ რცხილასთან მიირბინა და აცოცება სცადა, მაგრამ ვერაფერი გამოუვიდა.

— შემსვი რა! — სთხოვა კახას.

— არა! — თქვა დედამ, — ახლა ვისადილოთ. — მამის ზურგჩანთიდან ხმელი პური და კონსერვები ამოალაგა და ძირს გაფენილ ქაღალდზე დააწყო. კახამ კონსერვები დახსნა.

— პურს მე დავჭრი რა! — მოირბინა ცოტნემ და დიდ დასაკეც დანას წაატანა ხელი.

— ფრთხილად! გალესილია. — უთხრა მამამ.

. . . . . .

მზე უკვე ქედის უკან იმალებოდა, როცა სადილი დაამთავრეს. ცოტნე მადიანად ილოკავდა მოთხუპნულ ტუჩებს და მსუნაგად აცეცებდა თვალებს აქეთ-იქით.

— არ გეყო, შვილო?—გული მოუკვდა დედას, ხელი ისევ ზურგჩანთაში ააფათურა.

ცოტნე დამნაშავესავით იღიმებოდა და სდუმდა. დედამ თავისი ნახელავი ნამცხვარი ამოიღო, ოთხი ნაჭერი მოჭრა, ცოტნესთვის — ყველაზე მოზრდილი, და მერე ერთი ორცხობილაც დაუმატა.

— აბა, წავიდეთ! — აჩქარდა მამა, — გზაში ვჭამოთ, თორემ უდროოდ დაგვაღამდება.

ტყიდან გამოვიდნენ, ბალახიანი ფერდი ირიბად აჭრეს და ქედზე გავიდნენ.

დავით ჯავახიშვილი
მშვიდი დილა

აქ ქარი ჰქროდა და სასიამოვნოდ აგრილებდა აღმართში გახურებულ სხეულს.

ბიჭები დაწინაურებულიყვნენ. დედა და მამა ხელიხელჩაკიდებულნი მიყვებოდნენ ქედს. დიდხანს ტკბებოდნენ უსიტყვოდ ბუნების სილამაზით. მერე კაცმა დაარღვია სიჩუმე:

— ყოველ ზაფხულს ასე უნდა ვიაროთ! ხომ კმაყოფილი ხარ?

— ძალიან!

— ჰოდა აუცილებლად ვიაროთ. ბიჭებისთვის ამაზე კარგი რა უნდა იყოს!?

— მართალი ხარ, — უპასუხა ქალმა, — მაგრამ ყოველთვის ალბათ ვერ მოვახერხებთ, სამწუხაროდ.

— სადაც წელს შევძელით, მერე რაღა შეგვიშლის ხელს!? ოღონდ მოვინდომოთ და...

ქალი შეყვარებული თვალებით ათვალიერებდა კაცის ღონიერ, დაძაბვისაგან გაწითლებულ კისერს; კისერზე მოუსვენრად დაუხტოდნენ ძარღვები.

— რამოდენა ტვირთი ნოგაქვს, ლევან, არ გიჭირს?

— თქვენთვის მე არაფერი გამიჭირდება...

ქალი ახლა დაკუნთულ მკლავზე მიეალერსა ქმარს:

— შენი ჭირიმე!

— მე მხოლოდ თქვენზე ფიქრმა გადამარჩინა სიკვდილს, — განაგრძო კაცმა, — ხშირად ეს წარმოუდგენელი იყო და მაინც უვნებელი ვრჩებოდი. რამდენჯერ, ვინ მოსთვლის!?

— ბევრს ფიქრობდი ჩვენზე?

— ბევრს! მაშინაც კი, როცა ფიქრი შეუძლებელი იყო.

— ცოტნე? ცოტნე როგორი წარმოგედგინა?

— რა ვიცი... კახას პატარაობას ვიგონებდი და... მართლა ჰგვანან ერთმანეთს, არა?

— კი, ჰგვანან. როგორ შეგხვდა, გახსოვს? თითქოს გიცნობდა.

— როგორ არ მახსოვს!? შენ და კახამ რომ გამაცილეთ, გახსოვს? როგორ გაგიბრაზდი, არა? მგონი გეწყინა კიდეც.

— ეეჰ, წყენისათვის ვის ეცალა მაშინ!

— არა! მაინც როგორ გაბედე სადგურში გამოსვლა, იმ ჭყლეტაში, შენი მუცლით! ცოტნეს რომ რამე მოსვლოდა?

— აღარაფერი მესმოდა... რა საშინელი დრო იყო!

— რამდენი რამ ვნახე მას შემდეგ ომში, ბევრად უარესი, მაგრამ რატომღაც ვერაფერმა დამავიწყა ეს... თქვენ რომ მაცილებდით... — კაცი ნაჭრილობევს ისრესდა ხელით.

მერე ორივენი გაჩუმდნენ.

ქედზე ისევ ქარი ჰქროდა და საიდანღაც, შორიდან, ღრუბლების მუქ ქარავანს მოერეკებოდა. მზე უკვე სანახევროდ ჩამალულიყო მთებს იქით.

კაცი ჩაფიქრდა და რაღაცის თქმა დააპირა.

— ნუღარ ვილაპარაკებთ ამაზე! — გააწყვეტინა ქალმა.

— არა! — თქვა კაცმა. — ამის დავიწყება შეუძლებელია. ამაზე უნდა ილაპარაკო, უნდა სწერო, კინოფილმები უნდა გადაიღო... ეს აუცილებელია... სწორედ იმათთვის, ვისაც თავისი თვალით არ უნახავს ეს ყველაფერი... ყველამ უნდა იცოდეს, რა არის ომი!..

— აღარ მინდა! — თქვა ქალმა, — ეს რომ როდისმე განმეორდეს... მე... მე წინასწარ მოვიკლავ თავს...

— კარგი, დამშვიდდი, — შეცვლილი ხმით თქვა კაცმა, — ნახე რა სიწყნარეა, რა სილამაზეა ირგვლივ.

კარგა ხანს სდუმდნენ.

ქალი ჯერ კიდევ ვერ დამშვიდებულიყო და შეშინებული იყურებოდა აქეთ-იქით.

— მეშინია არ გაგვიწვიმდეს ამაღამ, — თქვა კაცმა, — სჯობს ისევ ტყის პირას დავდგათ კარავი.

— შენ უკეთ იცი... — ჩაილაპარაკა ქალმა.

ბიჭები დიდ ლოდზე ჩამომსხდარიყვნენ და მათ მოსვლას ელოდნენ. აქ ქედი პატარა უღელტეხილს გაეწყვიტა წელში და ზედ ოღროჩოღრო საურმე გზა გადადიოდა.

— საით წავიდეთ, მამა? — შეეკითხა კახა.

ცოტნე მოუსვენრად აცქმუტდა.

— მარჯვნივ, — თქვა მამამ, — გზას ჩაყევით და აი იქ, ტყის პირას მოგვიცადეთ.

— ფრთხილად იყავი, ცოტნე ტყეში არ გაგექცეს, — ჩუმად ჩაულაპარაკა დედამ კახას.

„ნე გეშინია“, — ანიშნა კახამ.

ბიჭები ისევ დაწინაურდნენ.

II

პირველად კახა გააღვიძა წვიმამ, მერე მამა. ბნელოდა და წვიმდა. კახამ ამოძრომა დააპირა საძილე ტომრიდან, მაგრამ მამამ გააჩერა:

— მოიცა! აჰა საწვიმარი, გადაიფარე და ცოტახანს დავიცადოთ, იქნებ მალე გადაიღოს.

კახა ისევ კისრამდე ჩაძვრა ტომარაში და ყური მიუგდო წვიმას. წვეთები უფრო გამსხვილდა და მოუხშირა კიდეც. მამა არაფერს ამბობდა და კახაც სდუმდა. მერე დედასაც გაეღვიძა.

— ლევან! კახა! — გაისმა ჩუმი ხმა კარავიდან, — შემოდით, ხომ ხედავთ წვიმს!?

კახა კარვის კართან იწვა, მამა — მოშორებით.

— ნუ სწუხარ, დედა, ჯერ ისე არ წვიმს.

— შემოდით! — ჩურჩულით ჯიუტობდა დედა, — მშვენივრად ვეტევით ხოლმე ერთად...

მერე წვიმა უეცრად შეწყდა. სველი ფოთლებიდან ჯერ კიდევ ცვიოდა მსხვილი წვეთები, მაგრამ კახა მიხვდა, რომ ეს წვიმა აღარ იყო. აგრილდა და ჰაერში სველი მიწისა და ტყის სასიამოვნო სუნი დადგა. მალე ყველას დაეძინა ისევ. მხოლოდ ლევანს გაუტყდა ძილი და გათენებამდე მოუსვენრად იტრიალა. საძილე ტომრიდან ამოძვრა და ზემოდან დაწვა, მაგრამ არც ამან უშველა. ცოლის მძიმე ფიქრები ჩარჩენოდა გონებაში და მიხვდა: ეს იყო სწორედ, რომ არ აძინებდა.

ვინ იცის რამდენი ღამე უთევია ღიაცის ქვეშ, ტყეშიც, წვიმაშიც, მაგრამ ის ღამეები არ ჰგავდა ამ ღამეს. ომის ხმაურსა და სიკვდილის სიახლოვეს სხვებივით ისიც მალე შეეჩვია, შეეძლო მკვდარივით სძინებოდა ყველაფრის მიუხედავად და... მაინც ვერ იძინებდა ხოლმე, არ აძინებდა ფიქრი, ფიქრი ოჯახზე, ფიქრი შვილზე, რომელიც არც კი ენახა, არ აძინებდა ოცნება იმაზე, რაც იყო და აღარ იყო, ოცნება მშვიდობაზე... მათ არ იციან, რა არის მშვიდობა, ვისაც არ უნახავს ომი, ისევე, როგორც არ იციან რა არის ომი... ოცნება მშვიდობაზე... ოცნება აი ასეთ, სწორედ ასეთ წყნარ, გრილ ღამეზე ბნელ ტყეში... ოცნება ტკბილ, უშფოთველ ძილზე და დილით ურმის ჭრიალის ან შაშვის ჭახჭახისაგან გამოღვიძებაზე...

III

გათენებისას როგორც იქნა ჩაეძინა ლევანს, მაგრამ დიდხანს ძილმა არ მოუწია. გამოღვიძება სწორედ ისეთი იყო, როგორიც მაშინ, ქვემეხების შეუწყვეტელი, ჯვარედინი ცეცხლით განათებული უძილო ღამეების დროს. უცბად ვერც მიხვდა, რამ გააღვიძა. ადრიანი დილა იყო. ტყეს ჯერ კიდევ ეძინა. ღამის წვიმა ფოთლებს აქამდე შერჩენოდა და გრილოდა. ყური მიუგდო ტყეს და დიდხანს უსმინა, ვიდრე სიჩუმე არ გაფხრიწა შორეულმა შეძახილმა:

— ჰაამო-ჰოო!

მალე ურმის ჭრიალიც გაისმა.

ლევანი წამოჯდა. ღამის ფიქრებსა და ხანმოკლე ძილს უცბად ვერ გაართვა თავი და ჯერ კიდევ არ სჯეროდა, რომ ეს ყველაფერი სინამდვილე იყო. ხელმეორე შეძახილმა საბოლოოდ გამოაფხიზლა. კარავიდან ორხმიანი, მშვიდი სუნთქვა ისმოდა. კახასაც ეძინა.

ლევანი წამოხტა, სწრაფად ჩაიცვა და გზაზე გავიდა. მოსახვევიდან ჯერ ორი წყვილი რქა გამოჩნდა, მერე ხარები მთლიანად, ბოლოს — ურემიც, ჭრია-

---

ლითა და რახრახით მომავალი ოღრო-ჩოღრო გზაზე; ზედ—მოხუცი მეურმე, გაკვირვებული რომ შესცქეროდა ლევანს...

— გამარჯობათ, ბიძია! — მიესალმა ლევანი, — ხომ არ შეგაშინეთ?

ურემი შეჩერდა. ხარებმა შვებით ამოიხვნეშეს.

— გაგიმარჯოს! შეშინებით კი ვერ შემაშინე, მაგრამ... — მაინც საიდან გაჩნდი ამ დილაადრიან აქა, ჰა?

— ღამე გავათენეთ აქ. დილიდან მოვდივართ ფეხით. ისე თბილისიდანა ვართ.

მეურმე თვალებმოჭუტული უსმენდა.

— მერე და, კაცო, დილიდან ერთ დღეში ამოხვედით აქა?! — იკითხა უნდობლად.

— არა, — გაეღიმა ლევანს, — ექვსი დღეა გზაში ვართ.

მეურმე ისევ უნდობლად უყურებდა.

— ექვსი დღეო? ექვსი დღე ბევრია!

— ნელ-ნელა მოვდივართ, სვენებ-სვენებით.

— იკვლევთ რამესა თუ რათა? — გაუკვირდა მეურმეს.

— არა, ისე... ვძოგზაურობთ. ცოლშვილთან ერთად ვარ.

— ჰოო! მერე? სადამდე მიხვალთ?

— მეტეხამდე ვაპირებდით, ნოსტე და ერთაწმინდა მინდოდა გვენახა, მაგრამ ვეღარ ვასწრებთ. თქვენ საიდანა ხართ?

— მე კავთისხეველი ვარ, ეგ გზა იქ მიდის.

— სწორედ ეს მინდოდა გამეგო, იმიტომ გადმოგიხტით ასე, ყაჩაღივით, — გაიცინა ლევანმა.

— ისე, მართალი რომ გითხრა, გამიკვირდა, — გაიცინა მეურმემაც. მერე დაინტერესდა: — ცის ქვეშ გეძინათ, კაცო?

— არა, კარავი გვაქვს.

— ჰოო!.. მეც აქ გავათიე, ახლოსა. მეზობლები ვყოფილვართ! — გაიცინა ისევ. — ცეცხლი არ დაგინთიათ წუხელა?

— როგორ არა!

— ნეტა რატომ არ დავინახე!?

ლევანმა მხრები აიჩეჩა:

— არც ჩვენ დაგვინახავს თქვენი ცეცხლი.

— მე არ დამინთია, აბედი დამსველებოდა და ვეწვალე, ვეწვალე, არაფერი გამამივიდა... ჰოო... აბა, კარქა იყავით!

— ნახვამდის, ბიძია.

ურემი ისევ აჭრიალდა. მეურმემ თავი მოაბრუნა:

— აქ ცოტა შეშა უნდა დავუდო და... რა, კავთისხევისაკენ ხომ არ დაუხვევთ?

— ჰო, ასე გადავწყვიტე.

ურემი შეჩერდა.

— ჰოდა, აგერა, აქა მაქვს შეშა დამზადებული, — სახრეთი მიუთითა, — აგერა, მაღალი წიფელა რო დგას, ხედავ?

— როგორ არა!

— აი, იმის ძირში. ჰოდა, გამაიარეთ, ერთად წავიდეთ, ბარგს მაინც წაგიღებთ.

— დიდი მადლობა, არ შეგაწუხებთ.

— ე რა შეწუხებაა, კაცო!?

ურემმა გზა განაგრძო.

ლევანი ღიმილით დაუბრუნდა თავის კარავს. ისევ ეძინათ. კახას თმაში ჩაავლო ხელი და მსუბუქად შეანჯღრია:

— ეი! ძილის გუდავ! ადე, ცეცხლი დავანთოთ!

კახა სწრაფად წამოხტა, ჩაიცვა, ფიჩხი მოაგროვა, წუხანდელ ნაცეცხლარს დააყარა გამურულ ქვებს შუა და ცეცხლის დანთებას შეუდგა: ფიჩხი სველი იყო, არ ეკიდებოდა და თეთრად ბოლავდა. მერე როგორც იქნა ცეცხლმა იძალა და ფიჩხი მხიარულად ატკაცუნდა. ლევანმა ქვაბი ჩამოხსნა ზურგჩანთის კაუჭიდან, ერთ-ერთი მათარიდან შიგ წყალი ჩასცალა და ცეცხლზე შემოდგა.

ცოტნეს კარგ გუნებაზე გაეღვიძა, ლოყები გასწითლებოდა და თმა გაბურძგნოდა; კარვიდან გამოძვრა, შესცივდა და ფაციფუცით დაიწყო ჩაცმა, შიგადაშიგ დედაც ეხმარებოდა.

ლევანმა კარავი დასცალა, წააქცია, პალოები დაამტვრია და ცეცხლში შეყარა, მერე საძილე ტომრების დახვე-

ვას შეუდგა. კახამ და ცოტნემ კარავი კოხტად დაკეცეს. დედა საჭმელს ამზადებდა. ქვაბში წყალი უკვე ჩუხჩუხებდა.

— ახლავე მოვალ, — თქვა ლევანმა და მაღალი წიფლისაკენ წავიდა.

მეურმეს სანახევროდ მოეთავებინა ურმის დატვირთვა, ახლა წიფლის ძირას იჯდა და ისვენებდა.

— დანარჩენს მე დავაწყობ, — თქვა ლევანმა და ხელები დაიმკლავა.

— კარგს იზამ, შვილო, — უბრალოდ უპასუხა მოხუცმა, — მოვხუცდი და...

ლევანმა სწრაფად მოათავა საქმე.

— წამობრძანდით, საუზმეზე დაგვეწვიეთ, — შესთავაზა მერე.

დიდხანს იუარა მოხუცმა, ბოლოს დასთანხმდა და ურემი გზაზე გაიყვანა.

ცოტნე გაკვირვებული შეეგება ხარებს. ხარები კუდით იგერიებდნენ აბეზარ ბუზებს და ისე მოდიოდნენ, თითქოს ერთმანეთზე მიყუდებას ლამობენო.

— გამარჯობათ თქვენი! — მიესალმა მეურმე ყველას.

— დილა მშვიდობისა! — ერთდროულად უპასუხეს დედამ და კახამ.

ცოტნე ისევ გაკვირვებული იდგა და სდუმდა.

— ცოტნე! — საყვედური მოისმა დედის ხმაში.

— დილა მშვიდობისა! — თქვა ცოტნემაც.

— გაიზარდე, შვილო, — ალერსიანად უპასუხა მეურმემ.

ხარები მორჩილად შეჩერდნენ, ბრიალა თვალებით შეათვალიერეს უცნობები და ცოხნას შეუდგნენ.

— მობრძანდით, — ცეცხლთან მიიპატიჟა სტუმარი დედამ.

წყალი ხმამაღლა ჩუხჩუხებდა ქვაბში.

— იცოცხლეთ, იცოცხლეთ, — თითქოს ბუზღუნებდა მოხუცი და პატარა ბუდაში იქექებოდა. მერე ხმიადის ნატეხი და მოჭიქული ხელადა ამოიღო. რამდენიმე თავი ხახვი და ქისით მარილიც ამოაყოლა და ყველაფერი თხლად დაჭრილ პურსა და გახსნილ კონსერვს შემოუწყო. მერე ისევ ურემს დაუბრუნდა, შეშებიდან ცული გამოაძრო, ცეცხლის ახლოს დააგდო მიწაზე და მის პრიალა, ფართო ტარზე მოიკალათა.

— რატომ სწუხდებოდით?! — თქვა დედამ.

— რას ამბობ, ქალო?! ჩვენებური არაყია, ხილისა, იქნება გესიამოვნოთ-მეთქი ამ სისხამ-დილითა.

— აბა, ბიჭებო, დავსხდეთ! — დაიძახა ლევანმა.

კახამ სწრაფად დაიკავა თავისი ადგილი, ცოტნე კი გაუნძრევლად იდგა და შეშფოთებული ჩაშტერებოდა ხარების ქედზე წითელ იარებს.

— ცოტნე! — დაუძახა დედამ, — არ გესმის?

— მამა! ბუზები ხარებსა სჭამენ! — შეწუხებული ხმით თქვა ცოტნემ და ისიც თავის ადგილზე დაჯდა.

— ჰო, შვილო, სჭამენ, — დაღონდა მოხუციც, — ვერაფერი ძოვუხერხე მაგ ტიალებსა, გამიტანჯეს ეგ უბედურები.

— ნავთი წაუსვით და აღარ მიეკარებიან, — ურჩია ლევანმა, — ასე ვუშველე მე ერთხელ ჩემს ცხენს.

მეურმემ ლევანის ნაჭრილობევს შეავლო თვალი, ჯიბიდან პატარა ჭიქა ამოიღო, არაყი ჩამოასხა ხელადიდან და გამოუწოდა:

— გეტყობა, ომში ნამყოფი უნდა იყო, არა, კაცო!

ქალს სახე მოეღუშა.

— დიახ, ბიძია, ვიყავი, — უპასუხა ლევანმა.

— რამდენ ხანს იყავი, ბიჭო? — თითქოს ხმა გაუთბა მოხუცს.

— დაწყებიდან...

— ბარაქალა შენს ვაჟკაცობასა! აბა, დალიე! მშვიდობისა დალიე, ბიჭო! არაყით კი არ ვარგა სადღეგრძელოს სმა, მაგრამ რას იზამ?!

ბავშვები მადიანად ილუკმებოდნენ; კახა ყურადღებით უსმენდა უფროსე-

ბის საუბარს; ცოტნე ხახვს ახრამუნებდა და ისევ ხარებისაკენ გაურბოდა სიბრალულით სავსე თვალები.

ლევანმა ჭიქა ასწია, ის-ის იყო სადღეგრძელოს თქმა დააპირა, რომ თვალი მოჰკრა მოხუცის მარცხენა ხელს, ცერი თითი აკლდა. შეჩერდა, გაკვირვებულმა აათვალიერა მოხუცი.

— თქვენც ხომ არ იყავით ომში, ბიძია?

— არა, შვილო, მე ვიღა წამიყვანდა!? — მწარედ ჩაიცინა, მერე ხელზე დაიხედა და მიხვდა: — ესა ჯეელობაში წავითალე- ცულითა.

ცოტახნით დადუმდა, მერე ყრუ ხმით განაგრძო:

— მე ვინ წამიყვანდა, მაგრამა... ჩემი ბიჭები კი წავიდნენ... სამნი მყავდა...

— მერე?

— ერთიღა დამიბრუნდა... ისიც ცალხელა, მაგრამა... ეეჰ!..

— დალიე, ლევან! — შეწუხებული ჩაერია ქალი. — ჭამეთ, ბიჭებო! — ახლა ბავშვებს მიუბრუნდა.

ლევანმა ისევ ასწია ჭიქა:

— მშვიდობას გაუმარჯოს! ისეთ მშვიდობას, რომელსაც ვეღარავინ ვერაფერს დააკლებს! გაუმარჯოს იმას, ვინც ამ საქმეს თავი შესწირა! თქვენი ბიჭების ხსოვნა იყოს!

მეურმეს თვალები აუწყლიანდა:

— გმადლობთ, შვილო, იცოცხლე! შენც გაგიმარჯოს! იმ ჩემ ცალხელასაც გაუმარჯოს! ერთად გაგიმარჯოთ, გეკუთვნით და იმიტომ!

ლევანმა სწრაფად გადაჰკრა და ჭიქა გაუწოდა. მეურმემ ახლა თავისთვის ჩამოასხა, თან ყრუ ხმით განაგრძო:

— ერთი შენიტოლა იყო, მეორე უმცროსი. გაუმარჯოთ იმათ! სადაც არიან, იქ გაუმარჯოთ! — მერე კახას და ცოტნეს გადახედა. დალია და ისევ ჩამოასხა. — ახლა მე გეტყვით ერთ სადღეგრძელოსა... — ისევ კახას და ცოტნეს გადაავლო თვალი, — აი ამ ბიჭებს გაუმარჯოთ! ღმერთმა გიცოცხლოთ და გიდღეგრძელოთ! ისეთი ვაჟკაცები დამდგარიყვნენ, როგორიც ამ ჩვენს დალოცვილ საქართველოს ეკადრება!..

ცოტნე ისევ ხარებს უყურებდა. მეურმემ მის მზერას თვალი გააყოლა და განაგრძო:

— ბიჭოს! შენა, აი იმ ხარებს რომ ჩაშტერებიხარ...

ცოტნემ მოიხედა, სახეზე ცნობისმოყვარეობა გამოეხატა.

— ...ჩვენი სამშობლო, შვილო, სულ მუდამ აგრე იყო, როგორც ეგ ხარებია! სულ აგრე ბუზებივით ეხვეოდა მტერი და დუშმანი და მაინც სულ აგრე ხარივით იდგა ფეხზედა!..

ლევანი აღტაცებული უსმენდა. მეურმემ განაგრძო:

— ერთ მტერს მოიშორებდა, შვილო, და ახლა ახალი მტერი გაუჩნდებოდა და დაეხვეოდა. აგრე იყო სულ მუდამა და რა ვიცი!..

ცოტნეს ისევ ხარებისკენ გაექცა თვალი. მეურმე ლაპარაკის ხასიათზე მოეყვანა არაყს თუ რაღაც სხვას და არ ცხრებოდა, მაინცადამაინც ცოტნეს ჩასციებოდა:

— მომისმინე, შვილო, ერთ ლექსს გეტყვი და კარგად მომისმინე, დამარცხებულ მტერს არა სძინავს, შვილო! ახლა ჩვენ მოვხუცდით, აღარც თვალი გვიჭრის, არც მკლავი. სამშობლოს ბედი და იღბალი თქვენს კისერზეა, აი, შენსა და შენ ძმისაზე. თქვენ უნდა ივარგოთ და იყოჩაღოთ, შვილებო, რომ მტერმა ვეღარაფერი გაგიბედოთ!..

— აკი ლექსს გეტყვიო, პაპა?! — მოულოდნელად გააწყვეტინა ცოტნემ და დედის საყვედურით სავსე მზერა დაიმსახურა. მეურმემ გაიცინა.

— გეტყვი, შვილო, აბა კარგა დამიგდე ყური! — მერე ჩაახველა და გამოთქმითა თქვა:

— გაიგეთ? მგელი მამკვდარა!
თხამ გაიგონა, შახტაო.
— რამ გაგახარა, შე თხაო.
განა სამგლეთი გაწყდაო!?
შენ რომ ციკნები დაზარდე,
მგელსაც ლეკვები დარჩაო!

ცოტნე მოუსვენრად ახამხამებდა თვალებს და ნათლად ეტყობოდა, რომ ბევრს ვერაფერს მიხვდა. სამაგიეროდ ლევანი აღტაცებას ვეღარ ფარავდა, ფანქარი და ქაღალდი ამოეღო და ჩქარ-ჩქარა იწერდა მოხუცის ნათქვამს. ის კი განაგრძობდა:

— ...ჰოდა, შვილებო, გაგიმარჯოთ! იცოცხლეთ, იდღეგრძელეთ, გამრავლდით ამ გასაწყვეტი მგლების ჯინაზედა!

მოხუცმა არაყი გადაჰკრა, ჭიქა ისევ გაავსო და ლევანს გადააწოდა. მან უსიტყვოდ დალია და მერე იკითხა:

— ეგ ლექსი ვისი ნათქვამია, ბიძია?

— ჩემია, კაცო, — თავმომწონე ღიმილითა თქვა მოხუცმა, — ჯეელობაში ვთქვი, განა!? იმ დროსა არც ერთი თითი არ მაკლდა ამ ხელზედა.

— რა გვარისა ბრძანდებით, ბიძია?

— რად გინდა, კაცო, ჩემი გვარი?

— ისე... მინდა ვიცოდე.

— კავთიაშვილი ვარ! გიორგის მეძახიან.

ლევანმა ჩაიწერა.

ქალი უკვე ჭურჭელს ალაგებდა. ბიჭები წამომდგარიყვნენ და ხარებს უტრიალებდნენ, ბუზებს უქშევდნენ. მეურმე მძიმედ წამოდგა.

— გავუდგეთ გზასა, თორე მერე მზე დაგვაცხუნებს!

ზურგჩანთები ურემზე დაუდეს.

მეურმემ ცოტნე აიყვანა ხელში და უღელზე შემოსვა, ხელში სახრე დააჭერინა და ხარებს გაუწყრა. ბიჭუნას აღტაცებისაგან თვალები გაუდიდდა.

— არ ჩამოვარდე, — გააფრთხილა დედამ.

— ნუ გეშინია, ქალო, — დაამშვიდა მეურმემ, მერე გაიხუმრა: — ჩემგან დალოცვილ ვაჟკაცსა უღლიდან რა გადმოაგდებს!? აბა! გაუწყერი, გენაცვალე, გაუწყერი მაგ სამგლეებსა!

— აჩუ, თქვე სამგლეებო! — რიხიანად დასჭყივლა ცოტნემ.

კახამ სიცილი დააყარა. მეურმე ღიმილს იკავებდა.

— რას იზამ, ქალაქელი ბიჭია, — გაამართლა ცოტნე.

ხარები ზანტად მიიზლაზნებოდნენ ოღროჩოღრო გზაზე. მზის სხივები ძლივს ატანდა ტყეში და ისევ ნესტიანი იყო სიგრილე.

— მშვენიერი ტყეა, — თქვა ლევანმა, — ოღონდ მოუვლელია. გამოხშირვა სჭირდება.

მერე დაუმატა:

— მეტყევე ვარ და...

— ეეჰ!.. — ამოიოხრა მეურმემ. — ტყისათვის ვის ეცალა! ვისაც კი ამის ჯანი და ცოდნა ჰქონდა, ყველა მტერს ებრძოდა და... ეგრეა, მაშა, ეგრეა!

— ახლა მაინც უნდა მიხედოთ, თორემ აფსუსია, გაფუჭდება ტყე.

— მივხედავთ, აბა მა რა, არ მივხედავთ?!

ურმის გაუსაპნავი ღერძი უფრო და უფრო ხმამაღლა ჭრიალებდა. „არც სამაგისო საპონი ჰქონდათ ალბათ“, — გაიფიქრა ლევანმა და მწარედ ჩაეცინა. მხოლოდ ეს ჭრიალი არღვევდა ტყის სიჩუმეს. მერე სადღაც კოდალამ კაკუნი დაიწყო ხეზე. ახლა სხვამ უპასუხა უფრო შორიდან. მერე კიდევ და კიდევ. „თითქოს მორზეს ანბანით საუბრობენო“, — გაიფიქრა ლევანმა.

საურმე გზა დაღმართ-დაღმართ მიდიოდა და ხშირად უხვევდა აქეთ-იქით. ტყე დაბურული იყო. ყოველი მოსახვევის იქით რაღაც ახალს, საინტერესოს მოელოდა ადამიანი, მაგრამ მოსახვევი უკან რჩებოდა და წინ იყო ისევ ტყე, ისევ გზა და ისევ მოჩანდა ახალი მოსახვევი. მაგრამ აქ იყო სიწყნარე, სიმშვიდე.

ტყე თავდებოდა... კოდალების კაკუნს ნიავმა ახლა ყანებში გაბნეული კალიების მოსაბეზრებელი ჭრიჭინი შემოუერთა.

დავით ჯავახიშვილი
მშვიდი დილა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი გეგეჭკორი

მზიანი ღრუ

თინა გველესიანს

მე ვარ ძლიერი, მე დავიბადე ოთხი თუ ხუთი
ათასი წლისა,
მე ავირიდე ყველა ხიფათი, მე ვიცი, რასაც
ვიტყვი და ვიზამ...
ჩუმი ფუსფუსი საღამოს ბინდში ისე გათავდა,
როგორც ბაზრობა
და მე ვიგრძენი სიკვდილის შიშის უსაფუძვლობა
და უაზრობა.
მე ვარ უკვდავი, დავკარგე ჩრდილი და სვეტებივით
ჩემი ფეხები
მიწას ეყრდნობა და შუბლზე თბილი მარადისობის
სუნთქვა მეხება.
მე ვარ ძლიერი, ჩემი ხელმწიფე მე თვითონ ვიყავ,
ვერავის ვენდე.
და რაც მებადა, სულ მთლად შევწირე ჩემს ბოროტ
ღმერთებს და კეთილ ღმერთებს.
მე ვარ ძლიერი და მე ვერასგზით ვერ დამხრის,
რამაც უნდა დამხაროს,
მე ვარ ნათელი და ჩემს მზერაში მოქცეულია
მთელი სამყარო.
რასაც ვეძებდი, ვერ უკუმეჭცა, მე დავინახე
იგი უეცრად,
მაგრამ მე დიდი გზა გავიარე, რომ დამენახა
იგი უეცრად...

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო ტკივილი, ეჭვი და რყევა, ჩემი გარდაქმნა,
გაზრდა და წინსვლა,
მე სხვა ვარ, მაგრამ მე მაინც მე ვარ და რაც
ვიყავი, მე მაინც ის ვარ...
და იგი, რასაც ვეძებდი დღემდე და მივაგენი,
თურმე იტევდა
სხვისთვის მიგნებულ და მხოლოდ ჩემთვის ჯერ
მიუგნებელ ჭეშმარიტებას...
მე უკვე ვიცი: ეს მიწა მე ვარ, ჯერ დაუფშვნელი
ცოცხალი ბელტი,
გაჩენის დღიდან ამ მიწადქცევას მე სიჯიუტით
ვებრძვი და ველტვი...
მზე სულ ახლოა, ცა სულ ახლოა, ზევით მეწევა
ყველა ვარსკვლავი,
მტანჯავს მიწის და ცის უთანხმობა — ქვევით
მეძახის მიწა დამსკდარი...
ვერა, მე ასე ვერ დავუბრუნებ მოუქანცავ და
უბრძოლველ სხეულს,
ასე უეცრად, ასე უბრალოდ ვერ მივატოვებ
ცარიელ რვეულს...
გაურჯელ მკლავებს, მოუღლელ სხეულს ვერ
დავუბრუნებ ასე უდროოდ,
ჩემი სიცოცხლის მზიანი დღეა, ისევ მამშვიდებს
ეს სიმყუდროვე...
ჩემი ოცნების გემებს დაღლილი ზღვა რომელიღაც
კუნძულთან არწევს,
ვერ მეფარება დიდი სახლები და ვხედავ დიდი
გემების ანძებს.
ერთგული მიწა სირბილით ხვდება თვითმფრინავების
დაშვებულ ბორბლებს,
ისევ მაღლდება ყვითელი მთები და მზე ბილიკზე
ბავშვივით მორბის...
გაბრწყინვებული დიდი სინათლით მოზღვავებულა
დღეს სახილველად,
რაც მე პირველად ვერ დავინახე და რასაც ვხედავ
ახლა პირველად!..
ჩემს შუბლზე ფეთქავს ცისფერი ძარღვი და ყველაფერი
იმ ძარღვში ფეთქავს,
ხმაურობს სისხლის პატარა არხი და ეს ხმაური
თავს იყრის ერთგან.
იგი აყრუებს და იგი ფარავს ყვირილით ნათქვამ
სიტყვების ქაოსს,
მაღალ ბალახზე გაწოლილ ქარებს, მატარებლების
ბორბლების ხმაურს...
ის რეკავს, იბრძვის, ფეთქავს და არხევს მზეს,
დედამიწას, დროსა და სივრცეს,
ამ ძარღვში ფეთქავს იმათი ძარღვიც, ვისაც მე,
ალბათ, სიცოცხლეს მივცემ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ვარ ძლიერი, მე ვარ ტანადი, მე ვიცი, სადაც ვივლი და მივალ
და ჩემს ოფლიან სახეს ანათებს დამწიფებული თავთავის ბრწყინვა...
ჩემამდე აღწევს მდინარის სუნთქვა, ჩემი ცოცხალი მდინარის სუნთქვა,
იმ მდინარეში ჩემი სისხლია, ჩემი სუნთქვაა მდინარის სუნთქვა.
ის არ ეხლება, ეს მე ვეხლები ქვიან ნაპირებს და ხის ბოგირებს,
მისი სიცოცხლე, მისი სიმხნევე მე კვლავ მაცოცხლებს და მაბოგინებს...
ველზე გასული, როგორც მთესველი მე მდინარესთან ერთად ვთენდები
და ვეჭიდები მიწას ფესვებით, ჩემი წარსულით და ლეგენდებით...
ხეებში სუნთქავს დამცხრალი ვნება და ქვენაქარზე ქანაობს ბალბა,
ჩემი წინაპრის საფლავის ქვები უფრო და უფრო მიიწევს დაბლა.
მე ვარ უკვდავი და ეს შიშველი კედლის ნანგრევი ჩემი ფესვია,
მე ვერ ვიცოცხლებ და დავიქცევი, თუ დამექცევა ეს ეკლესია!..

აქ, ამ ველებზე და ამ ბორცვებზე განისვენებენ ჩემი ღმერთები,
მე იმათ ფერმკრთალ შუბლზე ვლოცულობ და როცა ვკვდები, მათ ვუერთდები.
ღამით რომ მიხმობს, მათი ხმებია და ჭრიალებენ მათი ურმები,
ისინი ყოველ დილით დგებიან და ასდით სველი თივის სურნელი...
უდგათ ზარფუში და ზედადგარი, წისქვილის გელაზს კლდეებში თლიან,
მდინარეებთან მოსული მთები მათი დახრული ძვლებივით ყრია...
და სამხრეთიდან ცხელი სამხრეთის ქარს მოაქვს ჩემთან მათი ჩურჩული,
რომელიც ახლა ისე მამხნევებს, როგორც ტაძარი მზით გარუჯული.
მე ღამით ვუსმენ მწუხარე ეჟვნებს, აქლემებს მისდევს უდაბნოს მტვერი
და ამ მხურვალე უდაბნოს მტვერში თვალს ეფარება მრავალი ერი...
სულ სხვანაირი დგება ამინდი, წითლად ანთია ცის ნახევარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ღვთაებრივი სემირამიდას ბაღებში ფრთხილად
ჩადის მხევალი...
ანატოლიის ქვიშას მიმხმარი ხეთი სულს ებრძვის
და იყურება,
სამი ათასი წლის შემდეგ მიხმობს: „დამალევინე,
წყალი მწყურია!..“
და იხლიჩება დიდი ხეები, ტრიალებს ქვიშის
მაღალი სვეტი,
მარდუქის ტაძრის საკურთხეველზე ეცემა სისხლის
მაძღარი წვეთი...
თრთის ბაბილონი, თრთის ქანაანი, ძლივს მოჩანს
ჩემი გზის დასაწყისი
და მაღალ ხეზე ნელა ქანაობს დაკიდებული
ოქროს საწმისი...
და მესმის, როგორ კანკალებს სივრცე და როგორ
სუნთქავს სიცხე მკათათვის,
და პომპეუსის ხავსიან ხიდზე ჩემი მდინარე
როგორ გადადის...

ჩემო ღრუბელო, ჩემო ავდარო, ჩემო მინდორო,
ჩემო ზეგანო,
მოულოდნელად ზღვასთან თავდები, მე კი მგონიხარ
უკიდეგანო!..
უშენოდ მე ვარ ხორბლის მარცვალი, ქარში ნასროლი
და უბინაო,
მე მოვდიოდი შენსკენ ცახცახით, მე ვიქცეოდი
და მე ვგმინავდი.
მე მოვდიოდი და ქარი მხრიდა. აქვითინებულს
და გაღიმებულს
მე შენს წიაღში გაჩენის დღიდან მინდოდა ძილი
და გაღვივება.
მე ვიყავ ლტოლვა, ვიყავ სიცოცხლე, ვიყავ ძიება,
როგორც ნაფოტი
წყალს მოვყვებოდი და მე ვიცოდი, ვისთან და ვისკენ
მოვისწრაფოდი.
მე შემზარავი ვნახე სურათი, მე ვნახე წარღვნა,
დამტვრეულ რტოებს
სახეში მცემდა და მივცურავდი, ბნელში კამეჩი
ყვიროდა: „ნოე!..“
უკან სიკვდილი მომდევდა ბერწი და ყოველ ბუჩქთან
თვლემდა ხიფათი,
ვეფარებოდი ჭაობის ლერწმებს, ფეხებს ევფრატის
წყალში ვიბანდი.
მე გავიარე კაბადოკია და დასიცხული
ქვიშაზე ვეგდე,
ხან დაპყრობილი და გათოკილი მე მივყვებოდი
ასურულ ეტლებს...

მე ხმალს ვიქნევდი და მძიმე ფარზე ასგან ელავდა
მზე ჩაჭყლეტილი
და ბორცვზე იდგა ძლიერი მარსი და მისთვის ვიყავ
მხოლოდ წერტილი.
მე მიკვირს: ჩემმა დაღლილმა ძვლებმა როგორ გაუძლო
სირიის მტვრიან
გზებზე ხეტიალს, ჩაზნექილ გემბანს, იალქნიანი
ნავების ჭრიალს.
და დასისხლული ჩემი ხელები ეჭიდებოდა
წვეტიან კიჩოს.
ენთო ბოსფორი და გალერებზე ჯაჭვით მიბმული
ვუსვამდი ნიჩაბს...
მიმძიმდა ტვირთი... ის მხრებში მხრიდა და ჩემი
ძვლების ჭრიალს ვუსმენდი.
მე გზაზე ვიდექ გაჩენის დღიდან და დაბეგვილი
მქონდა ქუსლები...
სინათლისაკენ გზა იყო შორი, მე ვგრძნობდი,
სადღაც ენთო აპრილი
და ჩემი სული იყო ღრმა ორმო, მზე აშუქებდა
მხოლოდ ნაპირებს...
მაწყევლინებდა ტანჯულ სიცოცხლეს ფარისევლობა
ფარისეველთა,
თურმე ვტიროდი და არ ვიცოდი, თუ ფერმკრთალ
ღაწვებს რა მისველებდა!..
მე დაღლილ სხეულს ძლივს მივათრევდი არარაობის
განწირულ გზებზე,
მე ვოცნებობდი დიდ სინათლეზე და იმ სინათლის
მოტანა შევძელ!..

ჩემს ძლიერ სახელს მაღალ კლდეებზე შენ კრძალვით
წერდი, თიგლათფალასარ,
მაღალ კლდეებზე ჩემს დამარცხებას შენ კრძალვით
წერდი, თიგლათფალასარ!..
საუკუნეთა იმ სიმრუმეში იდექ სასტიკი
და სხვას ჰკიცხავდი,
და შენ გეგონა თურმე უმეცარს, დროს მოაქცევდი
წელთაღრიცხვაში!..
ცის ლურჯი თვალი იყო ვეება, იყო გამშრალი,
იყო უცრემლო,
ამოხაპული მდინარეები პირაღმა იწვნენ
თეთრი მუცლებით...
და მიჰყვებოდა დამწვარ ფერდობებს ჯოგი და ჯოგი,
ძვალი და ტყავი
და დედაჩემის მოთქმა ერთვოდა წამოქცეული
საქონლის ბღავილს.
სასოწარკვეთა, ზიზღი უღრმესი, შურისძიების
ველური ვნება

უკან მომდევდნენ, როგორც ურმებზე ჯაჭვით მიბმული ძაღლების ყეფა...
ჩემს ტუჩებს, გამშრალს და გაფიცხებულს მხოლოდ და მხოლოდ სურდა სისველე
და მაწვალებდა უღვთო სიცხეში მოჩვენებები ოაზისების...
და უსიზმრებო უდაბნოს ძილში და სიყვითლეში ნელა ახელდა
ცხელ ქუთუთოებს უსაზღვრო შიში — გაურკვეველი და უსახელო...
მე ვნახე ხვატით დამწვარ მიწაზე უეცრად ცეცხლის გათავხედება
და რამდენიმე ღამე იწვოდა ჩემი ქალაქის დიდი კედლები.
სადაც ტაძრები მხრებით ეკავათ წელში გადრეკილ კარიატიდებს
და უზარმაზარ ზარებს რეკავდნენ, — იყო ნაცარი და მე ავტირდი...

შენ იყავ ქართლი, ცისფრად გღებავდა თრიმლივით ჩუმი საღამოს მოსვლა,
რა იდუმალი და რა მგზნებარე იყო მაღალი ხეების ლოცვა!..
ის აწყდებოდა უხილავ თაღებს და მე არსმენილ ლოცვას ვისმენდი
და მიდიოდა სულ უფრო მაღლა ცა უსასრულო და შვინდისფერი.
მე მოველ მწირი და უბინაო და შენ კალთაში ჩაგიდე თავი,
— მოდი, დამლიე, — მითხრა მდინარემ, — ჩემს ზედაპირზე ჩაუშვი ნავი...
ხვალიდან უნდა ჩემს ცეცხლს ებოლა აქ, ამ მიწაზე და ჩემს უძველეს
გატანჯულ მოდგმას და არსებობას სურდა ფესვები და საფუძველი...
ვიწექ ბალახზე, ხარბი წყურვილი გაქრა და ახლა ძილში მესმოდა
განრისხებული და დათრგუნვილი, ვით შესჩიოდა ცას ჰელესპონტი...
და გაბზარული უკვე ყვიროდა ბნელ ქვესკნელიდან ჩემი ბილინგვა,
მე მაშინ უკვე ვიყავ ისეთი, როგორიც მსურდა რომ ვყოფილიყავ...
მზე მოდიოდა ღიმილით ჩემსკენ, მწვავდა, მრუჯავდა, ვნებით მკოცნიდა,
მე მაშინ უკვე ვხატავდი ფრესკებს, ავაგე გრემი და ნიკორწმინდა.

უკვე სუნთქავდა ჩემი ნაყოფი, ჩემი მბორგავი
სულის კივილი
და უარყოფის ეს უარყოფა მშობიარობის
მთხოვდა ტკივილებს...
შენ იყავ ქართლი და მიწის ძარღვებს დაწაფებული
ხარბად გსრუტავდი
და მივდიოდი ცეცხლივით მაღლა და ჩაღდებოდა
სული მბჟუტავი...
მე ვხმაურობდი შენი სისხლივით, ჩემი ხმა რეკდა,
როგორც ფოლადი,
პეშვით მომქონდა შენთვის მზის სხივი და აპრილივით
გზებზე ვბოლავდი...
მე ძლიერ მსურდა, რომ ალერსიან სიცოცხლეს ეთქვა:
„ნუ წახვალ, დარჩი!..“
და ფართხალებდა, როგორც თევზები ჩემი შიშველი
ფეხები წყალში...
მე ბედნიერი ვიყავი: წვიმდა!..
ირგვლივ სინათლე იდგა ყვითელი,
მოწყურებული ალერსით მღლიდა ზაფხულის წვიმის
გრძელი თითები...
მე შევყურებდი ცას უსათნოესს, მერცხლების
ფრთებქვეშ მღეროდა ქსანი
და თავთავების სუნი მათრობდა...
და ნეტარებით კვნესოდა ტანი...
ის მაბრუებდა, სინათლეს მფენდა, მე მივდიოდი
და სიკვდილამდე
გაჩირაღდნებულ თვალებში მენთო იმ თავთავების
დიდი სინათლე...

მე ვწერდი, როცა იდგა წყვდიადი და სოფელს ჩემსას
ერქვა ცურტავი,
მე სიბნელიდან გამოვდიოდი და სინათლეში
თვალებს ვჭუტავდი...
და მომყვებოდა დაქანცულს გარეთ დამძიმებული
წიგნების მტვერი,
თრთოდა და ზანტად ეფინა მზვარე და ქვითქვითებდა
ყანაში მწყერი...
შენ იყავ ქართლი და დედის ძუძუდ შენი მზიანი
მქონდა ბორცვები,
შენი ღრუბლები აკვნის ჩვრებია: მე ყრმა ვარ შენი—
შენზე მლოცველი!..
მე მზით გავსებულ თვალებს ვახელდი და მე მწყუროდა
ვნებით ცახცახი,
ჩემს შიშველ ფეხქვეშ გრძელ საწნახელში იჭყლიტებოდა
ყურძნის მარცვალი.
ვხნავდი, ვკაფავდი, ვრწყავდი, ვბარავდი და მე მტკიოდა
ყველა სახსარი,

მიწით ვცოცხლობდი და მიფარავდა ჩემი კოპალა
და იახსარი.
მე არ მეძინა და გაფითრებულს და ძილდაკარგულს,
მშიერს და მწყურვალს
თავმონგრეული კოშკის ქვითინი მესმოდა: „შვილო,
სადამდე, ზურაბ!..“
ის იყო დედა. მე მან მიხილა თავის სიზმრებში
და დავიბადე.
ის მიწასავით მისკენ მიხმობდა და თბილი იყო,
როგორც თიბათვე...
ყველა ჭრილობა იმან მომშანა და შიგ მიფენდა
ნამიან თივას
და ახლა ძველი ნაჭრილობევი მხოლოდ ღრუბლიან
ამინდში მტკივა...

მე ვარ ძლიერი და კვლავ არსებობს ჩემი ჯილაგი
და გასაგისი
და დღეს არ ვიცი, რად გამახსენდა ჩემი დიადი
გზის დასაწყისი...
მე გავარღვიე წყვდიადის ალყა, ეცემა ჩემი
სინათლის ჩქერი,
მე შეურყეველს უეცრად ვარყევ, მე ვარ ჭურჭელი,
არა მაქვს ფსკერი...
მე მოვიშორე ის, რაც მიშლიდა, გავექეც ფარულს
და გაურკვეველს
და ისე მავსებს ახლა სიმშვიდე, როგორც ნახშირი —
გემის ბუნკერებს...
ჩემმა კეთილმა ღმერთებმა უცებ ისეთი დიდი
ღონე მაჩუქეს,
რომ ჩემი ძველი წიგნების ფურცლებს მე ვტოვებ,
როგორც კვერცხის ნაჭუჭებს...
მე გავიზარდე ძალიან სწრაფად, ბუნებამ მომცა,
მე რაც მოვთხოვე,
ეს მე დავცქერი ურანის ქვაბებს, წყვდიადში
მძინარ აეროდრომებს...
მე ჩავიდინე საქმე საზღაპრო, რადგან ვიცოდი:
სივრცის მემართა
და წაიშალა ახლა საზღვარი ადამიანის
მისწრაფებათა...
მე თეთრ ქაღალდზე ფიქრით დახრილმა განუზომელი
ვიგრძენი ძალა,
ეს მე ვიყავი, მე შევარხიე სეისმოგრაფის
დამფრთხალი შკალა.
მე გავუძელი შფოთვას და ტკივილს, მე გავიარე
ღამის კიდეზე,
მაღალ ხეებში სინათლის სხივი ფართხალებს,
როგორც ჩემი სინდისი...

თრთის და კანკალებს მიწის ორბიტი — ჩემი
საყრდენი და ჩემი ფუძე,
ვით ყრმა, რომელიც ჩემსკენ მორბოდა და ახლა
გული ფეთქავს და უცემს...
მე დავიჯერე: შენობის გროვად ვერ გადვიქცევი
და ვერ მომსპობენ
და იმ ღამეში, რომელიც მოვა, ანათებს ჩემი
ძვლების ფოსფორი...

მზე სულ ახლოა, ცა სულ ახლოა, ზევით მეწევა
ყველა ვარსკვლავი,
მტანჯავს მიწის და ცის უთანხმობა — ქვევით
მეძახის მიწა დამსკდარი...
ვერა, მე ასე ვერ დავუბრუნებ მოუქანცავ და
უბრძოლველ სხეულს,
ვერ შეგელევი ასე უბრალოდ ჩემი სიცოცხლის
მზიანო დღეო!..
მე შენი სუნთქვა მეხება თბილი და დგახარ,
როგორც ჩემი ბეთლემი,
შენ ხარ მაღალი და მე ვარ ჩრდილი შენს
განათებულ მზიან კედლებზე...
მხოლოდ შენა ხარ ჩემი ამინდი და ჩემს სურვილებს
შენ გამინაღდებ,
შენ დამადგები და შენ ამინთებ აუნთებელი
სულის ჩირაღდნებს...
მხოლოდ შენა ხარ ჩემი ამინდი და ცისფერ ძარღვში
ფეთქავ სისხლივით,
უნდა შენზე ვთქვა, რაც ჯერ არ მითქვამს და ის,
რაც მხოლოდ იგულისხმება...
მე შენ გეძებდი, როცა გუგუნი იდგა, და მე შენს
ალერსს ვითხოვდი,
დაბადებული ღამის შრიალში მე შექმნილი ვარ
შენი სითბოთი.
სული შთამბერე, ვიყავ თიხისა და ვიგრძენ ჩემი
ტერფი და თხემი,
იყავ ნათელი და შემიხიზნე და ჭურჭლად გქონდა
სხეული ჩემი...
და იმის შემდეგ, რაც დაგინახე, ვიწრო ოთახში
ვეღარ ვეტევი,
გავსებულია შენი სინათლით ჩემი ცხოვრების
ეს ფრაგმენტები...



მოთხრობა

ღილით ქარი ისევ უბერავდა და ფანჯარაში თავგაყოფილ თუნუქის მილს კვამლს ტაცებდა. მინებს მჭვარტლისა და მტვრის ფენა ედო და ღრუბლები ტალახისფერი ჩანდა.

დარაჯს ეღვიძა. დიდი ხანია ეღვიძა. მატარებელი რომ გაუშვა და სახლში მჩვარივით მოათრია „სტუმარი", ძილი აღარ წაეკარა; აღარ წაეკარა კი არა, საათმა არ მისცა მოსვენება. საათი ახლა თვითონ კი აღარ უყვებოდა, დარაჯს ეკითხებოდა: ვინ იყო ეს კაცი, რატომ არ ერჩოდა ძაღლი, რატომ მიაბიჯებდა შპალებზე, თუკი არსად **არ** მიდიოდა.

საათმა, კედლის ძველმა ქანქარა საათმა რაღაც იცოდა, მაგრამ არ ამხელდა, უნდოდა თვითონ დარაჯს ეთქვა; მაგრამ დარაჯი არასოდეს არ ეუბნებოდა საათს არაფერს, და საათი ამბობდა ხოლმე თავისა და დარაჯის სათქმელს.

ახლა არ ამბობდა საათი. ცოდნით კი იცოდა.

ეშინოდა? არა, შიში არ იყო ეს, მაგრამ არც იოლი გასამხელი იყო: საათმა იცოდა, რომ მუნჯი არ იყო სტუმარი, ოღონდ ვერ ლაპარაკობდა.

ყოველთვის არ ლაპარაკობენ ადამიანები. ზოგჯერ, ძალიან რომ უნდათ გითხრან, მაშინაც კი არ ამბობენ; **მითუმეტეს**, თუ არავისთან არაფერი არა აქვთ სათქმელი, ან უკვე თქვეს, რისი თქმაც უნდოდათ.

დარაჯი ადგა. ფეხჩაუცმელი მივიდა ღუმელთან, მსხვილი, დახერხილი შეშა შეუკეთა და უკან გამობრუნდა. საწოლთან რომ მივიდა, მაშინ გადახედა ფიც-

[1] დასასრული. იხ. „ცისკარი", № 10, 11.

რებზე დამხობილს. სტუმარს ლოყა ფიცარზე ედო, ცალი ხელი მუცელქვეშ მოჰყოლოდა, ზურგჩანთა ისევ მხარზე ჰქონდა გადადებული.

— ასე სახლები ინგრევიან... — თქვა საათმა.

— ჩანთა მაინც ამოედო თავქვეშ, — თქვა გუნებაში დარაჯმა.

— ეგ არც უფიქრია, — თქვა საათმა. — საერთოდ არაფერი არ უფიქრია. ასე სახლები ინგრევიან...

რკინიგზელის შავ მაზარაში თავწაყოფილმა მუშამ ზედიზედ მშრალად დაახველა და წამოიწია, ფანჯარას გაპედა და დარაჯი დაინახა.

— ლუკა! — დაუძახა მუშამ.

— ჰო, გათენდა! — თქვა დარაჯმა და თავის საწოლზე ჩამოჯდა.

— ქარია ისევ? — იკითხა ახალგაღვიძებულმა.

— ქარია.

— არ მოთოვდეს ნეტა, თვარა... უსაშველოა პირდაპირ...

— ვინ იცის...

როცა მუშები იღვიძებენ, საათი თავისთვის მუშაობს და აღარაფერს ამბობს.

— აჰ ლუკა, ხომ არ მოთოვს, თუ იცი?!.

ლუკამ არაფერი უპასუხა, მაგრამ მუშამ თავისი მაინც თქვა:

— მოთოვს რა, მე შენ გეტყვი უდროობა ეთქმის; რემონტს კიდევ ორი კვირა ვერ დავამთავრებთ, მოგვისწრებს თოვლი, ეჭვი არაა, მოგვისწრებს.

— მოგისწრებთ... — ამით მუშას არ დათანხმებია, მაგრამ თავისთვის თქვა.

— გაჭირდება მუშაობა.

— გაჭირდება...

— ნამეტანი გაჭირდება.

მეზობლად მწოლმა ხელი გადმოსწია, მაზარის სახელოში წვდა, მოსწია და შეუწყრა:

— რა ძაღლის ყბა გამოიბი ამ უთენია?..

მუშამ არაფერი არ უპასუხა, საწოლზე წამოჯდა, ყელთან შეხსნილი ლითონის ღილები შეიბნია და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— უნდა ავდგეთ აწი, ნეტა რომელი საათია... — და საათს ახედა.

გვერდით მწოლი გადაბრუნდა. ძილის დრო აღარ იყო, მაგრამ თვალები მაინც მოხუჭა.

— ლუკა, — თქვა ისევ პირველმა, — წუხელ შუაღამის მატარებელს გზის ოსტატი არ ჩამოყოლია?

დარაჯს წუხელ, საჩინოსთან შეხვედრის მერე, აღარც გახსენებია, რომ გზის ოსტატი იყო ჩამოსასვლელი. თავი გაიქნია.

გარეთ ქარმა დაუბერა და ღუმელში კვამლი შემოაბრუნა.

— გაჭირდება, — ჩაილაპარაკა მუშამ, მაზარიდან გამოძვრა, სოხანეზე წინდებით გაიარა და ღუმელთან ჩამოჯდა. საჩინოსკენ არ მიუხედავს, ან იქნებ მიიხედა და ვერ შენიშნა...

კედლების გასწვრივ გაჭიმულ ფიცრულ საწოლებზე მიფენილი შავი მაზარებიდან კანტიკუნტად ყოფდნენ თავს წვერგაუპარსავი მუშები. ფანჯარას შეხედავდნენ, მერე საათზე შეამოწმებდნენ ფანჯარაში დანახულს, მაგრამ საათი იმედს უმტყუნებდა. ვითომ წამოდგომასაც დააპირებდნენ, მაგრამ ეს მაგარი და ცივი საწოლი დასათმობად მაინც არ ემეტებოდათ.

— იასონ! — დაიძახა დარაჯმა; ადგომის დროაო, აღარ უთქვამს.

საწოლიდან მძიმედ გაეხმაურა იასონი, მაზარამოხურულმა გამოსწია ღუმელისაკენ და ხმამაღლა სთქვა:

— ქარია ე ამოსაგდები!

ჩამოჯდა, ერთხანს ღუმელის მილზე ითბო ხელები და მერე ისე წამოიძახა, გეგონებოდა ცხელ თუნუქზე ხელი დაიწვაო:

— აპა ჰე, რა ვთქვი მე!

მუშებმა იცოდნენ, ამით რისი თქმა უნდოდა მათს სიტყვაძვირ ბრიგადირს და ნელ-ნელა წამოიშალნენ.

ეს არ გაუგონია დარაჯს, მას არც საათის ხმა ესმოდა.

ყველაზე ენაჭარტალა ადამიანებიც ძალზე ძუნწად თუ ამხელენ თავიანთ ფიქრებს. ადამიანი ფიქრებში მოქმე-

დებს თავისუფლად და გულახდილად, პირდაპირია და პირუთვნელი. მისი ფიქრი სამყაროა, უკიდეგანო სამყარო. ადამიანი ფიქრში უსწორდება ყველას, საუბრობს ღმერთთან და თავის თავთან. ადამიანი ფიქრში იძლევა იმაზე მეტს, რაც მართლა შეუძლია გაიღოს; იმაზე უფრო სასტიკია, ვიდრე სინამდვილეშია, ან იმაზე მეტად ლმობიერია, ვიდრე ამის ძალა შესწევს; ადამიანებს აღელვებს ფიქრები და ისევ ფიქრები ამშვიდებს.

— ლუკა!

დარაჯმა თავი ასწია.

ოთახიდან მუშები გაკრეფილიყვნენ. კართან იასონი იდგა, თვალი იქით ეჭირა, სადაც კედლისაკენ პირშექცეული საჩინო იწვა.

— იყოს... — თქვა დარაჯმა.

— სამუშაოდ ხომ არ მოსულა?

— არა...

— მგზავრია?

— არა.

იასონი შებრუნდა. კარში გაალაჯა.

— შენიანი იქნება ვინმე...

არაო, უნდოდა ეთქვა დარაჯს, მაგრამ არ უთქვამს.

ოთახში ძაღლი შემოძვრა, მაგრამ ღუმელთან მიახლოება ვერ გაბედა, არც სტუმრისაკენ წასულა. ერთხანს აქიცინა კუდი და მერე ფეხით მოიქეჭა. დარაჯმა შავი პურის ქერქები გადაუყარა. ძაღლმა მორჩილა ნატეხები იქვე გადასანსლა, მოზრდილა პირში დაიჭირა, თათით გამოაღო ღრიჭოდ მიგდული კარი და გარეთ გავარდა.

გაღებულ კარებში ქარი შემოიჭრა. დარაჯმა მიიხედა, მაგრამ არ ამდგარა მისახურავად.

დილის მატარებლის დრო ჯერ არ იყო და მატარებელზე არაფერს ამბობდა საათი... საჩინოზე უნდოდა რაღაცის თქმა...

დარაჯი უცებ წამოდგა, ნაჩქარევად მოძებნა ჩექმები, ჩაიცვა ისე, რომ გახეული წინდის წვერი არც მოგონებია.

დარაჯმა ხმაურით გადადგა ნაბიჯი, კარიც ხმაურით გამოაღო და გარედან მოკლედ დახერხილი შეშა შემოიტანა, ღუმელის ფეხებთან მიყარა, წუთით შეჩერდა, მერე მიტრიალდა და თავზე წაადგა ერთ წერტილს მიშტერებულ საჩინოს.

— გვერდიც არ უცვლია... — თქვა საათმა.

— ცეცხლს მიხედე!

საჩინო შეკრთა, მაგრამ არ განძრეულა და არც თვალი მოუცილებია ამოჩემებული წერტილისათვის.

— ცეცხლი არ ჩააქრო, — გაიმეორა დარაჯმა, ჯუბა მოიდო მხრებზე, სხვა არაფრისათვის მიუხედავს, გაიხურა კარი და ჩექმების ბრახუნით წავიდა.

ტრაქტორი მჭახედ ათუხთუხდა და მაყუჩიდან ზედიზედ გამოისროლა მუქი ბოლი. სანამ ძრავი გახურდებოდა, თანაშემწე ხელსაწყოებს აგროვებდა და ყუთში ყრიდა.

— გივი, — ხმამაღლა თქვა ამბერკიმ. ტრაქტორის მუშაობის დროს მიჩვეული იყო ხმამაღლა ლაპარაკს.

თანაშემწემ თვალებში შეხედა.

ამბერკის იმ დილით დაავიწყდა ეკითხა, საწვავი თუ მიიღო კოლექტივის საწყობმა გუშინო, და ახლა მოაგონდა, მაჩვენებელს რომ დახედა.

— საწვავი ჩამოგვივა?

გივიმ თავი დაუქნია და გუთანზე ანიშნა, „ავუწიო თუ დავუწიო სიმაღლეო“.

— იყოს, — თქვა ამბერკიმ.

თანაშემწეს ბევრი რამ ჯერ კიდევ კარგად ვერ გაერკვია: როცა არხი შუამდეა მიყვანილი, მერე გუთნის აწევა ან დაწევა როგორ შეიძლება? როცა თავიდან იწყებ, მაშინ სხვაა. ან რა სიმაღლის არხია საჭირო? შედარებით მშრალი უნდა იყოს თუ ჭაობიანი?

ამბერკიმ ერთი მოხედა გუთანს და პედალს ბოლომდე დააჭირა ფეხი, მანქანას სიჩქარე მისცა, გაზი მოუმატა.

ოტია იოსელიანი

ჯარისკაცი დაბრუნდა

ჯერ კბილანებმა დაიჭრიალა, დაიძრა მანქანა, მერე მისაბმელმა გაჰკრა და უშველებელი ფრთებიდან ბელტები ჩამოცვივდა. მანქანა მძიმედ, ტაატით წავიდა პირდაპირ და აზვირთდა ბელტები. მიწაში ღრმად წასული არხსაჭრელი გუთანი უღვთოდ ფატრავდა ნაყანევ მიწას.

თუმცა ქარი უბერავდა, მინაჩამსხვრეულ კაბინაში არც ისე ციოდა, რადგან უკვე გახურებული ძრავას თბილი მონაბერი შემოდიოდა.

თანაშემწე გვერდით იჯდა, მაგრამ აღარც გუთანს უყურებდა და აღარც ამბერკის. ერთიც მობეზრებოდა და მეორეც. მისი ფიქრი ის იყო, თვითონ დამჯდარიყო საჭესთან და საღამოს, სოფლის კანტორასთან თავშეყრილ ბიჭებში ჩამდგარს, ბრიგადირისათვის სხვათაშორის ეთქვა: ამდენი ჰექტარი მოვხანი, ან ამდენი მეტრი არხი გავჭერიო. თანაშემწე იმას არ ფიქრობდა, იცოდა თუ არა მანქანა: ეს მაშინ მოაგონდებოდა, როცა რაიმე გაუფუჭდებოდათ; არც ახლა ახსოვდა. იხედებოდა წინ და ფიქრობდა: არაფერი დიდი საქმე არაა ტრაქტორის მართვა, ავტომანქანა რომ იყოს... თუმცა არც ისაა დიდი საიდუმლოება...

არა, არა,—ამბერკიმ თავი გაიქნია,— ასეც არაა საქმე, იქნებ სადმე მიდიოდა ის კაცი. დიდია სოფელი, არც ისე დიდია, მაგრამ... ორმოცი მოსახლე მარტო შქერისშია, მეორე სოფელში სამოცდაათამდე უნდა იყოს, იქნებ მეტიცაა. ზემო შქერისში იმდენი არაა. მეოთხე სოფელიცაა ცოტა მოშორებით, ისიც ამ კოლექტივში შემოდის და თუ ვინმემ მოასწავლა, აქეთ მოასწავლიდა... ან არადა, ორმოცი მოსახლეც არაა ცოტა და ზოგჯერ ოჯახიდან ორი-სამი კაცია დაღუპული და უგზოუკვლოდ დაკარგული.

ტრაქტორი გუგუნებდა და მძიმედ უახლოვდებოდა მდინარეს. საწრეტ არხებს მდინარეში უშვებდნენ, რომ წყალს გზა ჰქონოდა.

ნაპირთან ვედროს წამოავლო ხელი თანაშემწემ. კარი გააღო. ამბერკიმ მანქანა შეაჩერა, სანამ თანაშემწე მდინარიდან წყალს მოიტანდა. რადიატორი წყალს აპარებდა, დღეში ოთხჯერ-ხუთჯერ უხდებოდათ წყლის ჩამატება. ყოველდღე ელიან ემტეესში ახალ ტრაქტორებს და არ დაადგა საშველი...

არა, არა, ბევრი დაიღუპა, თვითონ ამბერკი რამდენჯერ ბეწვზე გადარჩა. ნეკნები აღარ შერჩა და თითი. თითი რა სახსენებელია — თითქოს ფრჩხილი მოგეჭრას, ამისთვის ჰოსპიტალშიც არ აწვენენ დაჭრილს. დაიღუპნენ... ამბერკის სიყრმის მეგობარი გოდერძი. რა გახარებული იყო, ორივენი რომ ერთად მოხვდნენ. ფრონტზეც ერთად წავიდნენ. თურმე არ უნდა გიხაროდეს, როცა ახლო მეგობარი ან ძმა შენთანაა ასეთ დროს. ამას მალე მიხვდა ამბერკი.

დაიღუპაო — ასე თქვა — ბევრი დაიღუპაო... ჰო, ალბათ ისიც დაიღუპა. დაიღუპებოდა, რად უნდა ლაპარაკი, ასე იოლი კი არაა. შენ გადარჩენა თქვი, თვარა დაღუპვით კი დაიღუპებოდა.

ტრაქტორი ახალ არხს უდგა და გრიალ-ჭრიალით მიიწევდა წინ.

...ასე იოლი კი არაა გადარჩენა.

ამბერკის არავისთვის არაფერი არ წაურთმევია. ასე მოიქცეოდა ყველა მის ადგილზე. კარგი, ამბერკის არ შეერთო დესმა—სხვა შეირთავდა ახალგაზრდა, უშვილოდ დარჩენილ ქვრივს...

ამბერკის არ ესიამოვნა სიტყვა „ქვრივი“... და წუთით გაუწყდა ფიქრის ძაფი. მერე თავი გაიქნია: აბა, რაც ამ ომში კაცები დაიღუპნენ, იმათ ცოლებს... ის კი არა და ამბერკიმ უარესიც იცის! ემტეესის მთავარი ბუღალტერი ცოცხალია, მაგრამ მის ცოლთან ის წითელი ტურა...

არა, არა, ეს არ ვარგა, ქალს რომ ჰკადრო კიდეც, კაცს უნდა სცე პატივი კაცმა. ამბერკის რომ... რა გასაკვირია, ადამიანი წუთია, მერე რა, რომ ზღვას გადაურჩა, შეიძლება ცვარმა დაახრჩოს! ამბერკის გარებიძაშვილი ფრონ-

ტიდან დაბრუნებულა და მატარებლიდან სახლამდე ვერ მიეღწია, ტყეზე გავლისას მგლებს შეეჭამათ.

ყველაფერი შეიძლება და ამბერკი ვერ გაუწბილებს ცოლს. თუმცა დესმას ახლა ბავშვი ჰყავს. ჰო, ბავშვი ჰყავს, ამბერკის პატარა ბიჭი, არაფერი არ იცის, „თა-თა“, იძახის მარტო. ამბერკის ცნობს?! ვინ იცის, ამბერკის კი ჰგონია, რომ ცნობს, მაგრამ ვინ იცის... დესმას კი ცნობს უკვე, დედა მაინც სხვაა...

დესმას ადგილზე ასე უნდა მოიქცეს ქალი. ჩვენში თუ ჯერ კიდევ სადმეა ასეთი ადათი და წესი, უნდა გადავარდეს — ადამიანი ხომ ადამიანია. ხომ უნდა ცხოვრება... არა, ახლა სხვაა, დესმას ახლა ბავშვი ჰყავს...

საღამოს მანქანა ჩამოვიდა და დილით ჩამოტანილი საწვავიანი კასრი წაიღო.

არხების გაჭრა დამთავრდა. დამთავრდა აქ, ამ ნაკვეთზე. ორი დღის სამუშაო კიდევ იყო კანტორის გადაღმა, მაგრამ დღეს დაწყებად არ ღირდა. ღამე სამუშაოდ არც მანქანა იყო მოწყობილი და არც ისე საჩქარო იყო, — ადრე გაზაფხულამდე ყოველთვის შეიძლებოდა.

— ავუწევ გუთანს! — თქვა თანაშემწემ.

ამბერკიმ მაშინვე არ მისცა თანხმობა, რაღაც არ მიეჩქარებოდა შინ.

— მოიცა, — თქვა ბოლოს და იქვე, წყლის პირას ჩამოჯდა.

თანაშემწემ მხრები აიწურა, მოცახცახე ტრაქტორს შემოუარა და გუთნის მისაბმელზე ჩამოჯდა.

ამბერკიმ იცოდა, თანაშემწეს ეჩქარებოდა; ახალ პირშებუმბლულ ბიჭს სოფლის კლუბში ტოლებთან ღლიცინი და გოგოების ერთი თვალის ჩაკვრა ერჩივნა, რაც კი დედამიწის ზურგზე ტრაქტორი იყო. მითუმეტეს ახლა სოფელში ცოტა სამუშაო იყო და სოფლის ახალგაზრდობა მთელი დღე ირეოდა კლუბსა და ბიბლიოთეკაში, თუ არა და გარაჟში შოფრებთან საათობით ყვებოდნენ გურულ ანეკდოტებს.

თანაშემწეს ვერ გაეგო, რაღას უცდიდა ტრაქტორისტი, როცა მადლობა ღმერთს — სამუშაოს მორჩნენ.

ამბერკის მაინც არ მიუწევდა გული შინისაკენ, მითუმეტეს, როცა სოფელში გავლა უწევდა, რადგან ჯერ ტრაქტორი გარაჟში უნდა დაეყენებინა. აქ ხვალისთვისაც რომ ყოფილიყო სამუშაო, ტრაქტორის დატოვება მაინც არ შეიძლებოდა. ცა მძიმედ იყო ღრუბლებით დატვირთული და ეს ქარიც არ ჩადგებოდა, სანამ არ გააწვიმებდა; წვიმას თოვლსაც მოაყოლებდა და ამ ბებერი ტრაქტორის მინდორში დაგდება არ იქნებოდა.

მანქანის მისაბმელზე ჩამომჯდარი თანაშემწე წამოდგა, ვერ დამაგრდა ადგილზე.

ამბერკი არ წამომდგარა, ისე ანიშნა ხელით, ასწიეო. ბიჭი მკვირცხლად შეტრიალდა, მისაბმელზე შეხტა და გუთნის საჭეს ტრიალი დაუწყო.

„ეჩქარება“ — თქვა თავისთვის ამბერკიმ და გული დაწყდა. იქნებ უყვარს ვინმე. ამბერკიმ არ იცის, ვინ უყვარს. მაგრამ სულერთი არაა?!

ამბერკის თავისი ბიჭი უყვარს, ერთი ციცქნა შვილი, „თა-თა-თა“. ამბერკის ცნობს? რას ცნობს, აგერ მესამე დღეა, მღვიძარე არ უნახავს. ამბერკი შინ რომ ბრუნდება, ძინავს. დილით შინიდან რომ მოდის, ისევ ძინავს. ამბერკი მიხვდა, რომ ბავშვი მონატრებოდა და ახლა ძალიან მოუნოა მისი ნახვა.

წამოდგა. თანაშემწე ისევ ატრიალებდა საჭეს და გუთნის უზარმაზარი ფრთები ნელა, შეუმჩნევლად სცილდებოდა მიწის ზედაპირს.

ბავშვი ამბერკისაა.

ამბერკი ტრაქტორის მუხლუხა თვალზე ავიდა, კაბინის კარი გამოაღო. ახლა ეჩქარებოდა. ბავშვი უნდა ენახა. თუ ჩქარა ივლიდა და გარაჟში ლაპარაკს არ შეყვებოდა, დაუძინებელს მიუსწრებდა.

ოტია იოსელიანი

ჯარისკაცი დაბრუნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუთნის სახნისი ერთ მტკაველზე აცილდა მიწას. თანაშემწემ მისაბმელზე გამოიარა ისე, რომ ძირს არ ჩამომხტარა, და მეორე მხრიდან თვალზე ამოვიდა.

ამბერკიმ ტრაქტორი მოაბრუნა და წყლის პირს გაჰყვა, რომ ხიდამდე ნაპირ-ნაპირ გასულიყო და იქიდან გზას გადგომოდა.

ხან შეიძლება კვირა ისე გავიდეს, არ მოგენატროს ადამიანი, ხან კი ერთბაშად მოგივლის ნახვის სურვილი და ერთი სული გაქვს, სანამ თვალს შეავლებ.

თანაშემწეს ჯერ ვერ ანდობს ტრაქტორს, თორემ როგორც კი სოფელში შევიდოდა, პირდაპირ შინ გასწევდა. შეიძლება ბავშვმა ადრე დაიძინოს და, ბავშვს რომ არც მოერიდო, დესმა გაგიჟდება: არ გამიღვიძო, მერე ძილი გაუტყდება და მთელი ღამე იჭირვეულებსო.

ამბერკიმ ლენინგრადის ბლოკადაში დაღუპული ძმის სახელი დაარქვა ბავშვს — არჩილი. უკეთესი იყო სხვა სახელი დაერქმია, ერთხანს სულ ძმას აგონებდა ეს სახელი. მერე დესმამ ფერებაში ხან აჩიკოდ აქცია, ხან აჩოდ, ხან აჩა-ბაჩად; ახლა ამბერკი აჩოს უძახის და ბავშვმა თანდათანობით ისე მიითვისა სახელი, არჩილის გაგონება ძმას კი აღარა, — შვილს, პატარა აჩოს ახსენებს.

ტრაქტორი გუგუნით შეუდგა აღმართს. შროშე გზაზე ხრჭიალებდა ტრაქტორის კბილანები და რიყის ქვაზე ცურავდა გუთნის თვლები.

სახლისაკენ გადასახვევს რომ მიუახლოვდა, გაახსენდა, როგორ დამფრთხალმა გამოიარა აქ ამ დილით. ახლა თავს უფრო მხნედ გრძნობდა და ვერ გაეგო, ამ დილით რამ დააფეთა ასე.

ჩასახვევს რომ გაცდა, მიხვდა, ამდილანდელი შიში უსაფუძვლო არ ყოფილიყო და უცებ დაიჯერა, რომ ის „ის“ იყო და სხვა არავინ; მაგრამ ახლა ამ ფიქრმა ისე ვეღარ შეაშინა, როგორც ამ დილით, და გაუკვირდა — ახლა ამაზე ისე ფიქრობდა, თითქოს სხვის ამბავს ჰყვებოდა.

„ის ცოცხალია და სადღაც, ალბათ, აქვეა სოფელში“. ესეც კი ისე თამამად თქვა, თითქოს მას არც ეხებოდა ეს ამბავი.

„ის“ გუშინ დაბრუნდა და ეს მთელმა სოფელმა იცის. მარტო დესმამ არ იცის, ჰო, დესმამ არ იცის... და რომ გაიგებს...

ამბერკიმ ტრაქტორი შეაჩერა.

— წადი შენ, — თანაშემწეს მიუბრუნდა, — წადი შინ, ტრაქტორს მე ჩავაყენებ.

თანაშემწემ მანქანის ხმაურში ვერ გაიგონა — არ განძრეულა.

— წადი, შინ წადი, — იყვირა ამბერკიმ. — დაყრუვდი? სადაც გინდა, იქ წადი!

თანაშემწეს გაუხარდა, მაგრამ მანქანიდან ისე ჩამოვიდა, კიდევ არ სჯეროდა.

„იქნებ სადმე ამ მოსახლისას ზის“...— გაიფიქრა, მაგრამ ახლა აღარ უგრძვნია ის შიში, რაც ამ დილით. კი, კი, ამდილანდელი მისი ამბავი შიში იყო, — როგორი შიში, ეს არ იცის, მაგრამ შიში კი იყო. ამ დილით მარტო იყო, თუმცა ახლაც ხომ არავინაა; მაგრამ ახლა რაღაც სხვა იყო.

ახლა მარტო იყო?..

ამბერკიმ მიიხედ-მოიხედა, თითქოს აქ ვიღაც ეგულებოდა.

არავინ, არავინ არ იყო. თანაშემწეც რა ხანია თვალს მიეფარა.

და ამბერკი მიხვდა — ეს მანქანა იყო მასთან, ტანკივით ძლიერი რკინის მანქანა, მანქანა, რომელსაც მთელი სოფელი ვერ შეაკავებდა. ამბერკის გაახსენდა: ბავშვობისას, ღამით, დაკარგული ხარის საძებრად რომ წავიდოდა, თუ იპოვნიდა, ტყეშიაც თამამად გაივლიდა ხართან ერთად. უხაროდ ჩიტის ფრთხიალისაც ეშინოდა, ხართან რომ იყო, მგონი მგელიც არაფრად ჩაეგდო.

და ამბერკი ახლა მიხვდა: ხარის ძალა მასში გადმოდიოდა, ეს აძლევდა რჯ ზე-

ნას; ამბერკიმ მაშინაც იცოდა: მგელი რომ გამოჩენილიყო, მისი რქაწატეხილი ჯანდრაგი ხარი ვერ დაიფარავდა, მაგრამ ის მაინც ხარი იყო, მასზე ძლიერი, ის უღელს ეწეოდა.

ახლაც უთუოდ ამ რკინის ძალა იყო მასში, თანაც ამ რკინით აქ საქმე იყო საკეთებელი. იყო ხმაური, ძლიერი ხმაური, და აქ ამბერკი მარტო არ იყო.

გზაზე განიერი ადგილი შეარჩია და მანქანა მოაბრუნა.

„შინ წავიყვან, ამაღამ ეზოში დავაყენებ, ხვალ დილით უთენია გავუვლი გივის და კანტორის გადაღმა გადავალთ სამუშაოდ“.

როცა ჭიშკართან მიყენებული ტრაქტორის ძრავა ჩააქრო, უცებ გაუელვა, დესმას ხომ არაფერი გაუგიაო?

სახლისაკენ გაიხედა. დესმა არ გამოჩენილა, არავითარი ყურადღება არ მიუქცევია ტრაქტორის მოსვლისთვის, და ამბერკიმ გუმანით იგრძნო, რომ დესმამ ისევ არაფერი არ იცოდა.

კაბინის კარი რომ მიხურა, ჯერ კიდევ მუხლუხა თვალზე იდგა, რომ ეზოში დაგდებული წიფლის ხე მოხვდა თვალში.

— მაინც რა, სულ ჩასასვლელში დამიგდია, — თქვა და ალაგეზე გადაალაჯა, — ამ დღეებში მოვაცილებ აქედან, მაინც ავდრები იქნება მალე.

შუა ეზოში ჩაახველა. ტრაქტორის ხმა ვის გამოეპარებოდა, მაგრამ თითქოს ეშინოდა, ვინძე უსიამოს არ გადაჰყროდა სახლში. კართან შეჩერდა, უკან დაიწია, ცოტა ხნის მერე შეაღო.

დესმა ბუხართან იჯდა. აკვანი ცეცხლთან მოეწია და ბავშვის საგებს ათბობდა ნაკვერჩხლებზე. ეტყობოდა, ჩასაწვენად ამზადებდა.

სახლში უკვე ბინდი შემოდიოდა. ცეცხლი წითელ სინათლეს ჰფენდა იქაურობას. დედის კალთაში ჩაგორებული ბავშვი ცეცხლს მისჩერებოდა.

— კარგია, რომ ბავშვს არ ძინავს, — თქვა, მაგრამ დესმას არ გაუგონია.

— რას მოათრიე ის დასაწვავი, ვერ დააგდე გარაჟში?

„არაფერი არ იცის“, გაუხარდა ამბერკის და ბავშვს ჩახედა.

— აწვენ ჯერ?

— ვაწვენ, იქნებ რაიმეს მივხედო.

— ადრეა, მთელ ღამეს ხომ არ იძინებს. წლისოდენი ღამეა.

— იძინოს, აბა რა ვუყო: ძროხაც არ დამიბამს, წვეთი წყალიც არა მაქვს შინ.

ამბერკიმ ახლა გაიგონა ხბოს ბღავილი.

— ნუ დააწვენ, ნუ, მე დავაბამ ძროხას, წყალსაც მე მოგიტან.

— მეტი საქმე არაფერია სახლში?

ამბერკიმ ელექტროლილაკი გადააბრუნა, ბავშვმა ცეცხლს თვალი ანება და ახლა ნათურისაკენ გაიშვირა ხელი.

— თა-თა-თა!

— აჩო! — ჩასძახა ამბერკიმ. — აქეთ, აჩო, აქეთ მოიხედე!

ბავშვი სინათლისაკენ იწვდიდა ხელს, მამაკაცის ხმასაც მიაყურა, მაგრამ ამბერკი არ დაუნახავს.

დესმამ აკვანი გაამზადა. საბანი სახელურზე გადააფინა და კედლისაკენ მისწია.

— ჰა, დაიკავე, მე მაინც მივხედავ რაიმეს!

— მოიცა, წყალს მოვიტან.

ამბერკი ჭიდან კოკით რომ დაბრუნდა, ბავშვი ლოგინზე დაეგორებინა დედას და იჭაჭებოდა. ჯერ ხალათის გამოცვლა დააპირა — ზეთითა და სალიარკით დალაქავებულ გულისპირზე არ უნდოდა მიეხუტებინა ბავშვი, მაგრამ მის ტირილს ვერ გაუძლო და ხელში აიყვანა.

— აჩო, აჩო,—გამოელაპარაკა ბავშვს და მაღლა ასწია, ნათურასთან მიიყვანა.

ბავშვმა ტირილი შესწყვიტა და ისევ სინათლისკენ გაიშვირა ხელები.

— აჩო ჩემია! — თქვა მან ბავშვის გასაგონად. პატარას მამაკაცის ხმა აკრთობდა და ახლაც სმენად იქცა. — ჩემია, — გაიმეორა ამბერკიმ. — ხო? ჩემია აჩო?

ოტია იოსელიანი

ჯარისკაცი დაბრუნდა

მერე, როცა ბავშვმა დაიძინა და დესმამ ვახშამი გააწყო, მისდაუნებურად იკითხა:

— იყო დღეს ვინმე? — მაგრამ დესმას პასუხს არ დაუცადა, განაგრძო: — ილიკო ხომ არ ყოფილა!

— არ ყოფილა.

— არ ვუკითხივარ?

— არა, რატომ უნდა ეკითხე?

„არაფერი არ იცის", საბოლოოდ დაასკვნა ამბერკიმ და, დესმა რაიმეში რომ არ დაეეჭვებინა, განმარტა:

— რა ვიცი, მგონი ბიჭის მოწყობა უნდა სატრაქტორო კურსებზე.

— ჯერ უმაღლესში აწყობდა, ახლა კურსებზე ჩამოვიდა?

— რატო, რა უჭირს, ხელობა ეცოდინება და თუ სწავლას მოინდომებს, მერეც ვინ დაუშლის!

— მისი საქმეა...

— ჰოდა, მე შემეხვეწა...

— შენ რომელი კურსები გაქვს გახსნილი?

— კურსები კი არა, — ოდნავ ხმამაღლა თქვა ეს ამბერკიმ, — ემტეესის დირექტორი შენთან კარგად არისო და...

დესმას სულ არ აინტერესებდა, როგორ იყო ამბერკი ემტეესის დირექტორთან, საქმეზე გადავიდა.

— რა ჰქენი, გაუგე ამბავი?

ამბერკის ცოლის გულგრილობა არ იამა, მაგრამ არ შეიმჩნია.

— როდის გამეგო!

— ჰოდა, როცა გაუგებ, გადადი და უთხარი...

— კი მაგრამ, თუ მანამდე მიკითხოს, ხვალ კანტორის გადაღმა ვიქნები, ან თუ სხვა რაიმე საქმე ექნეს, ჩემთან მოვიდეს, ან საღამოს იქნება-თქო.

— სხვა რა საქმე უნდა ექნეს?

— რო ექნეს რაიმე.

დესმა აღარ ჩაეძია, რა საქმე უნდა ჰქონოდა კიდევ ილიკოს.

ამბერკის კარგად არ ენიშნა მეზობლების ასეთი დუმილი. საციქველაზე მაინც რატომ არავინ მოვიდაო, — უკვირდა.

— ჰო, შალიკო იყო, — თქვა დესმამ მოვვიანებით.

— რა მინდაო? — სიტყვის დასრულება არ აცალა, ისე წამოიყვირა ამბერკიმ.

— რა უნდა ნდომებოდა? — გაიკვირვა დესმამ ქმრის წამოძახილზე.

— რომელი შალიკო? — ხმას დაუწია ამბერკიმ და შეეცადა ცოლის პასუხი გულგრილად მოესმინა.

— შალიკო რომელია, დათუაძე.

შალიკო და „ის" ერთად სწავლობდნენ თურმე. ეს საიდანღაც იცოდა ამბერკიმ. მაინც ვერ დამშვიდდა.

— მერე მაგის მემართა რაიმე, თუ ძროხა მყავდა ზიარი!

— არ უთქვამს, მართებსო და არც ძროხის გაყოფა მოუთხოვია.

— აბა რა მინდაო?

— ტიკი ინათხოვრა.

— ჰოო, ტიკი თუ უნდოდა, მერე ვერ ათხოვე!

— ვათხოვე.

— კარგი გიქნია, — გულზე მოეშვა ამბერკის და წყნარად განაგრძო: — კარგი გიქნია, ცარიელი გვქონდა მაინც. არა, ღვინიანიც რომ გვქონოდა, უნდა გაგეცალა და გეთხოვებია. ტიკი რაა და მისი დაჭერა რას მიქვია. მე ხომ არ ვუკითხივარ?

— არა, ისე იკითხა, რავაო, კარგი ხანია არ მინახავსო.

— მერე რა უთხარი?

— რა უნდა მეთქვა!

— ჰო, რას ეტყოდი.

გარეთ წვიმა დაიწყო და ლაფაროში ნაწრეტი წყალი ჭყაპუნებდა.

ამბერკის არ ესიამოვნა, რომ ხვალ ცუდი ამინდი იქნებოდა და სამუშაოდ ვერ წავიდოდა.

— გაავდრდება ეს დასაქცევი, — თქვა თავისთვის.

— გაავდრდეს მერე, ათასი საქმეა შინ, რაიმეს მაინც მიხედავ.

— შალიკოს რად უნდოდა ტიკი?

თუმცა რატომ რად უნდოდა, დაჭირდებოდა. ტიკიც ჭირდება მეზობელს, კეციც და ქოთანიც — რატომ დაჭირდებოდა, რიყეს არ ჩაყრიდა ტიკში და ფხალს არ მოხარშავდა, ღვინისთვის

ენდომებოდა. ათასი საჭიროება აქვს ადამიანს.

ამბერკიმ კარი გამოაღო და აივანზე გავიდა. გარეთ ქარს ზედა კარამდე მოჰქონდა ცივი წვეთები, მაგრამ სახლში მაინც არ შებრუნებულა. ყური მიუგდო, აივანზე გაიარ-გამოიარა.

ილიკოს სახლიდან სინათლე ჩანდა. არ ეძინათ.

— ჯერ არ ეძინებათ, ადრეა, — დაასკვნა თავისთვის და სახლში შებრუნდა.—ძაღლი არ გაიგდება გარეთ,— თქვა შესულმა და საწოლზე ჩამოჯდა.

დესმამ არ უპასუხა, ჩაკვეთილ რძიან ქოთანს ნაკვერჩხლები გაუქექა და ცეცხლისაკენ მისწია.

მაინც არ ენიშნა კარგად მეზობლების დუმილი.

— შალიკოს ხომ არაფერი უნდოდა რომ ეთქვა?

დესმამ წარბები შეიკრა და ქმარს წყრომით შეხედა.

— რა ენდომებოდა, რაც უნდოდა, მითხრა: ან რას ჩააცივდი ამ შალიკოს. ჯერ არ ყოფილა ჩვენსას?

— იქნება ტიკი სულაც არ უნდოდა.

— აბა ჩემს სანახავად მოვიდა?

ამბერკი ახლა მიხვდა, დესმას სულ სხვაგვარად რომ ესმოდა მისი ჩაციებული შეკითხვები და სიცილი აუტყდა.

— ჰო, იქნება ქე უნდოდა რაიმე.

— გაგიხმა ენის წვერი!

დესმას ახლა ისიც მოაგონდა, რომ გუშინ საღამოსაც იკითხა ამბერკიმ, ხომ არავინ მოსულაო, და გული მოუვიდა.

— არა, ვინ უნდა დამიდიოდეს მე სახლში, — ხმას აუწია და ქმრისაკენ ერთბაშად მიტრიალდა, — ვინ უნდა დამიდიოდეს?

ამბერკი ერთგულების ფიცივით გაახარა ამან და ისევ სიცილი აუტყდა:

— რა ვიცი მე, მთელი დღე შინ არა ვარ და...

— ჯანდაბას ორღობეში ხარ, მთელ დღეს მკლავით ვკიდივარ, ათასი საქმეა და დავიდარაბა, მაღლობის მაგიერია?

ამბერკიმ იცოდა: დესმას წლების მანძილზე მარტოობამ და გაჭირვებამ, ობლობამ და ქვრივობამ ენა გაუმწარა და ახლა, როცა გვერდით ჰყავდა ადამიანი, რომლისთვისაც შეეძლო შეეჩივლა და გული მოეოხებინა, ეს მარტო ახლანდელს კი არა, წარსულსაც უმსუბუქებდა. ამბერკი სხვა დროს გაბეზრებულა კიდეც, მაგრამ ახლა უნდოდა, ძალიან უნდოდა მარტო მისთვის მოეთხოვა დესმას პასუხი დღევანდლისთვისაც, გუშინდლისთვისაც, მთელი მისი წარსულისა და მომავლისთვისაც, ყველაფრისთვის პასუხისგება ამბერკისათვის დაეკისრებინა, დესმას წარსულიც მისი ყოფილიყო, დესმა მთლიანად მისი ყოფილიყო, რომ არავის ჰქონოდა შემოდავების უფლება. დესმას ალერსი არ სიამოვნებია ისე არასოდეს, როგორც ახლა ეს გაკაპასება. კიდევ უნდოდა რამის თქმა, მაგრამ მოერიდა, ქალს მართლა ეჭვიანობად არ მიეღო.

*
* *

საყარაულო ჯიხურში დარაჯი თითქმის არასოდეს არ იყო ხოლმე, მითუმეტეს ზამთრობით: დღე-ღამეში სულ ხუთი მატარებელი ჩაივლიდა. დარაჯმა უსაათოდაც კარგად იცოდა, რომელი როდის ჩამოივლიდა და თავის დროზე იდგა გზის გადაკვეთაზე. სხვა დროს მეტწილად ლიანდაგებს აუყვებ-დაუყვებოდა. ღამით, თუ ცივი ამინდი იყო, რკინიგზის სახლებში ანთებდა ღუმელს, იწვა გულაღმა და უსმენდა ძველ, ქანქარა საათს. წელიწადში ერთხელ, ზოგჯერ ორჯერაც გზის შემკეთებელი მუშები ჩამოვიდოდნენ, დარჩებოდნენ ორი-სამი კვირა, ზოგჯერ მეტიც, და წავიდოდნენ; წავიდოდნენ და მომავალ წელს ზოგიერთი მათგანი აღარ მოდიოდა, მოდიოდა სხვა უფრო ახალგაზრდა ან ხანდაზმული, თუმცა ახალგაზრდობა ნაკლებად ეტანება ასეთ მოსაწყენ საქმეს, უკაცრიელ რკინიგზაზე მთელი დღე მუშაობას მალე გაურბიან და ისევ ხნიერები ან ისეთები რჩებიან, რომელ-

---

ოტია იოსელიანი

ჯარისკაცი დაბრუნდა

ოაც სიცხეში თავდაღუნული მუშაობა შეუძლიათ და ქარ-წვიმაში მარტო ნიჩაბი და რკინის ძალაყინი ათბობთ, ცოტას ლაპარაკობენ და შავ პურზეც იოლად გადადიან იჯრას.

წავიდოდნენ და დარაჯს არც მიმოწერა ჰქონდა მათთან და არც მიკითხ-მოკითხვა, მაგრამ მათს ხელახლა გამოჩენას კი ელოდა. თუ დაბრუნებულებიდან რომელიმე თვალში დააკლდებოდა, არ იამებოდა, იკითხავდა: რა იქნა, რავა�ა. თუ ეტყოდნენ, კარგადააო, ხომ კარგი, თუ არა და არც სხვა უკვირდა.

მარტო იასონი იყო, აგერ რამდენი ხანია უცვლელად რომ მუშაობდა ბრიგადირად. პენსიის დრომაც მოუწია, მაგრამ მგონი არც ახსოვდა, ყოველ შემთხვევაში, არაფერს არ ამბობდა ამაზე, თუმცა არც სხვა რამეზე უყვარდა ლაპარაკი მაინცადამაინც. აი ეს წელს პირველად ჩამოსული მუშა ლაპარაკობს ცოტა მეტს, მაგრამ დარაჯმა იცის, გაისად ის აღარ ჩამოვა, გაქლექილი მაზარის ქვეშ ძილი უჭირს და მომავალი წლიდან სადმე უფრო თბილ სამუშაოს იშოვის. სამსონიც კაი ძველი მუშაა, ბებერი ხარივით ამტანი და სანდო. ვიქტორი ომის შემდეგ საიდანღაც, რუსეთიდან ჩამოეხეტა, მერე სადღაც გადაიკარგა, ბოლოს ისევ ჩამოვიდა და ახლა აგერ რამდენი წელიწადია სულ აქ ჩამოდის. არსად წამსვლელი ის აღარაა. ბიქტორას ეძახიან. ხელფასის აღების დროს თუ მოაგონდება, რომ ოდესღაც ვიქტორ ნიკოლაევიჩი იყო. ორი ახალციხელი სომეხიდან ერთს, ცალთვალა სურენას დიდი ხანია იცნობს დარაჯი. მეორე უფრო მოგვიანებით ჩამოყვა ძმას. ჩამოსვლისთანავე ჩხუბი მოუვიდა ნაყვავილარ ოსთან და ნიჩბით შუბლი გაუპო. ოსიც ახალი ჩამოსული იყო იმ წელს და „მოგკლავს სენი წილიმეო“. მაგრამ უფროსმა ძმამ ბოდიში მოახდევინა უმცროსს და ისეთი სთხლიშა, თვითონ ოსი ჩავარდა გასაშველებლად. მერე რკინიგზის ხრეშმა, მაზუთიანმა შპალებმა და ფოლადის თორმეტმეტრიანი რელსების თრევამ არამარტო დააავიწყა ეს ამბავი მათ, — პურიც ერთად გაატეხინა და წყალიც ერთი ვედროდან ასვა.

სიმონი და დარაჯი ერთი სოფლიდან არიან. პირდაპირ აქ მოვიდა სამუშაოდ. იასონმა ისე მიიღო, არც უფროსს შეთანხმებია და არც კადრების განყოფილებას, მერე თან წაჰყვა ბრიგადირს, წაჰყვა და წაჰყვა.

მატარებლის კვილი მოიტანა შორიდან ქარმა. დარაჯი ჯიხურიდან გამოვიდა და ბრეზენტის ჩანთიდან წითელი ალამიც ამოიღო და ყვითელიც: როცა მუშები ჩამოვიდოდნენ, რემონტი კიდეც რომ არ ჰქონოდათ დაწყებული, ორივე დროშას უჩვენებდა ხოლმე მატარებელს. მატარებლებიც ფრთხილად იწყებდნენ მოძრაობას და ჩვეულებრივზე მეტს კიოდნენ.

მატარებლის ჩავლის შემდეგ დარაჯმა ჯიხური ჩაჰკეტა და ლიანდაგს დაადგა. აწი მუშებიც დაბრუნდებოდნენ სამუშაოდან. გზის ოსტატი ამ დილით ჩამოჰყვა მატარებელს, მაგრამ ახლა ალბათ ისევ უკან გაჰყვებოდა და მუშები საცაა დაბრუნდებიან.

რკინიგზელები მაგარ ქვის სახლებს აგებენ. ააგებენ მაშინ, როცა ლიანდაგი გაჰყავთ. ააგებენ, მერე არც მის რემონტს დაგიდევენ და არც რაიმე შეკეთებას, მაგრამ სახლები მაგარი ნაშენია და დგას და დგას. რკინიგზელები ხიდებსაც მაგრად აშენებენ, ესაა რომ გზას ჭირდება რემონტი.

დარაჯმა ლიანდაგიდან რომ გადაუხვია და ხრეშზე ჩაირბინა, ქარმა გულისპირი მოუღეღა, მაგრამ ჯიბიდან ხელი არ ამოუღია. ღუმელის მილი გზიდან არ ჩანდა, სახლის უკანა ფანჯარაში იყო თავგაყოფილი, მაგრამ დარაჯმა დაინახა, ქარს კვამლი მოჰქონდა იქითა მხრიდან. ძაღლი გამოვიდა აივანზე, პატრონს მოეგება, მაგრამ დარაჯმა მაინც თქვა:

— ბახულა, ჰაიტ, შე სატიალე ბახულა!

ძაღლი ვერ მიხვდა პატრონის წყრომას, კუდი ამოიძუა და გვერდით, ფარ-

ღალალა უფანჯრო და უჭერო ოთახის ყურეში მოიგვერდა...

დარაჯმა კარი შეაღო და მერე მოჰყვა ფეხის წმენდას. სხვა დროს არ გაუწმენდია ფეხი.

საჩინო ფიცრულ საწოლზე იჯდა, იდაყვებით მუხლებს დაყრდნობილი.

— ოთახში წეკოს ნამწვავის სუნია,— თქვა საათმა.

დარაჯს საათისაკენ არ მიუხედავს, ღუმელს ჩაუარა და თავის საწოლზე ჩამოჯდა მაგიდასთან.

— კარგია, როცა თამბაქოს ასე ბევრს ეწევიან.

— ეწევიან, — დაეთანხმა დარაჯიც.

— გაწვიმდება და მუშებს დაასველებს.

— გაწვიმდება.

დარაჯმა წყლით სავსე ვედრო ღუმელზე დადგა.

— ჰა, — თქვა დარაჯმა ისე, რომ საჩინოსაკენ არ მიუხედავს.

საჩინოს არ გაუგონია.

დარაჯს მეტი არაფერი არ უთქვამს, ისევ თავის ადგილზე დაჯდა, მერე პურს ჩამოტეხა და კართან ატუზულ ძაღლს გადაუგდო. ზამთარში ვაგონის ფანჯრები დახურულია და ძაღლი ლიანდაგის გასწვრივ არ დაწანწალობს, ღრუტნის მიწას, წევს შიგ მთელი დღე და ბალანი ეზრდება. ღამღამობით დაჰყვება პატრონს ლიანდაგზე.

საჩინომ წეკო შეახვია, ღუმელთან მივიდა და მუგუზალზე მოუკიდა. მიბრუნდა საწოლთან და ისე დაჯდა, ზედ არ დაუხედავს. ეტყობოდა უკვე გამოზომილი ჰქონდა მანძილი.

— ჰა, — თქვა ხმამაღლა დარაჯმა.

საჩინომ თავი ასწია, მაგრამ საიდანაც ეს ხმა მოესმა, იქით არ მიუხედავს.

— მუშები არ გამოჩენილან.

დარაჯი ფანჯარასთან მივიდა და გზისაკენ გაიხედა.

— წვიმა მოუსწრებთ.

ღუმელის საჰაერო ჭრილში ცეცხლი გამოჩნდა. ოთახში ბინდი შემოსულიყო.

გარეთ წვიმდა უკვე.

— საღამო მშვიდობისა, — თქვა მუშამ და კარებში ლურჯი ცხვირი შემოჰყო, შესველებული მაზარა იქვე მიაგდო და ღუმელთან მიდგმულ გრძელ სკამზე დაჯდა.

— გაწვიმდა, ლუკა. არ ვთქვი, გაწვიმდება-თქვა?!

— თქვი.

დარაჯს აღარც ახსოვდა, თუ თქვა.

— ამას ვინ დაეძებს, არ მოთოვდეს თვარა... დავწყდით პირდაპირ, დავწყდით.

— მოდიან? — იკითხა დარაჯმა.

— მოდიან, ა, საცაა მოვლენ. მე ვიჩქარე პატარა. მთლად დავსველდებოდი და მერე არ გინდა დაძინება? წყალი დუღს, ლუკა, ჩაი ჩაყარე?

დარაჯმა საწოლს ქვეშ რომ ყუთი იდგა, გამოათრია, შიგ არ ჩაუხედავს, ისე ჩაჰყო ხელი.

დარაჯი არ დამჯდარა, ასანთს გაჰკრა და ფარანს მოუკიდა.

მუშამ ახლა შენიშნა ზურგს უკან ჩამომჯდარი საჩინო და მისკენ მიიბრუნა სახე.

— აქეთ მოიწი, ჩემო ძმაო. რა ჰქვია, ლუკა, ჩვენს სტუმარს?

— ჩვენს სტუმარს... — სიტყვა ჩამოართვა ლუკამ.

— ჰო, გვიან მოსულა წუხელ, რაცხა მოწყენა ეტყობა.

— ძალიან გამოგისწრია, — არ დაანება სიტყვა ბოლომდე.

— ვიჩქარე, ლუკა, ნამეტანი გაჭირდა. ცხვირი მომაძრო პირდაპირ. ა, ისინიც მოვიდნენ.

კარებში ოსი შემოვიდა, ზურგზე ტომარმოკიდებული.

ოსს სიმონი შემოჰყვა, კარი არ მიეხურა, რომ იასონმა შემოაბიჯა და ყელალ წვერზე წვიმის წვეთები ჩამოიწურა.

— წაგვიხდა ამინდი, ლუკა. მოგისწრია წვიმისათვის, ვალიკო!

— აპა, სად მოვასწარი მერე, მეც

ახლა შემოვედი, ნამეტანი გასაჭირია. სურენა, მაგრად მიხურე მაგ კარი, — ბოლოს შემოსულს მიუბრუნდა ვალიკო.

ზოგი ღუმელთან ჩამოჯდა, ზოგი საწოლზე, და მალე ოთახი ორთქლისა და ოფლის სუნით გაივსო.

იასონი მაგიდასთან დაჯდა ჯვარედინად ფეხებგადაჭედებულ ტაბურეტზე. უბიდან კუთხეებმოკეცილი ბლოკნოტი ამოიღო, ფურცვლას შეუდგა.

ვალიკომ ვედრო ჩამოიღო და ფანჯრის ქვის რაფაზე ჩამოდგა.

ოსმა ტომარა მაგიდასთან მიიტანა და მთელ-მთელი პურების ამოლაგებას შეუდგა.

*
* *

ნაშუაღამევს თვალწადობილი ამბერკი ფეხის ხმამ გამოაღვიძა. მთლად არც ეღვიძა თუ ეღვიძა. გარეთ ქარი უბერავდა. ლაფაროში ისევ ჭყაპუნებდა საჭურავიდან ნაწრეტი წყალი.

აივანზე არავინ არ დადიოდა, არც არავინ არ იდგა. ეს ქარი იყო, ქარი უსტვენდა ქილუქებთან და კარსაც ქარი აწვებოდა. არც ფანჯრებთან იყო მომდგარი ვინმე. ეს ისევ ქარი სისინებდა ზედა ჩარჩოს კუთხეჩამოტეხილ მინაში.

...მაგრამ ეზოში დადიოდა ვიღაც.

ამბერკიმ ბალიშიდან ასწია თავი და ასე გახევდა, რომ საფეთქლებთან მოჩხრიალე სისხლს ხელი არ შეეშალა სმენისათვის. არავითარი ზედმეტი ხმა გარდა ქარისა, მაგრამ ქარის ხმაური აღარ ესმოდა. არ ესმოდა, რადგან ასე ძალიან უნდოდა სხვა ხმა გაეგონა. არც დესმას სუნთქვა ესმოდა, არც ბავშვის.

აბა ის როგორ იყო, რომ გაიგონა — გაგონებით კი ნამდვილად გაიგონა — რომ ჭიშკარში ჩამოვიდა. არა, ჭიშკარი არ გაუღია, ჭიშკრის ხმა არ ყოფილა, ალაგეზე გადმოაბიჯა. გადმოაბიჯა უხმაუროდ, არც ფეხი წაუკრავს სადმე, არც ზედმეტად გახახუნებია, მაგრამ ამბერკიმ გაიგონა.

პირდაპირ სახლისაკენ არ დადგომია გზას, გვერდით მიდგა და წიფლის მორს წამოედო.

— ვინ მოათრია, ან სად დაუგდია, — გაიფიქრა ჩამოსულმა, მაგრამ ამბერკიმ გაიგონა. მერე მაინც იქიდან მოუარა მორს და ღობეს გამოჰყვა ქურდულად, წელში მოხრილი. ერთგან ისე ახლოს მივიდა ღობესთან, ჩანთის საბეჭურს წკნელის წვერიც კი წამოედო, მაგრამ სანამ მოტეხავდა, გაიგო და ხელით ფრთხილად მოაშორა; ფეხს ისე ადგამს, წინდაწინ სინჯავს ადგილს — ჯერ თითის წვერებზე, მერე ნელ-ნელა უშვებს ტერფს, მერე ქუსლს — საღმე ფიჩხი არ გაუტყდეს ფეხქვეშ, ქოთნის ან მინის ნამტვრევები არ ეყაროს ღობის ძირში...

და ამბერკის ესმის — ეზოში დადის ვიღაც...

დადის ქურდულად, წელში წახრილი...

გარეთ თვალში თითს ვერ მიიტან. ქარია, წვიმს, იქნებ თოვასაც ურევს, მაგრამ დადის. დადის და არც ერთ ხეს არ გაეხახუნება, არც ერთ ტოტს თავს არ შეახლის; სანამ ხემდე მივიდოდეს, ერთი ნაბიჯით გადაუხვევს და გვერდს აუვლის. იქ, ბოსტნის ღობის თავში რომ ვაშლის ხეა, ამბერკიმ ქვედა ტოტი შეაჭრა. ახლა იქ გამართულად შეიძლება გავლა, მაგრამ ის თავს დაღუნავს და გაივლის. ჭასთან რომ ამბერკიმ ბჟოლა ამოთხარა, ის ისევ ერთ ნაბიჯზე გადაუხვევს, შემოუვლის და ფიქრობს: ვის რა ესაქმებოდა, რომ ეს ამოდენა ხე მოათრია და ჭიშკართან დააგდო.

დადის, ვერ ისვენებს, არც ხეს მიეყრდნო, არც ჭის გვიმზე ჩამოჯდა. დადის ფეხაკრეფით, თითის წვერებზე; უკვირს, რომ ძაღლი არ ეხმიანება, ხმას არ ცემს: მას სჯეროდა, რომ ძაღლი იცნობდა, იცნობდა მაშინვე, ხმის ამოღებაც არ დასჭირდებოდა, ჩუმად, უხმაუროდ აედევნებოდა და თბილ ენას მოუსვამდა ჩექმის ყელზე.

ამბერკიმ გაიგონა, როგორც კი ალაგეზე თეხი გადმოდგა და ეზოში ჩამოვიდა, მაგრამ ის არ გაუგონია, საიდან მოვიდა.

თავი ბალიშზე ჯერაც არ ჰქონდა დადებული, ისევე ჰაერში ჰქონდა გაშეშებული. ილიკოდან მოესმა ფეხის ხმა. ჩუმად გაიღო ილიკოს სახლის კარი და

ჭიშკრისაკენ წამოვიდა. ამბერკი ჩუმად აიწია, ისე რომ საბანსაც კი არ გაუღია შრიალი და ფანჯარაში გაიხედა. გარეთ უკუნი ბნელი იყო და ზედა ჩარჩოს ჩამოტეხილ მინაში ქარი უფშუტურებდა. არაფრის გარჩევა არ შეიძლებოდა.

ახლა შალიკო დათუაძის სახლიდან მოესმა ფეხის ხმა, მაგრამ შალიკოს სახლი ქვევით, ფერდობში იდგა და მისი დანახვა აქედან დღისითაც არ შეიძლებოდა. მერე ამბაკოს სახლიდან შემოესმა ფეხის ხმა. ამბაკო და „ის" მობიძაშვილეები იყვნენ, კარგა მოშორებითაც ცხოვრობდა ამბაკო. ამბაკოს სახლის კარი რომ გაიღო, გაიგონა კი არა — დაინახა კიდეც, მაგრამ მერე ამბაკოს ძმის — ცალხელა ლადიკოს სახლიდანაც გაიგონა ხმა.

მერე გვერდით აკრუსუნდა ვიღაც... ბავშვს აწუხებდა მოჭერილი არტახები.

ამბერკი ბალიშზე დაეშვა და იგრძნო, რომ კისერი ტკიოდა. ბალიშზე ცალი ყური დადო და საფეთქლებში სისხლის ხმაურს დააყურადა.

ბავშვი ატირდა და ახლა მარტო ბავშვის ტირილი ესმოდა.

დესმამ ტირილამდე გაიგო ბავშვის წუხილი, მაგრამ ძილს თავი ვერ წაართვა. მძინარე დედამ იქნებ შენი ხმა ვერ გაიგონოს ან მეზობლის ძახილი, მაგრამ ბავშვის ზედმეტი სუნთქვაც კი ესმის, რა მაგრადაც არ უნდა ეძინოს. დესმამ საბნიდან გაუწვდინა ხელი და აკვანს გადაურწია. ამბერკი მიხვდა: დესმას არ ეღვიძა, ამას ისე, ანგარიშმიუცემლად აკეთებდა; და შეშურდა მისი ასეთი სიმშვიდე.

ეტყობოდა ბავშვი რძეს ითხოვდა და რწევამ ვერ დაამშვიდა.

ამბერკის შუბლი უხურდა, დაღლილი იყო და ბავშვის ტირილი სიამოვნებდა. დესმას პირიქით — ხელი ნელ-ნელა უჩერდებოდა; როცა ბავშვი წამოიყვირიბოა. მაშინ უცებ ჩქარ-ჩქარა გადაურწევდა. ბავშვი ხმას დაუწევდა, მაგრამ დესმასაც ძილი მოერეოდა და აკვანი ნელ-ნელა ქანაობდა. ბოლოს, სულ რომ გადაფიჩინდა, დესმა წამოიწია საწოლზე, აკვანი ახლო მიითრია და ბავშვს ძუძუ მისცა.

ამბერკის რომ ჩაეძინა, ყურში ისევ ჩაესმოდა ძუძუთი პირგამოტეხილი ბავშვის ქშენა.

ამბერკის ვიღაც ეძახდა. ამბერკის კი არა, ვიღაცას ეძახდნენ. ეძახდნენ ხმამაღლა, ქვეყნის გასაგონად.

— მაინძელი!

ჭიშკრიდან იძახდა ვიღაც, თუ ფანჯარასთან, თუ კართან.

რა უნდათ ამბერკისთან ამ შუაღამისას, არ აყენებენ სახლში?! ნამუშევარია კაცი, დაღლილი. ვის რა დაუშავა, ვის რა წაართვა, ვის რა საქმე აქვს ამბერკისთან!

— ჰეი, მაინძელი!

სახლში არავის არ მივარდნია ამბერკი, კაცი არ მოუკლავს და ცოლი არ წაურთმევია. შვილი ამბერკისაა. რა იცოდა ამბერკიმ, ან ვინ იცოდა, თუ ჩამოვიდოდა, თუ ცოცხალი იყო! ამბერკის ბრალია, ცოცხალი რომ ყოფილა?! ამბერკიმ იცოდა და მაინც წაართვა ცოლი?! იცოდა და მაინც დაეპატრონა მის სახლ-კარს?! ცოცხალი თუ იყო, ეთქვა ვინმეს. ან დესმას ბრალია?!

იქნებ დესმას ბრალია უფრო, მაგრამ ან რა მისი ბრალია, დესმამ იცოდა თუ?!

— მასპინძელო, ჰეი, მასპინძელო!

მეზობლის ძაღლები ყეფდნენ და აწყდებოდნენ ღობეებს.

ამბერკი არაფერ შუაში არაა, მაგრამ ბავშვი ამბერკისაა, არც სახლია მისი, არც კარი, არც კიბე, არც ცოლი, მაგრამ ბავშვი ამბერკისაა...

— ამბერკი, ამბერკი, დაგაყრუა ჩემმა გამჩენმა!

— ჩემია! — დაიძახა ხმამაღლა ამბერკიმ და თვალი გაახილა.

— როდის იცოდა ასე მკვდარივით ძილი! — ჯავრობდა დესმა. — გადააბრუნა სახლი ვიღაცამ.

— მოვიდნენ, რა უნდათ მერე ჩემთან!

ოტია იოსელიანი

ჯარისკაცი დაბრუნდა

— გახედე, გაეცი ხმა!

— მასპინძელო! — არ ცხრებოდა უდროოდ მოსული. ეზოში, სახლისაკენ მოიწევდა.

— რა ვუთხრა: მისია, მე რა ხელი მაქვს...

— კაცო, რა დაგემართა, გამოფხიზლდი, ვიღაც იძახის!

— ვიცი, მარა რა უნდათ ჩემთან! — ამბერკის შესცივდა და კანკალი აუვარდა.

— გამომხედე, მასპინძელო!

— ე კაცო, გაეცი ხმა!

— ეი, — დაიძახა ამბერკიმ ლოგინიდანვე და ადგილიდან ბურთივით წამოვარდა.

— ჩაგიცივდა ენა, ბავშვი არ გადამირია! — აკვნის სახელურს ეცა დესმა და გადაურწია.

ამბერკი საცვლებისამარა გაიჭრა გარეთ.

— რა გინდათ ჩემთან!

— უკაცრავად, ჩემო ძმაო!

— ვინ ხარ, არ იტყვი?

— რად გინდა, არ მიცნობ და არ გიცნობ...

— არ გიცნობ! — იყვირა ამბერკიმ და უკან შევარდა. — არ გიცნობ!

უცნობი კიბეს მოადგა.

— ვაქკაცურად უნდა მცე პატივი, ნუ დამღუპავ!

— მე არავის არ ვღუპავ, თვითონ დამღუპეს...

— ნუ დაუკარგავ ლუკმას ჩემს ბავშვებს...

— ბავშვი ჩემია, შენ არა გყავს ბავშვი! — ამბერკის ეგონა, იყვირა ეს, მაგრამ მის მეტს არ გაუგონია. — დანარჩენი ყველაფერი შენია, ბავშვი...

— მომხსნიან სამსახურიდან, — არ იშლიდა თავისას უცნობი. — მტერი ჩავარდა ინსპექტორების ხელში... ჩემზე იყოს სამაგიერო პატივისცემა.

— კაცო, რა ღმერთი გიწყრება, რაღაცა უჭირს, გადი გარეთ! — თმას ხელდახელ იხვევდა საწოლზე წამომჯდარი დესმა.

— მეც მიჭირს... — თქვა ამბერკიმ, მაგრამ არც ეს გაუგონია დესმას.

— ჰა, კაცო, შარვალი ჩაიცვი! — შარვალი ესროლა ქმარს დესმამ. — შოფერი იქნება ვინმე, არ გითხარი? რას ჩამოათრიე მაგ დასაწვავი ტრაქტორი?

— შოფერი იქნება? — ისევ იყვირა ამბერკიმ და გარეთ გავარდა. — კი, კაცო, ახლავე, ამ წუთში! — მერე მოაგონდა ჩაცმა და მიტრიალდა. — ამ წუთში! — შარვალს ისევ სკამზე დაუწყო ძებნა.

— რას ეძებ, შარვალი კართან ეგდება, ახლა არ გესროლე?

— ჰო, დესმა, ჰო, მანქანა გადავარდნია, ნასვამია ალბათ, რა მოხდა მერე, შოფერი როა, ამიტომ არ უნდა დალიოს? თუ მთლად დამტვრეული არაა, ამოვიყვან. მაინც ამოვიყვან...

შარვალი ჩაიცვა, მაგრამ ხელები ისევერ დაიმორჩილა, რომ ღილი შეებნია.

— ამ წუთში, ამ წუთში! — გასძახა ისევ გარეთ.

— აგაშენა ღმერთმა! მარა ვაქკაცურად, მეც კაცი ვარ!

— რა დიდი ამბავია, შე კაცო! დესმა, დაბამბული მინდა, დაბამბული არ იცი, დესმა? ჰო, ჰო, იყავი; ახლავე ვნახავ, სად წავიდოდა, — მერე ისევ სტუმარს მიუბრუნდა: — თუ გინდა, მობრძანდი აქეთ...

— კაცო, გადავირიე...

— არა, ჰო, ახლავე, სად წავიდა ეს დაბამბული...

დესმა ადგა.

— იყავი, ქალო, ვნახავ, ახლავე ვნახავ...

პირველად არ მიჰყავდათ ტრაქტორისტი ღამით მანქანის ამოსაყვანად, მაგრამ ახლა ყველაფერი უჩვეულოდ ეჩვენა დესმას და როცა დაბამბული ჯუბა მხრებზე მოახურა მთლად აკანკალებულ ქმარს, გაოცებულმა ჰკითხა:

— რა დაგემართა, ამბერკი?!

*

* *

დესმას შინაგანმა გამოუცნობმა გუმანმა უჩქმიტა და ძილი გაუტეხა. სახელდობრ, არაფერზე არ ფიქრობდა.

არც ის იცოდა, ქმარს თუ რაიმე აწუხებდა. არც ქმრის ეს ორი დღის სიცივე გაუგია სხვანაირად და რაიმე მნიშვნელობა არ მიუცია მისთვის.

ახალი ეს იყო, რომ ამბერკიმ ფხიზელი ძილი იცოდა და ახლა არ დაადგა საშველი მის გაღვიძებას. ხანდახან ისე დაუძახნია ვინმეს და ისე წასულა ამბერკი, დესმას არც გაუგია; მით უფრო ახლა, რაც ბავშვი ჰყავთ — დესმა ხშირად ძილგატეხილია და რომ ჩაეძინება, მკვდარივითაა.

ახლა რამდენი უძახა იმ კაცმა, ვერ იქნა და ვერ გააგონა. რამდენჯერმე ისე ეგონა დესმას, გაიგონა და აი ახლა ადგება და აი ახლა გასცემს ხმასო. მაგრამ არა, რაღაცას წვალობდა, წუხდა, არ დგებოდა, მერე იყო და დესმას ძახილზე წამოიყვირა, ჩემიაო.

ძილში ათასი რაიმე მოეჩვენება ადამიანს, მაგრამ მერეც რომ ასე შიშველი გავარდა გარეთ! რას უყვიროდა იმ კაცს, თუ წაყოლა არ უნდოდა — რატომ წაყვა...

ბავშვი ჩემიაო. ის კაცი ბავშვს ეცილებოდა თუ?! იმას მისი გასაჭირი ჰქონდა. ჯერ კარი მიუხურა და მერე სახლში ეპატიჟებოდა. ხმაზეც ეტყობოდა, მაგრამ დაბამბული რომ მოახურა, მხრებზე არ დაამაგრდა, ისე კანკალებდა; ხელი ძლივს გააყრევინა სახელოში.

დიდხანს დააგვიანდათ ჭიშკართანაც მანქანის გაშვება. ალბათ გუთანი გადახსნეს, მაგრამ ამდენ ხანს მაინც რა იყო, რომ ვერ გაუშვეს ტრაქტორი. ეტყობა, ისევ ამბერკიმ ვერ მოაბა თავი საქმეს.

ამბერკის კარგა ხანია შეაგვიანდა და დესმას გათენებისას ისევ ჩაეძინა.

კარგა გათენებული იყო, ტრაქტორის ხმამ რომ გამოაღვიძა. კაბა გადაიცვა, თავშალი მოიხურა და ჭიშკრისაკენ წავიდა. წვიმაში თოვლს ურევდა. ოდნავ შემაღლებულებზე, სადაც წყალი არ იდგა, თეთრად წაეფარა.

ტრაქტორი ჭიშკართან მოვიდა, გუთანს ცხვირით მიადგა და გაჩერდა.

ამბერკი მანქანიდან ჩამოვიდა ისე, რომ ძრავი არ ჩაუქრია.

— ამ დაქცევაში სამუშაოდ მიდის აწი? — ჩაილაპარაკა დესმამ.

— იმუშაოს, — თქვა ეზოში ჩამოსულმა. — კარგია, იმუშაოს.

— სად დალია ამ გამთენიისხანს! — გაიოცა დესმამ და უკან გაბრუნდა.

— არ მომეშვა, ნოქარი გააღვიძა, დუქანში ვსვით, კაი ბიჭი გამოდგა, კაი, ზოგს ამოათრევ ლაფიდან და მადლობის თქმა ავიწყდება...

უცებ მორს შეხედა და ადგილზე გაქვავდა, თვალი გააყოლა ღობის კიდეებს.

— დესმა! — მიაძახა მიმავალს.

— სახლში წამოდი, — უკან მოუხედავად გაეპასუხა დესმა.

— დესმა! — ხმამაღლა იყვირა ამბერკიმ. — ეს მორი უნდა დავაპო!

დესმა შეჩერდა. ამ ხმაში რაღაც სხვა იყო, ამ მორის შეშად ქცევის სურვილზე უფრო ძლიერი. დესმას ეს არ უგრძვნია, მაგრამ ამ ხმამ ერთ ადგილზე კი შემოაბრუნა და უფრო რბილად ათქმევინა, ვინემ მას უნდოდა.

— ჩააქრე ის დასაწვავი და წამოდი სახლში!

— არა, ახლავე უნდა დავგლიჯო ეს ხე. მომიტანე ნაჯახი, ხერხი, ურო!

— ჩვენს ეროს ტარი აქვს გატეხილი!

— ნაჯახი მომიტანე!

— სად გაგახსენდა ახლა ამის პობა, ზაფხულს აქეთია აგდია მაქანე და ახლა მოგაგონდა? გამოიდარებს პატარას და, თუ ასე გინდა, მერე ქენი.

— არა, დესმა, ახლა, ახლავე უნდა დავხეთქო.

— დავსველდი აქ...

— წადი შენ, ჰო, მართლა ბავშვს მიხედე, მე ვიზამ.

— ვინმე მოიხმარე, ამოდენა ხეს მარტო რას დააკლებ!

— წადი, დესმა!

— რამ გადარია აწი დღეს! — სახლისაკენ წავიდა. — ან დალაგებული ბედი ვინ მომცა მე...

თვითონ ამბერკი წავიდა ნაჯახის მოსატანად. სამზადთან იპოვა შეშაზე მიგ-

---

ოტია იოსელიანი

ჯარისკაცი დაბრუნდა

ღებული. გამობრუნდა, დაბამბული გაიძრო, სამუშაო ხალათი გადაიცვა.

დესმას ხმა არ გაუცია.

ამბერკი თვალს არიდებდა ცოლს. გარეთ გამოვიდა ხელად, ოთახში ღილების შესაბნევადაც არ მოუცდია.

ტრაქტორი ისევ თუხთუხებდა ჭიშკართან.

ნაჯახი მორზე დაასო და ძრავი ჩააქრო.

ხეს რომ ორჯერ შემოჰკრა ნაჯახი, მიხვდა, ამოდენა წიფელს, ჯერ ისევ ნედლს, წყალში ნაგდებსა და ახლა წვიმით გაჟღენთილს, ვერაფერს დააკლებდა.

გაბრუნდა და სახლიდან ბირდაბირი გამოიტანა. ხერხმა გუშინღამინდელი სიზმარი გაახსენა. უსიამოდ შეაჟრჟოლა. ღობეს მიადგა, ერთხანს თითქოს მეზობლის ავ საქმეში დაჭერას ლამობსო, ისე უყურა აქედან, მერე გადასძახა:

— ილიკო!

ძაღლმა დაიყეფა ერთხელ; მერე მეზობელი იცნო და ეზოში კი გამოვიდა, მაგრამ დაყეფებით აღარ დაუყეფია.

— ილიკო!

კარებში ილიკოს ცოლი გამოვიდა, თავსაფარი იქვე, აივანზე წაიკრა და კიბეზე ჩამოდგა ფეხი.

— არ გახლავთ, ბატონო, ილიკო შინ. ამბერკი ბრძანდებით?

„ვითომ ვერ მიცნო“.

— ჰო, ამბერკი ვარ.

— მობრძანდით აქეთ!

— არა, მაქეთ არა, ილიკო მინდოდა.

— რა მიწაში ჩავვარდე ახლა, რომ არაა შინ!

— მალე მოვა?

— ვერაფერს ვერ გეტყვი, — და კიბეზე ჩამოვიდა. — გუშინ საღამოს წავიდა, ჩემს ძმას ვაჟიშვილი არ დაუმტვრია მანქანამ?

„გუშინაც არ ყოფილა შინ“, — გაიფიქრა ამბერკიმ.

— რავა, მძიმედაა?

— ფეხი აქვს მოტეხილი და თეძო დაკრული.

ამბერკიმ შემობრუნება დააპირა, მაგრამ გაახსენდა, რომ უპასუხოდ დატოვა ქალი და შეჩერდა.

— არაფერია, გაუვლის, — მიხვდა იმასაც, რომ ეს არ იყო ზუსტი პასუხი. ამ „არაფერიაში“ თანაგრძნობა არ ისმოდა, არც იმედი, ეს უფრო ზერელე ნათქვამი იყო, მაგრამ ახლა მეტის თავი არ ჰქონდა.

— ბატონო ამბერკი, იქნებ გინდოდა რამე.

— ილიკო მინდოდა!

— ილიკო... რავარც მოვა...

— ჰო, მართლა, ურო მათხოვეთ და რკინის სოლები გაქვთ მგონი.

— კი, კი, დავძებნი.

ქალი თითქმის სირბილით წავიდა. ახალ წათოვლილზე ფეხიც კი დაუცდა. „რატომ ჩქარობს, ამ ხნის ქალს ასეთი სიარული არ შეშვენის“, თქვა ამბერკიმ თავისთვის, პასუხიც უფრო ტკბილი მოეჩვენა, ვინემ ამ ქალიდან ელოდა და ეცადა გაეხსენებინა, ადრეც ასეთი შეხვედრა ჰქონდა ამ ქალს თუ... მაგრამ ღვინისა და უძილობისაგან თავი ისე უბჟუოდა, ვერაფერი ვერ გაიხსენა. არა, გაიხსენა, მაგრამ განსხვავება ვერ გაიხსენა. უცებ იმ აზრს წაეპოტინა: „იქნებ ილიკოც შინაა!“

— რავა გეკადრება!

— ილიკო თუ... — უნდოდა მოვიდესო, მაგრამ რატომღაც სხვა თქვა: — შინაა...

— არ მომიკვდეს ჩემი ქიშვარდი და არ მოვესწარი მის...

— არა, ჰო, თუ მოვიდეს...

— იმ წუთში კარებთან მოვაბრუნებ...

ნაჯახით მოკლედ რომ დაეჭრა წიფლის ხე. ძნელიც იყო და ნაფოტადაც წავიდოდა. ხერხის გამწევი არავინ იყო. სხვა მეზობლის დაძახებაც შეიძლებოდა, მაგრამ ახლა აღარავისთან მისვლა არ უნდოდა. ის კი არა და, ილიკოც რომ არ იყო შინ — თუ არ გამოუჩნდა — კიდეც ესიამოვნა. თავის თავთან და საქმესთან მარტო ერჩივნა. იგრძნო ისიც, რომ სულ ტყუილი იყო, ვერავინ ვერ მიეხმარებოდა. იქნებ ხერხის გამწევი ეშოვა, ან უროს დამკვრელი, შეშის დამჭრელი, მაგრამ ვერავინ ვერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოეხმარებოდა. ღვინო ჰქონდა დალეული, მაგრამ არც ღვინო ეხმარებოდა, არც დესმა. მარტო იყო, სრულიად მარტო თავის საქმესთან და თვითონ უნდა მორეოდა საკუთარი ღონით. მთელი სოფელიც ვერ მიეხმარებოდა. შეეძლოთ ხე დაეპოთ, ნაფოტებად ექციათ, დაეწვათ და დაენაცრათ, ნაცარი ქარისთვის გაეტანებინათ, მაგრამ ამბერკი თავის საქმესთან მაინც მარტო იქნებოდა და საკუთარი ღონით უნდა მორეოდა.

ხე ლაჯებში მოიქცია და წანამსხვრევი თავის შუა ადგილზე ნაჯახი დაჰკრა. მაგრად მოქნეული რკინა წავიდა ხეში, მაგრამ ბზარი ვერ გაუჩინა. ტარი ასწიდასწია და როცა პირი ხიდან ამოვარდა, ისევ თხლიშა. პირველ დაკრულს დააცილა. დაკვრისთანავე ამოხტა წყლით გაჟღენთილი ხიდან ნაჯახი. ხელახლა დაკრულზე დაარტყა, მაგრამ ისეთი ბზარი მაინც ვერ გაუჩინა, რომ სოლის პირი წასულიყო. ურის დაკრავდა ზევიდან, მაგრამ რკინის ურო საყუეს გაუფუშებდა ნაჯახს. ამოგლიჯა ისევ და თავგამეტებით მოჰყვა ცემას. უცებ დაიღალა, ნაჯახი გადააგდო, სოლებში ერთი თხელპირიანი ამოარჩია, ურო მოიმარჯვა, სოლი მარცხენათი დაიჭირა და ურო დაჰკრა; როგორც კი ოდნავ პირი მოიკიდა, ორივე ხელით აღმართა ურო, თხლიშა, მაგრამ სოლი ჯერ გამაგრებული არ იყო ხეში, თანაც ისე ძლიერ მოქნეული არ შეიძლებოდა ზუსტი ყოფილიყო — და სოლი წკრიალით გადავარდა, თოვლიან სველ მიწაში ჩაერჭო.

მარტო უნდა მორეოდა. მისი მოხმარება არავის არ შეეძლო.

ადამიანები ეხმარებიან ერთმანეთს ხვნაში, სახლის შენებაში, ჭირშიაც, ჭირში მითუმეტეს ეხმარებიან ადამიანები ერთმანეთს. მაგრამ ზოგჯერ ადამიანები მარტო რჩებიან და მარტო ეჭიდებიან დიდ ტვირთს.

სოლი ისევ მარცხენაში დაიჭირა და მანამ უკაკუნა ცალი ხელით ურო, სანამ მაგრად არ გაიჭედა შიგ, მერე ორივე ხელით ფრთხილად და მოზომილად დაჰკრა, დაჰკრა მეორედ და ბოლოს ისე ძლიერად დაუშინა, სოლი ბოლომდე წავიდა ხეში. მერეც არ მოეშვა, სანამ რკინაზე ხვდებოდა, ურტყა და ურტყა ურო.

ხეს ნაბზარი გაუჩნდა და ახლა მეორე სოლი იოლად ჩავიდა შიგ. მეორეს მესამე მიაყოლა. ხემ პირი დააღო და პირველი სოლი თავისუფლად ამოვარდა. რაკი ერთხელ იჩინა თავი, ბოლომდე წავიდა, მაგრამ ხე ძირიანად ჰქონდა წყალს მოგლეჯილი და ფესვებთან თუ არ მოხერხავდა, ვერ გააპობდა. ამბერკიმ იცოდა ეს, მაგრამ ხერხის გამწევი არავინ იყო და მაინც სცადა — სოლი ძირთან ჩაუდო, დასცხო, გაუშვა კიდეც, მაგრამ ნაბზარი ფესვებში აღარ წავიდა და სოლიც ისე გაიჭედა, მისი ამოღება აღარ შეიძლებოდა. მეორე დაუდო იქვე, გაუშვა, მაგრამ ისიც შიგ გაიჭედა, გაპობით კი არ გაუპია. მეტი აღარაფერი შეეძლო და უცებ დაღლა იგრძნო. ნამეტანი დაღლილიყო. ზედაც არ დაუხედავს, ისე დაეშვა სველ ხეზე და გულისპირი შეიხსნა. სახე წვრილ, სველ ფიფქებს შეუშვირა. ცოტა რომ სული მოითქვა, პაპიროსს მოუკიდა. ნებანება მოსწია.

ხე, რომელზედაც ახლა თვითონ იჯდა, ორად იყო გახეთქილი. თავში, საიდანაც პობა დაიწყო, უკვე ერთ მტკაველზე იყო დაშორებული, ოღონდ ძირისაკენ ისევ ვიწროვდებოდა და ზედ ფესვებთან იყო ორი სოლი გაშვებული, მაგრამ კიდევ ორიც და მეტიც ვერაფერს დააკლებდა.

„ძირს რა ეშველება, ძირს“, — თქვა თავისთვის.

— რას შვები, იკლავ თავს? — თავზე ესმა ადგა.

— არა. — მორჩილად თქვა და პაპიროსის ნამწვი მისსავე ნაფეხურში ჩამდგარ წყალს უსწორა. გადააგდო, მაგრამ აცდა. იქვე თოვლიან ბალახზე დაეცა.

— წამოდი, ჭამე რამე.

ოტია იოსელიანი

ჯარისკაცი დაბრუნდა

— მინდა? — ხმამაღლა ჰკითხა თავის თავს. ღვინო გამონელებოდა, მაგრამ შიმშილით მგონი მაინც არ შიოდა.

— ადექი, ჰო, ადექი, მერე ბავშვი გაიღვიძებს და მეცლება შენთვის?

ამბერკი უკან გაჰყვა. მიმავალს დააჩერდა, მაგრამ ახლა აღარ შურდა მისი. დესმა ისე მშვიდი აღარ იყო, როგორც გუშინღამ, ან გუშინ, ის რაღაცაში თანაუგრძნობდა ამბერკის.

დესმამ არ იცოდა, რაში თანაუგრძნობდა, ან იქნებ არც ის იცოდა, სჭირდებოდა თუ არა ამბერკის ეს თანაგრძნობა. იქნებ მისდაუნებურად თანაუგრძნობდა, იქნებ რაც ერთად არიან, პირველად თანაუგრძნობდა, მაგრამ ასე კი იყო.

ამბერკი მდუმარედ ჭამდა. ჭამდა ისე, გემოს არ უსინჯავდა, თქმითაც არაფერს არ ამბობდა. დუმილს ზოგჯერ თანხმობად თვლიან, ზოგჯერ დიდი პროტესტია, ხშირად კი მაშინ დუმხარ, როცა იცი, მაინც ვერაფრით ვერ იტყვი სათქმელს.

ამბერკი ბავშვს უყურებდა უფრო, დესმას არა; დესმას უკვე ვეღარ ხედავდა ისევე, როგორც ვერ ხედავდა თეფშს, რომელზედაც ჭამდა.

ბავშვს კისერთან თბილად ჰქონდა ჩაფუთვნილი საბანი, თვალებზეც დაფარებული ჰქონდა და მარტო ნიკაპი და ქვედა ტუჩი მოუჩანდა.

მამას დაემგვანება, რომ გაიზრდება?

ვინ იცის, ახლა ვის შეუძლია ამის თქმა.

ამბერკი ჭინჭყლი ყოფილა პატარაობისას, დედას უთქვამს. საიდან მოაგონდა ახლა ეს?

— მიცდის... — თქვა თავისთვის და შეეშინდა. ეს სიტყვა უცებ გაჩნდა სხვისი ნათქვამივით და ლუკმა ხელიდან გაუვარდა. — მიცდის...

ხელები დაიფერთხა და აჩქარებით წამოდგა, გაიარა, უკან რომ მობრუნდა, სკამს დახედა.

„სხვისია, — თქვა გუნებაში, — სხვის სკამზე ვზივარ“.

— დაამთავრე? — იკითხა სახლში შემოსულმა დესმამ.

— დავამთავრე.

დესმამ სუფრას დახედა.

— რომ არაფერი გიჭამია?

— მაინც დავამთავრე.

დესმამ სახეში შეხედა.

— ამბერკი!

— ჰა...

— ავად ხარ შენ!

— აჰ!

— ავად ხარ, დაწექი ახლავე. ამოწყდა მისი ოჯახი, გაცივდი წუხელი. მაინც რავა არ ჩაიცვი, — მაგრამ ამბერკის გაღვიძება და „ჩემიას“ ძახილი გაახსენდა. — არა, მანამდეც გაციებული იყავი. დაწექი ახლავე, დაწექი.

— დავწვე?

— ჰო, ამ წუთში დაწექი, წყალს გაგიცხელებ, ფეხები ჩაყარე ცხელ წყალში. დღეს კიდევ იმ ხის პობა რა ამოიჩემე!

— აბა, ძირში არ გაიპო ფესვებთან, ისეა შეკრული, არ გაიპობა.

— ცეცხლმა დაწვა, რას დაეძებ. დაჯექი ერთ წამს, წყლის გაცხელებამდე ნუ დაწვები.

დესმა გარეთ გატრიალდა სპილენძის თუნგით.

სხვის სკამზე ზის და პატრონი აგერაა მეზობლისას და უცდის. ახლა შეეჩვია ამ აზრსაც.

დესმამ თუნგი ცეცხლში ჩადგა და ტაშტი შემოიტანა. ტაშტი სახელურით ეჭირა ცალ ხელში, და ამბერკის გაახსენდა სიზმარი, ცერის ხერხით რომ ხერხავდნენ „ის“, დესმა და ამბერკი.

— ვისია სახლი? — იკითხა სიზმარში ვიღაცამ.

— ჩემია! — დაიყვირა მაშინ ამბერკიმ.

— რაა შენი! — არ მოეშვა მაშინ ის ვიღაც.

— არაფერი არაა! — ახლა უპასუხა ამბერკიმ მაშინდელ კითხვას და გაიმეორა: — არაფერი არაა.

— არაფერია, ადამიანო, კაცის ფერი არ გადევს?! დაჯექი, დაჯექი, — დესმამ მუგუზლები დააჩინჩხვარა და შეუბერა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ წყალი ჩქარა გამთბარიყო. რომ მოტრიალდა, ამბერკი ფეხზე იყო.

— არ დაჯექი? — და სკამი მიუწია.

ამბერკიმ ხელი შეაშველა, საზურგეს მტკივნეულად მიარტყა ცერი და ეტკინა. ცერი ეტკინა, რომელიც რა ხანია აღარ ჰქონდა.

წყალი ზედმეტად ცხელი მოუვიდა დესმას. როგორც კი ფეხები ჩაჰყარა ამბერკიმ, გაახსენდა, რომ ბავშვი მისი იყო.

— დაწექი, ახლავე დაწექი და საბნებს დაგაყრი, იქნებ ოფლი მოიდინო. საცვლებს არ გამოიცვლი?

ამბერკის პასუხი არ უთქვამს, ისე დაწვა და არც დესმა ჩაცივებია.

დესმამ სასტუმრო საბანი ამოიღო ხანდუკიდან და გადაამატა, კისერთან ჩაუკეცა.

— არ გაინძრე, იწექი მასე!

დესმა რომ გაბრუნდა, საბნიდან ოფლისა და ტანის სუნი ეცა. თავისად ვერ შეიცნო, მერე კინაღამ გაგუდა ამ სუნმა. მის მაგივრად აქ სხვა იწვა და მისი სუნი ახრჩობდა. საბანი გადაიწია, გადაბრუნდა და ბალიშზე თავდაღმა დაემხო. ახლა მთელ სახლში და მთელ ეზოში დადგა სხვისი სუნი. ამბერკის სუნთქვა გაუჭირდა.

ნაშუალამევს ისევ ამ შემხუთველმა სუნმა გამოაღვიძა. შუბლი უხურდა, ნესტოები ებერებოდა. ღრმად სუნთქავდა, მაგრამ ჰაერი არ ყოფნიდა, თითქოს ეს ჰაერი ერთხელ უკვე ჩაესუნთქა ვიღაცას, — ფილტვებისათვის საჭირო ნივთიერება აკლდა. სუნთქავდა, მაგრამ ცარიელ ჰაერს სუნთქავდა. ამ ჰაერით შეიძლება **გაგეძლო ერთ საათს, დიდი-** დიდი ერთი ღამე გაგეთენებინა, მაგრამ ამ ჰაერით სიცოცხლე არ შეიძლებოდა.

იგრძნო, რომ დესმამაც გაიღვიძა.

დესმას რომ არ გაღვიძებოდა, იქნებ დილამდე მართლა ვაეძლო, მაგრამ ახლა ფილტვებს ისე სჭირდებოდა სასიცოცხლო ჰაერი, საცა იყო სული შეეხუთებოდა და გული გაუსკდებოდა.

წამოიწია და ლოგინზე დაჯდა. ფანჯარაში გაიხედა, მაგრამ როგორც გუშინ, არავითარი სინათლე არ ჩანდა.

ილიკო დაბრუნდა ალბათ, მაგრამ არ მოვიდა.

„უცდის“.

უცებ ადგა და ჩაცმა დაიწყო. მის ხალათს და შარვალს ზეთის, სალიარკის და ნავთის სუნი უდიოდა და ცოტა გულს მოეშვა, მაგრამ ჰაერი მაინც ცარიელი იყო.

დესმას ხმა არ გაუღია, არც განძრეულა, მაგრამ ამბერკიმ იცოდა, რომ ეღვიძა; არ უფიქრია, საიდან ვიცი ესო, მაგრამ იცოდა.

ბუხართან რომ მივიდა, ჯორკოს წამოედო. ბავშვი შეკრთა ხმაურზე, მაგრამ არ გაღვიძებია.

შეხვეული ცეცხლი გაქექა, შეშა დაამატა და დაჯდა. ახლა აღარ უფიქრია, რომ სხვის სკამზე იჯდა. მხოლოდ ჰაერს გრძნობდა, ცარიელ ჰაერს.

დიდხანს არ დაინთო ცეცხლი. მერე აკვამლდა, სუნთქვა უფრო გაჭირდა. ბოლოს ერთ მუგუზალს ამოჰყვა ალი და სუსტად გაანათა, მაგრამ მაშინვე უკან დასწია, ნაცარში ჩაფლა და ისევ ჩამობნელდა. ნაკვერჩხლების სუსტი, წითელი სინათლე ანათებდა ბუხარს.

ფანჯრებში დილის მკრთალი სინათლე გაილანდა.

აქამდე დესმას არც ძინებია, არც განძრეულა. ის რაღაცას ელოდა. ადამიანებს აქვთ უტყუარი ალღო, რომელიც ძალიან აუცილებელ შემთხვევაში არ ღალატობს. დესმას რომ დასძინებოდა, მაშინ ვინ იცის, მაგრამ დესმას არ ეძინა. ლოგინში რომ ეწრიალა, ან რაიმე ეთქვა...

ჰაერი სულ დაცარიელდა და გამოიფიტა, არსებობა აღარ შეიძლებოდა.

— დესმა!

ქალს არც ახლა გაუცია ხმა, არც განძრეულა, სუნთქვაც შეწყვიტა.

— ის ჩამოვიდა...

— ვინ! — იკივლა ქალმა.

რაღაცას ელოდა, იცოდა, რომ რაღაცა უნდა მომხდარიყო, ყველაფერს

ოტია იოსელიანი

ჯარისკაცი დაბრუნდა

ელოდა, ყველაფერს, ოღონდ ამას კი არა, ამისი გუმანიც არ ჰქონია. იკითხა, ვინო, მაგრამ იცოდა, იმ წამსვე მიხვდა.

— ვინ! — გაიმეორა ისევ.

მაგრამ ამბერკის არ უთქვამს ვინ.

ცოტა ხანს კიდევ იჯდა, მერე ადგა, დაბამბული ჩაიცვა ისე, რომ ხელი არ აკანკალებია და აივანზე გავიდა.

გარეთ უკეთესი ჰაერი იყო.

ჭიშკრისაკენ წავიდა. წინდის ყელამდე იდო თოვლი. ორად გაპობილ ხეს ისე ჩაუარა, არც შეხედა, და გზაზე გავიდა. ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი. მერე ტრაქტორი გაუშვა. მჭახედ გაისმა მიძინებულ სოფელში მძლავრი მანქანის გუგუნი. მიაბრუნა მანქანა, გუთანი მიაბა და ქვეყანას ამცნო წასვლა.

საწოლზე დამხობილ დესმას დიდხანს ესმოდა მისი ხმა, მერეც, როცა სოფელს გასცდა და მერეც, როცა არავის აღარ ესმოდა. როცა სმენა დაეხშო, ყოველგვარი ხმაური მიწყდა და მარტო გული ამუშავდა, ადგა. ადგა და იკითხა:

— სადაა?.

ხმა არსაიდან არ იყო.

*

* *

დარაჯი წინა დღით არხში ჩავარდა და გაცივდა. შუაღამის მატარებელზე მაინც წავიდა. არავინ არ გააღვიძა, ისე წავიდა. წავიდა ოფლიანი. მუშები დაღლილები იყვნენ და არ გაუგიათ.

საჩინომ გაიგო.

დარაჯს მეტი დააგვიანდა.

როცა დაბრუნდა, წყლიანი ვედრო დაიდგა სასთუმალთან და დაწვა. დილიო ურიკა მოვიდა. ყველას ეგონა, ჩაივლისო, და ყურადღება არ მიუქცევიათ, მაგრამ სახლის წინ გაჩერდა. გაჩერება არ აცალა, ფაციფუცით ჩამოვარდა გზის ოსტატი თუ ვიღაც და თოვლში სირბილით წამოვიდა: ბაქნამდე, სანამ მატარებელი ჭალებზე გავიდოდეს, სადაც მთა ორადაა გაპობილი, მეწყერი ჩამოსულა და ლიანდაგი გადაუკეტავსო.

მუშები წამოჰყარა და წინ გაირეკა.

— გაჭირდება, — წუხდა ვალიკო, მაგრამ დალაპარაკებაც არ აცალა.

სიცხიანი დარაჯისათვის ვის ეცალა.

ურიკა ქვევით წავიდა.

დილის მერე აღარ უთოვია.

შუადღისას დარაჯი გულაღმა იწვა და მძიმედ სუნთქავდა. ვედრო ცარიელი იყო.

ხელით მოიხმო და ვედროზე ანიშნა.

საჩინომ ისე გაუწია ხელი ვედროს, თითქოს ხელში ჯერ არც ვედრო სჭეროდეს, არც კოკა, და, საერთოდ, ჯერ ხელი არაფრისათვის არ ეხლოს.

გარეთ ძაღლი წკმუტუნებდა და სახლში შესვლას ითხოვდა. კარის გაღებისთანავე ზედ შემოახტა და შეაშინა. გარეთ თოვლით იყო დაფარული ყველაფერი.

ნაფეხურები რკინიგზამდე მიდიოდა. გზაზე მარტო რელსები ჩანდა. საჩინო ლიანდაგებში ჩადგა და წავიდა. სხვა გზა არ იცოდა მან და მიდიოდა ნელა, ნელა, ახალფეხადგმულივით.

ჯიხურამდე მივიდა, გაცდა ჯიხურს. მაგრამ მიდიოდა მაინც.

იგი წინ არ იხედებოდა, არც ზევით.

დღეს მეტს აღარ მოთოვდა.

თოვლს დაეფარა შპალები და ახლა სულერთი იყო, სადაც დადგამდა ფეხს.

ლიანდაგზე ქალი მორბოდა.

ქალს მუხლები ეკეცებოდა, ძალა დიდიხანია გამოლეოდა, მაგრამ მაინც მორბოდა. რკინიგზის სახლს უყურებდა და მორბოდა. ლამის ზედ შეასკდა ვედროიან, მხრებში მოხრილ, გაბურძგნულ კაცს და შედგა.

შეჩერდა კაციც.

ისინი შემხვედრი მატარებლებივით იდგნენ ერთმანეთის წინ და არაფერს არ ამბობდნენ.

მერე ქალმა ყვირილი დააპირა, რაღაცის თქმა მაინც.

მაგრამ არც უყვირია და არც ხმა ამოუღია.

საჩინოს არაფერი არ ჰქონდა სათქმელი.

ქალმა ამდენი ეძება, ეძება მთელი გუშინდელი დღე, ეძება მთელი ღამე, ეძება დღეს და ახლაღა მიხვდა — სათქმელი არაფერი არ ჰქონდა.

მათ შორის ერთი ნაბიჯიღა იყო დარჩენილი, მაგრამ ამ ნაბიჯის წინ გადადგმა არ შეიძლებოდა. ეს ერთი ნაბიჯი იყო ისეთი მანძილი, რომელსაც, მთელი სიცოცხლეც რომ ევლოთ, ვერ გაივლიდნენ.

ქალმა არ იცოდა, რატომ ეძებდა.

კაცს ახსოვდა, რომ ოდესღაც იცნობდა ამ ქალს.

ქალიც იცნობდა, მაგრამ ახლა მისთვის უცხო იყო.

ქალმა უცებ იგრძნო ტკივილი და ბავშვის ტირილის ხმა მოესმა შორიდან თუ ისევ მისგან. შებრუნდა და უკანვე დაადგა ლიანდაგს.

კაციც უკანვე წავიდა ჯიხურისაკენ. გზები პირდაპირ მიდიოდნენ.

ლიანდაგები არ ჰკვეთდნენ ერთმანეთს.

ოტია იოსელიანი

ჯარისკაცი დაბრუნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ აბაშიძე



რომანი

თავი მეოთხე

თავრეზს წამოსულმა სულტანმა თავისი ძმის ყიასედინის ხელქვეით ორასიათასიანი ლაშქარი დასტოვა.

გარნისის გამარჯვების შემდეგ არჭების მელიქი და სურმარის პატრონი ეახლნენ ჯალალედინს, მორჩილება გამოუცხადეს და თავიანთი სამსახური შესთავაზეს. სულტანმა მათი ჯარებიც ყიასედინის ლაშქარს შეუერთა და საქართველოს სარბევად გაუსია.

ყიასედინის ლაშქარი კალიასავით მოედო სომხეთსა და ქვემო ქართლს, კახეთსა და ჰერეთს და მესხეთს არსიანის მთებამდე. საქართველოს სამეფოს დიდი ნაწილი არნახულ განსაცდელში ჩავარდა. თურქობისა და არაბობის შავბნელი დრო დავიწყებული ჰქონდა ასი წლის მოსვენებული ცხოვრებით განებივრებულ ქართველობას. ქვეყნის გულში შემოსული მტრის ლაშქარი ძარცვავდა და იკლებდა, სწვავდა და აოხრებდა, მუსრავდა და სპობდა ყველაფერს.

ხვარაზმელები ცხენებით თელავდნენ აყვავებულ ბაღნარებს, ხმლით ჩეხავდნენ ვენახებს და მშიერი მგლებივით დათარეშობდნენ ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორეში.

მოსახლეობას ბარში აღარ ედგომებოდა, სოფლები აიყარნენ, საცხოვრებელი მიატოვეს, მთებსა და ტყეებში, გამოქვაბულებსა და დარანებში გაიხიზნენ.

სასტიკი დამპყრობლები არავის ინდობდნენ, დიდსა და პატარას ერთნაირად უსწორდებოდნენ. ტყვეთა ქარავნებმა, ჯოგმა და ფარამ სამხრეთისაკენ ჰქნა პირი და ადარბადაგანისკენ დაიძრა.

ქართველთა სიმრავლემ ბაზრებზე ტყვის ფასი დასცა და საუკეთესო გურჯი ვაჟკაცი სამ-ოთხ დინარად ძლივსღა იყიდებოდა.

---

* გაგრძელება. იხ. „ცისკარი“, 1962 წ. № 11, 12.

ხალხი თანდათან მიხვდა, თუ რა დიდი უბედურება მომხდარიყო გარნისთან.

გარნისის ჟლეტასა და ტყვეობას გადარჩენილი ერის მთავრებიც გონს მოდიოდნენ, თავის საგამგეო ქვეყნებში მაგრდებოდნენ და მტრის წინააღმდეგობის გაწევას ცდილობდნენ. გამწარებული ხალხი მთავრების გარშემო იკრიბებოდა. ყველა, ვისაც ხელში ხმლის აღება შეეძლო, იარაღს ისხამდა და ქუდზე კაცი საბრძოლველად გამოდიოდა.

ქართველთა მცირე რაზმები მოულოდნელი თავდასხმებით აწუხებდნენ დამპყრობლებს, პირისპირ ხვარაზმელთა დიდ ლაშქართან შებმას ვერ ბედავდნენ, მაგრამ ვიწროებსა და ძნელად გასაშლელ ადგილებში, სადაც კი მოახელებდნენ, მტერს დაუნდობლად მუსრავდნენ. ხვარაზმელთა მარბიელები დაშინდნენ, მთებსა და ვიწროებში მტრის დევნას დაეხსნენ. ყოველი ხისა და კლდის უკან ჩასაფრებული ქართველი ეგულებოდათ, ამიტომ სიფრთხილეს უმატეს, ცალ-ცალკე საშოვარზე სიარულს მოეშვნენ და ქვეყნის რბევას დიდ-დიდ რაზმებადღა განაგრძობდნენ.

ქართველთა მეფის კარი და უმაღლესი სარდლობა ჯერ კიდევ დაბნეული იყო. გარნისის მარცხის შემდეგ მთავარსარდლებს შორის უთანხმოება ჩამოვარდნილიყო და ერთნებობა დარღვეულიყო. ზოგნი საჩქაროდ ახალი დიდი ლაშქრის შეყრას, თბილისის გამაგრებასა და ხვარაზმელებთან გადამწყვეტ ბრძოლას მოითხოვდნენ; ზოგი ასე უცებ დიდი ლაშქრის შეკრებას შეუძლებლად თვლიდა, თბილისის დაცვა წინასწარ განწირულად მიაჩნდა და ამიტომ ჯალალედინთან მოლაპარაკების გამართვას სთავაზობდა მეფეს.

ახალმოლოგინებული, მისუსტებული დედოფალი ხან ერთს ეთანხმებოდა და ხან მეორეს, საბოლოოდ ვერც ერთ გადაწყვეტილებაზე ვერ დამდგარიყო და ქვეყნის საშველად გაბედული ნაბიჯი ვერ გადაედგა.

დრო კი არ ითმენდა. მტერი გაბედულად, სწრაფი და ფიცხელი მოქმედებით ანხორციელებდა თავის განზრახვას.

ჯალალედინმა კარგად იცოდა, რომ გარნისის მარცხითა და ყიასედინის ლაშქრის თარეშით გატეხილი ქართველებისათვის სულის მოთქმისა და გონზე მოსვლის დრო არ უნდა მიეცა და საქართველოს სამეფოს საბოლოო დაპყრობისათვის სწრაფად და ანგარიშიანად ემზადებოდა.

შალვა ახალციხელმა თავიდანვე კარგად ასწონ-დასწონა გარნისის დამარცხების შემდეგ შექმნილი მდგომარეობა. თავისი სამკვიდროდან აყრილი ხვარაზმის სულტანი ადარბადაგანში ფეხს დიდხანს ვერ მოიკიდებდა, დღეს თუ არა, ხვალ მაინც გამოჩნდებოდნენ მისი გეშის მძებნელი მონგოლები, ხვარაზმელებს ზურგიდან დაჰკრავდნენ, ან საბოლოოდ გაანადგურებდნენ, ან იძულებულს გახდიდნენ ადარბადაგანიდანაც აყრილიყო და სხვაგან გადახვეწილიყო.

შალვა ახალციხელს ჯალალედინის გამარჯვებაცა და ადარბადაგანში ყოფნაც დროებითად ეჩვენებოდა, სულტნის მოსაჩვენარი ძლიერების იქით მისი დაღუპვის გარდუვალობას ხედავდა.

ტყვედ ჩავარდნილ ახალციხელს თავისი თავი ჩალადაც არ უღირდა. მაგრამ სიცოცხლის შენარჩუნება მხოლოდ იმისთვის უნდოდა, რომ ივანე მხარგრძელს ერთხელ პირისპირ კიდევ შეხვედროდა, მეფისა და ღვთის წინაშე გარნისის მარცხის გამო მისთვის პასუხი მოეთხოვა და საბოლოოდ გასწორებოდა.

მხარგრძელის ღალატში თავადაც არ იყო დარწმუნებული ახალციხელი, მაგრამ ბრძოლის ველზე მტრის პირისპირ დგომისას ამირსპასალარის ესოდენ უზრუნველობა და გაუფრთხილებლობა თავისთავად ღალატის სწორად ეჩვე-

---

ნებოდა, და მხარგრძელს პასუხი უნდა ეგო. შურისძიებისკენ მოუწოდებდა ახალციხელს გარნისის კლდეებთან დაცემული ოთხი ათასი მესხი ვაუკაცის თავგანწირვა, საქართველოს ძლიერების გატეხილი და შეგინებული სახელი, სამშობლოს სიყვარული და მეფის ერთგულება.

რაკი ამ ფიქრს დაადგა და თანაც ჯალალედინის ბატონობის დღეებიც დათვლილად ეჩვენებოდა, შალვამ გადაწყვიტა, რადაც უნდა დასჯდომოდა, სიცოცხლე შეენარჩუნებინა. ამიტომ მოიდრიკა ამაყი ქედი ამ ბრგე ვაუკაცმა დროებითი გამარჯვებით გაამპარტავნებული ჯალალედინის წინაშე, რომლის მსგავს ტანდაბალ კაცებს საქართველოში დაცინვით „კრუხის პალოს“ ეძახდნენ.

ჯალალედინსაც თავისი ანგარიში ჰქონდა: მან გარეგნული სიმშვიდე და დიდსულოვნება გამოიჩინა, ქართველ დიდებულს ღირსეული მხედრული პატივი მიაგო და არა მარტო სიცოცხლე, ორამედ მამულები და ყმებიც აჩუქა და სამფლობელოდ მარანდი, სალმასი, ურმია და შუშნუია მიუბოძა.

სიცოცხლის შენარჩუნებაზე მზრუნველი ახალციხელი სულტნის მზეს ფიცულობდა და თავს ჯალალედინის მიერ გაბედნიერებულ კაცად აჩვენებდა. ამოდენა სამფლობელოებს დაპატრონებული დიდებული დროს ნადირობასა და შექცევაში ატარებდა და თავი ისე ეჭირა, ვითომ აღარც სამშობლო ახსოვდა, აღარც თავისი ცოლ-შვილი და ახლობლები.

ჯალალედინისგან საგანგებოდ მიჩენილი მოენეები, მსახურები და მზირები მარტო მის ყოველ ნაბიჯს როდი ადევნებდნენ თვალს, — ყოველნაირად უზვიადებდნენ გარნისში მომხდარ მარცხს, ამირსპასალარის ღალატში ათასგვარად არწმუნებდნენ და თანაც ამ ღალატს მისდამი შურითა და მტრობით უსაბუთებდნენ.

ჯალალედინმა ორჯერ ინახულა ახალციხელი. მასთან ნადირობით გაერთო და სუფრაზეც იწვია. მოეწონა სულტანს ქართველთა უპირველესი მეომარი. შალვას ნასროლი ისარი აუცდენლად ხვდებოდა მიზანს, ხოლო მისი დარბაისლური ქცევა და სიტყვა-პასუხი ხელმწიფეთა ღირსად ეჩვენა.

საუბარში სულტანმა მაჰმადის რჯულზე ჩამოუგდო სიტყვა. შალვა განზრახვას მიუხვდა და თავად დაასწრო:

— მაჰმადის სარწმუნოების უმეცარი ვარ, გთხოვ, ყურანის მეცნიერი ვინმე მომცე, რომ თქვენი რჯული მიქადაგოს, განმიმარტოს და მისი უპირატესობა შემაგნებინოს.

ჯალალედინმა ახალციხელის თხოვნა სიამოვნებით აღასრულა და შალვას მეორე დღესვე ყურანის მეცნიერი ყადები და შეიხები გაუგზავნა. შალვა მაჰმადის რჯულის ქადაგებას მოთმინებით უსმენდა და თავს ისე აჩვენებდა, ვითომ სიბრძნის წყაროს დაეწაფა და ყურანის ყოველი სურა გულში სწვდებოდა.

ჯალალედინთან საუბარში შალვა განზრახ აზვიადებდა თავის აღშფოთებას გარნისის ომში „ქართველთა ღალატის გამო“, მხარგრძელსა და მის თანაშემწეებს აგინებდა და იმ დღეს ნატრობდა, როცა სამაგიეროს გადახდის შემთხვევა მიეცემოდა. თავის მხრივ ჯალალედინიც შხამს შხამზე აწვეთებდა.

— ქართველებს დიდძალი ოქრო შეუკრებიათ და ტყვეების გამოსახსნელად მოგვმართეს, — უთხრა სულტანმა.

ახალციხელი გაილურსა, ატყობდა, სულტანი რაღაც ქსელსა ქსელავდა.

— ყველაზე დიდ თანხას შენს გამოსასყიდად ველოდი, — განაგრძო ჯალალედინმა, — მაგრამ ქართველებმა უცნაური გულმავიწყობა გამოიჩინეს: გრძელი სია გვაახლეს, იმ სიაში უბრალო აზნაურებიც არ გამორჩენიათ, მხოლოდ ჩვენი ყველაზე ძვირფასი ტყვე დაავიწყდათ ქართველებს, მეფის ვაზირი და უპირველესი სარდალი. ახალციხელის გამოსასყიდად ქართველთა მეფე ერთ დინარსაც არ იმეტებს...

ჯალალედინმა ქვეშ-ქვეშ გახედა ახალციხელს, ნათქვამით მოხდენილი შთაბეჭდილების ამოკითხვას ცდილობდა მის სახეზე ძლიერი სულტანი.

ახალციხელი მიუხვდა, მაგრამ თავი აღშფოთებულად მოაჩვენა.

— ერთხელ გაყიდულს უკან აღარ გამომისყიდიან! — დაიგმინა ახალციხელმა და ცისკენ ხელი აღაპყრო. — მაგრამ თუ ღმერთმა წყალობის თვალით მომხედა და სამაგიერო მაზღვევინა, მაშინ ნახონ, როგორ გადავუხდი ქართველებს.

— იძიებდი შურს ქართველებზე? — ისევ ცბიერად გახედა ჯალალედინმა. — იბრძოლებდი მხარგრძელის წინააღმდეგ?

— ვიბრძოლებდიო? მაგ დღის დადგომის იმედითღა ვცოცხლობ, დიდებულო ხელმწიფევ, ოღონდ იმას მოვესწრო, მხარგრძელსა და ჩემს გამწირველ ქართველებზე შური ვიძიო, ქვას ქვაზე არ დავტოვებდი, დიდსა და პატარას ყველას ერთნაირად გავუსწორდებოდი და ღალატსა და ორგულობას მწარედ ვანანებდი.

— მაგ დღეს მალე მოესწრები, — ბრძანა ახალციხელის ნათქვამით ნასიამოვნებმა სულტანმა და შალვა სმენად იქცა. — მაგ დღეს მალე მოესწრები: დღეს თუ ხვალ ქართველებს შევესევი და იმ მთებსაც დავიპყრობ, სადაც თქვენი გახიზნული დედოფალი იმალება. შენ იმ მთებში მისასვლელი გზები გეცოდინება და თუ კარგ მეგზურობას გაგვიწევ, ჩვენგან დიდ პატივსა და წყალობას დაიმსახურებ.

ახალციხელი მუხლზე დავარდა და სულტნის კალთას ემთხვია.

— ოღონდ ჯარი მომეცი, ხელმწიფევ, და მიუვალ, ჯერ უცხოთაგან ფეხდაუდგამ მთებში შეგიყვან, ერთ მტკაველ მიწას არ დავტოვებ საქართველოში, სადაც თქვენი ძლიერების დროშა არ იფრიალებს.

— თუ ქართველთა წინააღმდეგ ომში ჩვენს ერთგულებას გამოიჩენ და გვიწინამძღვრებ, დაპყრობილ საქართველოს შენ დაგიმორჩილებ და ქვეყნის პირველ კაცად გაგხდი, — ბრძანა სულტანმა და ახალციხელი ისევ მუხლზე დავარდა მისი კალთის სამთხვევად.

ჯალალედინმა თავისი ბიძის, ორხანის მეთაურობით განძის დასაპყრობად გაგზავნა ლაშქარი. იმ ლაშქარს შალვა ახალციხელიც გააყოლა და თავის უპირველეს ემირს დაავალა, ქართველ ტყვეს დაჰკვირვებოდა, მისი ერთგულება და გულწრფელობა გამოეცადა.

ახალციხელს ორხანი ტოლივით ექცეოდა, პატივს არ აკლებდა და რჩევას ეკითხებოდა.

შალვამ იცოდა, რომ განძაზე ლაშქრობა მისთვის გამოცდა იყო და მის ყოველ ნაბიჯს სულტნის ჯაშუშები ადევნებდნენ თვალყურს. ამიტომაც ყველგან სულტნის ქება-დიდებას ამბობდა და ყველასთან თავი მოჰქონდა ჯალალედინის ნდობითა და დიდსულოვნებით.

შალვას არაერთხელ ჰქონდა განძა აღებული და დალაშქრული, ქალაქის მისადგომები და სიმაგრის სუსტი ადგილები კარგად იცოდა. ახლაც შალვამ ჩვეული გმირობა გამოიჩინა, ხვარაზმელებს მართლაც განსაცვიფრებელი ბრძოლა აჩვენა და განძის შელეწილ კარში პირველი შევარდა. ტყვეების მიმართ ხვარაზმელებზე მეტი სიმკაცრე და ულმობლობა რომ გამოიჩინა, ორხანის გული კიდევ მეტად მოიგო.

ორხანისა და მსტოვრების ნაამბობმა საბოლოოდ დაარწმუნა სულტანი ქართველი დიდებულის ერთგულებაში.

ამბავი ყრუ მუნჯისა და მისი ლამაზი ცოლისა

ათაბაგ უზბეგს ერთი გაუბედურებული ვაჟი დარჩა. ეს ვაჟი დაბადებით ყრუ-მუნჯი იყო და სახელად ქამუშს უხმობდნენ.

უზბეგს მის მეტი ვაჟი არა ჰყავდა. ხუთ წლამდე კიდევ ჰქონდა იმედი, ეგებ ენა ამოიდგასო, მაგრამ უფლის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წული სამუდამოდ მუნჯი დარჩა, გარეს-სამყაროსი არა ესმოდა რა და თავათაც ვერაფერს აგებინებდა. ერთადერთი ადამიანი, რომელსაც ქამუშისა ესმოდა, მისი აღმზრდელი იყო; ხელის მოძრაობით, თვალისა და სახის გამომეტყველებით ესაუბრებოდა იმ უცნაურ კაცს, რომელიც ყველასათვის აუხსნელსა და გაუგებარ ენაზე ლაპარაკს ღვთის ჩაგონებით მისჩვეოდა.

ებრალებოდა უზბეგს განგებისაგან დაჩაგრული ერთადერთი მემკვიდრე.

თავისი მემთვრალეობისა და უზრუნველობის გამო არც ცოლების, არც სხვა შვილებისა და არც ქვეყნის წინაშე თავს დამნაშავედ და შემცოდედ არ გრძნობდა. ქამუშის წინაშე კი უღონო იყო ათაბაგი, მემკვიდრის უბედურების მიზეზად რატომღაც თავის თავს თვლიდა, მისი ჭკვიანი თვალების ნაღვლიან ცქერას ვერ უძლებდა და მისი საცოდაობით იწვოდა.

უზომოდ ანებივრებდა, ყოველგვარ სურვილს სიხარულით უსრულებდა და საარაკო ფუფუნებაში ზრდიდა უზბეგი თავის ვაჟს. სარწმუნოებაზე მაშინ აიღო ხელი ათაბაგმა, როცა მის უბედურ შვილს არც ლოცვა-ვედრებამ უშველა, არც წმინდა ადგილების მოვლამ და არც სასწაულთმოქმედი მიზგითებისათვის უთვალავი სიმდიდრის შეწირვამ. ღვინოსა და მემთვრალეობასაც ქამუშის ჯავრითა და საცოდაობით მიეძალა და გამოფხიზლებისა უფრო იმიტომ ეშინოდა, რომ უენობითა და სიყრუით დატანჯული შვილისთვის უნდა ეცქირა.

უზბეგმა მემკვიდრეს ცალკე სასახლე აუშენა და საცხოვრებლად იქ გადაიყვანა. ქამუშის კარი მსახურთა სიმრავლით, სიმდიდრითა და ფუფუნებით უზბეგისას აღემატებოდა, მაგრამ უფლისწული მაინც საპყარი და უბედური რჩებოდა.

სმენადახშულსა და უენო უფლისწულს წიგნი ვერ ასწავლეს, ისეც გაწამებული ბავშვი სწავლითა და წრთვნით აღარ გააწვალეს და ქამუში გონებრივად დაბალ საფეხურზე გაიყინა. სამაგიეროდ სხეული განუვითარდა ქამუშს, ტანი აიყარა, ახოვანი და ძალუმი ვაჟკაცი გაიზარდა.

ეგებ ცოლის შერთვამა და შვილების ვაჩენის სიხარულმა მაინც გაახალისოს სულ მუდამ მოწყენილი და დაღონებული უფლისწულიო, იფიქრა უზბეგმა და სასძლოს ძებნას შეუდგა.

ადარბადაგანის ათაბაგის მოყვრობაზე უარს ვინ იტყოდა და უზბეგმა სასძლოდ მარაღის ბატონის ულამაზესი შვილიშვილი მოიყვანა. დიდი ქორწილი გადაუხადა მემკვიდრეს და უძვირფასესი საჩუქარი გადააგდო თავს. ეს იყო სპარსეთის ზღაპრული მეფის ქეიქაუსის ოქროს ქამარი. ეს ქამარი ქეიქაუსის შემდეგ მის შვილებსა და შვილიშვილებზე გადადიოდა მემკვიდრეობით და ბოლოს ილდეგიზიდ ფაჰლავნებს რგებოდათ. ამიერიდან ილდეგიზიდების უკანასკნელ შთამომავალს, ყრუ-მუნჯ ქამუშს უნდა რტყმოდა წელზე ქეიქაუსის ოქროს ზღაპრული სარტყელი. სარტყელი შემკული იყო მრავალი პატიოსანი თვლით, რომელთა შორის ხელისგულისოდენა მრგვალი ლალი იყო ჩასმული. ეს იყო ყველაზე საკვირველი და ყველაზე ბრწყინვალე ლალი. ლალზე წარწერილი იყო სარტყლის ყველა მფლობელის სახელი, ქეიქაუსიდან მოყოლებული და ქამუშით გათავებული.

ქვეყნისაგან მოწყვეტილმა ქამუშმა ლამაზი ცოლი ნივთივით დაისაკუთრა, ადამიანთან ახლო ყოფნასა და ურთიერთობას მოწყურებული ჭაბუკი ქალს წუთით არ იშორებდა, გარეთ არ უშვებდა და ახლო არავის აკარებდა.

ყრუსა და უენოსათვის სხვებთან ყოფნა წამება იყო, ცოლთან თავისი ნაკლისა რატომღაც არა რცხვენოდა, მზის ჩასვლასა და დაღამებას ხსნასავით ელოდა: ღამე ვერავის ხედავდა, მოსასმენის მოუსმენლობითა და სათქმელის უთქმელობით არ იტანჯებოდა, ცოლთან უსიტყვო ალერსის ბედნიერებას ეძლეოდა და გათენებას, მზის ამოსვლას ისევ თავმოძულებული ხვდებოდა.

ქამუშის ცოლი ნორჩი და გამოუცდელი ქალი იყო. პირველ დღეებში ისე მტკივნეულად ვერ გრძნობდა ქმრის უბედურებას. ვაჟკაცის ღონიერი მკლავები და სარეცლის სიამენი უყუჩებდნენ, ავიწყებდნენ დღისით მიყენებულ გულის ტკენას. მაგრამ შემდეგ, როცა ლოგინსაც შეეჩვია და საარაკო სიმდიდრისა და ფუფუნების ყველა უპირატესობასაც, ქამუშის ცოლმა თანდათან იგრძნო, რომ ქვეყნად ყველაზე უბედური ქალი იყო. გოლიათი ვაჟკაცი გონებასუსტი და ბავშვის ჭკუისა აღმოჩნდა. მისი ქცევა, ყოველი ნაბიჯი ბალღური და ჰასაკისათვის შეუფერებელი ჩანდა. მსახურები და კარისკაცები უფლისწულის ყოველ სისულელეზე სიცილისაგან თავს ძლივს იმაგრებდნენ და პატარა დედოფლის თვალთაგან შეკავებული ღიმილის დაფარვას ცდილობდნენ.

პირველ ხანს ამ სატანჯველისაგან ერთადერთ ხსნად დედოფალსაც მზის ჩასვლა და დაღამება ესახებოდა. იქ, ცოლქმრულ სარეცელზე ქამუში კაცი იყო; ღამეში მისი ცოლი ვეღარც სიმუნჯით გაწამებული ქმრის სახეს ხედავდა, აღარც ქმარი იქცეოდა ყმაწვილურად.

მაგრამ ღამეებმაც დაჰკარგეს თავისი სიამე, რადგან ქამუშის ცოლი ულამაზესი ქალი იყო და მისი სიტურფე მარტო ღამის საკუთრებად როდი იყო გაჩენილი. მოსწყინდა ახალგაზრდა ქალს ღამურასავით ღამის სიბნელით ტკბობა, უზომოდ მოუნდა დღის სინათლეზე გასვლა, თავისი მშვენიერებით სხვათა თვალისა და ამით საკუთარი გულის გახარებაც.

ქალს ხალხისკენ, სამზეოსკენ ეძახდა გული, ქმარი მარტოობისკენ, სიბნელისაკენ ეწეოდა, ქალი გასაქცევს ეძებდა, ქმარი უფრო ჰკეტავდა და გარეთ არ უშვებდა.

უბედურ ქამუშს მამა გარდაეცვალა. ადარბადაგანის უდიდესი ნაწილი უკვე ხვარაზმელ სულტანს დაეპყრო, ქვეყანა აწეწილი იყო და უპატრონოდ დარჩენილ უმწეო ქამუშს ღვთისა და თავისი მეუღლის მეტი იმედად აღარავინ ჰყავდა. ჯალალედინის ვაზირი ქამუშის სამკვიდროს მოადგა. ალყაშემორტყმული უზბეგის ძის ავ-კარგი გამოიკითხა. ქამუშის ცოლის უბადლო სილამაზე და ათაბაგის მემკვიდრის საარაკო სიმდიდრე რომ აღუწერეს, გადაწყვიტა, ერთსაც დაპატრონებოდა და მეორესაც. სულტნის ვაზირს ჩუმად, ჯალალედინის შეუტყობლად უნდოდა ქამუშის ცოლისა და ავლა-დიდების ხელში ჩაგდება. საგონებელსა და ხერხის ძებნაში რომ იყო, სწორედ მაშინ მოუვიდა ქამუშის ცოლისგან საიდუმლო მოციქული. დედოფალი თავისი ნებით დანებებას აღუთქვამდა, თუ ვაზირი ცოლად შეირთავდა. ვაზირმა ცოლად შერთვის ფიცი შეუთვალა და ქამუშის თანამეცხედრე ღამით შერეფ ელ მოლკის ბანაკში გაიპარა.

სწორედ იმ დღეს, სრულიად მოულოდნელად, დაბარებულივით გაჩნდა შორს მყოფი ჯალალედინი, ვაზირის უმშვენიერეს ნადავლს ქორივით დააცხრა, ქამუშის ცოლი ხელიდან გამოგლიჯა და მისი ალერსითაც თვითონ გაძღა.

მარტო დარჩენილმა ქამუშმა ცოლი მოიკითხა, ვერსად იპოვა. ბოლოს გაუმხილეს, მტერს ეახლა და დანებდაო. ქამუშმა ღრიალი მორთო, ტანსაცმელი შემოიხია და ყველაფერი დალეწა. მერე ხვარაზმელების ბანაკში შევარდა ღმუილით. სულტნის სამყოფელისკენ გაიჭრა, მაგრამ მცველებმა ხელი სტაცეს. არ ნებდებოდა, ხელითა და ფეხით, თავითა და კბილით იბრძოდა და უძალიანდებოდა ქამუში შესაპყრობად დახვეულ მამლუკებს. როგორც იყო, შეიპყრეს და საპყრობილეში ჩააგდეს.

ბნელ საპყრობილეში დატუსაღებული ქამუში რომ ჯავრითა და უჭმელობით ილეოდა, მისი ცოლი ქვეყნის მპყრობელი სულტნისა და უებრო ვაჟკაცის ალერსით ტკბებოდა. კაცთან ლაპარაკს თითქმის გადაჩვეული ქამუ-

---

შის ცოლი ბედნიერი იყო: ჯალალედინს მისი ჩურჩული კი არა, გულისფეთქვაც ესმოდა და ვაჟკაცის საალერსო სიტყვას დანატრებულ ქალს ნაზად, გამორჩეული სიტყვით ეფერებოდა.

რამდენიმე დღის შემდეგ ჯალალედინს მოახსენეს: ათაბაგის ყრუ-მუნჯი მემკვიდრე სულტნის ნახვას თხოულობს და სასმელ-საჭმელს პირს არ აკარებსო. მხოლოდ მაშინ გაახსენდა ჯალალედინს ქამუშის არსებობა. საპყრობილიდან გამოაყვანინა და მაღალი შთამომავლობის ღირსი პატივით დაუხვდა.

ქამუში სულტნის წინაშე დაემხო, ხალათქვეშ დაფარული ოქროს ძვირფასი სარტყელი მოიხსნა, ჯალალედინს გაუწოდა და თვალცრემლიანმა შეზმუვლა. სულტანმა იმ გაურკვეველი ზმუილისაგან ვერაფერი გამოიტანა, მაგრამ ოქროს ვეებერთელა სარტყელისკენ კი გაექცა თვალი. მაშინ ქამუში თავის გამზრდელს მიუბრუნდა, მისთვის ნაცნობ ხელისა და თვალის ენაზე რაღაც გრძლად უთხრა, და გამზრდელმა სულტანს მოახსენა: ათაბაგის ძე ქამუში დიდებული სულტნის ფერხთ ემთხვევა, მის დღეგრძელობას შესთხოვს ალაჰს და თავს მის მონად აცხადებს. უზბეგის ძე უარს ამბობს თავის სამკვიდროზეც, მამისგან ნაანდერძევ სიმდიდრესა და ქონებაზეც და დიდსა და აღმატებულ სულტანს საჩუქრად უძღვნის ამ ფასდაუდებელ ოქროს სარტყელს, რომელიც ქეიქაუსს ეკუთვნოდა პირველად და შემდეგ მემკვიდრეობით გადადიოდა სპარსეთის მეფიდან მეფეზე. ამ სარტყელის მსგავსი ჯერ არაფერი შეუქმნია კაცის ხელს და მას ქვეყნად ვერაფერი შეედრება ვერც პატიოსანი თვლების ფასითა და ვერც ხელოვნებით. ათაბაგის მემკვიდრეს ერთადერთი სათხოვარი აქვს დიდი სულტნის წინაშე — უბოძოს უკანვე თავისი მეუღლე. ხვარაზმის მორჭმულ სულტანს ცოლიც ბევრი ჰყავს და ამ ქვეყნის სხვა მრავალი სიკეთითაც ტკბება, ქამუშს ეს ერთადერთი ქალი ჰყავს — იგი არის მისი საპყრობის ნუგეში, ამ ქვეყნის ერთადერთი სიამე და სიცოცხლის სიხარული.

ჯალალედინს შეებრალა უენო, სმენადახშული ვაჟკაცი. ცოლისაგან ღალატით მიტოვებული ქამუში სიცოცხლის ერთადერთ სიხარულად ისევ იმ ცოლს სახავდა; იგი ყველაფერი იყო მისთვის, ხოლო ჯალალედინისთვის — უკვე აღარაფერი. რა უცნაურად არის მოწყობილი წუთისოფელი, ადამიანი იმისგან ილტვის, ვისთვისაც სიცოცხლის ერთადერთ აზრად ქცეულა, და მისკენ გარბის, ვისთვისაც იგი ჩალადაც არ ღირს.

— წუთისოფელი და დედაკაცი ორივე ერთნაირად უმადური და გაუტანელია. ჩვენ, ვაჟკაცები, მიტომა ვართ ამ ქვეყნად, რომ დედაკაცის უმადურობა დავთრგუნოთ და წუთისოფლის გაუტანლობას ვებრძოლოთ, — ბრძანა ჯალალედინმა, ქამუში ფეხზე წამოაყენა და გვერდით დაისვა. მერე ვაზირს უბრძანა, ათაბაგის ძისათვის სასახლე და სამკვიდრო მამული ხელუხლებლად დაებრუნებინათ, მისი ცოლი ახლავ მოეყვანათ და ქმრისთვის ჩაებარებინათ.

ჯალალედინმა ქეიქაუსის სარტყელი წელზე შემოირტყა და იქაურობა დასტოვა, რადგან ქამუშის ცოლის უბედურებისათვის ცქერა არ უნდოდა.

მეორე დილით ქამუში და მისი ცოლი საწოლში მკვდრები ნახეს. ორთავეს მძინარეებივით მშვიდი, უშფოთველი გამომეტყველება შერჩენოდა, ძალდატანების ნიშნები არც ერთს არ ეტყობოდა.

საწოლთან საწამლავის დაცარიელებული შუშა ეგდო და ვერავინ მიხვდა— ვის ვინ მოეკლა.

ჯალალედინმა ქეიქაუსის სარტყელს თავისი ძვირფასი თვლებიც მიუმატა და ლალის დიდი თვალი შუაში მოათავსებინა.

ოქრომჭედელმა სარტყელზე წვრილად ამოყვანილი ქეიქაუსის ანდერძი ამოიკითხა: „იყოს წერა ჩემი, ვინც უკანონოდ შემირტყას“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულტანმა წარწერის აზრი და მნიშვნელობა გამოიკითხა. მოახსენეს: ეს სარტყელი ქეიქაუსის ტახტისა და გვირგვინის კანონიერ მემკვიდრეებზე გადადიოდა; თუ ძალით ან რაიმე შემთხვევის გამო ისეთი პატრონის ხელთ ჩავარდებოდა, რომლის ძარღვებშიაც ქეიქაუსის კეთილშობილი სისხლი არ სჩქეფდა, ანდერძი უცილობლად სრულდებოდა, ოქროს სარტყლის მიმთვისებელი იღუპებოდა და სარტყელი ისევ ქეიქაუსის კანონიერ შთამომავალს უბრუნდებოდაო.

ჯალალედინს გაეცინა. ეჭვი აიღო, ალბათ, წინასწარ არიან მოლაპარაკებული, რომ ესოდენ ძვირფას სარტყელზე ხელი ამაღებინონო.

სულტანმა მის წინაშე თავდახრით მდგარ ვაზირს გამომცდელად შეხედა.

შერეფ ელ მოლკი კიდევ უფრო მოიხარა და მბრძანებელს შეჰბედა:

— წელზე ნუ შეირტყამ, საჭურჭლეში შევინახოთ ეგ სარტყელი, ხელმწიფევ, ამით ანდერძიც დაურღვეველი დარჩება, სარტყლის პატრონიც შენ იქნები და ქეიქაუსის წყევლასაც ძალა აღარ ექნება...

ანგარი და ხარბი ვაზირის ზრუნვამ და თავგამოდებამ კიდევ უფრო დაარწმუნა სულტანი, რომ ყველანი — ოქრომჭედელიც, წარწერის განმმარტავნიცა და ვაზირიც წინასწარ იყვნენ მოლაპარაკებულნი.

ჯალალედინმა ერთი მგელივით მოხედა ვაზირს.

— ქამუშის სიკვდილის შემდეგ ქეიქაუსის შორეული ნათესავიც აღარავინ დარჩა ცოცხლებს შორის; თუ ვინმეს თავისი კეთილშობილებით უფლება აქვს ქეიქაუსის ტახტისა და ქვეყნის კანონიერ მემკვიდრედ ჩასთვალოს თავი, პირველი მე ვარ და სხვაზე უფრო მე მეკუთვნის ამ სარტყლის შერტყმა. დე, ჩემზე აღსრულდეს ქეიქაუსის წყევლა, — ჩაიცინა სულტანმა და მსახურებს ანიშნა, სარტყელი წელზე შემომარტყითო.

— ასრულდეს ნება შენი! — თაყვანისცა გაწბილებულმა ვაზირმა და უკან წავიდა მუხლზე ხოხვით.

მოჰამედ ნესევი ყურადღებით კითხულობდა თორელის შრომას. ქართველების სახელი მხოლოდ ირანში მოსვლისას გაიგონა პირველად. მათ ველურ მომთაბარეებად თვლიდა, რომელთაც არც წარსული ჰქონდათ, არც სარწმუნოება გააჩნდათ და არც წიგნი და დამწერლობა.

როგორ გაოცდა ნესევი, როცა გაიგო, რომ მათი ისტორია თითქმის ქვეყნის დასაბამიდან იწყებოდა, მათი მწერლობა უძველესი და უმდიდრესი ყოფილა თურმე, ხოლო დამწერლობა — ძველთაძველი.

ქართველთა მეფეები ზოგ-ზოგებივით მეჯოგე ტომების ვიგინდარა ბელადები კი არ ყოფილან, დავით წინასწარმეტყველისა და სოლომონ ბრძენის შთამომავლებად იყვნენ აღიარებულნი თურმე მთელს წინა აზიაში და იმ დროისათვის პალესტინის წმინდა ადგილების თითქმის ნახევარს ფლობდნენ.

დავით აღმაშენებლისა და დემეტრეს, გიორგი მესამისა და თამარის, ლაშასა და რუსუდანის მეფობის ხანაში საქართველო თურმე დიდებულ ხორეზმსაც არ ჩამოუვარდებოდა თავისი სიდიადითა და ბრწყინვალებით.

თორელის შრომაში ბევრი ფილოსოფოსი და ღვთისმეტყველი, ხუროთმოძღვარი და ოქრომჭედელი, მხატვარი და მგოსანი იყო ჩამოთვლილი, რომელთა სახელი მთელს განათლებულ ახლო აღმოსავლეთსა და ბიზანტიაში ყოფილა ცნობილი. თორელს თავის ისტორიაში დიდი ადგილი დაეთმო საქართველოს უდიდესი მგოსნის შოთა რუსთველისათვის, მისი უკვდავი ქმნილების შინაარსი გადმოეცა და ცალკე ადგილების თარგმნაც ეცადა.

შაირობის მოყვარულმა და დამფასებელმა ნესევიმ ზეპირად იცოდა აღმოსავლეთის პოეზიის ნიმუშები. ამ მხრივ ხორეზმში ტოლს არავის უდებდა და

თუმცა ტრაბახი არ უყვარდა, თავი მაინც მოჰქონდა იმით, რომ ასი ათასამდე ლექსის ტაეპს ზეპირად იტყოდა.

ჩაკვირვებული და გემოგახსნილი ხორასნელი მცირე ნიმუშების გაცნობითაც მიხვდა, თუ რა დიდი მგოსანი ყოფილა რუსთველი. თორელი მოაყვანინა, ნაშრომი ფრიად მოუწონა და ახალი დავალება მისცა:

— დიდად მეკეთა და მომეწონა თქვენი უპირველესი მგოსნის ლექსები. მარტო შენ დაუხმარებლად მის თარგმნას, ალბათ, ვერ შესძლებდი, რადგან სპარსული შენთვის მაინც უცხო ენაა. ცოდვაა, ესოდენ ღრმასა და ტკბილხმოვან მგოსანს მარტო ქართველები კითხულობდნენ. სიამოვნებით ვთარგმნიდი რუსთველის ქმნილებას, თუ შენც შემეწეოდი შენი განმარტებითა და ყოველი სიტყვის ახსნით.

— ამაზე სასიამოვნო და სასახელო რა უნდა დამავალოს ჩემმა პატრონმა! — აღმოხდა გახარებულ თორელს: — ღამეებს გავტეხავ თეთრად, ყოველ სიტყვას სათითაოდ ავხსნი და განვმარტავ, ლექსის ხმოვანებასა და მუსიკას კითხვითა და სიმღერით გავხდი შენი ყურასათვის მისაწვდომს, ყოველ ღონესა და ნიჭს ვიხმარ, რათა ჩემს პატრონსა და მწყალობელს ამ ჩემთვის საამაყო დავალების აღსრულებით დავეხმარო.

— ნეტავ არ წამეკითხა შენი დაწერილი ისტორია! მანამდე უბირ, მეჯოგე ტომის ხალხურ მთქმელად მეჩვენებოდი, მიუხედავად შენი განათლებისა. ახლა, როცა შენი წიგნით თქვენს ქვეყანას გავეცანი და გავიგე, თუ რა დიდსა და სახელოვან სამეფოს დადგომია უბედურება, გული მეტკინა. ჩემი უბედური სამშობლოს დარდი ისევ ამეშალა და გულწრფელად შემეცოდე. შენ მგოსანი ხარ და ალბათ სხვაზე მეტად განიცდი შენი სამშობლოს უბედურებას.

თორელმა ღრმად ამოიოხრა და თვალები მოუწყლიანდა.

— თქვენს დიდ მგოსანს უთქვამს, ჭირსა შიგან გამაგრება გმართებსო. უნდა შეურიგდე ძნელად შესარიგებელს — შენი ქვეყნის დიდების დაჭიზბას, რადგან, როგორც ერთხელ გითხარი, ახლა ჩვენი მზე იწყებს ამობრწყინებას, ხორეზმის დიდების მზე; ხოლო ერთი ერის ბედნიერება გარდუვალად მეორე ერის უბედურებას ნიშნავს. ბედმა ჩვენი ერის ბედი თქვენსას დაუპირისპირა და ერთ-ერთი უნდა დაღუპულიყო, რადგან თავად უფლისაგან ოდიდანვე აგრეა დაწესებული: კაცი კაცს იმორჩილებს, ცხოველი ცხოველსა და ფრინველი ფრინველს. ხე რომ ხეა, ისიც თავის ახლომახლო სხვა ხეს არ ახარებს, ჩაგრავს და ზრდას უშლის. კაცი კაცს ჩაგრავს და ერი ერს. მე რომ ვუკვირდები, ადამიანთა ურთიერთობა, საბოლოოდ, მაინც უკეთ ცხოვრებისათვის ბრძოლაა; ეს დედამიწა ყველას არა ჰყოფნის კარგი ცხოვრებისათვის და ამიტომ მტრობს ერთი კაცი მეორეს, ერთი ერი მეორე ერს, ერთი სარწმუნოება მეორე სარწმუნოებას. ამ მტრობასა და ბრძოლაში უძლიერესი იმარჯვებს, ხოლო სუსტი და უღონო მარცხდება და ეცემა.

— იღბალი არა ჰქონია ჩემს ქვეყანას, — ოხვრით თქვა თორელმა, — ახლა, როცა აღმოსავლეთი ასე აირია და საშინელი გრიგალები დაიძრნენ საქართველოს დასალეწად, ჩვენს სამეფოს მტკიცე და ძლიერი, მამაცი და ნებისყოფიანი მეთაურის მაგიერ აზიზად აღზრდილი, სუსტი და უნებისყოფო ქალი უდგას სათავეში. მას არც თავისი თავგასული მთავრების ალაგმვის ძალა შესწევს, არც ქვეყნის მთელი ძალღონის შემოკრება შეუძლია მტრის წინააღმდეგ ასამოქმედებლად.

— ასე სცოდნია ბედისწერას, თურმან. როცა განგება რომელიმე ხალხს გასწირავს, მას მეთაურად სწორედ გაუბედავსა და უნებისყოფო გვირგვინოსანს მოუვლენს. დიდსა და უძლიერეს ხორეზმს არასოდეს ისე არ სჭირდებოდა მამაცი და გაბედული, მტკიცე ნებისყოფიანი და შეუდრეკელი მეთაური, როგორც ჩინგიზ ხანის შემოსევისას. განგებამ ისე მოაწყო, რომ სწორედ მონგოლთა ურდოებთან შეჯახებისას ხორეზმს ყველაზე ნაზი და აზიზი, გაუ-

ბედავი და უნებისყოფო გვირგვინოსანი მოუვლინა ხელმწიფედ. ხვარაზმშა მოჰამედი ფიცხელსა და გამჭრიახს, უაღრესად გაბედულს, ცბიერსა და სასტიკ ჩინგიზს წინ ვერ აღუდგა, უზარმაზარი ქვეყანა მტრის დასახვედრად ვერ აამოძრავა, ლაშქარს მონგოლებზე ვერ წარუძღვა და განგების განაჩენს თითქმის უდრტვინველად დაემორჩილა: ესოდენ მდიდარი და ძლიერი ქვეყანა მტერს დაუტოვა და თავად სადღაც უკაცურ კუნძულზე მიაბარა უფალს გამწარებული სული. რაკი განგებამ ძლევა ჩინგიზს მისცა ჩვენთა ცოდვათათვის ჩვენსავე დასასჯელად, იმავე განგებამ ისე მოაწყო, რომ მოჰამედს ვერც თვითონ გაეწია მტრისათვის წინააღმდეგობა, ვერც თავის შვილებში გამოერჩია ღირსეული მემკვიდრე, რომელიც ქვეყნის მართვის სადავეებს ხელთ აიღებდა და მონგოლებს ვაჟკაცურად გაუმკლავდებოდა. თავის შვილთაგან უბედურმა ხვარაზმშამ მემკვიდრედ ყველაზე სუსტი და უღონო ოგლაზხანი გამოარჩია, მამაცი და შეუდრეკელი სულტანი ჯალალედინი გაინაპირა და სახელმწიფო საჭესთან არ მიუშვა, ვიდრე თავათაც არ დაიღუპა და სამეფოც არ დააქცია. როგორცა ჩანს, განგების ეს კანონი გარდუვალია და ახლა მისი მსხვერპლი თქვენი სამეფო ხდება. თქვენს ქვეყანას ამ უდიდესი განსაცდელის ჟამს გულოვანი და გონიერი მეფე ისე სჭირდებოდა, როგორც, ალბათ, არასდროს. მაგრამ ხომ ხედავ, სწორედ ამ უძნელეს ჟამს იმავე განგებამ გვირგვინოსნად სუსტი და უზრუნველი ქალი მოგცათ. ყურანში წერია: ვაი იმ ხალხს, რომელსაც ქალი ჰყავს მეთაურადო. ახლა, როცა ისტორიის სარბიელზე ისეთი ძლიერი მამაკაცები იბრძვიან, როგორიც ჩინგიზ ყაენი და სულტანი ჯალალედინია, სუსტ ქალს რა მოეთხოვება, ან რა შეუძლია.

— ეგრე ნუ იტყვი, მოჰამედ ბატონო. საქართველოს არც ისე დიდი ხნის წინათ ჰყავდა მეფედ ქალი, ღვთივგვირგვინოსანი თამარი. სწორედ მისი მეფობის დროს მიაღწია საქართველოს სამეფომ უდიდეს ძლიერებასა და აყვავებას.

— შენ თავად წერ შენს შრომაში, თორელო, თამარი გონიერი და ბრძენი, ნაზი, მაგრამ ვაჟკაცივით ნებისყოფიანი და გამბედავი იყოო. თამარის დროს ქვეყანა ასე აფორიაქებული არ იყო და ხალხები ერთიმეორეს განადგურებას არ უქადდნენ, მაშინ არც ჩინგიზ ხანივით სასტიკი და ძლიერი მბრძანებელი იყო სადმე, არც ჯალალედინივით თავზე ხელაღებული და უძლეველი ხელმწიფე. ესეც უნდა იცოდე, ერის ცხოვრებას განმეორებანი არ უყვარს და გამონაკლისების იმედით ქვეყანა არსად აშენებულა.

თორელმა ვეღარაფერი თქვა. ერთხანს ორივე სდუმდა, ეტყობოდა, ორივე თავ-თავისას ფიქრობდა.

— ერთი აზრი მომივიდა, — დაიწყო ისევ ნესევიმ, — ერთი აზრი მომივიდა და სულტანიც რომ ყურს მომიპყრობდეს და ქართველებიც გონიერებას გამოიჩენდნენ, თქვენი ქვეყანა რბევასა და აოხრებას გადარჩებოდა, ომი და სისხლისღვრა შესწყდებოდა, ჯალალედინიც გაძლიერდებოდა და თქვენი ქვეყანაც მოისვენებდა.

თორელი გაოცებული შეჰყურებდა სულტნის მდივანს, ვერ გაეგო თუ რა აზრი უნდა მოსვლოდა მოჰამედ ნესევის.

— თქვენი დედოფალი, როგორც ამბობენ, ახალგაზრდაა, — განაგრძო ნესევიმ, — ჩვენი სულტანი კი ჯერ კიდევ ჭაბუკია და ჯანღონით სავსე; შთამომავლობა ორივეს მაღალი აქვს და კეთილშობილი. სულტანმა რომ თქვენი დედოფალი შეირთოს, თქვენს ქვეყანას ძლიერი და გონიერი პატრონი გაუჩნდება. ურთიერთქლეტის ნაცვლად ქართველები და ხვარაზმელები თავიანთ ლაშქარს შეაერთებენ და საერთო მტერს, მონგოლებს წინაღუდგებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კარგი იქნებოდა, მაგრამ ეგ არ მოხდება.

— რათა, თუკი დიდი სულტანი ინებებს?!

— ქართველთა დედოფლის ქმარი მხოლოდ ქრისტიანი შეიძლება იყოს. სულტანი ჯალალედინი კი თავს საისლამოს წინამძღოლად თვლის და ქრისტიანულად როგორ მოინათლება.

ნესევიმ წარბი შეიკრა და მოიღუშა.

— თუ დიდი და აღმატებული სულტანი თავისი ქმრობით ბედნიერს გახდის თქვენს დედოფალს, თავად უნდა შემოეხვეწოს და მაჰმადის რჯულიც მიიღოს.

— ეგ არ მოხდება, — მტკიცედ თქვა თორელმა და თავის გაქნევით დაამოწმა უარი.

— ქართველებს მხოლოდ ჩვენი სულტნისა და თქვენი დედოფლის შეუღლება თუ იხსნის მოსპობისა და განადგურებისაგან. თუ საქართველოს მესვეურებს გონიერება არ დაჰკარგვიათ, თავად უნდა შემოეველრონ დიდებულ სულტანს.

— სწორედ რომ გონიერება უკარნახებთ ქართველებს, ეგ არა ჰქნან, და ორივე ცხოვრება — ამ ქვეყნიური და იმ ქვეყნიურიც—არ წააგონ. ჩვენი ხალხი არც ისე მრავალრიცხოვანია, ქვეყნად ნათესავი არა ჰყავს, ირგვლივ მაჰმადიანური ზღვა გვაკრავს და თუ საჭე სწორად **არ მივმართეთ, ამ ზღვაში ჩა**ვიძირებით. ქართველები კარგა ხანია მეზობელი მუსულმანების ქრისტეს რჯულზე მოქცევისა და გაქართველებისათვის ზრუნავენ და ფიქრადაც როგორ გაიფიქრებენ, რომ მათ ტახტზე მუსულმანი მეფე დაჯდეს და საქართველოს დედოფალმა მაჰმადის რჯული იწამოს. ეს მარტო დედოფლის განწირვა როდი იქნებოდა, ამას ქართველობაზე ხელის აღება და საქართველოს სამუსულმანო ზღვასთან შეერთება-გათქვეფაც მალე მოჰყვებოდა.

— იქნებ სრულიად მოსპობასა და განადგურებას მაჰმადის ჭეშმარიტი რჯულის მიღება და ამით ქვეყნის გადარჩენა ემჯობინებოდა.

— ეგ არ მოხდება, ნესევი ბატონო. ქართველები უმალ დედიან-ბუდიანად გაიჟლიტებიან, ვიდრე ქრისტეს რჯულზე, თავიანთ ენასა და სამკვიდრებელზე ნებით ხელს აიღებენ.

თორელთან საუბრის შემდეგაც ვერ მოიშორა ნესევიმ ხვარაზმის სულტნისა და საქართველოს დედოფლის შეუღლებაზე ფიქრი. საქართველო მტრისათვის ძნელად მისადგომი ქვეყანა იყო. თუ ქართველთა და ხვარაზმელთა შეერთებული მხედრობა მონგოლებს ვერ სძლევდა, სულტანს ირანის ტრამალებზე სულმოუთქმელი რბენა და თავშესაფარის ძებნა მაინც არ დასჭირდებოდა. საქართველოს მიუვალ მთებში მონგოლების წასვლამდე კი არა, მათ გადაშენებამდე შეიძლებოდა გახიზვნა და ჩაკეტვა. საქართველო მდიდარი ქვეყანა იყო და მისი საჭურჭლის დაპატრონება ჯალალედინს სამუდამოდ უზრუნველს გახდიდა. ყოველივე ამას ფასი მხოლოდ მაშინ ექნებოდა, თუ ჯალალედინის საქართველოში დამკვიდრება ქართველთა ნებითა და თანხმობით მოხდებოდა. ძალით კი...

საქართველო ჯერ კიდევ ძლიერი იყო. მას კიდევ შეეძლო დიდი ლაშქრის გამოყვანა და ვინ იცის, ომის ღმერთი ვის მხარეზე გადახრიდა სასწორს. ომში რომ კიდევაც ეძლიათ ქართველები, ჯალალედინი მათი საჭურჭლის დაპატრონებას ვერ შესძლებდა. გურჯები თავიანთ განძს იმ მიუვალ მთებში გადამალავდნენ, რომლებშიაც თავად შეილტვოდნენ. დაპყრობილ ქვეყანაში ჯალალედინი ფეხს ვერ მოიკიდებდა, ქართველთაგან მუდამ თავდასხმის შიშში იქნებოდა, შფოთი და ამბოხი არ მოასვენებდა.

ამიტომ ორივე მხარისათვის მიზანშეწონილად და ერთადერთ ხსნად ნესევის დაზავება და გვირგვინოსანთა შეუღლება ესახებოდა. თორელის გადაჭრით ნათქვამი, ეგ არასოდეს არ მოხდებაო, მგოსნურ გაზვიადებად მიიჩნია, გადამწყვეტ ბრძოლაში დამარცხებული ქართველები, მისი ვარაუდით, სულიერადაც

შემდრკალნი და გატეხილნი უნდა ყოფილიყვნენ და ასეთ დროს სამოყვროდ გაწვდილ ჯალალედინის ხელს სასოებით უნდა მთხვეოდნენ.

ამ აზრზე რომ მტკიცედ დადგა ნესევი, სულტანს ეახლა და თავისი ეს შეხედულება საიდუმლოდ გაანდო. მდივანმა ჩაგონების ყველა ღონე მოიშველია, მჭევრმეტყველებაცა და ცივი ანგარიშიც, არსებულიც წინ გადმოუშალა და შესაძლებელიც მიმზიდველად დაუხატა.

ჯალალედინს ერთგული მდივნის რჩევა ჭკუაში დაუჯდა და მაშინვე საქართველოს ხელისუფლებთან გასაგზავნი წერილის დაწერა უბრძანა.

ჯალალედინი სიფრთხილეს იჩენდა. საქართველოში რომ დაზავებისა და რუსუდან დედოფალთან შეუღლების წინადადებით ელჩები გამოგზავნა, თავადაც ურიცხვი ლაშქრით უჩუმრად გამოემართა.

სულტანი ქართველებს დამოყვრებას სთავაზობდა. სინანულს გამოსთქვამდა ქართველებთან ომის გამო და ირწმუნებოდა, რომ აღარასოდეს მათ წინააღმდეგ ხმალს აღარ აღმართავდა. ამით ჯალალედინი ქართველთა სიფხიზლეს ადუნებდა, *თორემ ჩუმად საქართველოს* დასაპყრობად მოემართებოდა და თუ მოყვრობის უარს მიიღებდა, თავის საწადელს ძალით აისრულებდა.

ჯალალედინს შალვა ახალციხელიც თან მოჰყავდა. ქართველთა წინააღმდეგ შურისსაძიებლად ამხედრებული ახალციხელი ისე გახარებული ჩანდა, თითქოს ქორწილში მიდიოდა საქეიფოდ. ქართველებს ხმამაღლა აგინებდა და იმუქრებოდა, რომ ქვას ქვაზე არ დასტოვებდა გამყიდველი მხარგრძელისა და უმადური დედოფლის სამფლობელოში.

საქართველოს სამეფოს მიუვალ კუთხეებში უნდა წარსძღოლოდა სულტანს მეგზურად ქართველი დიდებული. მარანდისა და ურმიის მხარის პატრონს უკვე დაემსახურებინა ჯალალედინის ნდობა და სულტანი მომავალ ბრძოლებში მის ერთგულებაზე დიდ იმედს ამყარებდა.

მაგრამ მოულოდნელად სულტანსაც თვალი აეხილა და ახალციხელის თამაშიც დაწყების უმალვე დასრულდა.

ჯალალედინის წერილმა საქართველოში დიდი ალიაქოთი გამოიწვია. დარბაზი დაუყოვნებლივ შეიკრიბა.

რუსუდან დედოფალს თბილისში ჰყავდა მძევლად შირვანშას თვრამეტი წლის შვილი, ვაჟკაცობითა და სილამაზით განთქმული სულტანშა. დედოფალს თავდავიწყებით უყვარდა ეს ზრდილი და მოხდენილი ჭაბუკი. პირველი ქმრის, მოღასედინის გაყრის დასტური უკვე მიეცა დარბაზს და ჯალალედინი რომ არ გამოჩენილიყო, სულტანშას ამდენ ხანს შეუუღლდებოდა.

ახლა, ჯალალედინი რომ ქმრობას სთხოვდა, ყველაფერი ყირამალა დგებოდა. თავად რა ჭირად უნდოდა უკვე ხანში შესული ხვარაზმელი სულტნის, იმ „კრუხის პალოსა და ქონდრის კაცის“ თანამეცხედრეობა, როცა აგერ ვარსკვლავივით მიჯნური ჰყავდა, მაგრამ სახელმწიფოსათვის ესოდენ ძნელბედობის ჟამს დარბაზი დედოფლის პირადი სურვილით ხომ არ იხელმძღვანელებდა *ამ მნიშვნელოვანი საკითხის* გადაწყვეტისას.

ჯალალედინი გამარჯვებული იყო და რაკი დამარცხებულ ქართველებს ხელს სამოყვროდ უწვდიდა და დაზავებას სთავაზობდა, ძნელი საფიქრებელი იყო, რას უფრო მაღლა დააყენებდა დარბაზი — დედოფლის სურვილსა და პირად ბედნიერებას, თუ ქვეყნის კეთილდღეობასა და მომავალს. ამიტომ არ აშრებოდა რუსუდან დედოფალს თვალზე ცრემლი.

მაგრამ მოხდა ის, რასაც არც რუსუდანი ელოდა და არც თავად ჯალალედინი.

ქართველმა დიდებულებმა უფრო შორს განსჭვრიტეს: ჯალალედინი არც

ეროვნული ბიბლიოთეკა

უჯარო და უნებისყოფო მოღასედინი იყო, არც სათნო და კეთილი დავით სოსლანი. ქართველ დიდებულთა ანგარიშით უზარმაზარი ქვეყნის მართვას დაჩვეული სულტანი საქართველოს დედოფლის უბრალო თანამეცხედრეობას კი არ დაჯერდებოდა, — სკიპტრას წაეპოტინებოდა, მთელ ხელისუფლებას თავად იგდებდა ხელთ და ქართველებს თავიანთ ქვეყანაში აღარაფერს ჰკითხავდა. ეს ყველაზე დიდი უბედურება იქნებოდა რუსუდან დედოფლის სისუსტით განებივრებული, თავაშვებული ქართველი დიდებულებისათვის.

მაგრამ ქართველ დიდებულთაგან ჯალალედინის მეფედ დაჯდომას ყველა მხოლოდ თავისი სარგებლითა და ზარალით როდი ზომავდა, უმრავლესობა ერის კეთილდღეობისათვის უკეთესს არჩევდა და ხვარაზმელთა მოსვლას საქართველოსათვის უდიდეს საფრთხედ თვლიდა: ჯალალედინს სამასი თუ ოთხასიათასიანი ლაშქარი ახლდა დედაწულითურთ. საქართველოს მიწა-წყალზე ასეთი სიმრავლით უცხოთა ჩამოთესლება და დასახლება ქვეყნისათვის დიდ უბედურებად მიაჩნდა და ამაში ერის გადაგვარების საშიშროებას ხედავდა. თანაც, ჯალალედინი მაჰმადის რჯულის თავგამოდებული აღმსარებელი იყო და არა თუ ქრისტიანობაზე მოქცევის სურვილს გამოსთქვამდა, საერთოდ, მუსულმანთა მეთაურად და ქომაგად მოჰქონდა თავი. ასეთი კაცი არა თუ გაქართველდებოდა და გაქრისტიანდებოდა, თვითონ მოუნდომებდა ქართველთა დედოფალსა და მთელ საქართველოს გამუსულმანებას და წყეული მაჰმადის რჯულზე ძალით მოქცევას.

დარბაზმა ერთხმად უარჰყო ხვარაზმელი სულტნის წინადადება და ელჩები ცივი უარით გამოისტუმრა.

ადარბადაგანში ჯალალედინის დამკვიდრებამ იმთავითვე შეაშფოთა მეზობელი მუსულმანური სამეფოები. ხვარაზმელმა სულტანმა მოსვლისთანავე ხლათისა და იკონიის სამეფოებს მეგობრობა და კეთილმეზობლობა შესთავაზა, მუსულმანების მფარველად გამოაცხადა თავი და მათი შემწუხებელი ურჯულო ქართველების ალაგმვა თავის უპირველეს მოწოდებად და ამოცანად დასახა.

ხლათის, იკონიისა და არზრუმის მუსულმან მფლობელებს ქართველთათვის ფრთების შეკვეცის აღთქმა ესიამოვნათ, მაგრამ ისინი საკუთარი ქვეყნებისა და გვირგვინის ბედზე უფრო ფიქრობდნენ, ვიდრე მაჰმადის სარწმუნოების ქომაგობაზე. ადარბადაგანში ესოდენ მტკიცე და გაბედული მმართველის, უფლებისმოყვარე და ზვიადი, ომისა და შფოთის მძებნელი სულტნის დამკვიდრება, რომელსაც თან დიდძალი მხედრობაც ჰყავდა, ვინ იცის რას უქადდა მეზობელ სამუსულმანო სამეფოებს.

ჯალალედინი თავისი მამის მემკვიდრედ აცხადებდა თავს. მუჰამედის უზარმაზარ სამეფოსაგან ხვარაზმელ სულტანს ეს განაპირა ადარბადაგანიღა შერჩენოდა, რომელსაც სინამდვილეში ხვარაზმშა არასოდეს არ განაგებდა; ხარბი და პატივმოყვარე ჯალალედინი ადარბადაგანის დაპყრობას არ დაჯერდებოდა, მადა გაეზრდებოდა და ხლათსა და იკონიასაც მოინდომებდა. მაშინ ელაშრაფსა და ქეი ქობადსაც იქნებ ათაბაგ უზბეგის ბედი სწეოდათ.

ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად ეგვიპტესაქეთა სამუსულმანო სამეფოებს ერთმანეთთან საიდუმლო მოლაპარაკება გაემართათ და ჩუმ სამზადისს შედგომოდნენ. გარეგნულად მათაც ისე ეჭირათ თავი, თითქოს ჯალალედინის დამეზობლებას მათთვის ბედნიერება მოეტანოს. ძღვენითა და საჩუქრებით დატვირთულ ელჩებს ხშირ-ხშირად უგზავნიდნენ, მეგობრობას ეფიცებოდნენ და თანაც საიდუმლოდ იმის შეტყობას ცდილობდნენ. თუ ნამდვილად რა ფა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რული გეგმები ჰქონდა გადამთიელ სულტანს ერთმორწმუნე მეზობლების მიმართ.

არეზთან დაბანაკებულ სულტანს ხლათის დედოფალი თამთა ესტუმრა დიდი ამალითა და ძღვენით დატვირთული ქარავნებით. ხლათის მბრძანებელი თამთა დედოფალი ჯალალედინის გულის მონადირებას მარტოდენ ძვირფასი საჩუქრებით როდი ფიქრობდა. მას უფრო იმედი ჰქონდა თავისი სიტურფისა და მომხიბვლელობისა, რომლის წინაშე ჯერ კიდევ უღონონი იყვნენ ყველაზე მტკიცე ხასიათისა და ცივსისხლიანი ვაჟკაცებიც.

ქართველი მთავრის ასულს, ხლათის გარდა, საქართველოს ბედიც დიდად აწუხებდა. იგი იმ მიზნით უფრო ესტუმრა ჯალალედინს, რათა საქართველოსთან ზავის შესაძლებლობასა და პირობებზე მოლაპარაკებოდა.

თამთას სხვა იდუმალი განზრახვაც ამოქმედებდა. მას ჯალალედინის დიდებული ტყვის, თავისი პირველი მიჯნურის, შალვა ახალციხელის ამბის მიკვლევაც უნდოდა. დედოფალს გადაწყვეტილი ჰქონდა სულტნის ტყვე გამოესყიდა, თუ ამის შესაძლებლობა მიეცემოდა.

ბანაკიდან შორს, ქვეითად გაეგება თამთას ჯალალედინი. დედოფლის დანახვაზე დაიბნა, არ ელოდა თუ ესოდენ ლამაზი იქნებოდა.

იმ დღეს დიდი ნადიმი გაუმართა. თვითონ აწოდებდა რჩეულ კერძებსა და სასმელებს. ხლათის დედოფალი სწორივით ესაუბრებოდა სახელოვან სულტანს, თავი ღირსეულად ეჭირა, იშვიათი ზრდილობითა და თავაზით პასუხობდა ჯალალედინის სიტყვასა და ქცევას და თან ზომიერად აფრქვევდა თავის შეუდარებელ, ვაჟკაცის მომჯადოებელ ღიმილს.

მეორე დღეს თამთამ მიიწვია ვახშმად სულტანი თავის კარავში. გულოვანი და ბუნებით გამბედავი ჯალალედინი ხლათის დედოფლის წინაშე თავისდაუნებურად უჩვეულო კრძალვასა და რიდს იჩენდა. მის წარმტაც სახეს ხატივით შეჰყურებდა და მიუხედავად ესოდენ სიახლოვისა, ისეთ სიშორეს გრძნობდა, თითქოს მისგან მიუწვდომლად მაღლა მდგარიყოს.

დედოფალი სახელმწიფო საქმეებზე განზრახ არაფერს ამბობდა, სალაპარაკო არ ელეოდა და საუბარს ისეთ გეზს აძლევდა, რომ ჯალალედინს შთაბეჭდილება შექმნოდა — ხლათის დედოფალი მხოლოდ ჩემს გასაცნობად, ჩემს მოსახიბლავად არის მოსულიო.

დედოფალმა და სულტანმა თავიანთი მხლებლები დაითხოვეს და მარტონი დარჩნენ. არც ამ მარტოობით ისარგებლა დედოფალმა, საქმეებზე სიტყვაც არ დასძრა, თითქოს ქვეყნის ჭირ-ვარამი არც აწუხებდა. ღვინომოკიდებულ სულტანს ბუნდოვანი, მაგრამ მიმზიდველი საუბრით აბრუებდა და თავდავიწყების იდუმალ ქსელში აბამდა. მაგრამ საოცარი ის იყო, რომ მანძილი სულტანსა და დედოფალს შორის არ მოკლდებოდა, თამთას შეუვალობა და ჯალალედინის გაუბედაობა კიდევ უფრო იზრდებოდა. ჯალალედინს გული მოსდიოდა თავის ამ კრთომაზე და დედოფლის შეუვალობაზე; ვერც თავის თავს უხერხებდა ვერაფერს, არც დედოფალი იცვლიდა ერთხელ აღებულ გეზს.

ბოლოს, რაკი დარწმუნდა, რომ უღონო იყო დაეძლია თავისი გაუბედაობა და დედოფლის მიუკარებლობა, სულტანი ფეხზე წამოდგა, თამთას ძილი ნებისა უსურვა, დაემშვიდობა და მისი კარავი დასტოვა.

საქართველოს საბოლოოდ დასაპყრობად გალაშქრებულ ჯალალედინს შალვა ახალციხელიც თან მიჰყავდა. გამოცდილი სარდალი ჯარის მოძრაობასა და მეთაურების სიფრთხილეს აკვირდებოდა და რწმუნდებოდა, რომ სულტანი თავის განზრახვას არავის უმხელდა. საქართველოზე თავდასხმის სამზადისს

ყოველნაირად ნიღბავდა. ეტყობოდა, ჯალალედინი საქართველოში მოულოდნელი შეჭრითა და თბილისზე უეცარი იერიშით ფიქრობდა ქართველთა წინააღმდეგობის საბოლოოდ გატეხვასა და მათი ძლიერების განადგურებას.

თუ ქართველთა სარდლობა ახლავე შეიტყობდა ჯალალედინის გამოლაშქრებას, კიდევ შეიძლებოდა ჯარის შეკრება, თბილისის გამაგრება, მტრისათვის გზის გადაღობვა.

ჯერ კიდევ იყო დრო, ქართველებს როგორმე უნდა შეეტყოთ ხვარაზმელი სულტნის განზრახვა. შალვა ახალციხელი ჯალალედინის გულის მოგებასა და მისი ნდობის დამსახურებას სწორედ ამ დღისათვის ცდილობდა. სულტანი ქართველ ტყვეს უკვე თავის ერთგულად და გურჯების მტრად თვლიდა, საქართველოს დასაპყრობად მიჰყავდა და უცნობ ქვეყანაში ლაშქრის მეგზურობას ანდობდა. ახალციხელს შეუძლია ამ ნდობით ისარგებლოს და ჯალალედინი თავისი ჯარით ისეთ ადგილას შეიტყუოს, სადაც ქართველებს მისი დამარცხება და განადგურება არ გაუჭირდებათ, ოღონდ ამისათვის ქართველთა სარდლობის გაფრთხილებაა საჭირო, რათა ქართველები საიდუმლოდ გამოემართონ დათქმულ ადგილას, რომელიმე ვიწრო ხეობაში ჩასაფრდნენ და იქ შალვას მიერ შეტყუებულ მტერს მოულოდნელად თავს დაესხან.

ახლა ყველაფერი ახალციხელის გამჭრიახობასა და მოხერხებაზე ჰკიდია; თუ როგორმე ამბის წამღები კაცი იშოვა, მერე საქმე კარგად წავა, ქართველები არ დააყოვნებენ ჯარის შეკრებას და ხვარაზმელების დახვედრას. მტერს უეცარი დარტყმით გაანადგურებენ და შალვას სამშობლოში დაბრუნება ეღირსება.

ახალციხელს არც ჯალალედინისაგან აკლია პატივი. მისი ახლანდელი სამფლობელო ბევრად აღემატება მისსავე მამულებს საქართველოში, ქონებაც მეტი აქვს და ყმაც ბევრი ჰყავს, მაგრამ იცის შალვამ, რის ფასადაც უბოძა სულტანმა ყოველივე ეს თავის ქართველ ტყვეს. გარნისის მარცხით შეურაცხყოფილი ღირსებისა და შელახული პატივმოყვარეობის იმედით ენდო სულტანი ახალციხელს. შალვას მოღალატე ქართველებზე შურისძიების წყურვილი ჰკლავს და აი, სულტანმა იგი უზარმაზარი ლაშქრის მეგზურად დააყენა, რათა ხვარაზმელთა მახვილით იყაროს ქართველებზე გულისჯავრი, მოსპოს და იავარყოს მისი გამყიდველი თანამემამულენი.

თავათ უზომოდ პატივმოყვარესა და ფიცხ ჯალალედინს ყველა მასავით ავი და გამწარებისას დაუფიქრებელი ჰგონია. ახალციხელი ეგრე გულნამცეცა როდია, რომ საკუთარ გაბოროტებას სამშობლოს სიკეთე ანაცვალოს. შალვას ყველა ქართველთან ერთად ჯერ მთავარი მტერი ჰყავს მოსაშორებელი და ეს მტერი ხვარაზმელი სულტანია. როცა ჯალალედინი დამარცხდება და საქართველოს საზღვრებს გაეცლება, მერე შალვა თვითონ გაუსწორდება თავის მტრებს თავისავე ქვეყანაში, ვაჟკაცურად და ნამუსიანად, მისი პატიოსანი სახელისა და ღირსების შესაფერისად. მაგრამ ეს დღე არასოდეს არ დადგება, თუ ახლა არ იმოქმედებს სწრაფად და წინდახედულად. ახლანდელ მის ყოველ ნაბიჯზეა დამოკიდებული არა მარტო მისი ბედი, არამედ საქართველოს ყოფნა-არყოფნა, სამშობლოს აწმყო და მომავალი. შალვას თავისი ხმლითა და ვაჟკაცობით ბევრი სამსახური გაუწევია სამშობლოსათვის, მაგრამ მისი თავდადება საქართველოს ისე არასდროს დასჭირებია, როგორც ახლა სჭირდება. საქართველოს ძლიერებისა და ეგებ არსებობის ბედიც ბეწვზე ჰკიდია და თუ შალვა დროით არ იღონებს რასმე, თვითონაც სულითა და ხორცით წაწყდება და მისი სათაყვანებელი სამშობლოც დაიღუპება.

ძილი გაუტყდა შალვას და მოსვენება დაეკარგა. აწრიალებული ხან ვის მიაწყდა და ხან რას. ირგვლივ მზირებსა და ჯაშუშებს ხედავდა. გრძნობდა, რომ მის ყოველ ნაბიჯს ფხიზლად ადევნებდნენ თვალს, მის კარავში არავის

ატარებდნენ და არც ქართველ ემირს უშვებდნენ სადმე, რომ თან რამდენიმე მცველი არ გაჰყოლოდა.

ამ ყოფაში არეზამდე მიაღწიეს. აქედან უკვე საქართველო დაიწყებოდა. დრო ილეოდა და გზა მოკლდებოდა.

არეზთან სულტანი შეყოვნდა. ჯერ კიდევ იყო მცირე, ძალიან მცირე დრო, ჯერ კიდევ შეიძლებოდა თავის განწირვა და სამშობლოს გადარჩენა, მაგრამ როგორ და რა გზით!..

შუაღამე გადასულიყო. შალვას კიდევ არ ეძინა. თავის კარავში გულაღმა იწვა და ამაოდ ფიქრობდა გამოსავალზე.

უცებ კარვის კალთამ გაიშრიალა. შალვა ფიქრიდან გამოერკვა, კარისკენ მოიხედა.

კარავში შავით დაბურული უცნობი შემოვიდა. **შალვამ უმალ ის გაიფიქრა,** ნამდვილად ჯალალედინის მიერ მოგზავნილი მკვლელი იქნებაო. უცებ წამოხტა და ხმალს წაეტანა.

— ჩუმად! არავინ გაიგონოს! — უთხრა მოსულმა ქართულად და ტუჩზე ხელი დაიდო.

შალვა გაოცებისგან საწოლზე ჩაიკეცა.

— თამთა დედოფლისგან ვარ, ქართველი ყმა, — ჩურჩულით უთხრა უცნობმა, მიუახლოვდა და პირიდან საბურავი გადიძრო.

ახალციხელის წინაშე ახალგაზრდა, ჯერ უწვერული ქართველი იდგა.

— თამთა სად არი, ან შენ რა გინდა აქ? — იკითხა ჩურჩულითვე შალვამ.

— ხლათის დედოფალი სულტან ჯალალედინის სტუმარია, შენი აქ ყოფნა შეიტყო და მე გამომგზავნა იმის სათქმელად, რომ დედოფალი შენს გამოსახსნელად არის აქ და უთუოდ გიშველის.

— მე შველა არ მინდა, არც გამოხსნა, მაგრამ თუ შენ მართლა ქართველი ხარ და შენი დედოფალი და სამშობლო გიყვარს, ერთ დიდ საქმეში უნდა დამეხმარო... ეს საქმე თავდადებას მოითხოვს და შეიძლება ორივე შევეწიროთ. შენ ჯერ ახალგაზრდა ხარ და სიცოცხლე გეყვარება, მაგრამ სამშობლოსათვის სიკვდილი გმირობაა და ჩემთან ერთად ეგებ შენც მოგკლან.

— ჩემთვის მაგაზე დიდი დიდება რა უნდა იყოს, მთავარო?!

— ახლა სხვა გზა არ არი, ან სამშობლო უნდა ვიხსნათ მე და შენ, ან ორივე უნდა დავიღუპოთ და სამშობლოც დავღუპოთ...

აღელვებული, აღგზნებული ჭაბუკი გაფართოებული თვალებით შეჰყურებდა სახელოვან სარდალს.

— მეფეს და ჩვენს სარდლობას მტრის გალაშქრების ამბავი უნდა შევატყობინოთ. მე აქედან ცოცხალს არ გამიშვებენ. შენ რაკი ხლათის დედოფლის მხლებელი ხარ, ხელს არ გახლებენ, საქართველოსკენ სწრაფად უნდა გაფრინდე და ჩემი წერილი მეფეს მიუტანო.

— ამაღამვე წავალ, სულ ფრენით ვივლი... — აღფრთოვანდა ჭაბუკი.

შალვა დაჯდა, კალამი აიღო და სწრაფად შეუდგა წერას. წამით ეჭვმა გაჰკრა, ვაი თუ ეს უცნობი ჯალალედინის მიერ მოგზავნილი ჯაშუშიაო. მაგრამ სხვა გზა მაინც აღარ იყო, ისედაც ყველაფერი იღუპებოდა და წყალში იყრებოდა. თუ ჭაბუკი მართლა თამთას ქართველი მხლებელი იყო, ხომ ეშველებოდა მათაც და საქართველოსაც, თუ არა და ქვეყანა უმისოდაც იღუპებოდა, საშველი აღარც საქართველოსთვის იქნებოდა და აღარც შალვასთვის.

შალვამ წერილი დაწერა, ჭაბუკისკენ მობრუნდა და თვალი თვალში გაუყარა.

— შემომფიცე, **რომ სამშობლოს** არ უღალატებ და ამ წერილს საქართველოში მიიტან.

— ვფიცავ ჩემს დედასა და მამას, გორისჯვრის წმინდა გიორგის! — აღმოხდა ჭაბუკს და მუხლებზე დაეცა ხელაპყრობილი.

გრიგოლ აბაშიძე

დიდი ღამე

— გორელი ხარ? რა გვარისა ხარ?

— გელაშვილი გახლავარ, მთავარო. — უთხრა ჭაბუკმა, ახალციხელის წერილს ემთხვია, ხელსახოცში მაგრად გამოჭკრა და უბეში ჩაიდო.

შალვა გადაეხვია უცნობ ქართველს და კარვის კარამდე მიჰყვა.

— გახსოვდეს, საქართველოს ბედი მაგ წერილზეა!—ერთხელ კიდევ უთხრა ჩურჩულით და კარვის კალთა ასწია.

ჭაბუკმა უსიტყვოდ შეანათა დიდრონი თათლისფერი თვალები და კარვიდან ქურდივით გაიპარა.

უგუნებოდ გამოვიდა თამთას კარვიდან თავის თავზე და დედოფალზე გაბრაზებული სულტანი. ამდენ ხანს მიყუჩებული პატივმოყვარეობის გრძნობა გაეღვიძა და ბოღმა ყელში მოაწვა. ეს ბოღმა ვინმეზე ან რაიმეზე უნდა გადმოენთხია, თორემ მოსვენებას არ მისცემდა, გაასიებდა და გაგუდავდა.

კარვის კართან მდგარი მამლუკები უხმოდ მიყვნენ მბრძანებელს. კარგა გზა რომ გაიარეს, ჯალალედინი უცებ შეჩერდა, რომელიღაც კარვის კედელს აეკრა და მცველებს ხელით ანიშნა.

სულტნის მცველებიც კედლებს აეკრნენ და იმათაც თვალი იმ კარვისაკენ მიაპყრეს, რომელსაც ჯალალედინი ასე დაჟინებით უცქერდა: კარვის კალთა დაეშვა და უმალვე დაფარა ტანბრგე ვაჟკაცის ლანდი. სამაგიეროდ მეორე ლანდი მოშორდა კარავს, წელში მოხრილი, ფეხაკრეფით წამოვიდა და თან აქეთ-იქით ქურდივით იხედებოდა, ხომ არავინ მიყურებსო.

ლანდი ჯალალედინს გაუსწორდა და გასცდა. სულტანმა მამლუკებს ანიშნა, უცნობს ჩუმად მიჰყოლოდნენ. ჯალალედინი წელში მოიხარა, მშვილდზე ისარი გამართა და თავადაც შორიახლო მიჰყვა უცნობს.

ლანდი კარვებს გასცდა და არეზისკენ სირბილით წავიდა. მდევრები ფრთხილობდნენ, ფეხის ხმა არ მისწვდომოდა გაქცეულს, ფეხაკრეფით მისდევდნენ და თვალს არ აშორებდნენ.

უცნობი მდინარესთან მივიდა, პირჯვარი გადაიწერა და ის იყო წყალში უნდა გადაშვებულიყო, რომ ჯალალედინის მშვილდს ისარი მოსწყდა და კანჭში ჩაესო.

გელაშვილმა ერთი მწარედ დაიკვნესა და წამით ჩაიკეცა. მერე თავს ძალა დაატანა, მდინარეში შევიდა და ჩაყვინთა.

ჯალალედინის მამლუკებმა სეტყვასავით დააყარეს იმ ადგილს ისრები, მერე იარაღი გადაყარეს და თვითონაც წყალში გადაეშვნენ.

ცოტახნის შემდეგ ლონემიხდილი გელაშვილი ნაპირზე ამოათრიეს სულტნის მცველებმა.

დაჭრილი ჯალალედინის სამყოფელში მიიყვანეს. გაჩხრეკისას წერილი უპოვნეს, ქართულის მცოდნე სპარსელს წააკითხეს და ათარგმნინეს.

შალვა ახალციხელი ქართველებს სწერდა, რომ ჯალალედინი თბილისისა და დანარჩენი საქართველოს დასაპყრობად მოდიოდა; ლაშქრის რიცხვს ატყობინებდა და თანამემამულეებს თავის საიდუმლოებას უმჟღავნებდა: სულტანს თავდადებული სამსახურითა და ქართველების გინებით თავი მის ერთგულად და საქართველოს უბოროტეს მტრად მოვაჩვენე, საქართველოში გზის მაჩვენებლად მოვუძღვები ხვარაზმელებს, ამა და ამ ადგილას დამხვდით თქვენი ლაშქრით ჩასაფრებულნი. მტერს მოულოდნელად თავს დაესხით და ერთიანად გავანადგუროთო.

ჯალალედინი გაცოფდა. წეღანდელი ბოღმა და ახლანდელი რისხვა შეერთდნენ, შემკავებელი ჯებირები გადმოლახეს და სულტანი გიჟს დაემგვანა: ირგვლივ ყველაფერი მილეწ-მოლეწა, თავში წაიშინა და დაკლულივით აღრიალდა.

გონს რომ მოეგო, მაშინვე ახალციხელი შეაპყრობინა და ხლათის დედოფლის სამყოფელს ალყა შემოარტყა.

იმდენად ახალციხელის ვერაგობა და თამთას ცბიერება არ აბრაზებდა ჯალალედინს, რამდენადაც თავისი გუ-

ლუბრყვილობა და მიამიტობა, რომელიც ორივეს წინაშე გამოიჩინა.

როგორც გადრეკილი ხის ჩრდილი არ გასწორდება, ისე ურჯულო არ დაგინდობს და გაგიტანს!

როგორ ერწმუნა სულტანი ქართველი ტყვის ფიცსა და ლიქნს, როგორ ბრმად მიენდო და კინაღამ განსაცდელში ჩააგდო თავის თავიც და მთელი ლაშქარიც.

ეს დედოფალიც საიდან გაჩნდა სწორედ ახლა, საქართველოზე გალაშქრებისას. როგორ ამაყად და თან მომჯადოებლად იქცეოდა, იზიდავდა, ახლოს კი არ უშვებდა, თითქოს მართლა უმანკო ქალწული ყოფილიყოს და ამ ქვეყნის ბიწიერების არაფერი სცოდნოდეს!

მერე ვინ ყოფილა ეს დედოფალი! თავათ სისხლით ქართველი და ქართველების ჯაშუში, სულტნის ბანაკში მსტოვრად შემოსული, იქნებ მის მოსაკლავადაც შემოგზავნილი, ვითარცა ივდითი, რომელმაც მოჰკლა ოლოფერნი — კაცი მხნე და მტრისაგან უძლეველი.

რაც უფრო უკვირდებოდა თამთას ქცევასა და ახალციხელის ორგულობას, რაც უფრო მეტს ფიქრობდა თავის გულუბრყვილობაზე სულტანი, მით უფრო ცეცხლდებოდა, გულს ასკდებოდა და მოთმინებას კარგავდა.

ღამე წრიალსა და ბორგვაში გაათენა.

დილით საქართველოში გაგზავნილი ელჩები დაბრუნდნენ და სულტანს ქართველთა დედოფალთან შეუღლების ცივი უარი მოუტანეს.

ესღა უნდოდა ჯალალედინს!

გამხეცებულმა შეპყრობილთა მოკვლა ბრძანა და თვითონაც ქართველთა დასჯის საყურებლად არეზის პირას გაბრძანდა.

მდინარის პირას დამკლავებული ჯალათი მსხვერპლის მოყვანის მოლოდინში არხეინად მიდი-მოდიოდა.

არეზი ლურჯად მიედინებოდა. მზე არ ანათებდა. ქარი ქროდა. ცა ლურჯი იყო და ცივი. ციოდა არეზის ხრიოკსა და მკაცრ ხეობაში.

შუბოსნებმა ხელებგაკრული ახალციხელი და ხლათის დედოფლის ქართველი მხლებელი გამოიყვანეს, მდინარის პირას დააყენეს და მოეცალნენ. ჯალათი დინჯად მიუახლოვდა, სასიკვდილოდ განწირულებს თვალი მოავლო და დიდებული სულტნისკენ შემოტრიალდა.

სულტანი ამაღლებულ ადგილას იჯდა ტახტზე, ბრაზისა და უძილობისაგან სახეწამონთებული, შუბლშეკრული და წარბებდაქუფრული.

— ბედი არ მქონია, შენი დავალება ვერ შევასრულე... სამშობლოს ვერ ვუშველე... — ამოიგმინა გელაშვილმა.

შალვამ ერთი მოჰხედა, მძიმედ ამოიოხრა და თავი გადააქნია.

— ბედი არც მე მქონია... — გამოსცრა შალვამ.

— ჩემი ბრალი არ არის, მთავარო, ეტყობა, ჯაშუშები მსდევდნენ; როგორც კი მდინარეს მივუახლოვდი, ისარი მტყორცნეს და დამჭრეს, — შესტირა ჭაბუკმა.

ჯალათმა სულტანს თავი დაუკრა:

— ჯერ რომელს მიბრძანებ?

— ჯერ ეგ ღლაპი! — მკვახედ თქვა სულტანმა და ჭაბუკზე მიუთითა.

— თავი მოვკვეთო? — იკითხა ისევ ჯალათმა.

— შუაზე გაჰკვეთე! — ანჩხლად თქვა მბრძანებელმა და ხელი ისე მაგრად დაიქნია ჰაერში, თითქოს უჩვენებდა, როგორ უნდა გაეკვეთა.

ჯალათი შებრუნდა და ხმალი აღმართა.

მსხვერპლმა იმ ხმალს თვალი ააყოლა და განწირულად შეჰყვირა.

ახალციხელმა თვალი დახუჭა, მაგრამ ყურებს ვერაფერი მოუხერხა. გულის სიორმემდე ჩააღწია სიცოცხლით სავსე ჭაბუკის განწირულმა კივილმა. ის კივილიც ხანმოკლე იყო და ახალციხელმა გაიგონა, როგორ ჩუმად დავარდა რიყეზე რაღაც რბილი და მძიმე.

თვალი რომ გაახილა, ჯალათი უკვე სისხლიან ხმალს სწმენდდა. სულტანმა

ბოლომდე უცქირა, როგორ გაჭრილი ვაშლივით დაეცა აქეთ-იქით შუა გაკვეთილი ჭაბუკის სხეული. იქ მყოფ ემირებს რაღაც გადაუჩურჩულა და მისკენ შემობრუნებულ ჯალათს ძუნწად ესროლა:

— ყოჩაღ!

ჯალათმა თავი დაუკრა და ახალ განკარგულებას დაელოდა.

— ომი ნარდის მღერასა ჰგავსო, ამბობდი, ახალციხელო, ღალატი და ორპირობა რაღასა ჰგავს? — მიმართა სულტანმა.

შალვამ თვალი არ გაუსწორა და თავი დახარა.

— როგორც გადრეკილი ხის ჩრდილი არ გასწორდება და მორიელი კბენას არ მოიშლის, ისე ურჯულო ქრისტიანის გასწორება და ბოროტებაზე ხელის აღება არ იქნება. — თქვა ჯალალედინმა, კბილები დააღრჭიალა, ხელი ყელზე გაისვა და ამით ჯალათს ანიშნა დამნაშავისათვის თავი მოეკვეთა.

ჯალათმა ხმალი მოიქნია. ახალციხელს წარბიც არ შერხევია. მოჭრილი თავი ძირს დაგორდა, სისხლმა წამით შადრევანივით იფეთქა და შალვას უზარმაზარი სხეულიც მძიმედ დავარდა რიყეზე.

სულტანმა ახალციხელის მოჭრილი თავი აბრეშუმში შეახვევინა და ხლათის დედოფალს გაუგზავნა.

ჯალალედინმა ციებისაგან ლოგინად ჩავარდნილი ნესევის განკარგულებაში დასტოვა ჯარის ის ნაწილი, რომელიც თამთას სამყოფელს შემოარტყა, და თავის ერთგულ მდივანს უბრძანა, ხლათის დედოფალი არ გაეშვა, ვიდრე თბილისის აღების ამბავი არ მოუვიდოდა.

თავად აიყარა და მთელი ლაშქრით საქართველოსკენ დაიძრა სწრაფად.

ნაშუადღევს ხლათის დედოფალს ოქროცურვილი ლანგრით ჯალალედინის მოსაკითხი მოართვეს. დედოფალმა აბრეშუმის ნაჭერი გადასწია და კაცის მოჭრილი თავი რომ დაინახა, გულწასული დაეცა.

როგორც იყო მოაბრუნეს. თითქოს საზარელ სიზმარს იგონებდა, თვალწინ ის მოჭრილი თავი დაუდგა, გონებაში სისხლით დასვრილი წაბლისფერი თმები და ულვაშები აღადგინა და ლოყაზე ნაჭრევიანი სახე რომ გაიხსენა, კინაღამ ისევ გული შეუღონდა. მოჭრილი თავი მოატანინა, წინ დაიდო და იქ მყოფთ გასვლა უბრძანა. მარტო რომ დარჩა, ახალციხელის შუბლზე ჩამოშლილ თმებს ხელი გადაუსვა და აზრწართმეულ თვალებსა და უკვე ფერდაკარგულ, გაშავებულ ტუჩებს დააშტერდა.

რამდენი უოცნებია თამთას ამ ტუჩების შეხებაზე, რამდენი ღამე გაუტეხია ახალციხელზე ფიქრსა და ოცნებაში ხლათის მელიქის გვერდით მწოლარე დედოფალს!

თამთა ნელა დაიხარა და ახალციხელის ცივ ტუჩებს ეამბორა, მერე უცებ ქვითინი აუვარდა და მთელი ტანით აძაგძაგდა, მოკვეთილ თავს გადაეფარა და საშინელი კივილით იქაურობა შესძრა.

ქართველები კიდევ საკმაო ჯარით დახვდნენ ხვარაზმელებს, რამდენიმე მცირე შეტაკებაში სძლიეს კიდეც და უკუაქციეს წინამბრძოლები. ბოლოს მთავარი ლაშქრის პირისპირ განეწყვნენ და გადამწყვეტი ბრძოლაც უნდა გაემართათ, რომ ამბავი მოუვიდათ: ზურგიდან ჯალალედინის შესაერთებლად წამოსული ყიასედინი უახლოვდებოდა თურმე საქართველოში დატოვებული მარბიელი ლაშქრით.

ორ ცეცხლს შუა მოქცევას ქართველებმა გაცლა არჩიეს და ლიხთ-იმერეთის გადასასვლელები გაამაგრეს, რომ მტერი იქ მაინც არ შეეშვათ.

ჯალალედინმა ყიასედინის ლაშქარი შეიერთა და პირდაპირ თბილისისაკენ წამოემართა, თბილისს მოადგა და სოღანლუღის სანახებში დაბანაკდა. გრძელი გზით დაღლილ ლაშქარს კარგად უნდა დაესვენა, რომ მეორე დღეს ქალაქის იერიში დაეწყოთ.

ჯალალედინმა დაღამებას არ დაუცადა, სამი ათასი რჩეული ცხენოსანი იახლა და ქალაქის მისადგომების დასათვალიერებლად გაემართა.

მაღლობიდან დასცქერდა თბილისს სულტანი. ის, რაც ნაამბობითა და აღწერილობით იცოდა და რაც გაზვიადებულად ეჩვენებოდა, მცირედ და უმნიშვნელოდ წარმოუდგა, როცა თავისი თვალით ნახა ქალაქის მისადგომები.

ქართველთა სატახტო მთა-გორებით იყო მოზღუდული და ეს ბუნებრივადაც გამაგრებული ქალაქი ხელოვნურად მაღალი კედლებითა და საბრძოლო გოდლებით განმტკიცებული ჩანდა. ქალაქის მისასვლელთან მტკვრის ხეობა საგრძნობლად ვიწროვდებოდა და ქართველთა სატახტო მტრისათვის მაგრად იყო ჩაკეტილი. ამ ვიწროებში დიდი ლაშქარი ვერ გაიშლებოდა და რაკი ქალაქს ზღუდეც მაგარი ერტყა სულტნის ემირებს თბილისის აღება ძნელ და თითქმის შეუძლებელ საქმედ ეჩვენათ.

სხვას, ალბათ, ჯალალედინის ადგილზე გამარჯვებაში ეჭვი შეეპარებოდა და გული გაუტყდებოდა, მაგრამ ჯალალედინს იმ ვაჟკაცების სისხლი უდუღდა, რომელთაც სიძნელე და შეუძლებლის დაძლევა არა თუ აშინებთ, კიდევ უფრო იზიდავს და ამხნევებს.

სულტანმა კარგად იცოდა, რომ საქართველოს დედაქალაქი ის აღარ იქნებოდა, რაც ამ სამოიდე თვის წინ ყოფილა. გარნისის ძლევისა და შემდეგ ამდენი რბევის შედეგად საქართველოს ძველი ძლიერება საფუძვლიანად იყო შერყეული. მაგრამ ჯალალედინს ჯერ კიდევ არ ჰქონდა შეტყობილი, რომ საქართველოს მეფემ და მისმა ვაზირებმა იმ დღეს სასწრაფოდ დასტოვეს თბილისი და ქუთაისს გაიხიზნენ. სულტანმა ისიც არ იცოდა, რომ საქართველოს ხელისუფალთა შორის უთანხმოება იყო ჩამოვარდნილი: იმ ძველი, ნაცადი სარდლებიდან, ვისმა გმირობამაც ასე შორს გაუთქვა სახელი ქართულ ხმალს, ზოგნი ცოცხლები აღარ იყვნენ, ხოლო ზოგსაც დედოფალთან ერთად ლიხთ-იმერეთში თავის შეფარებაზე უარი ეთქვა და მიუვალ ციხეებში დარჩენა, საკუთარი ძალით თავთავიანთი სამფლობელოების დაცვა გადაეწყვიტა.

ავაგ ამირსპასალარიცა და შანშე მანდატურთუხუცესიც ციხეების სიმაგრეს მინდობოდნენ და სატახტო ქალაქი მცირე მეციხოვნე ჯარის ანაბარა მიეტოვებინათ.

სულტანმა ჯერჯერობით არც ქალაქის მცველთა რიცხვი იცოდა, არც საქართველოს სარდლობის დაბნეულობა. იგი თბილისთან ძლიერ ომს მოელოდა და საამისო თადარიგს იჭერდა.

ქალაქის დასაზვერად გამოსული ჯალალედინი სანახაობამ მიიზიდა და მიიტყუა. ქართველთა სატახტოს დაცვაში სისუსტის ძებნამ ისე გაიტაცა, რომ თითქმის ქალაქის კართან მივიდა.

მეციხოვნეებს არ გამოპარვიათ მტრის მოძრაობა. თავის მხრივ ისინიც თვალს ადევნებდნენ ხვარაზმელთა რაზმის მოახლოებას: მცირერიცხოვანი მტერი კარგა შორს წამოსულიყო წინ თავისი მთავარი ბანაკიდან. მზვერავ რაზმს უკან დიდი ჯარი არ მოჰყვებოდა. შემთხვევა მართლაც ხელსაყრელი ჩანდა და ქართველებმა გადასწყვიტეს დაუყოვნებლივ ესარგებლათ მტრის ამ სითამამით. ქალაქის მცველებმა მოულოდნელად გააღეს კარი, ფიცხლად გამოცვივდნენ და მტერს გახელებით მიეტივნენ.

ჯალალედინი მიხვდა, რომ ვეღარც გაქცევით უშველიდა თავს, ვერც მთავარი ბანაკიდან მოუსწრებდა მაშველი ლაშქარი; სხვა გზა აღარ იყო, ბრძოლა უნდა მიეღო და უკან ნელ-ნელა დახევით მიახლოებოდა ბანაკად მდგარ თავის ლაშქარს.

ქართველებმა თავგამეტებით შეუტიეს, მაგრამ ხვარაზმელებიც კლდესავით დახვდნენ. ორივ მხრიდან რჩეული, თავზეხელაღებული ვაჟკაცები იბრძოდნენ, დამშეულებივით უტევდნენ ერთიმეორეს და თანდათან ხელჩართულ

ბრძოლაში ებმებოდნენ. რა იცოდნენ თბილისის დამცველებმა, რომ ხვარაზმელ მზვერავთა იმ სამიათასიან რაზმს თავად დიდი და აღმატებული სულტანი უძღოდა წინ! ეს რომ სცოდნოდათ, ქალაქში აღარავინ დარჩებოდა, ქუდზე კაცი გამოვიდოდა და ბრძოლის ბედიც იქვე გადასწყდებოდა, თბილისის კართან.

ქართველებს არც მეციხოვნე ჯარი ჰყავდათ მრავალრიცხოვანი, რომ უბრალო შეტაკებისათვის ქალაქის კარიდან უფრო დიდი ლაშქარი გამოეშვათ და მტერი ერთი დარტყმით იქვე გაენადგურებინათ. თბილისელები ხანგრძლივ ალყასა და გამწვევ, გრძელ ომს ელოდნენ. ქალაქის ზღუდეები საიმედოდ იყო გამაგრებული და მეციხოვნეებს, ალბათ, მტრის ბევრი იერიშის მოგერიება მოუხდებოდათ. ქალაქის მცველები მეფისა და ქვეყნის მეთაურებისაგან ლაშქრის მოშველებას ელოდნენ.

ასე ანგარიშობდნენ თბილისის დაცვის ხელმძღვანელები და ეს ანგარიში სხვა პირობებში სწორიც იქნებოდა. ახლა კი, როცა ხვარაზმელთა სულტანი თავისი ფეხით მოადგათ ზედ ქალაქის კართან, ამ ანგარიშს მიმყოლი ქართველები ხელიდან უშვებდნენ ისეთ ბრძოლასა და ბედნიერ შემთხვევას, რომელიც აღარასოდეს აღარ განმეორდებოდა და რომელიც ახლავე შეიძლებოდა ქცეულიყო ხვარაზმელთა მძლავრობის დასასრულად.

სასტიკსა და ფიცხელ ომში თავად ჯალალედინი უხორცოსავით უშიშრად იბრძოდა, ყველაზე დიდ ცეცხლში შედიოდა და ყველაზე რჩეულ მტრებზე ცხენდაცხენ მიჰქონდა იერიში.

ღამდებოდა. ბრძოლა თანდათან შენივთდა და სულტანმა შეატყო, რომ გამარჯვების სასწორი მტრის მხარეს იხრებოდა. ქართველები მეტის აღტყინებითა და თავგამეტებით უტევდნენ, ხვარაზმელების სიმტკიცე თანდათან დრკებოდა.

მაშინ ერთხელ კიდევ გააფთრებით ეკვეთა მტერს სულტანი, ოდნავ უკან დაახევინა და ცხენიც გასაქცევად შემოაბრუნა.

მიჰქროდნენ, თავქუდმოგლეჯილები ილტვოდნენ ხვარაზმელები. ზარითა და ყივილით მისდევდნენ ქართველები. სადავემიშვებული ცხენები ეცემოდნენ, ხტებოდნენ, ფრთაშესხმულივით მიფრინავდნენ. ქართველები ეწეოდნენ, კაფავდნენ, ჩეხავდნენ და ხოცავდნენ.

ბინდი ჩამოწვა, აღარაფერი ჩანდა.

მემნა ჯაყელმა უცებ ცხენს აღვირი მოსწია. მტრის მთავარი ბანაკის მიახლოვება საშიში იყო. ღამის სიბნელეში მაინც ვეღარაფერს არჩევდნენ და ხვარაზმელთა დევნასაც აზრი აღარ ჰქონდა. მემნამ მტრის დევნით გატაცებული რაზმი შეაყენა, სწრაფადვე უკან შემოაბრუნა და თბილისისაკენ გამარჯვებული შემოიქცა.

ბეწვზე გადარჩენილმა სულტანმა თავის ემირებთან დიდხანს ითათბირა. ზოგმა საყვედური შეჰკადრა, საფრთხეში თავს რად იგდებ, გურჯების დედაქალაქს ლოდსატყორცნები მივუყენოთ, ალყა შემოვარტყათ, მოსვენებას ნუ მივცემთ და თავად გაგვიღებენ ქალაქის კარსო. ქალაქზე იერიში კი არც ერთმა ემირმა არ ურჩია სულტანს. თბილისი მიუდგომელ და ძნელად ასაღებ სიმაგრედ ეჩვენებოდათ ჯალალედინის სარდლებს. ამიტომ თითქმის ერთხმად მოითხოვდნენ ქალაქის გარემოცვას და ალყაში მტრის გატეხვის მოთმინებით ლოდინს.

ჯალალედინს თავისი ემირების რჩევა აბრაზებდა და აღიზიანებდა. ისე ურჩევენ ხანგრძლივი ალყის მორტყმასა და მოთმინებით ცდას, თითქოს სულტანი მამამისის ტახტზე, ხვარაზმის დედაქალაქ ურგენჩში იჯდეს მორჭმით და ქართველთა წინააღმდეგობის გატეხვის მეტი სხვა საფიქრალი აღარაფერი ჰქონდეს. ადარბადაგანში შფოთია, განძასა და თავრეზში შეთქმულები იმასლა ელიან, ჯალალედინი დიდი ხნით შორს გაიგულონ და ახალი აჯანყება დაიწყონ. ხლათის მელიქი და რუმის სულტანი ხმალსა ლესავენ, რომ ზურგში ჩასცენ სიტყვით „საისლამოს ქომაგად“ აღიარებულ სულტანს, ხოლო მონგოლები (რაც ყველაზე საშინე-

ლია), ერაყისა და ისპაჰანისკენ მოიწევენ, დაგეშილი ძაღლებივით ჯალალედინის კვალს დაეძებენ და სადაცაა თავს წამოადგებიან.

არც ქართველებს სძინავთ. მართალია, ლიხსაქეთა ქვეყანა მოოხრებული და წელში გატეხილია, მაგრამ ნახევარი საქართველო ლიხსიქით ისევ ძლიერი და ღონიერია. ქართველების ლაშქარმა წესრიგით დაიხია უკან. ქართველთა მეფეს მთის ხალხები ისევ ძველებურად ემორჩილებიან, მას კიდევ შეუძლია დიდი ლაშქრის მოგროვება და თბილისის კარზე მოყენება, მერე ერთმა ალაჰმა იცის, ვინ აღმოჩნდება ალყაში, თბილისის დამცველი ჯარი თუ ხვარაზმელი სულტანი.

სულტნის ემირებმა ისიც კარგად იციან, რომ ჯალალედინი ქართველთა სატახტოს მართლა მათი ამპარტავნებისა და ურჯულოების დასათრგუნავად კი არ მოდგომია. ქართველთა დედაქალაქი ახლა მთელს აღმოსავლეთში ითვლება უმდიდრესად და მისი საგანძური დროზე უნდა იგდოს ხელთ სალაროგამოცარიელებულმა სულტანმა, რომ წელში გამართვა, ახალი ლაშქრის შეკრება-შეიარაღება და მონგოლთა დასახვედრად მომზადება შესძლოს. იციან სულტნის ემირებმა ეს, ყოველივე კარგად იციან და მაინც თბილისის კართან უქმად ჯდომასა და ლოდინს ურჩევენ.

კარგა ხანია, ჯალალედინი ასე გაცხარებული არ ენახათ.

— თქვენთვის რომ დამეჯერებინა, არც გარნისთან უნდა შევბმოდი ქართველებს, იქაც ასე ამბობდით, მიუდგომელი სიმაგრეა, ტყუილ-უბრალოდ შევაწყვეტთ ჯარსო, — ყვიროდა გაბრაზებული ჯალალედინი და მრისხანედ იყურებოდა იქით, სადაც მისი ძმა ყიაჯედინი იჯდა თავჩაღუნული.

— გარნისში ალაჰმა გვიშველა, სასწაული მოგვივლინა! ეს თავად სულტანსაც ბევრჯერ უბრძანებია... — წაიბუტბუტა ორხანმა.

— აქაც ალაჰი გვიშველის! შველა მხოლოდ ალაჰს შეუძლია! — მოსჭრა ჯალალედინმა და ხელი ცისკენ აღაპყრო.

კარავში სულტნის მამლუკი შემოვიდა. სულტანს თავდახრით მიეახლა და ჩურჩულით რაღაც უთხრა.

— შემოიყვანეთ! — ბრძანა უცებ გამოცოცხლებულმა სულტანმა და სახეზე ნათელი გადაეფინა. მერე ტახტზე მშვიდად დაბრძანდა, თვალი ამაყად მოავლო იქ მყოფებს და ერთხელ კიდევ თავდაჯერებულად წარმოსთქვა:

— შველა მხოლოდ ალაჰს შეუძლია! ალაჰი დიდია და უნუგეშოდ არ დასტოვებს თავის მინდობილთ!..

ორმა მცველმა თავით ფეხებამდე დასველებული, ფეხშიშველა, თმებაბურძგვნილი სპარსელი შემოიყვანა. წყალი წურწურით ჩამოსდიოდა ტანსაცმლიდან და სიცივისაგან კანკალებდა. შემოსვლისთანავე ძირს განერთხო, ჩოქვითა და ფარდაგზე თავის ცემით მიიწია მბრძანებლის ტახტისკენ და სულტნის ფეხებში ჩარგო თავი.

— წამოდექ! — ბრძანა სულტანმა.

სპარსელმა თავი ასწია, იქაურობას თვალი მოავლო და ჩურჩულით შესთხოვა:

— პირისპირ, მარტო ლაპარაკი მინდა ღვთისსწორ სულტანთან... დიდი საიდუმლო მაქვს სათქმელი...

— სთქვი, მე ამათთან საიდუმლო არა მაქვს რა! — ბრძანა სულტანმა.

— ქართველებმა რომ გამიგონ, ცოცხლად დამწვავენ... — კანკალით თქვა ისევ სპარსელმა.

— ქართველები ჩემს წინაშე დაემხობიან! სთქვი, ნუღარ აყოვნებ!

— ალაჰ აქ ბარ! [1] თბილისელ მორწმუნეთა დავალებით ვარ აქ მოსული.

კარავში მყოფნი შეირხნენ და ერთიმეორეს გადახედეს.

— მტკვარში ყვინთვით გამოვიპარე ქალაქიდან, თევზივით წყალქვეშ მოვცურავდი; თავი რომ წუთით სადმე ამომეყო, ქართველები ისრით გამათავებდნენ. — სპარსელმა სული მოითქვა

[1] ალაჰი დიდია!

და ისევ იქ მყოფთ მოავლო თვალი. — თბილისის მაჰმადიანი მოსახლეობა მოუთმენლად ელის მუსულმანთა მხსნელი სულტნის შემოსვლას. დიდი და პატარა, ყველა იმას ამბობს, დადგა დრო ურწმუნო გურჯების ჯავრის ამოყრისა და დამხობისო. ქართველთა მეფე თავისი ვაზირებით სატახტოდან მთებში გაიქცა...

ემირებმა მრავალმნიშვნელოვნად გადახედეს ერთიმეორეს.

— ქალაქში ქართველთა ჯარი ძალიან ცოტაა, — განაგრძობდა ისევ ჩურჩულით სპარსელი, — რომ ავჯანყდეთ, მარტო ჩვენც გავუსწორდებოდით გურჯებს, მაჰმადის აღმსარებელნი. მაგრამ ჩვენი იმამი ბრძნულად მოიქცა, მიზგითში საქვეყნოდ ქართველთა დახმარებისთვის მოუწოდა მორწმუნეებს, საიდუმლოდ კი ქართველების წინააღმდეგ დარაზმა. იმის გამო, რომ ქართველებს მცირე მეციხოვნე ჯარი ჰყავთ და იმიტომაც, რომ თბილისელმა მორწმუნეებმა შესძლეს ურწმუნოების მოტყუება, ქართველებმა ქალაქის ერთი კარის დაცვა მაჰმადიანებს მიანდეს. ახლა თბილისის მორწმუნე მოსახლეობა შეიარაღებულია. დიდებული სულტნის პირველი შემოტევისთანავე მუსულმანები დაერევიან ურჯულო ქართველებს და კარს გაუღებენ ერთმორწმუნე ხვარაზმელებს.

თბილისელი სპარსელის ნაამბობით გახარებული სულტანი ამაყად ავლებდა თვალს იქ მყოფ ემირებს, თითქოს ეუბნებოდა, მე ყოველთვის მართალი ვარ და ალაჰი მუდამ ჩემთან არისო. ემირები თავს აქნევდნენ გაოცებისაგან და თვალს ვერ უსწორებდნენ მბრძანებლის მედიდურ ცქერას.

— საბუთი რა გაქვს, რომ მტრის მოგზავნილი არა ხარ? — უცებ იკითხა ჯალალედინმა და ყველა მოლოდინად იქცა.

ჯაშუშმა ქამარი შემოიხსნა, შარვლის სათავე შემოირღვია და ნაჭრებში მაგრად გამოკრული რაღაც საგანი ამოიღო. მერე იქიდან ოთხად დაკეცილი პერგამენტის პატარა ფურცელი ამოაძვრინა და სულტანს გაუწოდა.

სულტანმა პერგამენტს დახედა, ირწმუნა და მდივანს გადასცა.

— საბუთი სარწმუნოა. მოამბეს მიეცით ოქრო და ტანსაცმელი. უფრო დიდ ჯილდოს თბილისის აღების შემდეგ მივანიჭებთ. — ბრძანა სულტანმა.

ჯაშუში ისევ ფეხებში ჩაუვარდა და ეთაყვანა.

მეორე დილას ჯალალედინმა ლაშქარი საომრად დააწყო. მცირერიცხოვან ცხენოსან ჯარს თავისი ძმა, ყიასედინი უთავა და თბილისის ზღუდეებისკენ წასწია, ხოლო მათ უკან დასახევ გზაზე უმთავრესი ლაშქარი დამალა, რათა საომრად გამოტყუებული ქართველები ხაფანგში მოექცია და გაენადგურებინა. მონგოლთა ამ სამხედრო ხერხის მსხვერპლად თავის დროზე ხვარაზმელთა რჩეული ჯარები დაცემულა, შემდეგ თვითონ ჯალალედინმაც გადმოიღო თათრების ეს ცბიერება და ბევრჯერ თავად მონგოლების წინააღმდეგაც წარმატებით გამოიყენა. ყიასედინი თავისი ცხენოსანი რაზმით თბილისის ზღუდეებთან მივიდა.

ქართველები კვლავ გაფაციცებით ადევნებდნენ თვალს მტრის მოძრაობას. ასე შორსა და წინ წამოსული ხვარაზმელთა მცირერიცხოვანი ჯარი რომ ნახეს, გუშინდელი გამარჯვებით გულმოცემულებმა, ქალაქის კარი გააღეს და მტერს გააფთრებით ეკვეთნენ.

იმ დღეს უკვე ბოცო ჯაყელი მეთაურობდა მტერზე მისულ ქართველებს. ხვარაზმელებმა ბრძოლა მიიღეს.

მტრის ჯარს საზრიან და მოფიქრებულ მოქმედებაზე ეტყობოდა, რომ ქართველების გამოხდომა მისთვის გუშინდელივით მოულოდნელი არ იყო. ყიასედინი მტერს ეკვეთა, მაგრამ ხელჩართულ ბრძოლაში როდი ჩაება, მოხერხებულად, ნელ-ნელა უკან დაიხია და წათამამებული მტერიც მდევრად წაიყოლა.

ქართველები ყიჟინითა და ვაშას ძა-

ხილით მისდევდნენ მოსაჩვენრად ლტოლვილ მტერს. წინა დღეს ხვარაზმელთა რაზმი ღამის სიბნელემ იხსნა სრული განადგურებისაგან, დღეს ქართველებს გადაწყვეტილი ჰქონდათ მტრისთვის ბოლომდე ედიათ და მათგან ერთიც აღარ გაეშვათ ცოცხალი.

ვიწრო მოსახვევთან მოულოდნელად ხვარაზმელთა ჩასაფრებული ჯარი გამოვარდა ორხანის მეთაურობით და ქარიგით მიმქროლავ ქართველ ცხენოსნებს ზურგიდან დაჰკრა.

ქართველებმა სადავემიშვებული ცხენების უცებ შეჩერება და უკან შემობრუნება ვეღარ შეძლეს. მრავალრიცხოვანი მტერი ირგვლივ ერტყმოდა მცირერიცხოვან ქართველობას და მახეში შეტყუებულებმა ახლა თავად გაიმეორეს ყიასედინის წეღანდელი ხერხი.

ბოცო ხვარაზმელთა რკალს გააფთრებით ეკვეთა, გარშემორტყმული მტრის სიმრავლე გასჭრა და ცხენი მიწას გააკრა. უკან დახევისას ქართველთა ერთმა ნაწილმა თავი სასიკვდილოდ გასწირა, მტერს ბრძოლით გადაეღობა და მთავარსარდლისა და ჯარის უდიდესი ნაწილის ლტოლვა თავისი მკერდით დაიფარა.

მეციხოვნეებმა დაიხახეს, რომ ქართველები გუშინდლურად გამარჯვების ყიჟინით აღარ ბრუნდებოდნენ. დაოთხილ ცხენებზე დაკრულ მებრძოლებს ზურგზე ფარები აეფარებინათ, ხმლებს კანტიკუნტად იქნევდნენ და უკანდადევნებული ურიცხვი მტრისაგან გადარჩენის მთელი იმედი თავიანთი ცხენების სისწრაფეზეღა დაემყარებინათ.

მემნამ უკანშემოქცეული ძმა რომ დაინახა, გაფითრდა. იმ წამსვე თავისიანების საშველად გასვლა და ქალაქის კართან ბრძოლის გამართვა გადასწყვიტა. მეციხოვნეებს განკარგულება მისცა, მერე ცხენს მოახტა და ის იყო მუზარადი უნდა დაეხურა, რომ ზღუდესთან მდგარმა სპარსელმა მეციხოვნემ თავში აფთი სცა მოულოდნელად და ცხენიდან უსულოდ გადმოაგდო.

განძის ჯარის მცველმა სპარსელებმა ხმლები იშიშვლეს, მეციხოვნე ქართველებს მიესივნენ და ყიჟინა დასცეს:

— ალაჰ! ილ ალაჰ!

— მემნა მოჰკლეს!

— ღალატია, სპარსელებმა გვიღალატეს!

— დასცხეთ ურჯულოებს!

შექნეს ქართველებმა ყვირილი. მეციხოვნეები ერთმანეთს მიაწყდნენ და ქალაქის შიგნით საშინელი ხოცვა-ჟლეტა გაიმართა.

უკანშემოქცეული ქართველები ქალაქში შემოვარდნენ, მაგრამ კარის დაკეტვა ვეღარ მოასწრეს. მოღალატე სპარსელები განძის კარს მისცვივდნენ და აქაც ხელჩართული ბრძოლა გაიმართა.

ვიდრე მეციხოვნე ქართველები გამცემ სპარსელებს აწყდებოდნენ განძის კარის დასაკეტად, მტერმა მოასწრო და ყიასედინი გრიგალივით შემოიჭრა ქალაქში თავისი ცხენოსნებით.

ქალაქში პირველად შემოვარდნილმა ბოცომ შინაგაცემის საშინელი სურათი რომ დაინახა, მდგომარეობაში სწრაფად გაერკვა და მტერთან უთანასწორო ბრძოლაში უსახელო დაღუპვას ისნის ციხეში გამაგრება ამჯობინა; ბრძოლით გზა გაიკვლია, გადარჩენილი ქართველობა თან გაიყოლა და გაღმა გავიდა. ისნის ციხის ჩაკეტვამდე ქართველებმა მტკვრის ერთადერთი ხიდის დაწვა მოასწრეს და ციხე-სიმაგრე ქალაქის დანარჩენ ნაწილს მოსწყვიტეს.

ჯალალედინმა მეფის საჭურჭლე ხელთ იგდო, დანარჩენი ქალაქი სარბევად და საძარცვად ჯარს მისცა. კალიასავით მოედო მრავალრიცხოვანი ლაშქარი თბილისს. სისხლით გახელებული ხვარაზმელები სახლებში მხეცებივით შეცვივდნენ, კაცებსა და ბალღებს იქვე კაფავდნენ და ჟლეტდნენ, ქალებს ნამუსს ხდიდნენ; ღვინით სავსე რუმბები გამოჰქონდათ, უზომოდ სვამდნენ და უანგარიშოდ ღვრიდნენ.

აქა-იქ ხანძრების პირველი ალი ავარ-

და, ქუჩებში სისხლისა და დაღვრილი ღვინის რუები წავიდა.

ჯალალედინმა ბრძანება გასცა, ქალაქის ქრისტიანი მოსახლეობა აეკლოთ და გაეწყვიტათ. გაცოფებული ჯარისკაცები სულტნის ბრძანებას სიამოვნებით ასრულებდნენ, მაგრამ არც თბილისელ მაჰმადიანებს ინდობდნენ, მათ სახლებშიაც მგლებივით შერბოდნენ, ძარცვავდნენ და ძალას ხმარობდნენ: მხოლოდ ეს იყო, რომ მათთან ხმალს მარტო მაშინ იშველიებდნენ, როცა ერთმორწმუნე მუსულმანები ხელს გამოიღებდნენ და „ისლამის ქომაგებს“ წინააღმდეგობას შებედავდნენ.

ქალაქში ხვარაზმელების მოულოდნელმა შეჭრამ მოსახლეობას თავზარი დასცა. თბილისელები ხანგრძლივ აღყასა და გამწევ ომს ელოდნენ. პირველად თვალს არ უჯერებდნენ, ქუჩებში რომ მტრის ლაშქარი შემოვარდა და ხელჩართული ბრძოლის ჩახაჩუხი გაისმა.

პავლია კუტმა თორელის სახლის აივნიდან ქალაქის განაპირას ავარდნილ ხანძრის ალს მოჰკრა თვალი. ბერი შეშფოთდა. ცოტახანიც და ქუჩები ბრძოლის ხმაურმა გააყრუა. ქართველები ყოველი ქუჩისა და თითოეული სახლისათვის გააფთრებით იბრძოდნენ, მტერს უსაფრდებოდნენ, ფანჯრებიდან ისრის სეტყვას აყრიდნენ და უსიკვდილოდ ფეხს არ იცვლიდნენ. ფარხმლის ჩახაჩუხი და ბრძოლის ყიჟინა თორელის უბანს უახლოვდებოდა.

შეშინებულ ცაგოს ბალღი ჯულზე მიეკრა და ცახცახებდა.

პავლია კუტი გარეგნულად არ კარგავდა სიმშვიდეს, თორემ ისიც საგონებელში იყო ჩავარდნილი, როგორ და რით ეშველა უმწეო დისა და დისწულისათვის.

— სარდაფში ჩადით! — ჩურჩულით უთხრა პავლიამ დას და ხელით ანიშნა. ეჩქარათ.

— იქაც მოვლენ, მოგვაგნებენ, — სასოწარკვეთით თქვა ცაგომ და ბავშვი კიდევ უფრო მაგრად მიიკრა გულზე.

— მაშ, გაიქეცით, აქედან გაასწარით! — აფუსფუსდა თავისი უმწეობით შეწუხებული საპყარი.

— სად მოვასწრებთ, მოგვეწევიან! — განწირულად შესძახა ცაგომ და ცრემლი წასკდა.

პავლიამ ხელი უღონოდ გაასავსავა.

— არც რამ სამალავი გაქვთ, არც საიდუმლო გზა, უბედურო?!.. — მიაშტერა პავლიამ შიშჩამდგარი თვალები დაბნეულ ცაგოს.

— მტკვარზე ჩასასვლელი ხვრელი გვაქვს ეზოში! — ამოიძახა ცაგომ და მაშინვე ყველამ შვება იგრძნო.

— ხვრელი თუ გაქვს, სხვა რა გვინდა! — გაიხარა პავლიამ, — ახლავე ჩადი, ბალღი ჩაიყვანე.

— მერე შენ როგორ დაგტოვოთ! — შეწუხდა ცაგო.

— მე ეგერ კიბის ქვეშ მიმათრიეთ, — ანიშნა მორჩილს პავლიამ.

— იქ როგორ დაიმალები, დაგინახავენ! — შეშფოთდა ცაგო.

— ჩემზე ნუ ნაღვლობ, ნუ აგვიანებ... ბავშვს უშველე... — აყვირდა პავლია და ხელის ქნევით ცაგო ოთახიდან გააგდო. მერე მორჩილი იხმო და ზურგზე მოეკიდა. მორჩილმა კიბის ქვეშ შეათრია და იქ ჩამოსვა საპყარი. პავლიამ თორელის მშვილდ-ისარი და ფარ-ხმალი მოატანინა და მორჩილიც ძალით იქით გააგდო, საითაც ცაგო გაუჩინარდა.

კიბე დაბალი იყო, სულ რამდენიმე საფეხურიანი. სანახევროდ მიწას გაკრული პავლია სულს ქოშინით ითქვამდა. წინ ნანგრევი ყორე ეფარა და გარედან, თუ საგანგებოდ არ დააკვირდებოდა კაცი, არ ჩანდა.

სამაგიეროდ თვითონ ყველაფერს კარგად ხედავდა: ხელჩართულმა ბრძოლამ მათ უბანში გადმოინაცვლა. თორელის სახლის ახლო ერთ მუჭა ქართველობას ურიცხვი ხვარაზმელები აწვებოდნენ. ქართველები თავგამეტებით იცავდნენ ქუჩის ყოველ მტკაველს და მტერს მკერდით უღობავდნენ გზას.

პავლია თორელის მშვილდ-ისარს დას-

წვდა, ლარი მოზიდა და, ზურგში ისარგარჭობილი ხვარაზმელი რომ პირქვე დამხობილი დაინახა, ბავშვივით აფართქალდა.

მეორე, მესამე, მეოთხე ისარიც გაფრინდა და, ოთხი კაცი რომ უსულოდ ძაეცა, ხვარაზმელებმა თორელის სახლისკენ იბრუნეს პირი. რაღაცას აყვირდნენ თავიანთ ენაზე, მერე რამდენიმე ჯარისკაცი ანთებული ჟინყლილებით იქით გამოიქცა.

ცოტა ხნის შემდეგ დატრიალებულმა კვამლმა კიბის ქვეშ შეაღწია.

ცოტაც და ხანძრის ალმა გაანათა კიბის ქვეშ შეყუჟული პავლიას სახე.

საპყარს ისარი გათავებოდა. კიბიდან გამოსვლა და ქუჩაში ჩასვლა რომ შეძლებოდა, თორელის ხმლით ისიც იმ ხელჩართულ ბრძოლაში გადაერეოდა, მაგრამ ვაი, რომ ადგილიდან დაძვრა არ შეეძლო.

პავლიამ თავი მკლავებში ჩარგო და მიწას განერთხო. ცეცხლის ალი ცას სწვდებოდა. თორელის სახლი ტკაცატკუცით იწვოდა და სიმხურვალე თანდათან მატულობდა.

ბოლოს სუნთქვა გაუჭირდა პავლიას. კიბის ქვეშ დარჩენა აღარ შეეძლო. ცოტაც კიდევ და კვამლი და ბუღი გაგუდავდა.

საპყარმა ხოხვით გაიწია და ის იყო მხარი გამოიტანა, რომ ცეცხლმორეულმა კედელმა იხუვლა, ძირს წამოვიდა და პავლია ნანგრევებმა დამარხა.

დაღამდა. ქუჩებში ბრძოლის ხმაური მიწყნარდა. აქა-იქ ჯერ კიდევ ანათებდა ხანძრების ალი. ქალაქში ცხელოდა. კვამლისა და ლეშის სუნი იდგა.

საიდუმლო ხვრელიდან ცაგო და პავლიას მხლებელი მორჩილი ამოვიდნენ.

ხანძრისაგან დანახშირებული, ჯერ კიდევ მხრჩოლავი სახლის ნანგრევების დანახვაზე ცაგოს სახე გაუფითრდა. საითაც მიიხედა, ყველგან ფერფლი და ნაცარი, ნახშირი და ნანგრევი დახვავებულიყო. ცრემლი წასკდა ცაგოს, მაგრამ ახლა ტირილისა და მოთქმის დრო არ იყო. აქ სადღაც მისი ძმა უნდა ყოფილიყო, იქნებ დანახშირებულ-დანაცრებულიც იყო უბედური პავლია, დის ესოდენ მოყვარული და მისთვის თავდადებული.

მორჩილი კიბესთან იდგა და კიბეს დაეძებდა. ნანგრევებსა და ნაცარს სრულიად დაეფარა ის ადგილი, სადაც რამდენიმე საათის წინ თავისი მოძღვარი დამალა ყმაწვილმა.

— კიბე სად არი? კიბის ქვეშ დავტოვე!..—ბუტბუტებდა მორჩილი და თვალებს უიმედოდ აქეთ-იქით აცეცებდა.

— აგერ კიბე, ზედა დგახარ! — უთხრა გულამომჯდარმა ცაგომ და კიბეზე დაცემული, ნახევრად დანახშირებული თავხე გადასწია.

ყმაწვილი მიხვდა, რაც მომხდარიყო. ნანგრევებს მისდგა და ცაგოსთან ერთად კიბის განთავისუფლება დაიწყო. დაღლილობისა და ნახანძრალის სიმხურვალისაგან ორივეს წურწურით სდიოდა ოფლი. როგორც იყო, კიბეს ნანგრევები მოაშორეს და ვეება კოჭქვეშ გართხმული პავლიას ზურგი რომ დაინახეს, ორივეს ზლუქუნი აუვარდა.

ბედად მაღლიდან წამოსული კოჭი სანახევროდ დასცემოდა საპყარს. კოჭის ერთი თავი კიბის საფეხურს დაეჭირა და პავლია ამას გადაერჩინა გასრესისაგან.

უზარმაზარ კოჭს ბეჭის ძვალი დაეზიანებინა კუტისათვის, თავი ქვის ნამტვრევით გასტეხოდა; თმა და წვერი შეტრუსოდა და მიწას ჩაფრენილი ორივე ხელი ცეცხლს დაეთუთქა.

ცოცხალი აღარ ეგონათ. იმ უშველებელ კოჭს მოეჭიდნენ, მაგრამ ძვრა ვერ უყვეს. მერე ქვეშ მიწა გამოუთხარეს და უბედური საპყარი ისე გამოათრიეს.

მკერდზე ყური დაადეს. მისუსტებული გული კიდევ სცემდა, ხამუშ-ხამუშ, უღონოდ და უნიათოდ. წყალი ასხურეს, ჭრილობები მობანეს და შეუხვიეს. ხანძარს გადარჩენილ ქვის სახლისკენ წაიღეს გონდაკარგული პავლია და მეზობლის დაცარიელებულ სარდაფს შეაფარეს თავი.

გრიგოლ აბაშიძე

დიდი ღამე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამარჯვებულ სულტანს კარავში ეახლნენ დიდი ძღვენითა და ძვირფასი საჩუქრებით დატვირთული თბილისელ მაჰმადიანთა მეთაურები. მათ შორის იყვნენ რუსუდანის ქმარყოფილი, არზრუმის სულტნის ტოღრილშას შვილი მოღასედინი და შირვანელი უფლისწული სულტანშა. პირველი კარგა ხნის გაქრისტიანებული და გაქართველებული იყო. ქართველთა დედოფალს მისგან უკვე ორი შვილი ჰყავდა, თამარი და დავითი. მოღასედინი ბოლო დროს რუსუდანს შემოსწყრა და ამაყმა დედოფალმა თითქმის განიშორა.

მოღასედინი თავიდანვე არ იწოდებოდა მეფედ და ქვეყნის მართვის საქმესთანაც არავინ უშვებდა. გვირგვინოსნებს შორის უთანხმოება უკანასკნელად უკიდურესობამდე მივიდა. მოღასედინი უკვე რუსუდანის თანამეცხედრეც აღარ იყო და ქართველებს თავიანთი დედოფლის შესართავად შირავნშას უფლისწული სულტანშა მოეყვანათ.

ერთ დროს კინაღამ ამ სულტანშას მამას გაატანეს ცოლად ქართველებმა რუსუდანი. მაშინ ქვეყანას ლაშა მართავდა და რაკი სახელმწიფოს კეთილდღეობა მოითხოვდა ამ ნაბიჯის გადადგმას, რუსუდანის სურვილს ანგარიშს არავინ უწევდა. ლაშას მოულოდნელმა სიკვდილმა რუსუდანი იხსნა სამშობლოდან გადახვეწისა და ხნიერი შირვანშას ცოლობისაგან. ახლა, როცა თავის ბედს თავად სწყვეტდა, იმ შირვანშას შვილი მოეყვანა ქმრად შესართავად და სასახლეში ჰყავდა მძევლად.

სულტანშა მართლაც გამორჩეული იყო თავისი თვალტანადობითა და ზრდილობით. ჭაბუკი უფლისწული ახლა შედიოდა ნამდვილ ვაჟკაცობაში. შავგვრემან სახეს შავი თვალ-წარბი და ულვაშები უმშვენებდა, ფართო მხარბეჭზე მაგარი ქედი ედგა. მისმა გარეგნობამ და ქცევამ ქართველი დედოფლის კარზე ყველა მოხიბლა და საქართველოს რომ ეს უბედურება არ დატყდომოდა თავს, ალბათ, სულტანშას ქრისტიანულად მონათლავდნენ და მალე რუსუდანის თანამეცხედრედ გამოაცხადებდნენ.

ჯალალედინის უეცარი მოსვლა იმდენად მოულოდნელი იყო, თბილისიდან სამეფოს სალაროს წაღებაც ვერ მოასწრეს. სატახტოში უამრავი სიმდიდრე დარჩა და სწრაფად გაქცევისას რუსუდანის ეს ორი მძევალი, ალბათ, არც გახსენებიათ.

ახლა ორივე უფლისწული თავმდაბლად ეახლა მთელი სამაჰმადიანოს იმედსა და ქომაგს, სახელოვანსა და აღმატებულ სულტანს.

ჯალალედინს პირველი შეხედვისთანავე თვალში მოუვიდა ჭაბუკი უფლისწული, მოეფერა და დაუყვავა. როცა ისიც გაიგო, რომ სულტანშას ჭეშმარიტი რჯული ჯერ კიდევ არ უარეყო და არ გამოეცვალა, ფრიად გაიხარა, გვერდით დაისვა და მრავალი ნიჭი და წყალობა აღუთქვა.

სამაგიეროდ მეორე უფლისწულს სალამიც არ აღირსა, ჭეშმარიტი სარწმუნოების დატოვების გამო გაუჯავრდა, ბავშვივით დატუქსა და იმქვეყნიური სასჯელით დაშინება არ აკმარა, ამქვეყნიურითაც დაემუქრა, აბუჩად აიგდო და ქართველ ტყვეებთან ერთად მისი საპყრობილეში ჩაგდება ბრძანა. თბილისელ მაჰმადიანთა თხოვნაც ვერ გასჭრა. პირიქით, უფრო გახელდა და მათაც გაუჯავრდა:

— თქვენც ყველანი ურწმუნოების ხელისშემწყობნი ხართ, ყველას სასტიკად დავსჯი! — გამოუცხადა მისი სისასტიკით გაკვირვებულ თბილისელ მუსულმანთა მეთაურებს და ჯილდოს მომლოდინეები პირში ჩალაგამოვლებული გაისტუმრა.

ცოტა ხნის მერე მაჰმადიანთა უბანშიც ავარდა ხანძრების ალი. მუსულმანთა სავაჭროებსა და ქარვასლებშიც ყაჩაღებივით შეცვივდნენ მთვრალი ხვარაზმელები და თბილისელი მაჰმადიანები მიხვდნენ, თუ რა ქომაგიც მოევლინა უბედურ საისლამოს.

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

იან ოჯჩენაშეკი



ჩეხურიდან თარგმნა **თინათინ ჯავახიშვილმა**

მოთხრობა

ისევ „განდევნა!..“ მოეშვი მაგ ფილოსოფიას!..
მე შენ გეტყვი და ჯულიეტას შექმნის ხელახლა,
ანუ პრინცის მსჯავრს გააუქმებს და ქალაქებსაც
გადაიტანს და დააფუძნებს სულ სხვა ადგილზე!..
არა. გათავდა. დაიღუპა სულყველაფერი.

შ ე ქ ს პ ი რ ი, „რომეო და ჯულიეტა“.

ძველი სახლები, როგორც ბებერი ადამიანები, სავსე არიან მოგონებებით. მათ თავიანთი ცხოვრება აქვთ, თავიანთი სახე. ამ სახლების დახეთქილ კედლებს უთუოდ შეუწოვიათ ყველა სუნი, ადამიანთა საცხოვრებლის ახლოს რომ სუფევს ხოლმე. დიდი ხანია გაქრა კირისა და ცემენტის ნოტიო სუნი, ესოდენ რომ ახასიათებს ქალაქის გარეუბნის უსახო ხუხულებს, რომელთაც თავისი ისტორიაც კი არ გააჩნიათ. ძველი სახლის კედლები ცოცხლობენ. ადამიანთა ბედმა მათ სიცოცხლე შთაბერა.

რა უნახავთ ამ კედლებს? რა გაუგონიათ?

ძველ სახლებს თავიანთი ხმა აქვთ. აბა ყური მიუგდე: შუშაბანდში ვილაც მიდის დინჯად, მძიმე, დაღლილი ნაბიჯით და ჩუმად უსტვენს... აი გაჩერდა. კედელზე ასანთის ანარეკლი აღიბეჭდა... გზა განაგრძო. მოსახვევში საცოდავად

გაიჭრიალა ხის კიბის საფეხურებმა; წყვდიადში საიდანღაც შემოიჭრა რადიოს ხმა, ვიღაცამ კარი მიხურა და რადიოს ხმა ჩაახშო; ატირდა ბავშვი...

იგი გულაღმა წევს, ხელები ტანზე მიუკრავს, ღია თვალებით ფანჯრის სიბნელეს მისჩერებია. ფანჯრის იქით ფილებდაგებული შუშაბანდია. გაივლი და ამოვარდნილი ფილა ფეხქვეშ გაიხმაურებს; იქით, ეზოში, ოთხკუთხა ჭაა. ივნისის ღამე ნაზ სუნთქვას აფრქვევს სახლის სახურავებს. ცაში კი სიჩუმეა. ლირის თანავარსკვლავედში დუმს ვეგა; ფაფუკი ღრუბლის დანაფლეთებულ კიდეს მოსწყდა მთვარე და გამოყეყეჩებული სახით ფანჯარაში იჭყიტება.

ქალაქში შემოჭრილმა ღამის მდუმარებამ შთანთქა ქალაქი; სიჩუმე შრიალებს, იგი სავსეა გაურკვეველი ფაჩუნითა და ქარაგმებით; მხოლოდ ძველი საათი უკაკუნებს კედელს. საათი? ეგებ გულია? მას მკერდიდან ესმის გულის ძალუმი ცემა. გული სისხლს აწვება, საფეთქლებისაკენ მიაქანებს. სადღაც იქ კი ფიქრების უღრანია.

კვლავ წევს ის აქ, ჩამწყვდეული ქალაქის კედლებში, ოთახის ვიწრო კოლოფში, ხუთი ნაბიჯით რომ გადაითვლის კაცი ერთი კედლიდან მეორემდის...

ამ ბოლო დროს რამდენჯერ გაუზომია ეს გზა უაზროდ და უმიზნოდ. უნდოდა თავი კედელზე შეეხეთქებინა! არა, არ ჰყოფნის ნებისყოფა. და ეს ვერც უშველის. არ გაინძრეს! ძნელია ეს იმ ადამიანისათვის, რომელიც თვრამეტი წლისაა. არ იფიქროს! ნეტავი როგორ უნდა მოახერხოს, რომ არ იფიქროს? იქნებ თვალები დახუჭოს მაგრად — აი ასე? და დაემალოს ყველაფერს ამ ანთებული თვალის კაკლების შიგნით?

მან ჯიუტად დახუჭა თვალები. მაშინვე წყვდიადი დადგა, თითქოს ჭაშიაო! მიფრინავ, ჭაში უფრო და უფრო ღრმად ვარდები, და იმის იმედიც არა გაქვს, რომ ოდესმე ამას ბოლო მოეღება და გადნები გამაკურნებელ სივრცეში, რომელსაც სახელი არ გააჩნია. მოგონებანი! ტკივილს ჰგვრის ფიქრი, ტკივილს ჰგვრის სუნთქვა, ტკივილს ჰგვრის არსებობა. მთელი სამყარო სხვაგვარი გახდა, ნაცრისფერი სუდარა გადაეფარა, უგულო შეიქნა.

მერე რაღაა? გზა აღარ არის, ფეხქვეშ გამოეცალა. და გგონია, რომ დიდი ხნის ამაო ძებნის შემდეგ მიხვედი იქ, სადაც ჰორიზონტი მთავრდება.

„მაგრამ შენ უნდა იცოცხლო!“ — ჩაესმის ხმა.

საიდანაა ეს ხმა? თვით მასშია, მისსავე გულში.

კიბეზე ფრთხილი ნაბიჯი გაისმა. ამ ხმამ გამოაფხიზლა, თვალი გაახილა, ყური მიუგდო: ნაცნობი, ფრატუნა ფეხის ხმა ახლოვდება. გაისმის კარის გაუბედავი კაკუნი. ისევ გაუნძრევლად წევს.

— პავლე! აქა ხარ?

იგი გაინაბა. თვალზე ცრემლი მოადგა. ეშველა. ცრემლს აღარ იკავებს. ცრემლი შვებას ჰგვრის. კარს უკან დაღლილი ოხვრა გაისმის.

ის, კარს იქით მდგომი, ფეხს ინაცვლებს, ყურს უგდებს, კვლავ აკაკუნებს

— გესმის? გააღე კარი! ჭკუას მოუხმე!

ჭაბუკი არ პასუხობს.

მას აღარ უნდა დარიგება და ლაპარაკი. აბა რა უნდა უთხრას? სიმართლე? იგი ძალიან უბრალოა: ასე აღარ შეიძლება, მორჩა და გათავდა! მაგრამ შენ, კარს უკან რომ დგახარ, ამას არ დაეთანხმები. შენ მოხუცი ხარ, შენ შენი სიმართლე გაქვს. შენ დამიწყებ დარიგებას, გონიერება გამოიჩინეო. ძველი, მომაბეზრებელი ამბავია. შენ მშვიდად ეგუები სამყაროს ისეთს, როგორიც ის არის. შენ მხოლოდ ემალები მისგან მოყენებულ უბედურებას. გონიერება! რაღა ბედენაა გონიერება, თუ სუნთქვა მეკვრის და თავს ვკარგავ. მინდა ყველაფერს მოვშორდე, მაგრამ ამისათვის საჭიროა რაღაც განსაკუთრებული, საზიზღარი ნიჭი, რაც მე არ გამაჩნია. რა გზას გინდა დამაყენო? გინდა არაფერი ვაკეთო? რისთვის?

წუხელ რომ წამოვედი... გახსოვს?.. ხიდზე ვიდექი და წყალს დავცქეროდი. არა, წყალი არ მიზიდავდა... ახლა უკვე ვიცი, რომ ამას ვერ შევძლებ. მხოლოდ ისე ვიდექი და დავცქეროდი წყალს. მოვიხედე და რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით შენ შეგამჩნიე. ლურჯი ფარნის ქვეშ იდექი დამალული. შენ გაცვეთილი პალტო გეცვა, წელში მოხრილი იყავი დარდითა და ცხოვრების განვლილი წლებით. უცებ შემიპყრო შენმა, საკუთარი თავისა და ყველაფრის სიბრალულმა. ვიცი, შენ ზრუნვით მიდარაჯებდი და სავსებით გულწრფელად გეგონა, რომ მე ვერ გხედავდი.

მამა!

— პავლე...

კაკუნი შეწყდა.

კარს თანდათან მოშორდა ფრატუნა ფეხის ხმა, ყრუდ მოეხეთქა სადარბაზო კარი.

ფიქრი ცხრა ზთას გადაატარებს კაცს!

კვლავ და კვლავ უბრუნდები ფიქრებით წარსულს, კიბოსავით უკან მიხოხავ, ობობასავით დაცოცავ ვერცხლისფერ აბლაბუდაში.

რისთვის?

აგონდება, როგორ იხედებოდა ამ ოთახში ზაფხულის დილა. ხანდახან გიტარა წკრიალებდა და სიმღერები გაისმოდა; მტვრიან იატაკზე გაშლილი წიგნები ეყარა. კაცმა რომ თქვას, არაფერი შეცვლილა. იგივე მონჯღრეული ტახტი, ვარსკვლავების ატლასი, ფეხმომტვრეული სკამი და ემალგადაცლილი ტაშტი. ფანჯარასთან პატარა მაგიდაა. აქ, თვალბრიალა ბუს ფიტულასა და ქაღალდისაბაკურიან ლამპის შუა, თვითნაკეთი რადიომიმღები ხრიალებს. პავლემ თვითონ ააწყო ეს რადიომიმღები და ქაოტიური ხმაურიდან და ზუზუნიდან თუნდაც პრაღის სადგურების ხმა რომ გამოაცალკევო, ხის ყუთს მაგრად უნდა დაჰკრა ხელი. ოთახს ორი კარი აქვს: ერთი — შიგნიდან მუდამ ჩაკეტილია და სახელოსნოში გადის, მეორე — პირდაპირ დერეფანში. ძველი ავეჯი, რომელიც სტარომესტკის მეძველმანისაგან ჩალის ფასად იყიდეს, პატარა ოთახს მყუდროებას არ უკარგავს. აქ შეიძლება იოცნებო, იკითხო. აქ დამოუკიდებელ და მოზრდილ ადამიანად გრძნობ თავს.

დღისით სახელოსნოდან ისმის ორი საკერავი მანქანის გრიალი და ქარგალი ჩეპეკი როგორ ტუქსავს შეგირდს თავისი ჩახლეჩილი ხმით; ისმის მამის ბოხი, ჩუმი ხმა: „ინებეთ, ეს ნაკეცი მოვაშოროთ... აქ ოდნავ მეტს დავუტოვებთ... აი ასე... და კოსტუმი მშვენიერი გამოვა“.

ფანჯრის მიღმა შუშაბანდში ადამიანების სილუეტები მოძრაობენ. ზოგჯერ სარკმელში შემთხვევითი გამვლელი შემოიხედავს, მაგრამ აბა რას დაინახავს მტვრიან მინაში?

ხანდახან შემოიჭრებიან ხოლმე სკოლის ამხანაგები, ოთახი ხმაურითა და ერიამულით ივსება. ხოლო სულ რაღაც ერთი თვის წინათ ამ ოთახში ვაჟკაცურად დასცალეს ორი ბოთლი იაფფასიანი ღვინო. ახალგაზრდები შუაღამემდე მხიარულობდნენ, სანამ ძილგატეხილმა მეზობლებმა კედელზე არ დაუბრახუნეს.

მაშინ აქ სულ სხვა ადამიანი ცხოვრობდა — ჭაბუკი, რომელიც ხანდახან მამას გამოართმევდა სამართებელსა და ფუნჯს, რომ ნიკაპიდან რამდენიმე ბალანი მოეპარსა და პალმანზე წასასვლელად აუცილებელი თავდაჯერება შეეძინა.

— ფრთხილად, ცხვირი არ მოიჭრა, — სერიოზულად ურჩევდა მამა, ხოლო ტუჩებთან მიმალულ ნაოჭებში ღიმილი უკრთოდა. — არსად გაიქცევა, ნუ ჩქარობ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამა-შვილს ერთმანეთი უყვარდათ. მამა ახერხებდა დიდსულოვნად გაეგო შვილის სულისკვეთება და როგორც თანატოლს, ისე ექცეოდა. თვრამეტი წლის მამაკაცი ამას მუდამ აფასებს. მამა არასდროს არ აწუხებდა უადგილო შეკითხვებით და ამიტომ არც შვილს სჭირდებოდა ტყუილის თქმა. ალბათ სწორედ ამიტომ ესმოდათ ერთიმეორის ასე კარგად, რომ მამას შვილი სიბერეში მოსწრებოდა. პავლე ერთადერთი, გვიან შეძენილი შვილი იყო და მოხუცებული მშობლების მუდმივ ზრუნვაში იზრდებოდა.

მოხუცი ადამიანები მშიშარა და უგუნურები არიან, მათთან ერთ ჭერქვეშ მყოფს მოთმინება მართებს. ყოველ კუთხეში საფრთხე ეჩვენებათ; განსაკუთრებით დედას: „ეს არ შეიძლება, ეს არ გაბედო! შენ ხომ ერთადერთი გვყავხარ, პავლე! პავლიჩეკ! არაფერში არ ჩაერიო, ჩემო შვილო!". ამ რჩევა-დარიგებას პავლე მამაკაცური წყენით ისმენდა და ჩუმად ეჭვობდა კიდეც: გამოუცნობ მიზეზთა გამო მშობლებს ეს მოსაბეზრებელი რჩევა-დარიგება მოსწონთო. რასაკვირველია: ომია! გერმანელებმა ჯერ საზღვრები გადმოლახეს, ახლა კი მთელ მხარეში დაპარპაშებენ. დაფდაფთა დაუსრულებელი გრიალით გადმოსცემენ ცნობებს, თუ რა გამარჯვებებს მიაღწიეს ხმელეთზე, ჰაერსა და ზღვაში! და ამას ეწოდება Protectorat für Böhmen und Mähren [1], მაგრამ მოხუცი ჩეპეკი ამ ეგრეთ წოდებულ სახელმწიფოს ჯიუტად ეძახის პროტენტოკრატს [2].

„ოჰ, ეს სასჯელი ეგვიპტისა!" — გოდებს დედა. მას ცხოვრების ყოველი შემთხვევისათვის მოეპოვება სათანადო გამოთქმები „დაბადებიდან".

სკოლაში იზეპირე ნაცისტ „მოციქულთა" ბიოგრაფიები, თუ არ გინდა, რომ გამოსაშკები გამოცდების დროს ჩაგჭრას გერმანელმა ინსპექტორმა: „Also, sagen sie mir, wo wurde Adolf Hitler geboren? Und jetzt etwas über das Winterhilfswerk [3], „ბმირულმა გერმანულმა შეიარაღებულმა ძალებმა კვლავ ჩაძირეს ამდენი და ამდენი გემი..."

საცეკვაოდ ვეღარსად წახვალ კაცი, კინოში მთქნარებისაგან ყბა მოგექცევა: ეჩვენებენ უსასრულო ჟურნალს, რაც თავიდან ბოლომდის ფიურერის წინაშე მლიქვნელობით და ბაქიბუქით არის სავსე.

დედა საღამოობით ზის, სათვალე ცხვირის წვერზე ჩამოუწევია და თხელი ტუჩების ცმაცუნით „დაბადებას" კითხულობს. მის პირდაპირ ზის მამა, აგინებს ერზაცებს:— მათგან მხოლოდ ჯადოქარი თუ მოახერხებს კოსტუმის შეკერვას! მამა აღარ დაიარება კაფე „იოზეფ შლაპაკას ქვრივში", შინ ზის და ირასეკს კითხულობს. მამა პატრიოტია, ოღონდ ცოტა ძველი მოდის, როგორც ის კოსტუმები, მის კეთილსინდისიერ სახელოსნოდან რომ გამოდის.

სად წავიდეს?

რა გააკეთოს?

გერმანელები მოვიდნენ — და ისევ წავლენ, მოკავშირეები ბოლოს და ბოლოს გარეკავენ მათ და კვლავ დამყარდება წესრიგი. მაგრამ მას რა? როდესაც კაცი თვრამეტი წლისაა, იგი მტკივნეულად დაეძებს — თვითონაც არ იცის რას! ის შეუპყრია სურვილებს, წყურვილს, გაურკვეველ, შფოთიან ოცნებებს, რომლებიც ისე ძლიერია, რომ ტკივილსაც კი გრძნობს.

პროტექტორატი სისაძაგლეა, სკოლაც სისაძაგლეა. რა ქნას? ისწავლოს ქედმოდრეკილი ცხოვრება ამ პატარა სივრცეში; გულის გადამლევი რეზინასავით გა-

---

1 ბოჰემიისა და მორავიის პროტექტორატი.

2 ჩეხურად ნიშნავს — ჯერჯერობით, დროებით.

3 — მიპასუხეთ, სად დაიბადა ადოლფ ჰიტლერი? ახლა კი გაიღეთ საზამთრო დახმარებისათვის. (გერმ.).

ღაღეჭილი „დროებით“ ცხოვრება; იტანჯოს სისულელით, გაერთოს სისულელით, რადგან სულ ერთია, კედელს შუბლით ვერ გაანგრევ... და ასე შემდეგ. გოგოები!— მათთან წამიერი შეხვედრები პეტრჟინზე იმით მთავრდება, რომ დაკეტილ სადარბაზო კართან ერთს უგემურად აკოცებ. ეს არის და ეს! ხანდახან ეუბნებოდა საკუთარ თავს: ეს არ არის სწორი! შენს ქვეყანაში გერმანელები არიან. ისინი ხალხს ციხეში ალპობენ, ხოცავენ... მაგრამ შენ რისი გაკეთება შეგიძლია, როდესაც უფროსებმა ასე უიმედოდ დაამახინჯეს ეს სამყარო? შენ ხომ შენი სურვილით არ მოსულხარ ამქვეყნად. შენ უთუოდ სხვა სამყაროს აირჩევდი, მაგრამ ვინ შეგეკითხა! მაშ ასე, ყველაფერი „დროებითია“. სულ ერთია: ჩააბარებ გამოსაშვებ გამოცდებს და სამხედრო ქარხანა გშთანთქავს; ან გერმანიაში გიკრავენ თავს და შენც წახვალ ხელში პატარა ბოღჩით, ოღონდ ზღაპრულ გონზასავით კი არა, არამედ მობილიზაციით, და დაიწყებ იქ ლპობას, გასწევ საძულველ ჭაპანს, ვიდრე მთელს ამ სისაზიზღრეს ბოლო არ მოეღება. საშინელი, წყეული წლები! კეთილი ინებე, გვერდზე გადადე შენი ოცნებანი და სხვა დროისათვის შემოინახე.

მაგრამ რაც არ უნდა მოხდეს, სიცოცხლე მაინც საჭიროა!

და დღეს...

ცხრა მთას იქით იტაცებს მოგონება!

საათმა კედლის იქით რიხიანად ჩამორეკა თერთმეტი. ძველმა სახლმა დაიძინა. მხოლოდ იქ, პატარა ოთახში გულაღმა წევს ის, მაგრად მიუკრავს ხელები სხეულზე. ღია თვალებით წყვდიადს გასცქერის და ფიქრები შორს იტაცებენ...

და ყველაფერი უკან ბრუნდება, ყველაფერი კვლავ თვალწინ ეშლება. რამდენ დღეს გასტანა იმ ამბავმა? როგორ დაიწყო?..

ერთ მშვენიერ დღეს მერვე „ბ“ კლასში დამთავრდა გამოსაშვები გამოცდები წერაში...

I

— პავლე, — ესმის სიბნელიდან წყნარი ხმა.

პავლეს არ უკვირს — ეს ხმა კვლავ ცოცხლობს მის არსებაში.

— რაო?

— რა მოგველის?

ისევ ის აკვიატებული კითხვა. მაგრამ არც ეს აკვირვებს პავლეს. პირველ დღეებში მან იცოდა, როგორ დაეღწია თავი ამ კითხვისათვის. თუნდაც დროებით. მაგრამ დღითიდღე უფრო და უფრო უძნელდებოდა. ამ კითხვის გაგონებისას რატომღაც უკეთესი ვერაფერი მოესაზრებინა, გარდა იმისა, რომ მოხვეოდა და დაეკოცნა. ეს უბრალო და ნაღდი ამბავი იყო. რაღაცას ელაპარაკებოდა, რადგან ესმოდა, რომ საჭირო იყო სწრაფად გაექარვებინა გოგონას ფიქრები, და კიდევ იმიტომ, რომ შესაძლო იყო სიჩუმე პასუხად მიეღო. მაგრამ რა უნდა ეპასუხა? იქნებ ათასი ვარიანტი არსებობდეს. იქნებ არც ერთიც არ იყოს. ყველაფერი არის მხოლოდ და მხოლოდ „იქნებ“.

იგი იწყებდა ტახტისა და მაგიდის შუა სიარულს, ხელებს იქნევდა, რაღაც უაზრო სიტყვებს ბუტბუტებდა და მწარე გაოგნებით აყურადებდა თავისსავე სიტყვებს. თავდაპირველად ყველაფერი ძალზე უბრალოდ ეჩვენებოდა: იყვნენ მხოლოდ ორნი — ქალიშვილი და თვითონ! და თუ ხვალინდელ დღეს დაივიწყებდნენ, დაივიწყებდნენ იმას, რაც ხდებოდა ქალაქში, ქვეყნად, მთელ სამყაროში, მაშინ იქნებ ყველაფერი წესრიგში იყო. და კვლავ ეს — „იქნებ!“

პავლემ ჯიბიდან ამოიღო სიგარეტის დაჭმუჭვნილი კოლოფი და ასანთი ბო-
ნახა, თან გრძნობდა, რომ ქალიშვილი თვალს ადევნებდა.

— ნუ მოსწევ! არ გეწყინოს, მაგრამ ღამით აქ სუნთქვა აღარ შეიძლება.

დაეთანხმა. ქალი მართალი იყო. კოლოფი ისევ ჯიბეში ჩაიდო და გაიღიმა. მოაგონდა: სიგარეტის ასეთმა პატარა თეთრმა კოლოფმა შეჰყარა მათი გზები. საბაბი ზოგჯერ ასეთი პროზაულია ხოლმე. თუნდაც პირველ სასურსათო ულუფაში მიღებული სიგარეტი. როცა თვრამეტი წლისა ხარ, სიგარეტი დარბაისლობას გმატებს. მაღალი წრის ადამიანის მოწყენილი იერით დაჯდები, ხელის ჩვეული მოძრაობით ამოიღებ სიგარეტს, მოუკიდებ, და უცებ თავს დიდთა სამყაროში იგრძნობ. თვრამეტი წელი! უკან რჩება მამის საყვედურით სავსე მზერა და დედის დარიგება: ეს ჯანმრთელობისთვის მავნეაო. მორჩა! ახლა ის ოფიციალურად აღიარებული მწეველია და შეუძლია თავისი საკუთარი ტალონით შეირბინოს თამბაქოს დუქანში, გადაუგდოს დედაბერს და უთხრას: „პანი ბარაშკოვა, მიბოძეთ სიგარეტი!“

წერის გამოცდები დამთავრდა, მაგრამ თავი ისევ უსკდება მღელვარებისგან, ჯიბეში კინოს ბილეთი უდევს. დაწყებამდე ორი საათია დარჩენილი.

ვახშმის შემდეგ ქუჩაში იყიალა, ასფალტს ოდნავ ასდიოდა მთელი დღის დაგროვილი სითბო. ქალაქს ნელ-ნელა ეპარებოდა გაზაფხულის მწუხრი. პავლეს უყვარდა ასე მარტო სეირნობა. მიდიხარ, ოცნებობ, ხელები ჯიბეში ჩაგიწყვია—ვიტრინებს ჩაუვლი უცაბედი თავგადასავლის საძიებლად, გასრიალდები ხალხში, ცერად გადახედავ გოგოებს, ისე, უბრალოდ, სხვათაშორის; თან გულგრილ სახეს მიიღებ, რომ გამოუცდელ და პატარა ბიჭად არ ჩაგთვალონ. რა მოხდება, ამისთანა იდუმალ არსებასთან რომ მიხვიდე და უთხრა: „საღამო მშვიდობისა!“... არა, არა, ვერასოდეს ვერ გაბედავს ამას!

პავლემ ნოვომესტსკის კოშკის საათს ახედა. შვიდი საათი იყო. დრო ჯერ ბევრი ჰქონდა.

პარკისაკენ გაემართა, უნდოდა მშვიდად მოეწია ამ საღამოს სიგარეტი.

აი, სწორედ იქ შეხვდნენ ერთმანეთს.

პავლე სკამის ბოლოს ჩამოჯდა, ყოვლად უინტერესოდ შეამჩნია, რომ სკამის მეორე ბოლოს ვიღაც იჯდა. ისე იყო გართული თავის ფიქრებში, რომ ყურადღებაც არ მიუქცევია ქალიშვილისთვის. ის მისთვის მხოლოდ აჩრდილი იყო, უცხო ფიგურის სილუეტი. პავლემ გრძელი ფეხები გაშოტა და სიგარეტი გააბოლა. სკამთან დაყვავილებული იასამნის ბუჩქი იდგა, ყვავილის მტევნები სიბნელეში თეთრად მოჩანდნენ და მოტკბო სუნს აფრქვევდნენ. მზე მოპირდაპირე სახლის უკან ესვენებოდა, ბალახში დნებოდა ხეთა გრძელი ჩრდილები. ხანდახან ჩუმი ჩურჩულით ჩაივლიდნენ ერთმანეთს მიკრული შეყვარებულნი. ჩქარი ნაბიჯით ჩაიარა ჩანთაამოღლიავებულმა კაცმა, მიფარფატებდა შალწამოსხმული დედაბერი თავის კოჭლ ფინიასთან ერთად. აქ უდაბურება სუფევდა.

საღამოს ქალაქის ხმაური შორიდან ისმოდა.

პავლემ დაამთქნარა.

ოხვრაა? პავლემ პირზე ხელი მიიფარა და მიიხედა.

სკამის ბოლოს კვლავ იჯდა გოგონა. წახრილიყო და მკერდზე მიეკრა პატარა ჩემოდანი, თითქოს ეშინოდა, არავინ გამომგლიჯოს ხელიდანო. თავი დაბლა დაეხარა, მხოლოდ პროფილი მოუჩანდა, საღამოს ბინდბუნდში საკვირველად მოუჩანდა შავ თმებში ჩამალული თეთრი სახე; თხელი კაბის კალთები შემოტმასვნოდა ერთმანეთზე მიკრულ მუხლებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგონა უძრავად იჯდა, გეგონებოდა, თვლემსო.

პავლემ უცებ შეამჩნია, დაუფარავი ცნობისმოყვარეობით შევცქერი გოგონასო, და მოიღრუბლა. სცადა თვალი აერიდებინა და ვერ მოახერხა. გაუქრა საკუთარ თავთან მარტოდ ყოფნის გრძნობა, როცა ესოდენ სასიამოვნოა ოცნება. „რაო, ქალიშვილო, „ის" არ მოვიდა პავმანზე?"

...და უცებ გაკვირვებულმა შეამჩნია, რომ გოგონა ტიროდა. წახრილი მხრები უთრთოდა შეკავებული, ყრუ ქვითინისაგან. პავლემ სიგარეტი ბილიკზე გადაგდო, გამბედაობა მოიკრიბა და შეეკითხა:

— რა დაგემართათ?

გოგონა ისევ ისე იჯდა თავჩაქინდრული. არაფერი უპასუხა. პავლემ ჩაახველა და ახლოს მიიწია.

— ტირით?

გოგონამ ჩუმად გააქნია თავი.

რად ტყუის? — პავლე უფრო ახლოს მიუჯდა, ამაოდ ეძებდა სიტყვებს.

ხელი რომ გაეშვირა, გოგონას შეეხებოდა.

გოგონა უცებ მოტრიალდა. მისი მუქი, გაფართოებული თვალები ისეთი აუწერელი შიშითა და მტრული გრძნობით შესცქეროდნენ პავლეს, რომ მან უკან დაიწია. არა, ლამაზი არ იყო. პავლემ შეამჩნია, რომ მას განიერი პირი და ჭორფლიანი ცხვირი ჰქონდა. „დიდი რამე გონია თავი ამ მტირალას!" — გაიფიქრა და ზურგი შეაქცია. ყურადღებას აღარ აქცევდა და ამით აშკარად აგრძნობინა, სულაც არ მაინტერესებო. მაგრამ ადგომა და წასვლა ვერ შესძლო. დიდხანს ისხდნენ ასე ამ გულისწამღებ დუმილში. პავლეს მოეჩვენა, რომ ერთმა საათმა მაინც განვლო, ვიდრე მან კვლავ გაბედა ხმის გაცემა გოგონასათვის:

— შემიძლია რითიმე დაგეხმაროთ?

— არა. გთხოვთ თავი დამანებოთ! ნუ მაქცევთ ყურადღებას!

— მაგრამ მე... თქვენ... თქვენ ხომ ტირით... მე მხოლოდ... თქვენ არ იფიქროთ...

პავლემ ყური მიუგდო თავის ნაწყვეტ-ნაწყვეტ ბუტბუტს და მოეჩვენა, რომ თვითონ კი არა, ვიღაც სხვა ლაპარაკობდა.

როგორ მოიქცეს? მისმა თავდაჯერებულობამ მარცხი განიცადა. რაკი არ შეუძლია ქალიშვილთან ლაპარაკი, აქედან უნდა მოუსვას.

დრო გადიოდა. პავლემ კოშკს შეხედა. მეათე საათი დაწყებულიყო. ფილმი უკვე დაიწყო, ეშმაკმა დალახვროს! ქალაქი გაზაფხულის ღამეში გახვეულა. მან უკან მოიხედა. გოგონა კვლავ თავდახრილი ქვითინებდა. პავლე მტკიცედ მიბრუნდა მისკენ.

გოგონა წელში გასწორდა, თითქოს წამოხტომა და გაქცევა უნდოდა.

— მომშორდით!

პავლემ ახლა მთლად ვეღარაფერი გაიგო და დაბნეულმა მხოლოდ მხრები აიჩეჩა.

— რატომ?... მე ხომ...

— რა გესაქმებათ ჩემთან? თავი გამანებეთ. გესმით?

— კარგი... თუ არ გინდათ — კეთილი!

„ფსიქოპატია ვიღაცაა,—გადაწყვიტა გაბრაზებულმა. — ჩანს „იმან" მიატოვა და თავის მოკვლა გადაუწყვეტია. ნამდვილად ასანთის წამლით მოიწამლავს თავს! ერთი დამიხედეთ როგორ იფხორება! ან იქნებ, როგორც გოგოებმა იციან, თავი მოაქვს! ასე იყოს! მშვიდობით, მადმუაზელ, კარგად ბრძანდებოდეთ! თქვენი საქმისა თქვენვე უწყით, რაკი ლაპარაკი არა გსურთ! — მე რა მენაღვლება!"

პავლე მტკიცედ წამოდგა, ამოიღო სიგარეტი, ცერემონიული დაუდევრობით

პირში ჩაიდო და ასანთის ამოსაღებად ჯიბეში ჩაიყო ხელი, თან აშკარად აგრძნობინებდა მეზობელს, შენი ამბავი ოდნავადაც არ მაინტერესებსო.

გოგონა შეშინდა, წამოხტა და თითქოს თავს იცავსო, პავლეს წინ გაჩერდა. ჩემოდანი, რომელსაც ერთთავად გამწარებით იკრავდა მკერდში, ხელიდან გაუვარდა და ბეტონის ბილიკზე დაეცა მათ შუა. პავლეს უნდოდა ქედმაღლურად დაეცინა გოგონასათვის ამ სულელური შიშის გამო და გაშორებოდა, მაგრამ ასანთს რომ გაჰკრა, თავზარდაცემული ადგილზე გაშეშდა და დაბნეულს თვალები გაუფართოვდა.

მკრთალ სინათლეზე, წამით რომ გაანათა გოგონას ფიგურა, პავლემ დაჭმუჭნულ ჟაკეტზე თვალი მოჰკრა ღიაყვითელი ფერის ვარსკვლავს, რომელზედაც შავი ასოებით ეწერა: Jude[1].

II

პავლეს აღმოხდა:

— მაშ, თქვენ?..

და გაჩუმდა, დაავიწყდა სიგარეტი. ასანთის ღერი ჩაიწვა და როცა თითები დასწვა, მაშინღა გადააგდო. ისინი იდგნენ ერთიმეორის პირდაპირ, იდგა ორი მდუმარე აჩრდილი ჩამუქებული ცის ქვეშ.

გოგონამ გამომწვევად აიქნია თავი:

— დიახ. მერე რა? შეგეშინდათ?

— რატომ უნდა შემშინებოდა?

პავლემ აიღო ჩემოდანი და სკამზე დადო. გოგონაც იქვე ჩამოჯდა და ჩემოდანს ხელი მოხვია. პავლე გვერდით მიუჯდა და უმწეოდ დაიწყო თითებით სახის სრესა. მათ ჩემოდანი ჰყოფდათ.

— რატომ? რატომ უნდა მეშინოდეს?

გოგონამ თავი გააქნია.

— რატომ? თქვენ რა, არც შინ, არც სკოლაში არაფერი გსმენიათ? თქვენ ხომ ნება არა გაქვთ ჩემისთანა ხალხთან რაიმე ურთიერთობა გქონდეთ! არ იცით?

პავლემ არ უპასუხა. მას ესმოდა გოგონას სუნთქვა. გოგონას თავი მაღლა აეწია და უკვე მშვიდად შესცქეროდა შავ ცას. პავლე ჩუმად იჯდა, მუხლებზე ედაყვდაყრდნობილი, და მხოლოდ მაშინ შეინძრა, როცა ჩაესმა ყრუ ხმა.

— ამის მოყოლა გაუთავებლად შეიძლება. პატარა რომ ვიყავი, ზოგჯერ თავს მოვიავადმყოფებდი ხოლმე, რომ სკოლაში არ წავსულიყავ... მათემატიკისა მეშინოდა. მიძნელდებოდა. ახლა კი აღარ გავაცდენდი... მაგრამ ამიერიდან ჩემთვის ყველაფერი აკრძალულია. კინოც კი...

პავლემ ანგარიშმიუცემლად მოისინჯა საფულე, სადაც კინოს ბილეთი ედო, მაგრამ მაშინვე ხელი მოაცილა. „სულ ერთია, უკვე გვიან არის“, — გაიფიქრა და სულ არ დანანებია.

— ეგებ აქ, პარკშიც არ შეიძლება ჩემი ყოფნა! ალბათ არ შეიძლება... თუმცა ამჟამად ამას მნიშვნელობა აღარ აქვს. აი, თქვენ ახლა ყველაფერი იცით და შეგიძლიათ წახვიდეთ.

— თქვენ?

— რა მე?

— თქვენც შინ წახვალთ?

---

[1] ებრაელი (გერმ.). ჰიტლერელთა ოკუპაციის დროს ებრაელები ვალდებული იყვნენ ეტარებინათ ასეთი ვარსკვლავი.

— არა.

— რატომ?

— იმიტომ რომ... ჯერ არ მინდა! — ნერვიულად უპასუხა გოგონამ. — რაში გაინტერესებთ? ეს თქვენი საადრდებელი არ არის. მე კეთროვანი ვარ.

— ᲔᲣ ᲚᲐᲐᲐᲠᲐᲙᲝᲑᲗ ᲐᲡᲔ, — სიტყვა გააწყვეტინა პავლემ. — მე ხომ სხვებსავით არა ვფიქრობ!

გოგონამ თავი ჩაღუნა.

— ნუ გეწყინებათ, — გოგონა მოლბა. — საშინელება იქნებოდა, თქვენც რომ ასე ფიქრობდეთ. მაშინ ხომ დამაბეზღებდით, — გოგონა უცებ შეკრთა და მოიბუზა თავის ჟაკეტში.

— ბრრ... როგორ აცივდა! არ გაცივდეთ. რატომ არ მიდიხართ?

— მეც ჯერ არ მინდა წასვლა, — სიტყვა მოუჭრა პავლემ. — პატარა ბავშვი ხომ არა ვარ.

ისინი ჯერ კიდევ დარცხვენილები იყვნენ და საუბარი უწყდებოდათ. მათ ირგვლივ კი წყვდიადი წვებოდა. პარკის გარშემო აღმართული სახლის კედლები ციხის კედლებს დაემსგავსა, არც ერთი ფანჯრიდან შუქი არ გამოდიოდა: ფანჯრებზე შავი ფარდები იყო ჩამოფარებული, რომელთა იქით ადამიანები სუნთქავდნენ. ოჰ, ეს წყვდიადი! შემთხვევითი გამვლელის სიგარეტის მანათობელმა წერტილმა გაიელვა ბუჩქებზე და გაქრა. ეს ორნი კი ისევ ისხდნენ, შუაში ჩემოდანი ედგათ და ცდილობდნენ შეწყვეტილი საუბრის გაგრძელებას.

— თქვენ, ალბათ, გეგონათ, შემოგიჩნდებოდით? ხომ ასეა?

— დიახ, ასე მეგონა.

— არა... მე ისე გამოვიარე... კინოს ბილეთი მქონდა...

გოგონამ სიტყვა გააწყვეტინა.

— ჩემი გულისათვის არ წახვედით?

— არა, ეს არაფერია, ამაზე არც იფიქროთ, მე ეს... ჰმ... ჩვენ დღეს წერა გვქონდა. ძალიან მეშინოდა, გერმანულში არ ჩავჭრილიყავი... ხომ გესმით, ახლა რა დროა... მაგრამ...

— მეც წელს დავამთავრებდი. მეშვიდედან გამომრიცხეს.

— ნუ მიწყენთ, ეგ რომ მოგაგონეთ.

— არც მწყინს. მოდით ყოველ წუთს ბოდიშს ნუ მოვუხდით ერთმანეთს, კარგი?

პავლემ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, თან ფიქრობდა, ახლა რაღა ველაპარაკოო. მან იცოდა, რომ ახლა აღარ შეეძლო უბრალოდ წამომდგარიყო, „ღამე მშვიდობისაო“, ეთქვა და გასცლოდა.

ჩემოდანზე მიუთითა.

— რა გაქვთ შიგ?

— ყველაფერი. ზედმეტი არაფერი მაქვს. კაბა, კბილის ჯაგრისი, საყვარელი წიგნი. და კიდევ... აქ ორმოცდაათი კილოც არ იქნება, მაგრამ მე მეტი არაფერი მაბადია.

პავლე ვერ მიხვდა.

— რაღა სწორედ ორმოცდაათი?

გოგონამ ყველაფერი უამბო. არეულად ყვებოდა, ღელავდა, თავის თავს თვითონვე აწყვეტინებდა, მაგრამ პავლე მთავარს მიხვდა: გოგონა წინათ პრაღის ახლოს ცხოვრობდა, პატარა ქალაქში. მამამისი ექიმი იყო. შემდეგ გერმანელები მოვიდნენ, ოფროსი ძმა გაიქცა აღმოსავლეთში, ან იქნებ დასავლეთში, ვინ იცის. უკანასკნელ წელს გოგონა პრაღაში ცხოვრობდა ნათესავებთან. მამიდამისი ცოლად ჰყავდა არიელს, — შორეული სისხლის ჯვარდაწერილებს ჯერ ხელს არ ახლებდნენ. ამ პატარა ტყუილმა უშველა... დედ-მამა ჯერ კიდევ შარშან ნოემბერ-

ში გაგზავნეს ტერეზინის [1] საკონცენტრაციო ბანაკში. აგერ სამი თვეა, აღარაფერი ვიცი... თქვენ როგორ ფიქრობთ, ისევ იქ არიან თუ არა? მაშ რატომ არაფერს იწერებიან? შიფრი დავთქვით, რომ ერთიმეორისათვის ჩვენ-ჩვენი ამბავი შეკვეტყობინებინა. პირველ წერილებში მაინცადამაინც არ ემდუროდნენ თავიანთ ხვედრს, იქნებ იმიტომ, რომ შვილი არ შეეშინებინათ. თქვენი აზრით, ისინი ისევ იქ არიან თუ წაიყვანეს? — დაჟინებით ეკითხებოდა გოგონა. პავლემ საცოდავად აიჩეჩა მხრები, ასეთ საქმეებში იგი ვერ ერკვეოდა და არც არასდროს ეფიქრა ამაზე.

შემდეგ? შემდეგ რა მოხდა? ამ დღეებში მისი რიგიც მოვიდა. ახლა ჯიბეში უდევს ტერეზინში გაგზავნის უწყება. უწყებაში ჩამოთვლილია ყოველნაირი სასჯელი, თუ დროზე არ გამოცხადდება. აი ყველაფერი, რაც მოხდა.

— როდის უნდა გამოცხადდეთ? — შეეკითხა ყრუდ პავლე.

— უნდა გამოვცხადებულიყავი... — გოგონამ ამოიოხრა. — ამ დილით

პავლე შიშმა აიტანა.

— არ წახვედით?

— არა.

გაკვირვებისაგან პავლემ წყნარად დაუსტვინა. აქ სალაპარაკო აღარაფერი იყო. ეგებ სწორედ ახლა, ვიდრე აქ სხედან და ლაპარაკობენ, გოგონას უკვე დაეძებენ. ახალგაზრდები, რომელთაც ტყავის პალტო აცვიათ, შლაპის ფარფლები ჩამოუწევიათ და ჯიბეში იარაღი უდევთ, მისი ნათესავების კარს ჩექმებს უბრაზუნებენ! უჰ! ერთხელ პავლე თავისი სახლის კიბეზე წააწყდა ასეთ ხალხს და ახლაც მათ მოგონებაზე ჟრუანტელი უვლის.

ეს გოგონა კი აქ ზის...

ტირილმა გამოარკვია მძიმე ფიქრებისაგან. გოგონას სახეზე ხელები მიეფარებინა და ამაოდ ცდილობდა ქვითინი ჩაეხშო. მაშინ პავლემ მხრებზე ხელი მოხვია. გოგონას წინააღმდეგობა არ გაუწევია.

ცარიელი სიტყვები, სიტყვები! საშინელებაა, როდესაც გრძნობ საკუთარ უძლურებას. პავლემ ოდნავ შეარხია გოგონა.

— ნუ ტირით, გესმით! ჯერ ხომ არაფერი მომხდარა?

— მეც არ ვიცი, რატომ არ წავედი, — ქვითინით ჩურჩულებდა იგი. — არ ვიცი... მეშინია, ვაითუ ჩემი მშობლები იქ აღარ არიან... მაშ რატომ არ იწერებიან? საით წაიყვანეს? მე გავიგე... არა, კმარა ამაზე ლაპარაკი. მე ხომ ცხვარი არა ვარ, ვაგონში შემაგდონ და საითაც უნდათ თავი მიკრან... ცუდი არავისთვის არაფერი გამიკეთებია.

პავლემ მაგრად მოუჭირა ხელი მხრებზე, უნდოდა დაემშვიდებინა. მკერდსა და ტანზე რაღაც სიცივე მოედო, თვალები აეწვა.

— ჩვენ გვეუბნებოდნენ, იქ გამუშავებთ, ბაღებს გაგაშენებინებთო... მე ამისი არ მეშინია, მე მიყვარს ხეები, ვიცი მათი მოვლა... ბლანკამ, ჩემმა ამხანაგმა, მომწერა, როდესაც მიდიოდა, შევთანხმდით, რომ... მისი წერილი თანა მაქვს, გინდათ წაგაკითხოთ? თქვენ გგონიათ, მშიშარა ვარ, მაგრამ მე არ მინდა... მე ვიცი, თუ იმათ ხელში მოვხვდი... მე ამას ვგრძნობ. მაგრამ იქნებ მართალი არ არის, იქნებ შიშისაგან მეჩვენება ყველაფერი. საშინელი სისულელე ჩავიდინე, არა? ხმა მაინც ამოიღეთ...

პავლემ კბილები ერთმანეთს დააჭირა, სუნთქვა შეეკრა და უცებ, აღშფოთებულმა, წამოიძახა ისე, რომ თავადაც ვერ შეეგნო, რას ამბობდა:

— თქვენ სწორად მოიქეცით!

— ეგრე გგონიათ? რატომ?

---

[1] საკონცენტრაციო ბანაკი ჩრდილოეთ ჩეხეთში.

— ახლა გვიანღაა ამაზე ფიქრი. იმათ ხელში არ უნდა ჩაუვარდეთ. ნუ ტირით.

— რისთვის გიამბეთ ყველაფერი? ეს ხომ მხოლოდ მე მეხება. მე კი თქვენ სახესაც ვერ ვხედავ. არც კი ვიცი, ვინა ხართ.

პავლე დაიბნა, ეჩვენებოდა, რომ იგი პატარაა და უძლური. აზრები ერეოდა. როგორ მოიქცეს? წავიდეს? არა, წასვლა არ შეუძლია. არც უნდა. მაშ როგორ მოიქცეს? პავლე ჩუმად გასცქეროდა გაზაფხულის ღამის წყვდიადს. შორიახლო სკამებზე ორი-სამი შეყვარებული წყვილი ჩამოჯდა. პავლე ხედავდა მათ სილუეტებს და ანთებულ სიგარეტს. მდუმარე გოგონასაკენ იბრუნა პირი; ის სულ ახლოს იჯდა, სიცივისაგან კანკალებდა და ჩემოდანს მკერდში იკრავდა. პავლე დაძაბული ფიქრობდა. უცებ თავში აზრმა გაურბინა, — გიჟური, უვუნური გადაწყვეტილებაა. მას ვერ წარმოედგინა და არც შეეძლო წარმოედგინა, რა მოჰყვებოდა ამ გადაწყვეტილებას, მაგრამ ეს იყო ვაჟკაცის შესაფერი გადაწყვეტილება. პავლე მისმა სიმარტივემ მოხიბლა.

სიგარეტი მოსწია, ასანთი ბალახში ისროლა და მტკიცედ წამოდგა. ერთი ხელი გარინდებული გოგონას ჩემოდანს ჩაავლო, მეორე ოდნავ მოხვია მხრებზე და წამოაყენა.

— წამომყევით. ნუ გეშინიათ. ცუდი არაფერი მოგელით.

ერთი ქუჩა, მეორე, მესამე. მიდიან სიბნელეში, სახლების კედლებს ეკვრიან, პავლეს ერთი ხელი გოგონას მხრებზე მოუხვევია, მეორით ჩემოდანი მიაქვს. გოგონა მორჩილად მისდევს, წინააღმდეგობას არ უწევს. მიწაზე ფარნების მკრთალი, მოლურჯო სინათლე იფრქვევა. ჩაბნელებული ფანჯრები წყვდიადს გასცქერიან. პავლეს გოგონა მიჰყავდა ნაცნობი ქუჩებით, სადაც თვალახვეულსაც შეეძლო გავლა; ათასჯერ უვლია აქ მარტოკას, ახლა კი გვერდით მისდევს პატარა, მდუმარე გოგონა. ხანდახან ვინმე გაივლის, ჩაიქროლებს ავტომანქანა, გაიგრიალებს ტრამვაი და ჭრიალით დაიკვნესებს გაჩერებასთან.

სახურავების ზემოთ ციმციმებენ ვარსკვლავები.

— მოვედით! ნელა მომყევით!

მძიმე გასაღებით გააღო კარი, გოგონას ხელი ჩაჰკიდა და ბნელი კიბით პირველ სართულზე აიყვანა. ბოქლომში დაიზრიალა პატარა გასაღებმა. ოთახში შეხუთული ჰაერი და თამბაქოს სუნი იდგა. პავლე პირველი შევიდა ოთახში.

გოგონაც შემოვიდა და კარი დაიხურა. „მგონი არავის დავუნახივართ, — გაიფიქრა პავლემ. — სინათლე არ უნდა ავანთო!". სიბნელეში ფანჯარასთან მივიდა და გამოაღო. ოთახში სუფთა ჰაერი შემოიჭრა. შემდეგ ისევ დახურა და ქაღალდის მძიმე ფარდა ჩამოუშვა. შეამჩნია, რომ მარცხენა მხარეს ქაღალდი ჩამოხეული იყო და ოდნავ ატარებდა სინათლეს. „უსათუოდ უნდა დავაწებო", — გაიფიქრა პავლემ ვინ იცის მერამდენედ. ხელის ფათურით მოძებნა მაგიდის ლამპა და ჩართო.

პატარა ლამპამ ოთახი მკრთალად გაანათა. პავლე სტუმრისაკენ მიტრიალდა. გოგონა კვლავ გაუნძრევლად იდგა კართან, ჩემოდნის გვერდით, და შიშველ კედლებს ათვალიერებდა. გოგონა გონს ვერ მოსულიყო. მისი შავი თვალები თითქოს ეკითხებოდნენ: „სადა ვარ? ვინა ხარ შენ? რად მომიყვანე აქ? რა გინდა ჩემგან?"

პავლე მიუხვდა გოგონას:

— მოეწყეთ. აქ იცხოვრებთ.

ხოლო როცა სტუმართმოყვარული უბრალოებით დაეშვა ძველ ჭრიალა სკამზე და ბავშვურად გაიღიმა, გოგონაც გათამამდა, ფრთხილად ჩამოჯდა ტახტის კიდეზე, თითქოს არა სჯეროდა მისი რეალურობა და ამოიოხრა. მიმოიხედა და

ცნობისმოყვარეობით შეხტა ძველ ზამბარებზე. მორცხვად გაიღიმა და პავლეს შეხედა.

— აქ ძალიან კარგია.

— არც ისე. სამაგიეროდ საფრთხე არ მოგელით. აქ არავინ არ მოვა. მე პავლე მქვია.

— მე კი ესთერი.

— უჩვეულო სახელია.

— მამას ხშირად უცნაური იდეები მოსდიოდა თავში. არ მოგწონთ ეს სახელი?

— მე ეგ არ მითქვამს. უჩვეულოა და მეტი არაფერი!

პავლე წამოდგა, ოთახში გაიარა, თან აუხსნა ყველაფერი, რაც აუცილებელი იყო:

— აქ მატყლის საბანია, თან მიმაქვს ხოლმე, როდესაც ქალაქგარეთ მივდივარ. ამიტომ თივის სუნი ასდის. აი ფინჯანი, კარადა, საკიდი. ეს კარი სახელოსნოში გადის, დღისით იქ არ გახვიდეთ. კარი გასაღებით ჩაკეტეთ ხოლმე. დღისით ჩუმად იყავით, გვერდით მუშაობენ, კარგი? პირისაბანი და საპირფარეშო კარს უკანაა, დილას და საღამოს გადით ხოლმე... არავითარ შემთხვევაში კიბეზე არ გამოჩნდეთ. რადიო არ ჩართოთ. ხომ აასრულებთ? არ დაივიწყოთ შუქშენიღბვა, ვიდრე სინათლეს ჩართავდეთ. შუშაბანდიდან ყველაფერი ჩანს. დანარჩენზე მე ვიზრუნებ... კიდევ... არ დამავიწყდეს...

საკუთარი თავი საკმაოდ სასაცილოდ ეჩვენა. ბოლოს დაჯდა გოგონას პირდაპირ და შეხედა. მხოლოდ ახლა, სინათლეზე შეამჩნია, რომ იგი ლამაზი იყო. შავი თმების ქვეშ სახე საკვირვლად თეთრი მოუჩანდა. მართალია, კლასიკური ნაკვთები არ ამშვენებდა, მაგრამ წუნს ვერ დასდებდით, ისეთი მეტყველი სახე ჰქონდა. ხშირ, გადაბმულ წარბებქვეშ უბრწყინავდა შავი თვალები, რომლებიდანაც ღამე იცქირებოდა. მშვენიერი იყო ეს დამფრთხალი, გულში ჩამწვდომი და გაოცებული თვალები. პავლემ თვალი ააყოლა ყვითელვარსკვლავიან თეთრ კოფთას და წამსვე თვალი მოარიდა. ოდნავ თავბრუ დაესხა. გოგონას თმას რაღაც უცნობი სურნელება ასდიოდა.

პავლემ შეხედა და მხნედ გაუღიმა.

— ისევ გეშინიათ?

— აღარ მეშინია. სულ არა!

გოგონამ თავი გააქნია, მაგრამ როდესაც პავლეს მზერა დაიჭირა, თვალები დახარა და დაღონდა. პავლე წამოდგა და საათს შეხედა. თერმომეტრის ნახევარი გამხდარა. ღმერთო ჩემო, უნდა იჩქაროს, უკვე გვიანაა.

— მოხვალთ? — ხმადაბლა შეეკითხა გოგონა და თვალებში მიაშტერდა. პავლე ამაყად იდგა მის წინ, აღსავსე თავისი მამაკაცური უპირატესობის შეგნებით. თავს კარგად გრძნობდა და შავ ფიქრებს იშორებდა.

პავლემ თმაზე ხელი გადაუსვა და ძალზე გაუხარდა, რომ გოგონამ უკან არ დაიხია.

— მოვალ, — უპასუხა მხიარულად. — ხვალ მოვალ! ნუ გეშინიათ, აქ არაფერი დაგემართებათ. საერთოდ ყველაფერი კარგად იქნება, აი ნახავთ! მოდი „შენობით“ ვილაპარაკოთ, ესთერ, კარგი?

პავლე ჭარივით მიჰქროდა შინ. ახლოს ცხოვრობდა იმ ძველ სახლთან, სადაც ესთერი დატოვა: მარდი სიარულით ათ წუთში იქნებოდა შინ, სირბილით კი ხუთი წუთიც ეყოფოდა. პავლემ სირბილი ამჯობინა. მირბოდა და თავს იმშვიდებდა, „მოხუცებს“ — ასე ეძახდა მშობლებს — ალბათ უკვე ძინავთო.

მათ არ ეძინათ. სამზარეულო მაგიდას უსხდნენ პირისპირ მდუმარედ. მამამ მრავალმნიშვნელოვნად გახედა მაღვიძარა საათს. დედას ცრემლებისაგან თვალები შეშუპებოდა. ესღა აკლდა! თავი დამნაშავედ იგრძნო და თვალი აარიდა, მივიდა ჩამქრალ ღუმელთან, ცივი ყავის დასხმა დააპირა, თუმცა სულაც არ უნდოდა დალევა. დაძაბულ სიჩუმეში საათი უსიამოდ წიკწიკებდა.

— როგორ გგონია, ცოტა ხომ არ დაიგვიანე? — თქვა ბოლოს მამამ. — ეგებ ინებო და მიზეზი გვითხრა? შენ ხომ იცი, რომ მე და დედაშენს ჯავრი გვექნებოდა.

პავლემ თავი მოიკატუნა, თითქოს ვერაფერს მიხვდა და მხრები აიჩეჩა.

— პატარა ხომ აღარა ვარ, — უპასუხა მან არცთუ დიდი დაბეჯითებით.

დედამ ხელები მოკუმშა, ნიკაპი აუკანკალდა მღელვარებისგან.

— ხომ გითხარი, კინოში მივდივარ-მეთქი. გამოცდის შემდეგ თავი ამტკივდა.... შემდეგ... ქუჩაში ცოტა ვისაუბრეთ მე და ვოიტამ...

— ვოიტამ? — ცივად გაიმეორა მამამ და წარბი აზიდა.

პავლემ თავი დაუქნია. დაიჭირა გამომცდელი მზერა და შეტორტმანდა. მოხუცებულობით წელში გატეხილი თერძი წამოდგა, არაფერი უთქვამს და შვილს ზურგი შეაქცია. პავლეს ერჩივნა მოხუცი მივარდნოდა და გაელახა... თერძმა გულმოდგინედ ჩასდო სათვალე ბუდეში, დაკეცა გაზეთი და კარადაში შესდო. თავი გააქნია.

— მე კი მეგონა, ჩვენ ერთიმეორეს არასდროს ტყუილს არ ვეტყოდით... დამაცა, ნუ მაწყვეტინებ სიტყვას! გაგვიგე, ჩემო ბიჭიკო! მძიმე დროს გვიხდება ცხოვრება, შენ კი ძალიან ახალგაზრდა ხარ... კარგი, ეს არაფერი! მალე თერთმეტი საათი შესრულდება. არ ჩაგაცივდები, სად იყავი-მეთქი, თუმცა ვიცი, რომ ტყუილი თქვი. დიახ, ტყუილი...

„ნეტავი რა იცის? — ფიქრობდა პავლე, — რა ვუთხრა? სიმართლე? მერე რას მიპასუხებს? რომ ჭკუაზე შევიშალე? რასაკვირველია! არა, უნდა მოვიცადო, მოვსინჯო, ეგებ ხვალ... დღეს ტყუილის თქმა სჯობს“, — გადაწყვიტა პავლემ დაღონებით.

— მერე რა მოხდა? — შეეკითხა საქციელწამხდარი პავლე.

— რა მოხდა? მაინცდამაინც არაფერი. ვოიტამ შემოიარა, შენ გიკითხა. სხვა არაფერი.

რა უნდა უპასუხო, თუ არ გინდა რომ უფრო ღრმად ჩაიფლო სიცრუეში? არაფერი. კრიჭა შეჰკარ და თვალი აარიდე. და გაჩუმდი.

იმ ღამეს პავლეს ერთმანეთის საწინააღმდეგო გრძნობებით აღსავსეს დაეძინა. რა შეიცვალა ამ საღამოდან? მას შიში და უცნაური სიხარული, ცნობისმოყვარეობა და სიამაყე დაეუფლა. გოგონას ესთერი ჰქვია. რა სახელია! და პავლემ გადაარჩინა იგი. რა თქმა უნდა! აბა სად წავიდოდა? პავლე გულაღმა გადმობრუნდა და ხელები თავქვეშ ამოიდო. დიდხანს შესცქეროდა ჭერს, ცდილობდა წარმოედგინა გოგონას თეთრი სახე და დიდრონი შავი თვალები. მღელვარებისაგან ძილი გაუკრთა. არა, უნდა დაიძინოს, დაიძინოს, ხოლო როგორც კი ინათებს, მასთან წავა...

ხვალ, ხვალ!

მეორე დღეს ქალაქის ყველა რადიომ გამოაცხადა, რომ 1942 წლის 27 მაისს დილით, პრაღაში, იმპერიის ჰაუფტერ ჰეიდრიხს თავს დაესხნენ. ვიღაცის მტკიცე, თანაბარი და უსახო ხმა, ხმა-მანქანა, რადიომ რომ მოჰფინა მიყუჩებულ ქუჩებს, ზედ დააწვა სახლების კედლებს და ექოდ დაიფშვნა.

პავლეს ეს ხმა მათი ქუჩის კუთხეში დაეწია. სუნთქვაშეკრულმა მიაყურადა.

პირველად მხოლოდ ცალკეული სიტყვები გაარჩია. სხვა გამვლელებმაც ვერ გაიგეს რა... ყველას კითხვა აღბეჭდოდა თვალებში.

მაინც რა მოხდა? მოისმინეთ!

...ბოროტმოქმედთა დაჭერისათვის... ათი მილიონი კრონი... ობერლანდრატის რაიონში... საგანგებო მდგომარეობაა... ოცდაერთი საათის შემდეგ სახლიდან გამოსვლა აკრძალულია... ყველაფერი იკეტება... ვინც აღნიშნული დროის შემდეგ ქუჩაში გამოვა, დახვრეტილი იქნება...

ამის გამოცხადების შემდეგ უცნაური სიჩუმე ჩამოწვა. ტრამვაიმ გულგრილად ჩაიქროლა ცენტრალური მოედნისაკენ.

კვლავ გაისმა რადიოს ხმა...

III

სადილობის შესვენება იყო. ჩეპეკი იჯდა სკამზე და დაღვრემილი შეექცეოდა ქვაბიდან უხორცო გულიაშს, ბეცად ჩასცქეროდა სათვალეებიდან და ამ „სასუსნავ“ კერძს უხეირო ლუდს აყოლებდა. — ეს ხომ იდიოტიზმია, — აღელვებით განაცხადა ქარგალმა ჩეპეკმა. არავინ არ უპასუხა. ყველასთვის ცნობილი იყო, რომ თუ ჩეპეკის მელოტ თავში რაიმე უგუნური აზრი ჩაიბუდებდა, იქიდან მას ვეღარავინ გამოდენიდა. ბუტბუტებს ოსტატი და ფრთხილად ავლებს თვალს სახელოსნოს. მათ გარდა სახელოსნოში კიდევ ორნი არიან: ქოჩორა შეგირდს პეპიკს ცოცხი უჭირავს და გვის. მას პოლიტიკა არ იზიდავს, საკუთარი ინტერესები აქვს. მეორე პავლეა. იგი ფანჯარასთან ზის, სახაზავს უკაკუნებს საუთოებელ ფიცარს და ფანჯარაში იცქირება.

შუადღის მზე მოპირდაპირე სახლის კედელს მიადგა.

სახელოსნოს რომ ავლებს თვალს, თერძი მშვიდდება. ოჰ, ეს ჩეპეკი! რა შფოთის თავია! სხვისა რა მოგახსენოთ და თვითონ კი კარგად იცნობს მას. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მუშაობენ ერთად, და მშვენივრად იცის თავისი თანაშემწის უკიდურესი შეხედულებანი. ხშირად იმდენს კამათობენ, რომ ორივეს ყელი ჩაეხრინწება, მაგრამ ეს მათ მეგობრობას ხელს არ უშლის.

ოსტატი იმასაც კი უთმენს ჩეპეკს, მეტისმეტად ფრთხილი ხარო, რომ ეუბნება, და ეგ სისხლში აქვს გამჯდარი ყველა ხელოსანსო. ისაყვედუროს რამდენიც უნდა, — ახლანდელ დროს სიფრთხილე თავს არ ატკენს. ახალგაზრდა აღარაა და ხელოსნის პატივმოყვარეობა, ოდესმე თუ ჰქონდა კიდევაც, რა ხანია დააავიწყდა. მას კისერზე ოჯახი აწევს, პავლე ჰყავს. ის უნდა გაზარდოს, ფეხზე დააყენოს. ახლა ყველაზე სწორი ისაა, რომ ენას კბილი დააჭიროს. ჩეპეკი კი მარტოხელაა, საღამოებს სალუდეში ატარებს, რომელსაც „ეშმაკთან“ ჰქვია, უხეირო ლუდს სვამს და კარტს თამაშობს. იქ იციან ასეთი ლაყბობა!

— ერთი მგლის მოკვლა მთელი ხროვის გაწყვეტას არ ნიშნავს, — მსჯელობს ჩეპეკი ჩახრენწილი ხმით. — აბა, ერთი გაზეთს გადახედე! აირევა მონასტერი! ალმაცერად გახედავ — მორჩა, ბაჰ-ბუჰ! ახლა ნაცისტები ჩვენზე ამოიყრიან ჯავრს... — სათვალის ქვეშ თვალებს ჭუტავს, გაზეთს კითხულობს და გაუპარსავ ნიკაპზე ხელს ისვამს. საძაგელი ჩვეულება აქვს — გაზეთს ხმამაღლა კითხულობს ხოლმე, თან დამცინავ კომენტარიებს უკეთებს.

— აბა ერთი მოისმინეთ! „დიდი გამარჯვება ხარკოვთან“. დამიხედეთ გერმანიას, რა ყოჩაღია! ანდა ეს...

ოსტატი ითმენს, სკამზე ცმუკავს. არ უნდა ენა შეუბრუნოს. აბა ერთი ხმა ამოიღოს! ეს ენაჭარტაღა ისეთ ყვირილს ასტეხავს, რომ... ახლა კი კედლებსაც ყური აქვთ. დროდადრო ოსტატი გამომცდელი თვალით უცქერის შვილს და ცდილობს ლაპარაკი ძველი შემკვეთის კოსტუმის დამთავრებაზე გადაიტანოს. მაგრამ წყეული ჩეპეკი ანკესს არ ედება: არაფერია, მოიცდისო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ერთი ყური დაუგდე! როგორი ხელგაშლილები გამხდარან! — გაზეთს თითს უპარტყუნებს ჩეპეკი: — „ათ მილიონს მიიღებს ის, ვინც აღმოაჩენს ქალის ველოსიპედის, ქუდისა და პორტფელის პატრონს“.

— აბა, პეპიკ, გეყოფა ცხვირის ჩიჩქნა. მოირგე ეს ქუდი, ვნახო, თავზე როგორი იქნება. მაგის ფული ძალიან მჭირდება! წავიკითხოთ შემდეგ: „ის პირნი, ვინც პრო... პროტენტოკრატში ჩაუწერლად ცხოვრობენ, მოვალენი არიან დაუყოვნებლივ ჩაეწერონ. ვინც ამ ბრძანებას შაბათამდე არ შეასრულებს... დახვრეტილი იქნება. დახვრეტილი იქნებიან ის პირნიც, ვინც ჩაუწერლად მცხოვრებლებს დაფარავენ...“ ჰმ-მ... აბა ერთი მაგიდის ქვეშ შევიხედო, ვინმე იმათგანს ხომ არ ვმალავთ, თავდასხმაში რომ მონაწილეობდა, — დაურთავს ბოროტად ჩეპეკი და შუბლშეკრული თვალს შეავლებს პატრონს. — მე შენ კარგად გიცნობ, ალოიზ, შენთვის მთავარია — არაფერი ცუდი არ გამოვიდეს!

— გაჩუმდები თუ არა, — დარდიანად ჩურჩულებს ოსტატი.

— ვითომ რადაო! აქ თეთრზე შავად წერია, მე კი არაფერი დამიმატებია!

სულისშემხუთველ სიჩუმეში საუთოებელ დაფაზე სახაზავის კაკუნი ერთბაშად შეწყდა. თერძი ფანჯრისაკენ მიტრიალდა. ბიჭი ოდნავ წახრილი ზის და გასცქერის ქუჩას, რომლის ჟილაქანი მუქ ჩრდილს გადაუსერია.

უკანასკნელ დღეებში რატომღაც არ მოსწონს შვილი, ძალიან ჩუმი გახდა.

— რა დაგემართა, პავლე? უქეიფოდ ხომ არა ხარ?

— არა. აქ შეხუთული ჰაერია.

ასეთმა იძულებითმა ტყუილმა, კითხვებზე პასუხის გაუცემლობამ მამასა და შვილს შორის უკეთური დაძაბულობა შექმნა და აღმართა მინის კედელი — კითხვები წვიმის წვეთებივით მისრიალებენ ზედ.

— აბა შენ რა გესმის? — ჩაერია ლაპარაკში ჩეპეკი. — ახლა გამოცდების ჩაბარება არც ისე ადვილია.

პავლეს სახაზავი ხელიდან გაუვარდა და ფიცარზე დავარდა; იგი წამოდგა, თავი ჩაღუნა, ორ საკერავ მანქანას შუა გაირბინა და სანამ რომელიმე მათთაგანი გამოერკვეოდა, კარი მოიჯახუნა.

პავლე ქუჩაში გარბის, გვერდით კი მისდევს კითხვა: „რა გემართება?“

ოჰ, ნეტა ვინ გაუძლებს სულ ერთთავად ასეთ ლაპარაკს, უსარგებლოს, ძველი შარვალივით გაცვეთილს. მამამისის შეხედულებანი! პავლე გაურბის მათ, გავარვარებულ ქუჩაზე მირბის, მირბის უმიზნოდ, საითაც თვალი უჭრის.

აი ნაცნობი ვიტრინები: საფუნთუშე — როდესაც პატარა იყო, შაურიან ნამცხვარს ყიდულობდა აქ; ფეხის წვერებზე აიწევდა, ხელს გაშლიდა და მუჭში გაოფლიანებულ ფულს გაუწვდიდა ხოლმე. საფუნთუშეს გვერდით, რამდენიმე ნაბიჯზე, მოჩანდა ფრანტიშეკ ტერებას ძეხვეულის დუქნის ფანჯარა, ომს რომ გამოეგრია. ეს ის ტერებაა, რომელსაც თითები ცხელი წყლისაგან საზიზღრად აქვს დასიებული. იგი თვითონ უხარშავდა ხოლმე მუშტარს ძეხვს. ახლა ყოველნაირ პროდუქტს სასურსათო ბარათებით იძლევიან, მეძეხვე დუქანში მოწყენილია, დათუთქული ხელები უშუშდება. მენახშირის სარდაფის კიბესთან სასაცილოდ ხტუნავს ფრთებშეჭრილი ჭილყვავი. ქუჩა, სახლები, კირჩამოცვენილი კედლები, რომლებზეც არც მთლად კდემამოსილი სურათებია დახატული—ყველაფერი კარგად ნაცნობია. ეს მისი სამყაროა, აქ ურბენია ბავშვობაში ფეხბურთის თამაშისაგან ცხვირგახეული ფეხსაცმლით; „მეთერთმეტე ბინაში მცხოვრები თერძის ბიჭია!“ — ზოგი მეგობრულად გაუღიმებდა, ზოგიც წკიპურტს ჰკრავდა შუბლზე, მედუქნის ცოლი კი უცებ დიდსულოვნად გაუწოდებდა კამფეტს: „დაიჭი, პავლე, შენ ეს დაიმსახურე“. ეს ყველაფერი წარსულში დარჩა. შენ ახლა დიდი ხარ, „თქვენობით“ გელაპარაკებიან, ძველი ბუნთი სამუდამოდ შეგორდა სადღაც ბნელ კუთხეში. კამფეტი კი მგონი აღარც არსებობს ახლა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგონებებიდან გამოერკვა და შენიშნა, რომ ნაცნობ პარკში მირბოდა; შეჩერდა, რადგან გააოცა იმ განსაკუთრებულმა ინტუიციამ, სწორედ იმ ადგილისაკენ რომ უბიძგებდა. შადრევანი ცაში წყლის ზვირთებს ისვრის, ალერსიანი ნიავი ალეწილ სახეში აშხეფებს წყლის მტვერს.

აქ, აქ! პავლე ჩამოჯდა სწორედ იმ ყოვლად ჩვეულებრივ სკამზე, რომელიც არაფრით გამოირჩეოდა სხვა სკამებისაგან, და სკამის გადაქერცლილ ზურგს ხელი გადაუსვა. აქ, ამ სკამის ბოლოს იჯდა ის, მეორეზე კი — თვითონ. ყმაწვილი გაირინდა, სახე ხელებში ჩაირგო. ხანდახან ვინმე გამვლელის ფეხის ხმა თუ არღვევს სიჩუმეს; ხან მზე ფაფუკ ღრუბელს ეფარება; შორიდან აღწევს ქალაქის ხმაური, ფიქრებს კი თვითმფრინავის თანაბარი გუგუნი უფანტავს. „...ამავე დროს დახვრეტილი იქნებიან ის პირნიც...“ შენ იცი, რა გემოსია შიში? მლაშეა, მაგრამ მარილს არა ჰგავს. შიშია ის საკვირველი ჟრუანტელი, რომელიც უცებ გაგიჯდება სხეულში და აგაკანკალებს; ორმოცფეხაა, ყინულივით ცივი თათებით რომ გადაგირბენს და გულთან მიცოცდება... და იქვე ქრება. თუ შეირხევი, წუთით მოგეშვება. არაფერიც არაა. ხომ არაფერი მომხდარა! მაგრამ... ერთი წუთის შემდეგ ისევ გაგიცივდება, აგიკანკალდება ხელები, ხელისგულებზე ოფლს დაგასხამს. პავლეს რცხვენია ამ კანკალისა. ძლივს ახერხებს ფიქრის გადატანას სხვა, უმნიშვნელო მოვლენებზე. ეს ზღვის მიქცევას წააგავს. მაგრამ მალე კვლავ მოიქცევა ზღვა და წალეკვას უქადის მას. ესთერი იქაა! შემდეგ? და კვლავ ყველაფერი ერევა, ღრუბელი, რომელიც მზადაა საშინელ ჭექა-ქუხილად გადმოსკდეს — და სტიქიური სიხარული, ბობოქარი მელოდია, გულიდან ამოხეთქვას რომ ლამობს ყველაფრის საწინააღმდეგოდ. ის იქ არის, მერე კი რაც იქნება, იქნეს!

გუშინ დილას — რა დიდი ხანია მას შემდეგ — პავლეს თავის ოთახში გაეღვიძა... თითქოს ყველაფერი ჩვეულებრივად იყო: წიგნები, ას მეტრზე სირბილში გამარჯვებისათვის მიღებული სიგელი, იაფფასიანი ფოტოაპარატი; გალიაში ფრთხიალებს იადონი, გარეთ რიჟრაჟი დგება. მხოლოდ თვალები უნდა მოესრისა, წამომხტარიყო და დგუშს შედგომოდა. „გამოცდების შემდეგ გამოძინება მაცალეს დღეს, — გაიფიქრა მან მადლიერებით. — მამა უკვე სახელოსნოში იქნება, დედამ კი ალბათ მაღაზიებზე მიიტანა იერიში“.

პავლემ ისაუზმა და სირბილით მოუსვა ძველ სახლისაკენ, აირბინა კიბე. მოუთმენელი ცნობისმოყვარეობა აჩქარებდა. მიიხედ-მოიხედა და გასაღები გადაატრიალა.

გოგონა ტახტზე იწვა, კედლისაკენ მიბრუნებულს ბალიშში ჩაერგო პირისახე და ეძინა. პავლეს თვალში ეცა სქელი, კუპრივით შავი გაშლილი თმის ტალღა და სხეულის მოყვანილობა. გოგონა ზურგზე გადმოტრიალდა და დაჭმუჭნული საბანი მტვრიან იატაკზე ჩამოუცურდა. პავლემ საბანი დაახურა და მის სახეს დააკვირდა. მძინარე გოგონა უფრო პატარა და უმწეო ეჩვენა. მშვიდი სუნთქვა უცებ ღრმა ამოოხვრამ შეაწყვეტინა, ტუჩებზე თვინიერმა, ბავშვურმა ღიმილმა გადაურბინა.

წესრიგი ჰყვარებია! პავლემ შეამჩნია, რომ ძილის წინ ზოლიანი პიჟამო ჩაეცვა, კაბა დაეკეცა და სკამზე დაედო, ფეხსაცმელი ტახტთან დაელაგებინა და გულმოდგინედ გაესწორებინა. ყვითელვარსკვლავიანი ჟაკეტი სკამზე გადაეკიდა. პავლე შესცქეროდა და ვერ ბედავდა ადგილიდან დაძვრას ან თავისუფლად ამოსუნთქვას. მერე ფეხაკრეფით მივიდა კართან და სახელურს ხელი შეახო. გადაწყვიტა გვიან გამოევლო, როცა გოგონა გაიღვიძებდა. ფრთხილად გაიხურა კარი და შინისაკენ მოკურცხლა. რაღაც უნდა მოიფიქროს! რაღაც უნდა იღონოს! კიდევ კარგი, სკოლაში აღარ უწევს სიარული. ახლა მას უფრო დიდი საზრუნავი

გაუჩნდა, ვიდრე ლათინურის ან გერმან გერინგის ბიოგრაფიის ზუთხვა იყო.

როდესაც შინ მივიდა, დედა თავისი ლაშქრობიდან ჯერ კიდევ არ დაბრუნებულიყო. „რა სულელი ვარ!" — შუბლზე ხელი იტკიცა. გოგონას ხომ საჭმელი უნდა, თუმცა ეს სისულელეა და სასაცილო, მაგრამ ასეა!.. პავლემ საკუჭნაო გააღო, სწრაფად მოჭრა პურს ორი სქელი ნაჭერი, წაუსვა მარგარინი, ბოთლში ყავა ჩაასხა და როდესაც ჯიბეში ილაგებდა, დედაც მოვიდა. პავლე აწრიალდა. რა დაემალება დედის მახვილ თვალს! ნუთუ ვერაფერი შენიშნა? „დედიკო, პური ავიღე და წავედი".

პავლემ შვებით ამოისუნთქა, როცა დედის თვალს მოეფარა. რა მოხდება, ბიჭებს რომ გაანდოს საიდუმლო? მათ შეუძლიათ დაეხმარონ! არა, არ შეიძლება. დიდი ამბავი ატყდება! დუმილი სჯობს.

როცა სირბილით დაბრუნდა გოგონასთან, მას ისევ ეძინა.

გვერდით მიუჯდა და დაელოდა. ელოდა. დრო შეუმჩნევლად გადიოდა. პავლეს ყველაფერი დაავიწყდა.

სახელოსნოდან მამის ხმა ისმის, ეს ხმა სავსეა შემკვეთის წინაშე ხელოსნის იმ უსიამოვნო, გადაჭარბებული მორჩილებით, ასე რომ სძულს პავლეს. ისმის პარკეტის ჭრიალი და უთოს შიშინი; შუშაბანდში ვიღაც ქალი სარეცხს ფენს და ნამძინარევი ამთქნარებს. გამურული მებუხრე ეზოში მიდის და ამომტვრეულ ქვაფენილზე თიხით სავსე კალათს მიათრევს.

პავლემ ვერ შეამჩნია როგორ აუცახცახდა გოგონას წამწამები. თვალები უცებ ფართოდ გაახილა. პირველ წუთს გოგონას თვალების გამომეტყველება უაზრო იყო. პავლემ ვერ შეიკავა ღიმილი.

გოგონა სწრაფად წამოჯდა, კისერთან შეიკრა პიჟამოს საყელო და შიშით სავსე თვალებით შეხედა პავლეს.

— სადა ვარ?

— სსს! ჩუმად!

პავლემ გამაფრთხილებლად გაიშვირა თითი სახელოსნოსაკენ.

— ჩვენ ხომ უკვე ნაცნობები ვართ. თქვენ დაგავიწყდათ... შენ დაგავიწყდა!

გოგონას გაახსენდა და შვებით ამოიოხრა.

— ვიცი. შენ პავლე ხარ?

— პავლე ვარ.

— იქ...

— იქ მამაჩემია. მისი სახელოსნოა. ის თერძია. გუშინ ხომ გიამბე.

გოგონამ თავი დაუქნია. ახლა კი ილაპარაკებს ჩურჩულით. მას ყველაფერი ახსოვს. შემდეგ თითქოს მოისაზრა, რომ ჩაცმული არ იყო, დაიბნა, გაწითლდა და თავი ჩაღუნა.

— უნდა ჩავიცვა, — თქვა დაბნეული ღიმილით.

— წავიდე?

— არა, არ წახვიდე, გეთაყვა! მარტოკას მეშინია. ღამე რაღაც შრიალებდა, იატაკზე ვიღაც დარბოდა.

— თაგვები იქნებოდა, ნუ გეშინია, თაგვები აქ არ არიან.

— მართლა?

— მართლა!

გოგონამ ისევ ამოიოხრა.

— მაშ ყველაფერი რიგზე ყოფილა. ახლა კი იქით მიიხედე!

პავლემ რაღაცა ჩაიბუტბუტა, ფანჯრისაკენ მიბრუნდა და ხელები ჯიბეში ჩაიწყო. იგი ცოტა არ იყოს გააოცა გოგონას თხოვნამ — არ წახვიდეო. პავლეს ესმოდა იატაკზე ტიტველა ფეხების ტყაპუნი, ფეხსაცმლის ბაკუნი, ტანსაცმლის შრიალი. სისხლი საფეთქელზე მოაწვა, სხეული გაუშეშდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ახლა მოიხედე.

პავლე ნელა მოტრიალდა, თითქოს ეს ყველაფერი მისთვის არავითარ ინტერესს არ წარმოადგენდა, და უდარდელი გამომეტყველება მიიღო. გოგონას ისევ ყვითელვარსკვლავიანი ჟაკეტი ჩაეცვა და გაწყვილ თმას ივარცხნიდა. ტუჩები მაგრად მოეკუმა და ისე დაუზოგავად ივარცხნიდა, სქელ თმას სულ ტკაცატკუცი გაუდიოდა. პავლეს ძოსწონდა გოგონა, თუმცა მას სახე ჯერ ისევ ნამძინარევი ჰქონდა. გოგონამ დაამთქნარა და კატასავით გაიზმორა.

— ოჰ, როგორ გამოვიძინე! ნეტავ ისე დამაძინა, რომ აღარ გამომეღვიძოს, ვიდრე ყველაფერი არ დამთავრდება და ჩვენები არ დაბრუნდებიან. ან... ან სულაც აღარ გამომეღვიძოს!

— ნუ ამბობ ასე, — სიტყვა გააწყვეტინა პავლემ. — ასე არ უნდა ილაპარაკო.

— შენთვის ადვილია მაგის თქმა — ასე არ უნდა ილაპარაკო! მე კი ახლა ისე მიმძიმს ამქვეყნად ცხოვრება!

— ასეა თუ ისე, შენ ასე აღარ ილაპარაკო, ხომ?

— აღარ ვილაპარაკებ, თუ შენ არ გინდა!

გოგონა ტახტზე ჩამოჯდა, თმის ვარცხნა განაგრძო და პავლეს შეხედა. პავლემ თითით აჩვენა ყვითელ ვარსკვლავზე.

— ეგებ ეს მოიხსნა?

— რადა? განა ცუდია?

— მე ეგ არ მიფიქრია! — უპასუხა საჩქაროდ. — მაგრამ რა საჭიროა? — მე მგონია, აქ არ გჭირდება მაგის ტარება.

გოგონა დაფიქრდა და თავი ჯიუტად გაიქნია.

— არა... ჩვენ აკრძალული გვაქვს უვარსკვლავოდ სიარული. გესმის? მე დამნაშავე არა ვარ, და არცა მრცხვენია. მამაც ატარებს ასეთს. ბლანკაც.

— მე არ გაძალებ. მხოლოდ... ცოტა საჭმელი მოგიტანე. გშია?

— ძალიან! ნუ იცინი. გუშინ დილას აქეთ არაფერი მიჭამია. ქალაქში დავდიოდი და ბავშვივით ვღრიალებდი და ვღრიალებდი. თუმცა მამიდამ საჭმელი შემიხვია, მაგრამ სადღაც სანაპიროზე დამრჩა. თავგზა სულ ამერია.

ხარბად ჩაკბიჩა პურის ყუა და თან სუროგატის უშაქრო ყავა დააყოლა. თვალის დახამხამებაში გააქრო ყველაფერი და ტუჩებზე ნამცეცები მოიწმინდა. პავლე დაფარული სიხარულით შესცქეროდა მას, თუმცა გული დარდით ჰქონდა სავსე. პატარა, მშიერ და ლამაზ ცხოველს წააგავდა გოგონა. გოგონამ მოკრძალებული ღიმილით გადაუხადა მადლობა. პავლემაც პასუხად მხნედ გაუღიმა და ფეხმომტვრეულ სკამზე ჩამოჯდა.

— კარგი მადა გქონია!

გოგონამ დასტურის ნიშნად ისე მაგრად დაიქნია თავი, რომ თმა შუბლზე გადმოეყარა.

— საშინელი! მამა ღორმუცელას მეძახდა. ადამიანი კი, თითქოს ჯინზე სწორედ მაშინ გამგელდება ხოლმე, როდესაც საჭმელი არაფერი აქვს. ჩვენ მუდამ საშუალოდ ვცხოვრობდით, ბოლო დროს კი მთლად გაგვიჭირდა. ზოგჯერ რომელიმე ძველ პაციენტს მოაგონდებოდა მამა და რამეს მოგვიტანდა. ღამე შემოდებდნენ ხოლმე ფანჯრის რაფაზე. მე დავეჩვიე ამას და დილდილობით ვეძებდი, ხომ არაფერი დევს-მეთქი. ერთხელ ხორცი მოეტანათ... მამა უყვარდათ. ამბობენ პროვინციელი ექიმები უხეში ხალხიაო, მაგრამ მამაჩემი კარგი ადამიანი იყო, არავის არ უყვიროდა...

ის წარსულს იგონებდა, თითებგადაჭდობილი ხელები მუხლებზე ელაგა, სახეზე ნათელი ადგა.

— ზაფხულში უკეთ ვცხოვრობდით, ბაღჩა გვქონდა, იქ წინათ დედაჩემის

ვარდები და გიორგინები ჰყვაოდა. შემდეგ ბოსტნეული დავთესეთ — სტაფილო, კომბოსტო და ცოტა კარტოფილი. კომბოსტოს ფოთლებს კურდღლებს ვაჭმევდით. შენ ოდესმე გინახავს ბაჭია? სულ პატარა ბაჭია? ისეთი რბილი ტუჩი აქვს, ხოლო როდესაც ხელზე შეგეხება, პირდაპირ... მამას კი ფუტკარი ჰყავდა. მაგრამ შენ ამას ვერ გაიგებ, კაცი ხელად მიხვდება, რომ პრაღელი ხარ.

— ვითომ რატომაო?

გოგონამ გაიცინა:

— ისეთი ფერმკრთალი და ნაზი ხარ. სვიის ყლორტსა ჰგავხარ.

პავლეს ეწყინა:

— არაფერიც! მე ღონიერი ვარ, ასე ნუ მიყურებ, — და აშკარად შეურაცხყოფილმა წამოიწია. — დაგიმტკიცო? აბა ნახე!

და სანამ გოგონა გამოერკვეოდა, მარჯვენა ხელი მხრებზე მოხვია, მარცხენა მუხლებში ამოსდო და მაღლა ასწია. გაუკვირდა: გოგონა უფრო მძიმე აღმოჩნდა, ვიდრე ეგონა. იგი ორივე ხელით თავს იცავდა და კისკისებდა. პავლემ ძველ ტახტზე დასვა და შეშინებულმა თითი ტუჩებზე მიადო.

— სსს! ჩუმად! თუ ღმერთი გწამს! — სახელოსნოზე ანიშნა და სიცილიც შეწყდა. დაღლილები იყვნენ და ჩუმად შესცქეროდნენ ერთმანეთს. დრო გარბოდა. პავლემ სახეზე ხელი გადაისვა — ასე იცოდა დაბნეულობისა თუ შეკრთომის დროს.

— მართალია, — უთხრა გოგონამ მოწონებით. — ღონიერი ყოფილხარ.

პავლემ თავმდაბლად აიჩეჩა მხრები.

— მეყოფა... თუ დამჭირდა.

კარს უკან საკერავი მანქანა ხმაურობდა, ეზოს გავარვარებული მზე დასცქეროდა. ეზო წააგავდა თავახდილ კოლოფს, რომელშიც სიცხის ბუღი იდგა. გავარვარებულ ქვაფენილზე სიცხისაგან დაოსებული კატა გარინდებულიყო. პატარა ბიჭი ფეხბურთს თამაშობდა.

— მე წავალ, — უცებ დაარღვია სიჩუმე პავლემ.

— საქმე გაქვს?

— სადილად მელიან. მოხუცებს დარდი ექნებათ.

— მოხვალ?

პავლემ თავი დაუქნია.

— მალე?

— მალე...

— დღეს?

პავლემ დამამშვიდებლად გაუღიმა.

— რასაკვირველია, დღეს. — თქვა პავლემ, როცა კარის სახელურს სწვდა.

IV

....ეს ყველაფერი ძალიან ჰგავდა ქურდობას. პავლეს წინასწარ დაუწყებდა ოოლმე გული ფართხალს და ლუკმა ყელში ეჩხირებოდა. ამ დღეებში ოჯახი დაძაბულ სიჩუმეში ვახშმობდა, ჭურჭელი უსიამოვნოდ ზრიალებდა. პავლე გამუდმებით გრძნობდა მამის კითხვით სავსე მზერას და ჯიუტად თავჩაქინდრული ცქმუტავდა სკამზე. დღითი დღე უფრო გაუძნელდება თეფშის გატანა თავის ოთახში და იქ გადამალულ პატარა ქვაბში ულუფის გადაღება. რა სასწაულია, რომ აქამდე ვერაფერს ხვდებიან!

დღესაც მოახერხა! პავლე დერეფანში ტრიალებდა, ფეხს ითრევდა, შემდეგ სამზარეულოში შევიდა, რათა მტკიცედ და ვრცელი ახსნა-განმარტების მიუცემლად გამოეცხადებინა, ჭადრაკის სათამაშოდ მივდივარო. ნასადილევისათვის

პავლემ გაინაღდა ალიბი ვოიტასთან. ვოიტა დასთანხმდა, თუმცა ცნობისმოყვარეობით ჰკლავდა: „აბა ჩამოყაჭე! როგორი გოგოა?". რაღაც კურიოზული თავგადასავალი შეთხზა, სიმართლე კი დაუმალა.

— ფრთხილად იყავი, პავლე! — ოხრავს დედა.

— ადრე დაბრუნდი. ხომ ხედავ, რა ამბები ხდება. ოხ, ღმერთო ჩემო! — და ტვინისწამღებ დარიგებებსა და შეკითხვებს მამა საყვედურით სავსე მზერას ამჯობინებს. ეს უფრო ძლიერად მოქმედებს!

მესამე დღეა, რაც ესთერი მის ოთახშია. გუშინ ძლივს მოიგონა მიზეზი, რომ დროზე წამოსულიყო შინ. რა შეეძლო ეთქვა ესთერისათვის? არაფერი! უმჯობესია, თუ სულ არაფერი ეცოდინება ამ ბოლო დროს მომხდარი ამბებისა.

პავლე ჩქარობდა, გულგახარებული მიდიოდა, თუმცა სიმშილისაგან კუჭი ეწვოდა. შავი ქვაბი ცოცხალ არსებასავით უთბობდა მკერდს. ნადავლი თუმცა პოეტური არაა, მაგრამ ძვირფასია! რა სასაცილოა! ლაპშა ბლით — და ესთერი! ღმერთმა დაგლოცოთ თქვენ, მარგარინმოსხმულო, დაბერილო, სრიალა ლაპშებო!

და უცებ თავში გაურბინა: მარტო პურით ხომ არ ცოცხლობს ადამიანი!. წიგნის კითხვაც სჭირდება, რომ დარდისა და შავი ფიქრებისაგან ჭკუაზე არ შეიშალოს. ნეტა რაზე ფიქრობს მარტოობის უსასრულო საათებში? სად დაჰქრის მისი ოცნება? უნდა იკითხოს, წიგნით გაერთოს, რომ საკუთარი ბედი დაივიწყოს და სხვათა ბედს მისდიოს. გადაწყვიტა „ჟან ქრისტოფის" და „შვეიკის" წაღება. ესთერმა უნდა იცინოს. უნდა იცინოს!

— შენ კარგი ხარ! — უთხრა ესთერმა. შუბლიდან ხელით გადაიყარა თმა და მადლობით თვალებში შეხედა პავლეს. — რად ხარ ასეთი კარგი? მე ხომ ბევრი თავსატეხი გაგიჩინე.

პავლემ უარყოფის ნიშნად ხელი გაიქნია და ლაპარაკი შეაწყვეტინა. იგი პატიოსნად ცდილობდა თავიდან მოეშორებინა ფიქრი საკუთარი კეთილშობილებისა, რადგან დარწმუნებული იყო, ამისი უფლება არა მაქვსო.

— რად ხარ ასეთი?

ვაჟმა თვალი აარიდა და მხრები აიჩეჩა.

— არ ვიცი... განა ისეთი რა ვქენი? ჩვეულებრივი ბიჭი ვარ. გამეგდე? შენ კი გამაგდებდი?! ამას ვერც ერთი ადამიანი ვერ ჩაიდენს.

— შენ თუ გესმის, ვის მალავ? მე ხომ სრულებით არ მიცნობ?

— გიცნობ. ზოგჯერ მგონია, ათასი წელია გიცნობ.

ესთერმა გაკვირვებისგან თვალები ჭყიტა.

— მართლა?

— მართლა. რატომ მეკითხები?

— იმიტომ, რომ მეც ასე მგონია. სისულელეა? შეიძლება. ეგრე ამბობენ ხოლმე, ხომ? მე ვფიქრობდი ამაზე გუშინ, როდესაც შენ ადრე წახვედი. ასე მგონია, მთელი ჩემი სიცოცხლე გიცნობ! ჩვენ კი მხოლოდ გუშინწინ საღამოს შევხვდით ერთმანეთს პარკში, სკამზე. იქნებ ადრინდელ ცხოვრებაში ვიცნობდით ერთიმეორეს, ალბათ და-ძმა ვიყავით, ან შეყვარებულნი! ჩვენი სიყვარული უიღბლო იყო. სისულელეს ვლაპარაკობ, არა?

— რა მნიშვნელობა აქვს. მე სიამოვნებით გისმენ, — უთხრა პავლემ და გულზე სევდა შემოაწვა. გოგონას ხმა თავბრუს ახვევდა, რბილად უმსჭვალავდა, ნეტარებით უფორიაქებდა გულს. პავლე უფრთხოდა ესთერს. სიბნელეში ხედავდა მის სილუეტს; ესთერი ტახტის ბოლოს იჯდა, ხელები მუხლებზე შემოეხვია, თავი ჩაეღუნა. პავლე იქვე წამოწვა გულაღმა, ხელები თავქვეშ ამოიდო. „შეყვარებულნი... უიღბლო სიყვარული..." არა! ასე არა! ადრინდელი ცხოვრებაო! თფუი! რა უსიამოვნოა ეს სიტყვები.

— იცი რა, მე არა მჯერა ეგ სისულელეები. წარსული სიცოცხლე ზღაპარია

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავქარიანი ქალიშვილებისათვის. არც ვარსკვლავებია ნაჩვრეტები, ზეცის ქაღალდის ფარდებს რომ აქვს. ვარსკვლავები სამყაროებია, მილიონობით სამყარო, ხოლო მთვარე გაცივებული სფერო. პოეტებს ამაებისა არაფერი გაეგებათ: ეს ყველაფერი მათემატიკაა, ტელესკოპი და ციფრები, ფანტასტური ფორმულები...

პავლე ლაპარაკობდა, გოგონა კი, თითქოს თავისი სიტყვების შერცხვაო, დუმდა. პავლემ მხარზე გადაუსვა ხელი, თითქოს ბოდიშს ითხოვდა, ასე პროზაულად, საღად რომ მსჯელობდა, მაგრამ ესთერმა ხომ არ იცის ეს. პავლეს სურს სწავლული იყოს.

— გეწყინა?

— არა. შენ ალბათ მართალი ხარ, მე კი ერთი ჩერჩეტი ვიღაც ვარ.

სახურავებზე დაისი წვებოდა, მათს სენაკში უკვე იპარებოდა ბინდ-ბუნდი, მაგრამ ლამპის ანთება არ უნდოდათ. თხელ ფარდებში ატანდა ყვითელი სინათლე, შუშაბანდიდან რომ იღვრებოდა. სადღაც რადიო დუდუნებდა. ამ ძველი სახლის ყოველი ხმა ნაცნობი იყო პავლესათვის. ჩაქუჩის რიტმული კაკუნი ამცნობდა, რომ მესამე სართულზე მცხოვრებ ახალ ჯვარდაწერილთ ავეჯი უყიდიათ და ქმარი ცდილობს ცოტათი მაინც გააშნოიანოს ეს ხარახურა, მეძველმანისაგან რომ შეუძენიათ; ხომ მოგეხსენებათ — ახლა ისეთი დროა. მხატვრის სახელოსნოდან, თითქმის სხვენზე რომ მდებარეობს, გიტარის ხმა და ყრუ სიმღერა მოისმის — მხატვარი თაგვებს აშინებს და დარდს იქარვებს. ამას წინათ ცოლი გაექცა; შუშაბანდში ახლაც ჭორაობენ: „ქარაფშუტა!". მაგრამ დამცველებიც ჩნდებიან ხოლმე: „ეჰ, ქალებო, გეთაყვათ, აბა რა სასიამოვნოა სულ სიღატაკეში ყოფნა, სხვენზე ცხოვრება და მყრალი სკიპიდარის სუნის ყნოსვა?"

ისმის ხმები, ლაპარაკი. და ყოველივე ამას ზედ გადაჰფარებია მდუმარე, მოციმციმე ზეცა. პავლე ღია თვალებით გასცქერის წყვდიადს და ეჩვენება, თითქოს ესმის, რა სტვენა-წუილით მიჰქრიან ცივ სივრცეში სამყაროები.

— პავლე!..

ის-ის იყო ფარდის ჩამოსაშვებად წამოდგა, მაგრამ გოგონას ხმამ შეაჩერა.

— როდესმე გამოგიცდია შიში?

— რისი შიში?

— ყველაფრის... ცხოვრების.

პავლე შეყოყმანდა.

— ზოგჯერ...

— მე კი მუდამ მეშინია.

— რისა გეშინია? თაგვების? მე ხაფანგს დავუგებ! — გაეხუმრა დარდიანი პავლე.

— ნუ დამცინი. მე მხოლოდ შენ შემიძლია გაგენდო. შიში განუწყვეტლივ მიღრღნის გულს, მაშინაც კი, როდესაც სულ სხვა რამეზე ვფიქრობ, სიცილის დროსაც კი. თითქოს ჩასაფრებულია, იმალება სადღაც აი აქ, გულთან...

— მამაჩემი ამბობს, მხოლოდ ქვებს არ სჩვევიათ შიშიო. ქვები მკვდრები არიანო.

პავლე როგორც იქნა, ტახტიდან წამოდგა, ფარდა ჩამოუშვა და ლამპა ჩართო. შუქმა სახე გაუნათა ესთერს. გოგონამ თვალები მოჭუტა და დაახამხამა. პავლემ გახუმრება სცადა, მას აშინებდა ესთერის ფიქრები.

— როგორ არის საქმე სენიორინა კაპულეტი? როგორ ბრძანდება მამათქვენი? კვლავ მტრობს მონტეკის?

— არა, მამას მაგათთვის არა სცალიან. იგი ტერეზინშია... მგონი.

პავლეს შერცხვა თავისი უადგილო ხუმრობისა, სისხლი თავში აუვარდა. მაგრამ საოცარი ის იყო, რომ ესთერს არცკი სწყენია მისი ხუმრობა, — გოგონამ მხოლოდ უბრალოდ აღნიშნა ფაქტი, თან ყოვლისმიმტევებელი ღიმილით შეს-

ცქეროდა ქვემოდან ზევით. პავლე ახლოს მიუჯდა და ყურადღებით დაუწყო მზერა.

— რად მიყურებ? არ მოგწონვარ?

— ხომ იცი, რომ მასე არ არის, — უთხრა პავლემ. — შენ მე ძალიან მომწონხარ... ნამდვილად!

— რისთვის? — ჩააცივდა ესთერი.

პავლე წუთით დაიბნა, სიტყვებს დაუწყო ძებნა.

— შენ ისეთი არა ხარ, როგორც სხვა ქალიშვილები...

— არაფერი მესმის! ვითომ რატომ არ უნდა ვგავდე სხვა ქალიშვილებს? — ესთერი უცებ ვერ მიუხვდა, რა უნდოდა ეთქვა ვაჟს.

გოგონა მოიღრუბლა და უცებ მიუტრიალდა პავლეს.:

— იმიტომ, რომ ებრაელი ვარ?

— რას ამბობ! — იუარა დაბნეულმა პავლემ. — მე, სწორედ რომ გითხრა, ხულ სხვა მქონდა მხედველობაში... ამბობენ, თითქოს...

— რას ამბობენ? იმას, რომ ჩვენ სხვებს არ ვგავართ? რომ ჩვენ გრძელი ცხვირი და...

პავლემ წყენით შეაჩერა, თან დაბნევით თავი მოიქექა.

ჰო, რას არ ჩმახავენ... ხალხი სულელია და ბოროტი...

პავლე წამოხტა და ოთახში სიარული დაიწყო. სირცხვილისაგან გაჭარხლებულმა ხელები ჯიბეში ჩაიწყო, საკუთარ თავზე გული მოსდიოდა. მერე მიიხედა: ესთერი ისევ ძველ ადგილას იჯდა, იმავე პოზაში, ხელები მუხლებზე დაეწყო. სახეზე ნაცრისფერი ჩრდილი გადაკვროდა. პავლემ ტუჩი მოიკვნიტა: „სულელი ვარ! ეშმაკმა იცის რაებს ვჩმახავ!"

თავი ვეღარ შეიკავა და ამოიძახა:

— ესთერ... მე...

გოგონამ თავი მაღლა ასწია. თვალებში დაქანცული ღიმილი უკრთოდა. „მე ხომ ყველაფერი მესმის". — უთხრეს მას ამ თვალებმა. პავლეს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს თვითონ პატარა ბიჭი იყო, ლაწირაკი, და დიდი ქალის წინ იდგა. მწარე სიბრალულმა და რაღაცნაირმა გადარეულმა სიხარულმა აუვსო გული, თითქოს მკერდიდან გამოგლეჯას ლამობდა. „ესთერ! როგორ აგიხსნა ჩემი გულის ნადები! რაღაც მემართება — არც კი ვიცი რა..."

— რატომ სდუმხარ, — ხრინწიანი ხმით შეეკითხა პავლე. — ხმა ამოიღე!

პავლე უცებ მივარდა გოგონას, მხრებში მაგრად ჩასჭიდა ხელი. უნდა გამოგლიჯოს, წაართვას მისი თავი ამ უძრავ მდუმარებას. გოგონა ღონიერი იყო, ჩუმად უწევდა წინააღმდეგობას, მაგრამ პავლემ მაინც სძლია და თავისაკენ შემოაბრუნა. ესთერს უცხო, გულჩათხრობილი სახე ჰქონდა, პირი მოეკუმა, დახრილი წამწამებიდან მოელვარე თვალები ისე იცქირებოდნენ, თითქოს ფიქრით სადღაც შორს დაფრინავსო.

— ესთერ... მომისმინე... ნუ ტირი, არ გაბედო ტირილი! მე...— და პავლემ გოგონას აკოცა, აკოცა უშნოდ, პატარებს რომ სჩვევიათ. გოგონამ თავი აიქნია და პავლეს ტუჩები მის ლოყებს შეეხო, მაგრამ ბოლოს მაინც მოძებნა ქალიშვილის ბაგე.

ესთერმა წინააღმდეგობას თავი ანება, შემოტრიალდა, თვალები დახუჭა და მკერდზე აეკრა.

და ყველაფერი უცებ დამთავრდა.

და ყველაფერი დაიწყო. და ორივემ იგრძნო ეს.

მათ გარს ეხვია მოცახცახე მდუმარება, სიტყვები შორიდან ესმოდათ. სახლს მოუსვენარი ძილით ჩაეძინა, მაგრამ ორ არსებას არ ეძინა. გესმის? რა სიჩუმეა ოდნავი ფაჩუნი ისმის — ეს თაგვებია...

— რად მაკოცე?

პავლემ მხრები აიჩეჩა. გოგონას ისე უბრწყინავდა თმა, თითქოს შავი ალი ანთიაო; ფართოდ გახელილ თვალებში არ მოუჩანდა არც რისხვა, არც გაკვირვება. ისინი მხოლოდ თითქოს რაღაცას ეკითხებოდნენ და უღონოდ, ოდნავ შესამჩნევად იღიმებოდნენ.

— იმიტომ... იმიტომ... რომ მიყვარხარ! შენ ხომ იცი... მე შენ მიყვარხარ. შენ... შენ უნდა დამიჯერო, ესთერ...

— რად მეუბნები მაგას?

— იმიტომ რომ, ეს მართალია. ჰო. განა ეს ცუდია?

— არა! როდის მიხვდი, რომ ეგრეა?

— რისთვის მეკითხები?

— ისე...

— არ ვიცი. ალბათ მაშინ, როდესაც ერთმანეთს შევხვდით. ანდა მაშინ, როდესაც პურს ჭამდი გამწარებული. გუშინ დილით რომ გეძინა, ძალიან მინდოდა მეკოცნა, მაგრამ შემეშინდა, არ გავაღვიძო-მეთქი. როდის?.. მე თვითონაც არ ვიცი...

დაბნეული ყმაწვილი გაირინდა. თხელი თითები ერთმანეთს გადააჭდო, სახსრები გაატკაცუნა, გაიზმორა და ისე ტკბილად ამოიკვნესა, თითქოს მძიმე სამუშაო გაეკეთებინოს. სახეზე დამნაშავის ღიმილი უკრთოდა.

— ხომ არ მიწყრები? მე რომ...

ესთერმა თავი გააქნია და ხელები მუხლებზე შემოიჭდო.

პავლემ თვალებში ჩახედა და მიხვდა თავისი ამ შეკითხვის უაზრობას. ესთერს თვალები უბრწყინავდა. მან პავლეს მხრებზე დაადო ხელები. პავლემ უნებურად თვალები დახუჭა. გოგონა ოდნავ შეეხო ტუჩებით პავლეს ტუჩებს და ბავშვურად გაიცინა. მერე ამოიოხრა.

— ღმერთო ჩემო, პავლე... მეც... ნუთუ არ გესმის, რომ მეც... მიყვარხარ! ჰო! რაც იქნება, იქნება: მიყვარხარ, პავლე, პავლე, გენაცვალე!

ყოველ სიყვარულს თავისი ისტორია აქვს. ზოგჯერ სულ პატარა, ასე ვთქვათ, მინიატურული ისტორია. სიყვარულს აქვს ზრდისა და მომწიფების დრო, მიწიური აღტაცება და ელვის სისწრაფით დამხობა, თავისი ქარიშხალი და უამინდობა.

როდესაც პავლე შინ ბრუნდებოდა, ეჩვენებოდა, თითქოს ქუჩებში სინათლე კაშკაშებდა. რასაკვირველია, ასე არ იყო. თვით მასში იყო სინათლე, ირგვლივ კი წყვდიადი სუფევდა. ამ სინათლის სხივებში თავი ძალოვან ადამიანად ეჩვენებოდა, აკვირვებდა მის არსებაში გაღვიძებულ გრძნობათა სიმდიდრე. უწინდელი პავლე, რომელიც ჯერ ესთერს არ იცნობდა, ის ჩვეულებრივი, შეუმჩნეველი ყმაწვილი, ახლა სიბრალულს აღუძრავდა. როგორ ცხოვრობდა აქამდე? საერთოდ ცხოვრობდა კი? სკოლაში დადიოდა, წიგნებს კითხულობდა. ცხოვრებისაგან რაღაცას მოელოდა, ოცნებობდა, და ჩვეულებრივ ბიჭებთან მეგობრობდა. მაშინ იგი სულ სხვა ადამიანი იყო.

მაგრამ შინ ყველაფერი ძველებურად იყო, უცვლელი და წვრილმანამდე ნაცნობი. პავლეს ლამპის შუქმა თვალი მოსჭრა. მშობლები ერთიმეორის პირისპირ ისხდნენ ჩუმად. კარადაზე რადიოს ყრუ ხმა ისმოდა. რადიო-მიმღებზე ეკიდა ქაღალდი: „გახსოვდეს, საზღვარგარეთული სადგურების მოსმენისათვის შენ გელის ციხე ან სიკვდილი!“. დედა ხის სოკოზე წამოცმულ წინდას კემსავდა. უცებ პავლეს თავში გაურბინა ფიქრმა, რომ მოხუცები თამაშს უწყობენ, „არხეინობანას“ თამაშს. ძალიან კარგი! თვითონაც მხარს აუბამს! პავლემ ყასიდად დაამთქნარა და ჭამას შეუდგა. ხოლო როცა უკვე თხელ ყავას შეექცეოდა და თან ისეთი

სახე ჰქონდა, თითქოს ქვეყანაზე ამ მიჭყლეტილი ყავადანის მეტი არაფერი აინ-ტერესებდა, მამამ გადაშლილი წიგნი მაგიდაზე დასდო და დაიწყო:

— ჩვენთვის ხომ არაფერი გაქვს სათქმელი, პავლე?

პავლემ ფინჯანი დადგა და თავი გააქნია.

— არა... არაფერი...

— შენ რაღაც მთვარეულივით დადიხარ. რა თქმა უნდა, უკვე თვრამეტისა ხარ, მაგრამ მეშინია, სულ არ დაჰკარგო თავგზა. ხომ იცი, რა დროა. ყველაზე ჭკვიანური ახლა ისაა, რომ შინ იჯდე...

მამა გაჩუმდა, რადგან შვილს შეხედა და მის მზერაში მხოლოდ პროტესტი ამოიკითხა — ყრუ, მტკიცე პროტესტი.

— არ ვიცი, განსაკუთრებული რა შემამჩნიეთ, — პავლე წამოდგა, სხვა აღარაფერი უთქვამს, თავის ოთახს მიაშურა და თავისდაუნებურად მაგრად მოა-ჯახუნა კარი.

მოხუცები მარტონი დარჩნენ. დედამ ხის სოკო გადასდო და სათვალეს ქვე-მოდან ჩუმად შეხედა ქმარს. თერძი დასაძინებლად წამოდგა.

— არა, ტყუილის თქმა არ ეხერხება. და არც უნდა, — დასძინა მოხუცმა, თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო. — ჯერჯერობით არ უნდა...

მოხუცმა უმწეოდ შეარხია მხრები და წიგნი დახურა.

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრიტიკა და კულტუროლოგია

გოგი გაჩეჩილაძე

„ამოდის, ნათდება!“

შემოქმედებითი სიახლითაა აღბეჭდილი ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსების ახალი წიგნი „ამოდის, ნათდება!“. ამ კრებულში ნათლად ჩანს ის თვისებები, რომლითაც ახალგაზრდა პოეტი გამოირჩევა თავის თანატოლთაგან. წიგნში მკაფიოდაა გამოკვეთილი სულიერად ძლიერი ლირიკული გმირის სახე. ნათელი პათოსი, სიცოცხლის ნება, გადიადება ყოველივე ძლიერისა და ნათელისა, სხვადასხვა ინტონაციითა და სახით წარმოგვიდგება ჯ. ჩარკვიანის ლექსებში. ახალგაზრდა პოეტი ცდილობს ახალი თვალით დაინახოს საგნები და მოვლენები.

ჯანსუღ ჩარკვიანს აქვს ერთი ლექსი, მიძღვნილი ვაჟა-ფშაველასადმი. ამჯერად ჩვენ არ გვაინტერესებს ლექსის მხატვრული ღირებულება. გვინდა მხოლოდ მივუთითოთ იმ დიდ შინაგან კავშირზე კლასიკურ ქართულ პოეზიასთან, რომელიც წინა თაობის არაერთი პოეტისათვის ქცეულა შემოქმედების ცხოველმყოფელ წყაროდ. ვაჟასადმი მიძღვნილ ლექსში ჯ. ჩარკვიანმა ნათლად გამოამჟღავნა ეროვნული ტრადიციებისადმი თავისი მოკრძალებული დამოკიდებულება.

ცხადია, ჯერჯერობით, პოეტის რაიმე გარკვეულ კონცეფციაზე ლაპარაკი ძნელია, რადგან არც არსებობს ასეთი რამ, მაგრამ რაც არსებობს, მისი პათოსი უაღრესად ოპტიმისტურია.

ჯ. ჩარკვიანის ლექსებში სიცოცხლის გადიადების პათოსი და ჯანმრთელი სული, ესაა არა მარტო შინაგანი ხმა, არამედ შეგნებული პასუხისმგებლობის გრძნობაც მაღალი ზნეობრივი ვალდებულებების წინაშე. პოეტი თანაბრად უარყოფს ყალბ ოპტიმიზმსაც და ფუჭ უიმედობასაც. ვისაც დიდი სიცოცხლე სწამს, მისთვის სიკვდილიც სიცოცხლის ფორმაა. ამიტომაა, რომ „ყვავილები კვდებიან ისე, თითქოს ხელახლა იბადებიან“. ამგვარი ოპტიმიზმი მსოფლგანცდის ეროვნული ხასიათიდან მომდინარეობს და არაა არტისტული პოზა. მთელ ქართულ პოეზიაში ხომ მკაცრ ზნეობრივ ვალდებულებებს, ვაჟკაცობის კულტს თან ახლავს სიკვდილის ფაქტორის ფილოსოფიური გააზრება. სიკვდილის განცდის ასეთი პოეტური სურათია ჯ. ჩარკვიანის ერთი ადრინდელი ლექსის ფინალი:

> დავდგები ცერზე, როგორც ავაზა,
> ერთს გადავხედავ დღეებს გაფრენილს,
> მერე მოვკვდები ისე ლამაზად,
> ვით დაიბადა ეს ყველაფერი.

ესაა არა სიცოცხლის უარყოფა, არამედ მისკენ ლტოლვის ფორმა.

ეს მომენტი მიგვანიშნებს იმ ტრადიციულ სამყაროზე, რომელიც ორგანულად შედის ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებაში. რა თქმა უნდა, ტრადიციული თემატიკა და ტრადიციულ სფეროში ტრიალი სულაც არ ნიშნავს იმ ახალს, რაც ახალგაზრდა პოეტის ინდივიდუალობიდან გამომდინარეობს. ჩვენთვის კი სწორედ ეს უკანასკნელია უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანი. სწორედ ამ თვისებითაა აღბეჭდილი ჯ. ჩარკვიანის ყველაზე სრულყოფილი ლექსი „ბეთანია". ეს ლექსი ყურადღებას იქცევს ფორმის გარეგნული სინატიფითა და პოეტური ტემპერამენტით, რაც არც ისე დამახასიათებელია ჯ. ჩარკვიანის ლექსებისათვის. სხვა ლექსებში შთაბეჭდილებისა და განცდის უშუალობა თავისი მნიშვნელობით ზოგჯერ გულგრილსაც გვტოვებს ფორმისადმი. დასახელებულ ლექსში კი სხვაგვარი სურათია. არტისტიზმი და მოჭარბებული ტემპერამენტი განელებულია მაღალი პოეტური ხილვის სიდინჯით. ესაა ლექსი, რომელშიც ისტორიულ ტაძარს ჩადგმული აქვს ადამიანური სული, ხოლო პიროვნება მაღლდება სათნოებისა და დიდების ძეგლამდე; ლექსს ლამაზ კოლორიტს უქმნის საბა-ორბელიანის ოდნავ სახეცვლილი ეპიგრაფი: „ბეთანია — სახლი სათნოებისა და სახლი მორჩილებისა და სახლი დიდებისა".

შენ არ გინახავს ჩემი ხელები,
ჩემი თვალები და ჩემი მხრები,
გადარეული თეთრი ცხენებით
და შორეული ზარების ხმებით.

შენ არ გინახავს ჩემი ნისლები,
მთიდან ქორების ფრთით მოტანილი,
თეთრი ქარებით როგორ ივსება
დღეები ლურჯი ქრისტეს ტანივით.

შენ არ გინახავს ფრესკის სიშორე,
ფერი ფასკუნჯის, ფერი ქედნების,
მირონის სურნელს როგორ იშრობენ
ჩემი სხეულის ძველი კედლები.

შენ არ გინახავს, მოდი და მნახავ,
რომ ეს ტაძარი ჩემი ტანია!..
სათნოებისა ვარ შენი სახლი,
მორჩილებისა ვარ შენი სახლი,
შენი სხეულის ვარ ბეთანია!.."

აქ ემოციური განცდა შესისხლხორცებულია ეროვნული კოლორიტის შემქმნელ საგნობრივ წარმოდგენებთან და მოძებნილია ის უხილავი სიმები, რომელთა ჩუმი ჟღერაც ამაღელვებლად მოგვითხრობს ჩვენი თანამედროვე ახალგაზრდა კაცის ტკივილსა და სიხარულზე. ეს ლექსი უაღრესად თანამედროვეა, უპირველეს ყოვლისა, თავისი ემოციურობით და ჩვენს ყურადღებას იქცევს, როგორც ეროვნული თემატიკის შეზღუდულ გააზრებასთან დაპირისპირება.

ჯ. ჩარკვიანის ახალ კრებულში დიდი ადგილი აქვს დათმობილი უცხოეთზე დაწერილ ლექსებს. საინტერესოა, რომ ლექსების ამ ციკლში გამოჩნდა განწყობისა და პოეტური აზროვნების ის სიახლე, რაც ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებით ზრდაზე მიუთითებს. ამ ლექსების თავისებურებაა უცხო გარემოს შთაბეჭდილებების შეზავება ქართულ სულთან. აქ არაა ტრაფარეტად ქცეული პარალელები (რომელიმე ქვეყნის ლამაზ ადგილას უეცრად მცხეთის, ალაზნის ველისა თუ შავი ზღვის მოლანდება...), ამ ლექსებში ქართულია სული, ტკივილები და სიხარული, რაც გამორიცხავს ყალბ პათეტიკას.

სხვის მიწაზე ფეხის შედგმა სხვა ხალხის სულთან ზიარების პირობაცაა. ამ პათოსითაა პოეტი ვენასა და ბუდაპეშტში, მილანსა თუ ზალცბურგში:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგხვიე ხელი და გაგიცანი
და ამიტანეს მთებზე ნისლებმა.

ან:

მე მინდა სულში გადავიწერო
სტრიქონებივით შენი სახლები.

ამ ლექსში ჩანს ჯ. ჩარკვიანის ლირიკისათვის დამახასიათებელი ერთი კარგი თვისება, რაც უშუალო შთაბეჭდილების ფიქსაციის სიძლიერეში გამოიხატება:

ქალაქში მოჩანს თვალი კეთილი,
თითქოს სიხარულს შეხვდა უეცარს.
ხარ ნატყვიარი, ხარ დაფლეთილი,
და გუმბათებით გიჭირავს ზეცა.
შენი დუნაი სისხლივით მივლის,
მზე მფანტავს გზებზე, როგორც
მინოზებს,
ო, შენი ჰიმნი, ლამაზი ჰიმნი...
სწყდება ლარებად ვიოლინოზე.
(„ბუდაპეშტი").

ჯ. ჩარკვიანი უშუალო განცდის პოეტია. მას შესწევს პოეტური ძალა ქართველი კაცისათვის ნაცნობი და ახლობელი განწყობილება იგრძნოს უნგრული სიმღერის სევდიან თუ მხიარულ მოტივებში.

„შუაღამით კაფე ხდება
უფრო მუქი ფერის,
ბეეილო ფხიზელია,
ბეეილო მღერის:
— საკანშიაც რომ ჩამაგდონ
ტყვე და დარდიანი,
მთელ თურქისტანს მირჩევნია
ერთი მადიარი.
და დარბაზი იმეორებს:
— ერთი მადიარი".

ლექსების ციკლი იტალიაზე დახვეწილი პოეტური ოსტატობით გამოირჩევა და ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებითი ზრდის უდავო მაჩვენებელია. ცხადია, თანამედროვე ტურიზმი ნაკლებ შესაძლებლობას იძლევა რომელიმე ქვეყნის შინაგანი თავისებურების გაცნობისათვის და, ამდენად, შთაბეჭდილებებიც ხშირად ზედაპირულია, მაგრამ ჯ. ჩარკვიანის ლექსებს ამ ხარვეზისაგან იცავს მიღებული შთაბეჭდილებების დამაჯერებელი გულწრფელობა და მკაცრი პოეტური ფორმა, რომელშიც სათქმელია მოქცეული.

თანამედროვე პოეტისათვის აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ ქართულ ლექსში, პოეტურ აზროვნებასა და ენაში ხდება ცვლილებები. ყოველი დროის ლირიკას ჰქონდა თავისი „პოეტიზმები". მაგალითად, იყო დრო, როცა პოეტები მაღალი შთაგონების მისაღებად ღვთაებას ევედრებოდნენ.

იყო „ლურჯი ოცნებისა" და იდუმალი ხმების მანერული ოხვრა-კაეშანიც. ყოველ პერიოდში არსებობს თავისებური ხელოვნება პოეტური მეტყველებისა, რომელშიც პირობითი პოეტური ბუტაფორიები იკავებს დიდ ადგილს. „გიჟი ოცნება", „ნაზ-ნარნარი" და „ცელქი ქარი" გარკვეულ პერიოდში დაკანონებული პოეტიზმებია, რომლებიც, ცხადია, ყოველთვის ხელს უშლიდა პოეტს, დაენახა სინამდვილის ცოცხალი სახე. ამიტომაც სავსებით ბუნებრივია, თუ დრო დღის წესრიგში აყენებს გამოსახვის მხატვრულ საშუალებათა განახლებისა და განვითარების საკითხს. ეს უკვე ლამაზ „პოეტიზმებზე" უარის თქმაცაა. ესაა ისტორიული ფორმის სრულყოფილად გამოვლენის მოთხოვნა, რაც თავისთავად ახალი პოეტური მასალის, ლექსიკისა და ინტონაციის აღმოჩენასაც გულისხმობს. ჯ. ჩარკვიანის ლექსებში ჩანს ამ ტენდენციის, მართალია, მკრთალი, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც საგრძნობი კვალი. ისეთ სტრიქონებში, როგორიცაა:

„მთებიდან მთვარის სიცილი წვეთავს
და ზღვა იხურავს ლუდისფერ
კაპრონს“.

პოეტური ფერწერა სწორედ „არაპოეტური“ „ლუდისფერი კაპრონის“ შემოჭრით იქმნება.

ეს გზა ახალი ფორმებისა თუ გამოსახვის ახალი საშუალებების ძიებისა აუცილებელი ეტაპია ქართული პოეზიის განვითარებისათვის, თუ რა თქმა უნდა, გვსურს, რომ იგი აღმოჩნდეს იმ საგნებისა და მოვლენების ასახვისა და პოეტური განცდის სიმაღლეზე, რომელიც ჩვენს გარშემო შეიქმნა და იქმნება.

ჯ. ჩარკვიანის ლექსების ახალი კრებული „ამოდის, ნათდება!“ ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებითი წრთობის ერთერთი მომენტის შეჯამებაა. სარეცენზიო წიგნში ადვილია სუსტ სტრიქონებზე მითითება, ან ისეთი განწყობილებებისა და სურათების აღნიშვნა, რაც უკვე ნაცნობსა და ნანახს მოგვაგონებს, მაგრამ ჯანსუღ ჩარკვიანის, როგორც პოეტის, უპირველესი თვისება ის სიცოცხლისუნარიანი პათოსია, რომელიც ჩვენს მკითხველს ბევრი კარგი პოეტური ნაწარმოებით გაახარებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფილიპე ბერიძე

„თითქოს დექსია, მაგრამ მაინც არ არის დექსი“...

პირადი პოეტური ბიოგრაფიის, ინდივიდუალური მხატვრული აზროვნების გარეშე არავის შეუქმნია და ვერც შექმნის ახალს, მნიშვნელოვანსა და საინტერესოს. ეპიგონობა, მიბაძვა, სხვის პოეტურ სამყაროში ტრიალი ერთფეროვანს ხდის ლიტერატურას. სწორედ ეს საშიში ტენდენცია ეტყობა ჩვენი ახალგაზრდა პოეტების ერთ ჯგუფს. როგორ არ გაოცდები, როცა თვალყურს ადევნებ ზოგიერთი მათგანის ცხოვრებას, იცი, რით სუნთქავს, რას განიცდის, როგორ აზროვნებს, რა აღელვებს, რას ეტრფის, რა სძულს, შემოქმედებაში კი მისთვის უცნობ და არაორგანულ თემებს ირჩევს. გრძნობ იმასაც, რომ მთელ მის სულიერ სამყაროს, მისი ინტელექტის ხასიათს საერთო არაფერი აქვს არა მარტო ჭეშმარიტად ამაღლებულ პოეზიასთან, არამედ ყოველგვარ შემოქმედებასთან საერთოდ, და ეს კაცი, წარმოიდგინეთ, ლექსში ღმერთთან კამათსაც არ ერიდება, სურს თავი „იდუმალი ხილვების“ შემოქმედად მოგვაჩვენოს და წერს „თეთრი სიზმრების“, „შავი ოცნების“, „მწვანე ფიქრების“ შესახებ. ათასგვარ ქაოტურ ქსელს ხლართავს, რომ მკითხველი გააბრუოს, დააბნიოს და პოეტად მოეჩვენოს. აქვე უნდა ვთქვათ, რომ ასეთი „ვაინოვატორები“ ხშირად მართლაც ახერხებენ არაპროფესიონალი მკითხველის მოტყუებას, პროფესიონალი მკითხველი კი, სამწუხაროდ, უმრავლეს შემთხვევაში დუმს.

საკმარისია დაკვირვებით გაეცნოთ მათს შემოქმედებას და ყველაფერი ნათელი გახდება. რაგინდ ეფექტური მხატვრული სახეც არ უნდა შექმნას ავტორმა, იგი მაინც ვერ გაუძლებს ანალიზსა და გასინჯვას, თუ არადაჯერებელია. საერთოდ, ამის მიზეზია ეგრეთწოდებული „ლიტერატურშჩინა“ და, კერძოდ, უმეტეს შემთხვევაში ცუდად წაკითხულის გალექსვა. რა თქმა უნდა, კითხვისა და განათლების გარეშე არაფერი შექმნილა ღირსეული, მაგრამ ნაწარმოებს დამოუკიდებელ, ორიგინალურ მხატვრულ ხასიათს ანიჭებს მხოლოდ შემოქმედის პირადი დაკვირვება სინამდვილეზე, მისი ინდივიდუალური ინტელექტუალურ-ემოციური დამოკიდებულება სამყაროსადმი. თუმცა ჭეშმარიტი პოეზია არასოდეს ყოფილა მხოლოდ კარგი ლიტერატურული განათლების შედეგი, სამაგიეროდ არც უიმისოდ შეუქმნია იგი ვინმეს.

სამწუხაროდ, ზოგიერთი ჩვენი ახალგაზრდა პოეტი დიდად არ იმტვრევს თავს განათლებისთვის. წაიკითხავს, ვთქვათ, მხოლოდ ლადო ასათიანს და დაიწყებს მისებურად წერას. გავლენა რომ ნამდვილ პოეზიად აქციო, ჯერ ერთი, მოვლენისა თუ საგნის შენებური მხატვრული ანალიზი უნდა შეგეძლოს, მეორეც, ერთ ან ორ პოეტს კი არა, საერთოდ, პოეზიას უნდა იცნობდე საფუძვლიანად. ეპიგონურ პოეზიაში ერთმანეთისგან გათიშულია ფორმა და შინაარსი.

წაიკითხავთ ეპიგონობის სავალალო გზაზე შემდგარი რომელიმე ახალგაზრ-

და პოეტის ლექსს და ელემენტარულ კითხვებს ვერ უპასუხებთ: რა თქვა ან რის თქმა სურდა ავტორს, რამ აიძულა დაეწერა ეს ლექსი. ასეთ ლექსებში მკითხველი ნახავს გამართულ ფრაზებს, მეტნაკლებად კარგ რითმებს, ასონანსებს, დისონანსებს, ავტორს დიდი გატაცებაც ეტყობა, მაგრამ რა ესთეტიკური სიამოვნების მინიჭება შეუძლია, ან რა შემეცნებითი ღირებულება აქვს ამგვარ ნაწარმოებს? შეეძლო თუ არა ავტორს თავი შეეკავებინა და არ დაეწერა იგი? ნამდვილი შემოქმედება ხომ მაშინ იწყება, როცა ავტორი თავს ვეღარ იკავებს, სათქმელი არ ასვენებს. „პოეტმა, — წერს ნადსონი, — უნდა შესძლოს იმ მიზეზის ანალიზი, რომელიც მას აიძულებს წეროს“.

დღეს რამდენადაც გაიოლდა სტრიქონების „გაკეთება“, იმდენად იშვიათი გახდა შემოქმედებითი წვით, პოეტური შთაგონებით დაწერილი, აზრიანი ლექსი. „თითქოს ლექსია, მაგრამ მაინც არ არის ლექსი“, — წერდა გალაკტიონ ტაბიძე. „თითქოს ლექსია“ — ამ პუნქტში დიდი პოეტი გულისხმობს გარეგნულ, მოჩვენებით წესრიგს (რითმა, რიტმი, ფრაზის გამართვა), მაგრამ აზრობრივი, იდეური სიცარიელის, ფაქტის განცდის უმდაბლესი ხარისხის გამო „მაინც არ არის ლექსი“.

ჩვენი ზოგადი შესავალი ასე მკაცრი არ იქნებოდა, რომ მარტო ქვემოთ განხილული ავტორების ლექსებს ვგულისხმობდეთ.

ყველა კეთილად განწყობილი, პოეზიის გულწრფელად მოყვარული კაცი შემოქმედში, უპირველეს ყოვლისა, კარგს ეძებს. სწორედ ამ პრინციპით ვიხილავთ ანზორ აბულაშვილის, ბონდო ალავიძის, ლადო ირემაშვილისა და ტაგუ მებურიშვილის ლექსების კრებულს, რომელიც ახლახან გამოსცა გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა“. ამ ავტორთა დამოკიდებულება სამყაროსადმი უდავოდ პოეტურია. ეს თვისება უპირველესი და აუცილებელი პირობაა პოეტისათვის, თუმცა ემოციურობა არც „ჩვეულებრივ“ მოკვდავთათვისაა უცხო რამ. ერთია სინამდვილის პოეტური შემეცნება, აღქმა. და მეორეა ამ შემეცნებულის პოეზიის ენაზე გადატანა. ავტორი სწორედ ამ გადატანილის ხარისხის მიხედვით ფასდება.

ზემოთ დასახელებული ავტორების ლექსთა კრებულის წაკითხვის შემდეგ უნებლიეთ გებადებათ კითხვა: რაზე ან როგორ სწერენ ისინი? პირველ კითხვაზე შეიძლება გავცეთ ზოგადი პასუხი — სამშობლოზე, სიყვარულზე, გაზაფხულზე, სიხარულზე, სევდაზე. მაგრამ ლექსში საგნის ან მოვლენის მხოლოდ დასახელება ხომ არ კმარა. რას ამბობ, რა აზრისა ხარ პირადად შენ საგანზე ან მოვლენაზე, როგორ დაინახე იგი, რა ახალი თვისება შენიშნე ობიექტში წინამორბედი ავტორებისაგან განსხვავებით, და ბოლოს, როგორია შენი დამოკიდებულება საგნისა თუ მოვლენისადმი, ე. ი. ის, რასაც ჩვეულებრივ იდეას ეძახიან.

სარეცენზიო წიგნის ავტორთა მსოფლმხედველობა ძალიან შეზღუდულია. ოთხივეს თითქმის ერთნაირი ხასიათის თემები იტაცებს. მაგრამ ეს როდია იმდენად სასაყვედურო, რამდენადაც ამ თემების მხატვრული გადაწყვეტის ერთფეროვნება. სად უნდა ვეძიოთ ამის მიზეზი? ისევ და ისევ ვიწრო გავლენის სფეროში. უმეტეს შემთხვევაში მათთვის სამყაროს ჭვრეტის ერთადერთი რაკურსი არსებობს. ლექსების უმეტეს ნაწილს აშკარად ეტყობა წიგნური შთაბეჭდილებები. მხატვრულ სახეებს აკლია რეალობა, უშუალობა, რადგან სახეებს ისინი საგნის ან მოვლენის ორგანული ნიშნების მიხედვით კი არ ქმნიან, არამედ თვითნებურად, ყოველგვარი კანონზომიერების გარეშე. ასოციაციებიც ქაოტურია და არ შეესაბამება სინამდვილეს.

დოსტოევსკის ცნობილი დებულება — „უნდა ეწამო“, — შემოქმედს სინამდვილის ინდივიდუალური განცდის აუცილებლობას შთააგონებს. სინამდვილის გადატანა საკუთარ სულიერ და გონებრივ სფეროში, მისი გამოღვაძებისა და გადაცემის ხარისხი ანიჭებს შემოქმედს არსებობის უფლებას. სამშობლო რომ საყვარელია, რომ „დედის ძუძუა“, რომ

ყოველი ადამიანის მოქალაქეობრივი ვალია მისთვის თავგანწირვა, — ეს ზოგადი აზრი საქვეყნოდაა აღიარებული და ყველას ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი. პოეტს უფლება არ აქვს ასე შიშვლად და მზამზარეულად გადაიტანოს ეს აზრი ლექსში. მან საკუთარი ბიოგრაფიული, სულიერი განწყობილების გამომხატველი დეტალით უნდა გახსნას სამშობლოს სიყვარულის იდეა. მკითხველს ანზორ აბულაშვილისაგან, ბონდო ალავიძისაგან, ლადო ირემაშვილისა და ტაგუ მებურიშვილისაგან ცნობილი, ზოგადი აზრის მეათასედ მოსმენა კი არ აინტერესებს, არამედ თვითეული მათგანის პირადი და მხოლოდ პირადი განცდა. და თუ ყოველი მათგანის პოეტური ხედვის ხასიათი საოცრად ჰგავს ერთმანეთს, ამის მიზეზიც ისევ სხვისი განცდების „მითვისების“ სურვილია:

„დედაა ჩემი, ძმაცა და შვილიც
ის, რაც სამშობლოდ მაკუთვნა ბედმა.
. . . . . .
შენ ჩემო, მართლა, სისხლო და
შვილო,
ჩემო იმედო, ნათელო ყოვლად“.

(ანზორ აბულაშვილი, „სამშობლო“)

„ეს მე ვარ შენი ხორცი ხორცთაგან,
ეს მე ვარ შენი სისხლი სისხლთაგან.
და მტკივა ყველა შენი ტკივილი,
და ნურაფერი წამოგტკივდება“.

(ტაგუ მებურიშვილი, „მე მტკივა შენი ყველა ტკივილი“)

თავისთავად ცხადია, რომ ასეთ ლექსებში მკითხველი ამაოდ ეძებს ავტორისეულ იდეას, მის პოზიციას. საგანში დანახული არ არის ერთი ახალი ნიშანიც კი, უბრალოდ გალექსილია (და გალექსილია ცუდად) მოსმენილისა თუ წაკითხულის ნარევი.

უამრავი ლექსი დაწერილა კოცნაზე. მაგრამ ამის მსგავსად არავის უთქვამს:

„...საოცარი კანონი აქვთ ადამიანებს...
კოცნისაგან ადამიანს ქმნიან“.

(პოლ ელიუარი)

პოეტი ღრმად ჩასწვდა ფაქტს და შექმნა ახალი მხატვრული სახე.

სამშობლოს სიყვარულის თემის მსგავსი გადაწყვეტა ტიპიურია ოთხივე ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებისათვის. ისინი, მაგალითად, გაზაფხულში ერთხმად ხედავენ სიმწვანეს, სითბოს და კვირტების სკდომას. უთქვამს კი ვინმეს, რომ გაზაფხულს სითბო და სიმწვანე არ მოაქვს და კვირტები არ სკდებიან?! რა ემოციური ზემოქმედება უნდა მოახდინოს ამ მომაბეზრებელმა ემპირიულმა სინამდვილემ პოეტური დამუშავების, მხატვრული გააზრების გარეშე.

ზოგიერთი ჩვენი ახალგაზრდა პოეტი ჯერ კიდევ იმ აზრით ცხოვრობს, რომ ლირიკული ლექსი ერთი ამოსუნთქვით იწერება. ისინი ივიწყებენ, რომ ყოველი კარგი ლექსის დასაწერად ძალიან დიდი შრომაცაა საჭირო, რომელიც თავისთავად ამ ჯაფის კვალსაც აშორებს ხელოვნების ჭეშმარიტ ნაწარმოებს.

ჩვენ არ მოვითხოვთ პოეტის ლაბორატორიულ მუშაობაზე კონტროლის დამყარებას, არც ლექსის ასჯერ გადაწერას. მკითხველის საქმე არაა, ავტორი ზეპირად იაზროვნებს თუ ქაღალდზე ივარჯიშებს. ყოველ შემთხვევაში, ავტორმა მხოლოდ სათქმელის დახვეწის, განცდით გადაღლის, ობიექტის უკანასკნელ შესაძლებლობამდე შემეცნების შემდეგ უნდა ამოისუნთქოს. ეს კი არ ეტყობა ამ კრებულის ავტორებს. ჩვენ აღვნიშნეთ მათი საერთო ნაკლი — საგნისა თუ მოვლენის ერთი წერტილიდან ჭვრეტა, ერთფეროვანი მხატვრული აზროვნება, წიგნური შთაბეჭდილებების გაფორმება დაბალ პოეტურ დონეზე, ესე იგი, საბოლოოდ საკუთარი პოეტური სამყაროს არარსებობა.

ორიოდე სიტყვა თვითეულ მათგანზე.

ანზორ აბულაშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ლექსის ფორმას, ტექნიკურ მხარეს. მის ლექსებში ხშირად ნახავთ კარგ მხატვრულ სახეს, სა-

---

ფილიპე ბერიძე

„თითქოს ლექსია, მაგრამ მაინც არ არის ლექსი“...

სიამოვნო, გულწრფელ პოეტურ თქმას, ახალ რითმებს. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ამ მხრივ ხანდახან ანზორ აბულაშვილი კარგი ოსტატიც ჩანს, მაგრამ მას ლოგიკურ მთლიანობაში ვერ მოჰყავს ეს მხატვრული საშუალებანი, ვერ ქმნის საერთო აზრს, მხატვრულ იდეას, ესე იგი, რითმის, მხატვრული სახისა თუ რიტმის პრიმატის პრინციპი თვითმიზნური ხდება და ავტორს ავიწყდება შინაარსის პრობლემა. მკითხველი ვერ აზუსტებს ამა თუ იმ ლექსის ძირითად საკითხს. ავტორი ვერ ქმნის მთლიანი განწყობილების სურათს, რაშიც მას ხელს უშლის გარეგნულ საშუალებათა თვითმიზნურად გამოყენების ტენდენცია. როგორც ეტყობა, იგი მოუმზადებელი ჯდება საწერად. საგანი არ აქვს წინასწარ შერჩეული და განცდილი, ამიტომ იძულებულია წერის პროცესში რაღაც აბსტრაქტული, განყენებული, მისთვის უცნობი, უხილავი საგანი „წარმოიდგინოს“:

„სველი ხეების ფერი ყვითელი
დარჩება იქვე, ვით ფიქრი რ ა ღ ა ც“.
„იქნება რ ა ღ ა ც მძიმეც და თბილიც“.
„რ ა ღ ა ც მომინდა და ასე ველი...“
„იყო რ ა ღ ა ც ა სიცივეც, ცეცხლიც“.
„...და რ ა ღ ა ც გრილი გეხლება ქარი“.

ასე, თითქმის ყოველ ლექსში მეორდება ეს „რაღაც“ — ავტორი ვერ აგნებს კონკრეტულ საგანს, რის მიხედვითაც უნდა გამოითქვას იდეა, აზრი და ზუსტი დანიშნულება მიეცეს თვითეულ მხატვრულ საშუალებას. ეს გაურკვეველი „რაღაც“ ანზორ აბულაშვილის ლექსებში არ არის ეპიზოდური ცნება, შემთხვევითი ტერმინი. იგი ამით ცვლის საერთო მხატვრულ იდეას. ანზორ აბულაშვილის ყოველი ლექსის ცენტრში დგას არა რაიმე კონკრეტული საგანი, მოვლენა, საკითხი, არამედ შეუცნობელი „რაღაც“, რომელიც შემდგომ უნდა დააზუსტოს და გამოამჟღავნოს პოეტმა. მან ლექსის ფორმის, ტექნიკის ცოდნა უნდა შეუხამოს აზრს და იდეას. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ პოეტი ხშირად უხეშად არღვევს ქართული და, საერთოდ, პოეტური ენის ელემენტარულ ნორმებს:

სიბრალულს ვამბობ მათდამი ახლა,
თუმც ბორცვიდანაც მე სულმთლად
ვხედავ,
დიდ გზებს, გემები რაზეც მიდიან.
სალამი დიდ გზას, — გასასვლელს
კაცთა,
არარაობის მცოცავის ჩრდილის,
ჰქონდა სისხლს ცეცხლი და
გაზმორება.
ქუდს ვუხდი შენსას ქუხილს ვით
ყველა.
აქა-იქ მუქად დაყრილი სილით...

ბონდო ალავიძე ყველაფერს პირდაპირ, რეპორტიორის თვალით ხედავს და აღიქვამს. იგი თითქმის არაფერს არ უმატებს კონკრეტულ სინამდვილეს. ეს პრინციპი (თუ მას, რა თქმა უნდა, გაცნობიერებული აქვს ეს ამბავი და მართლაც პრინციპად მიაჩნია!) თავისთავად ქმნის ეგრეთწოდებულ მარტივ სქემას.

გოეთე წერდა, ბუნდოვანება სიზარმაცის ნიშანიაო. ეს სიტყვები მხოლოდ პროფესიონალ შემოქმედს ეხება. ცხადად, სადად აზროვნება საგანზე აქტიური დაკვირვების, ღრმად შემეცნების შედეგია. ზერელე დაკვირვება ქმნის მოჩვენებით სისადავეს, რომელიც პრიმიტივიზმისაკენ იხრება.

ბონდო ალავიძის ლექსებში ვერ შეხვდებით მხატვრულ განზოგადებას, ქვეტექსტს, მინიშნებას. იგი ყოველგვარი რომანტიკისა და მხატვრული ფანტაზიის გარეშე გადმოსცემს ყველაფერს. ლექსში „ფიქრები გელათზე“ ავტორმა ფაქტი აღწერა მშრალად, ნარკვევის სტილით:

დღეს იმ ტაძარში აღარ არის აკადემია,
მთელი აღარც ის აკლდამებია,
გაურღვევია ჟამთ სიავეს ქვები ნაკერი
და ნაპრალებში შეხიზნულან მაყვლის
ბარდები.

ასე განაგრძობს იგი იმის შესახებ, რაც იყო, დასკვნით ნაწილში კი:

„მერე რა, ერთ დროს ეს ქვებიც ხომ
აღარ იქნება,
მერე რა, ერთ დროს ის რონოდაც
აღარ იქნება,
. . . . . .
მერე რა, ერთ დროს ჩვენც არ
ვიქნებით“.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს პოეზია აღარაა. თუ ამ ლექსს რითმის, რიტმისა და მომავლის ბანალური განჭვრეტის გარეშე წავიკითხავთ, დაგვრჩება ისტორიკოსის მიერ მშრალად და პედანტურად აღწერილი ფაქტი.

ჩვენ არაერთხელ გავუსვით ხაზი ბიოგრაფიული ელემენტების აუცილებლობას პოეზიაში. ყველა დიდი პოეტი ბიოგრაფიულია. შევთანხმდეთ „ბიოგრაფიულის“ გაგებაში. პოეზიაში ბიოგრაფიული სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა პირადად შენს მიერ განცდილის მოქცევას პოეტურ ფორმაში, იმის გამოხატვას, რაც შენი სულიერ-ინტელექტუალური სამყაროსათვის ორგანულია. წმინდა პირადული, სუბიექტური ბიოგრაფიის დეტალების, ობივატელური გრძნობის შემოქმედებაში გადატანა გამორიცხავს განზოგადების პრინციპს და პოეზიას აძლევს საალბომო, გასართობ სახეს:

მომენატრა და მგონი ძალიან, (?!)
დოქით ღვინო და თბილი ლავაში,
რომ თქვენი ბონდო უკვე მგზავრია,
ახარე, როცა მოვა მამა შინ.
იმ წელს საცოლე რთველში მელოდა,
სულში უღრუბლო ზეცა მღეროდა.

ბონდო ალავიძის პოეზიაში გრძნობა, ემოცია უშუალოდ კი არ ჩანს, არამედ ავტორი თვითონ ლაპარაკობს მათ შესახებ, რაც ზედმიწევნით ამდაბლებს მისი ლექსების მხატვრულ ხარისხს. ახალგაზრდა ავტორმა მისთვის დამახასიათებელ სისადავეს აზრის, იდეის შექმნის მიმართება უნდა მისცეს.

პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ლადო ირემაშვილი კრებულში წარმოდგენილია მხოლოდ ცდებითა და ძიებებით. „მთავარი ის კი არ არის,— წერს პიკასო, — რას ეძებ, არამედ ის, თუ რას პოულობ“. ჩვენ არ ვიცით, რას იპოვის ლადო ირემაშვილი, მაგრამ გულწრფელად უნდა ვუთხრათ, რომ ამ კრებულში წარმოდგენილ ლექსებში მხოლოდ წრესგადასული თვითნებობა და მანერულობა იგრძნობა. პრინციპში (ამ ლექსების მიხედვით) იგი ცდილობს პროზაული ელემენტების გაპოეტურებას. ეს, რა თქმა უნდა, ახალი ნაბიჯი არ არის და რატომ არ აკვირდება ახალგაზრდა ავტორი, რომ ამ რთულ შემოქმედებით პროცესში დიდი ტაქტი და ზომიერებაა საჭირო. პროზიდან პოეტმა უნდა გადმოიტანოს ის, რაც პროზას პოეზიისა აქვს და არა მისი სპეციფიკური ნიშნები:

„თუ შეიძლება კაცი ჰგავდეს სახლებს,
ქუჩებს, თბილისის აღმართებს.
კაცი ჰგავდეს ფოთლებს, ხეებს,
ბალახებს ერთად;—
გალაკტიონი ემგვანება. მე
გალაკტიონს
არ ვაღმერთებ, არ ვაღმერთებ.
მხოლოდ, როდესაც დავღონდები,
მე მას ვიხსენებ,
როგორც ფოთლებს, როგორც ხეებს,
როგორც ბალახებს.
მე მას ვიხსენებ, ხელში ვიჭერ
მზესუმზირის ერთ მაღალ ღეროს.
დავივლი ქალაქს, აყვავებულ
მზესუმზირას ყველას ვანახებ“.
(„კაცი, როგორც დიდი მწვანე ბალახი“)

არის ყვავილებში ბედნიერება მცირე
ჩიტთათვის:
ქერის მარცვლის ოდენი სიხარული,
ქერის მარცვლის ოდენი სევდა,
ხშირად მკლავებში მომწყვდეული
ცაც კი საკმარისია გაფრენისათვის,
ხშირად.

ფილიპე ბერიძე
„თითქოს ლექსია, მაგრამ მაინც არ არის ლექსი“...

ყვავილთ ფერები დაღლილ თვალთ
ეფერება.
მე ქრიზანტემებს ლარნაკში ვაწყობ
თითო-თითოდ
და ვიმეორებ: არის ყვავილებში
ბედნიერება
მცირე ჩიტთათვის.

(„ჩიტები, ყვავილები და ბედნიერება“)

რა ნიშნების მიხედვით უნდა ჩავთვალოთ ეს სტრიქონები პოეზიად? ასეთი ფლეგმატური, უაზრო თხრობა, რასაც ფილოსოფიური მსჯელობის პრეტენზიით გვთავაზობს ავტორი, წმინდა ხელოვნური, განზრახული პოზაა და სხვა არაფერი. ლადო ირემაშვილის „პროზაული“ ლექსები არ სტოვებენ არც ემოციურ და არც აზრობრივ შთაბეჭდილებას.

ამ ლექსებს არ აქვთ პოეზიის ელემენტარული ნიშნებიც კი. რიტმი, როგორც ავტორს მოეხსენება, არც პროზისთვისაა უცხო და პოეზიისთვის მითუმეტეს აუცილებელია.

ზოგჯერ ლადო ირემაშვილი ცდილობს გულუბრყვილოდ, ვითომ ბავშვის გაგებით, გადმოგვცეს განწყობილება თუ აზრი. სინამდვილისადმი გულუბრყვილო მიდგომის მეთოდით არა ერთი და ორი ღირსეული ნიმუში შეუქმნიათ ხელოვნებაში. სხვა არის, მაგალითად, ფიროსმანის გულუბრყვილობა და ამ მხატვრული ხერხის დაყვანა ბავშვის ფსიქოლოგიამდე:

თოვლი თოვს თეთრად ფანჯარასთან.
თოვს.
ზის დედოფალა ფანჯარასთან. თოვს.
შუშის თვალებით ფანჯარასთან.
თოვს.
თეთრად თოვს თოვლი ფანჯარასთან.
თოვს.
თოვლი რა არის? თოვლი თოვს
თეთრად.
თეთრი რა არის? თოვლი თოვს
თეთრად.
სევდა რა არის? ხელების სევდა?
ზის დედოფალა ფანჯარასთან.
ვის გაახსენდა, მოკვდება გედი?!
სიკვდილი რაა? სიმღერა რაა?
მოკვდება გედი. რა არის გედი?
ზის ფანჯარასთან დედოფალა.
კიდევ წინათაც ათოვდა ქალაქს.
კიდევ თბილისი წუხდა ქარებით.
ზის ფანჯარასთან დედოფალა,
იმზირება შუშის თვალებით.

(„დედოფალა ფანჯარასთან“)

მე ახლა მინდა ტყეში წავიდე,
უნდა წავიდე.
წავალ და დავჭრი თელის ტოტებს,
უნდა წავიდე.
ნედლი ლაფნისას ღავწნავ შოლტებს,
უნდა წავიდე.
გზაზე მეურმე იქნებ შემხვდეს,
მისთვის ვიმღერებ.
გავაჭახუნებ ლაფნის შოლტებს,
ისევ ვიმღერებ.
გზაზე მეურმე თუ არ შემხვდა
მაინც ვიმღერებ.

(„ტყეში წავიდე“)

ეს ორი ლექსი მთლიანად მოვიტანეთ იმის ნათელსაყოფად, თუ რა საეჭვო კავშირი აქვს ამ სტრიქონებს ჭეშმარიტ პოეზიასთან.

მე მივაბიჯებ და გვერდიდან
აღარ მშორდება
მთვარე.
დავიღალე და წადი სხვასთან,
ვეღარ მოვდივარ,
ლალე.

(„ლალე“).

ტაგუ მებურიშვილი გარკვეული ოსტატობით ფლობს ლექსის ფორმას, შეუძლია სტრიქონის გამართვა, ფრაზების დალაგება, ერთი სიტყვით, ლექსის ტექნიკურად აგება. მაგრამ მის ლექსებს, ისევე როგორც ანზორ აბულაშვილის პოეზიას, აშკარად ეტყობა ფორმის ხელოვნური უპირატესობა. იგი ვერ აზუსტებს სათქმელს, მხატვრულ აზრს და ლექსიდან ლექსში იმეორებს თავის თავს. ლექსში „ჩვენ გვახსოვს ასე“ ავტორი აღწერს ომისდროინდელი სოფლის სურათებს. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ ენობრივ და აზრობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რივ ლაფსუსს („როცა მოვარდნენ დაშნით, თოფებით“, „ძილმწარე“, „ოცნების სხვენი“ და სხვ.), ლექსი სადა მხატვრული ფერებით გადმოგვცემს ადამიანის სულიერ მღელვარებას:

ფოსტალიონებს დაჰქონდათ ჩანთით
ხან სიხარული, ხან შეკივლება...
და გვქონდა მზერა საოცრად მკაცრი,
ჩვენ ხელისგულზე გვქონდა აბედიც...
და შეეჩვია სარეცხის ბაწრებს
სამგლოვიარო შავი კაბები.

ლექსი მთავრდება ავტორის ჰუმანური სურვილით:

მიწაზე ენთოს სიცოცხლე მარად
და არასოდეს გაისმას ოხვრა.
გვიან ისწავლონ ბავშვებმა ბარვა,
გვიან ისწავლონ ბავშვებმა თოხნა...

ლექსში „ჩემი ბავშვობა დასრულდა ასე“ ტაგუ მებურიშვილი გვაცნობს თავისი ბავშვობის ეპიზოდებს:

კორისწყლის პირას შუადღის მზეში
ვაბალახებდი თეთრშუბლა მოზვრებს.
და მაჩნდა შუბლზე ცელქობის ნიშნად
მოლურჯო კოპი, მოშავო კოპი,
ვერეკებოდი წაბლას და ნიშას
სალამურით და პატარა კომბლით...

ეს ფოტოგრაფიული აღწერა მკითხველზე ვერ ახდენს ვერავითარ ემოციურ შთაბეჭდილებას და ვერ განაზოგადებს ავტორის ფიქრს. შემდეგ პოეტი, სხვა სიტყვებით, ზუსტად იმეორებს ზემოთ განხილული ლექსის განწყობილებას:

ომის დაწყება აუწყეს გლეხებს
და შეეყინათ ნამგლები ხელში.
დაგვრჩა სოფელი ბავშვებს და
ქალებს...

შემდეგ იგივე ჰუმანური სურვილი:

და ვნატრობ — იყოს მშვიდობა მარად,
ზღვად ლივლივებდეს სათიბ-სამკალი.
ფოსტალიონის მოტანილ ბარათს
არ ვღებულობდეთ ხელის კანკალით...

ახალგაზრდა პოეტს არც თუ ისე იშვიათად ეპარება ლექსებში სუსტი მხატვრული სახე, პრიმიტიული შედარება, ენობრივად თუ აზრობრივად გაუმართავი ფრაზა:

ღრუბლის ვაგონებს მიათრევს ქარი
და ჩრდილებს გზაზე აფენს ჭილოფად.
(„დიდი ქალაქის ღია ჭრილობა“)

ან შენი თმების სიზმარი თეთრი
რად მესიზმრება მთვარიან ღამით.
(„ყვითელი ქუჩები“)

გული ნაცემი ლექსის ქვერალით
(„ჩემით დალოცეთ“)

ტალღები უკვე ბორკილებს ლეწენ,
მაგრამ დუმილი არის მთებური.
(„გაზაფხული“)

შენ ლეგა ტანი მზით გექავება.
(„მატარებელში“)...

კრებულის შესავალ წერილში პოეტი იოსებ ნონეშვილი გატაცებით, დიდი სიყვარულით მოგვითხრობს კრებულის ავტორებზე. არავის იჭვი არ ეპარება, რომ იოსებ ნონეშვილს მთელი არსებით უხარია ახალგაზრდების წარმატება. იგი ყოველთვის აქტიურად ზრუნავს ახალგაზრდებზე, მაგრამ ცოტა აჩქარებას ხომ არ უნდა მივაწეროთ ეს სტრიქონები: „როგორც ხედავთ, ან უფრო, როგორც დაინახავთ ამ წიგნის კითხვისას, ოთხივე ავტორი ურთიერთ(?!)განსხვავებული, საიმედო და საინტერესო პოეტია. ისინი ჭეშმარიტი შენაკადები არიან ქართული ლექსის დიდი და უშრეტი მდინარისა“.

არც ჩვენ გვეპარება ეჭვი მათს პოეტურ შესაძლებლობებში (მაგალითად, ანზორ აბულაშვილი არა ერთი და ორი კარგი ლექსის ავტორია), მაგრამ გვინდა ოთხივეს გულწრფელად, სიყვარულით და კეთილი სურვილით ვუთხრათ, რომ მომავალი დაოსტატებისათვის საჭიროა მეტი შემოქმედებითი ძიება, წვა, მეტი შრომა და, რაც მთავარია, პასუხისმგებლობა მკითხველის წინაშე.

ფილიპე ბერიძე

„თითქოს ლექსია, მაგრამ მაინც არ არის ლექსი“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჩრი თაყაიშვილი

წასაშლელი სტრიქონები

არავისათვის უცხო ამბავი არაა, რომ ზოგჯერ ენა და სტილი მივიწყებულია ჩვენი კრიტიკოსების ნაწარმოებებში. ისინი ცდილობენ ღრმად ჩასწვდნენ მწერლის იდეურ-მხატვრულ კონცეფციას, ზედმიწევნით დაახასიათონ გმირები, მაგრამ ენაზე რომ მიდგება საქმე, რატომღაც ენას კბილს აჭერენ, ანდა, ბოლოში, ისე, ზრდილობისათვის, ნათქვამს რომ „კრიტიკული" სახე მიეცეს, გაკვრით იტყვიან ხოლმე: „ავტორს აქვს რამდენიმე სუსტი სტრიქონი", „ესა თუ ის ფრაზა სტილისტურად მოიკოჭლებს" და სხვ.

იქნებ ანგარიშგაწევის ღირსი არაა ენა? მაგრამ გავიხსენოთ გორკის სიტყვები: „ლიტერატურის პირველ ელემენტს, მის ძირითად იარაღს ენა წარმოადგენს". ენის მეშვეობით ამყარებს მწერალი კონტაქტს მკითხველთან, გადასცემს ნაწარმოებში ჩაქსოვილ აზრსა და განწყობილებას.

გასულმა საუკუნემ საქართველოში მოგვცა ენის სიწმინდისათვის ბრძოლის შესანიშნავი მაგალითი. ენის საკითხი სისხლხორცეულად იყო დაკავშირებული დიდ საზოგადოებრივ მოვლენებთან. „რა ენა წახდეს, ერი დაეცეს" — აი, რა რეგისტრში ჟღერდა ეს პრობლემა. მამებისა და შვილების უთანხმოებაში ერთ-ერთი მეტად პრინციპული საკითხი სწორედ ენის სიწმინდისათვის ბრძოლა იყო. (გავიხსენოთ თავად რევაზ ერისთავის გაკრიტიკება ილიას მიერ).

ბოლო ხანებში კვლავ შეიმჩნევა ენისა და სტილის საკითხებით დაინტერესება. ეს პრობლემა ყურადღებით განიხილება როგორც ზოგადთეორიულ, ისე კონკრეტულ-პრაქტიკულ ასპექტში. მხედველობაში გვაქვს არნ. ჩიქობავას, გრ. კიკნაძის, შ. ძიძიგურის, ვ. ჭელიძის, ზ. ჭუმბურიძის, რ. თვარაძისა და სხვათა გამოკვლევები თუ წერილები. ეს ნაშრომები მეტწილად არათანამედროვე ქართველ მწერლებს შეეხება, ამასთან, მასალა პოზიტიური კუთხითაა დახასიათებული — მხოლოდ რამდენსამე სტატიაშია მოცემული ზოგიერთი თანამედროვე მწერლის ენის კრიტიკული ანალიზი. ნეგატიური კი ჯერ კიდევ რამდენი რამ არის ჩვენს მწერლობაში! აიღეთ რომელიც გნებავთ ქართული ლიტერატურული ჟურნალი ან გაზეთი, გადაავლეთ თვალი და დარწმუნდებით ნათქვამის სისწორეში. და ეს ხდება გაათკეცებული კორექტირებისა და რედაქტირების ხანაში. რა თქმა უნდა, რედაქტორებმა და კორექტორებმა არ უნდა გვიწყინონ, თუ ავტორთა მისამართით გაგზავნილ „ქათინაურებს" მათაც ვუწილადებთ. ოსტროვსკი თავის დროზე წუხილით წერდა: „დიახ, მე მჭირდებოდა ღრმად კულტურული რედაქტორი, რათა ავრიდებოდი შეცდომებს, რომლებიც შეიმჩნევა ჩემს წიგნში „როგორ იწრთობოდა ფოლადი". იქ, ორმოცსავე გამოცემაში მეორდება ზ ურ მ უ ხ ტ ი ს ც რ ე მ ლ ი. მე ჩემი მუშური გულუბრ-

ყვილობით გამომრჩა, რომ ზ უ რ მ უ ხ-ტ ი მ წ ვ ა ნ ე ა. ეს იყო ბავშვური შეცდომა. ყველაფერი ეს ხომ ექვსი წლის წინ დაიწერა“.

ჩვენი ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთების (განსაკუთრებით „ლიტერატურული აჭარის“, „რიონის“, ნაწილობრივ „ცისკრის“, „მნათობის“, „ლიტერატურული გაზეთის“) გასული წლის ნომრების გადათვალიერებამ ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა ნეგატიური ენობრივი მასალის არსებობაში. ზოგიერთ შემთხვევაში შეუწყნარებელ რეციდივებს აქვს ადგილი. სიტყვის ექსპრესიული მაქსიმუმით მოცემას ვინღა ჩივის, დარღვეულია სტილისტიკური მინიმუმის ნორმებიც კი.

ჩვენ შევეცადეთ დაგვეჯგუფებინა და კრიტიკულად განგვეხილა ეს ნეგატიური მასალა. გვარებს არ ვასახელებთ და შეგნებულადაც: ავტორი იმდენია, მათი უბრალო ჩამოთვლაც კი წერილს დაამძიმებდა და კონკრეტულ სახეს მისცემდა. ამასთან, ჩვენ ენის ინტერესები გვამოძრავებს და არა რომელიმე პიროვნების განქიქების სურვილი. ჩვენი მიზანი იყო წარმოგვედგინა ის საერთო ტენდენციები, რაც ახასიათებს ზოგიერთი მწერლის ენობრივ-სტილისტურ ანომალიებს. ავტორები ისედაც იცნობენ თავიანთ სტრიქონს. უფრო მეტიც: აქ სხვაც დაინახავს თავის თავს...

(რა თქმა უნდა, ჩვენ წუთითაც არ ვივიწყებთ, რომ ასეთი მასალის გვერდით გვაქვს ჩვენი წამყვანი მწერლების ლიტერატურული შედევრები, ქართული სამწერლო ენის განვითარების თვალსაზრისით საეტაპო მნიშვნელობას რომ ინარჩუნებენ).

უპირველეს ყოვლისა, თვალში გეცემათ სიტყვების უჩვეულო, შეუფერებელ კონტექსტებში მოქცევა, რაც ხშირად სიტყვათა შეკავშირების ელემენტარული წესების დარღვევამდე მიდის.

„მერე და მერე ს უ ლ ი ც
დ ა რ ბ ი ლ დ ა,
როგორც სიმინდის ძირი მოროდით“.

ძალიან ძნელი აღსაქმელია ს უ ლ ი ს დ ა რ ბ ი ლ ე ბ ა. ეს ისეთი სიტყვებია, რომლებიც თავისი მნიშვნელობითა და ხასიათით ერთმანეთს არ ეგუება.

ან კიდევ:

„კარგი იყო ფიქრი მაშინ,
ს ა ს თ უ მ ა ლ ზ ე დ ა დ ე ბ უ ლ ი
ფ ი ქ რ ი“.

სასთუმალზე დადება შეიძლება წ ი გ ნ ი ს, თ ა ვ ი ს... მაგრამ ფ ი ქ-რ ი ს — არავითარ შემთხვევაში!

„მომხდარა ხოლმე, ზოგჯერ ხურდა
თუ არ მყოფნიდა —
ჩვენ შორის ნდობის ებმებოდნენ
თ ბ ი ლ ი ძ ა ფ ე ბ ი“.

ერთ-ერთ სტატიაში გორკის მოაქვს დამწყები მწერლის სტრიქონები: „მე ვიცინი. ს ი ც ი ლ ი მ ი გ მ ა ნ ა ვ ს ნ ე ს ტ ო ე ბ ს, თ ვ ა ლ ებ ს, პ ი რ ს...“, და განცვიფრებას ვერ მალავს: „არ მესმის, როგორ შეიძლება ს ი ც ი ლ მ ა დ ა გ მ ა ნ ო ს თ ვ ა ლ ებ ი, ნ ე ს ტ ო-ებ ი. ს ი ც ი ლ ი ხ ო მ მ ტ ვ ე რ ი არაა!“

აქ შეიძლება შემოგვედავოს „სასთუმალზე დადებული ფიქრის“ ავტორი: „კი, მაგრამ ხომ ამბობენ ძ ი ლ ი ს გ ა-ტ ე ხ ა ს? განა ძ ი ლ ი ჭ ი ქ ა ა, რომ გ ა ტ ყ დ ე ს?“

კითხვა მოსალოდნელია და ანგარიშგასაწევი. მართლაც, ენაში უხვად დასტურდება ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებშიც კომპონენტთა კავშირი არ ემყარება ბუნებრივ, ლოგიკურ მიმართებებს: ს ი რ ც ხ ვ ი ლ ი ჭ ა მ ა, თ ბ ი ლ ი ს ი ტ ყ ვ ა, ს ი ჩ უ მ ე ჩ ა მ ო ვ ა რ დ ა... მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვითაა ასე. სინამდვილეში მაინც არსებობს ასეთი კავშირის საფუძველი — ის განპირობებულია სიტყვიერ მნიშვნელობათა კავშირის კანონებით. და, რაც მთავარია, ასეთ გამოთქმებს საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვთ. „არის ქცევები, რომელთა იმპროვიზაცია არ შეიძლება. ისინი მზამზარეულადაა გადმოცემული ტრადიციით“ (დე სოსიური).

არლი თაყაიშვილი

წასაშლელი სტრიქონები

ჩვენ არ ვიცით, რა პირობებში მოხდა ამ უჩვეულო კონტექსტების ჩასახვა. შესაძლოა, შიში ჭამა პირველად რომ ეხმარა დღეს ვინმეს, ისევე უხეშად მოგვჩვენებოდა, როგორც მას აღიქვამს თარგმანში, ვთქვათ, რუსი: сьел страх, მაგრამ გამოთქმა არსებობს და მას მიღებული აქვს ენობრივი სანქცია.

ეს იმას როდი ნიშნავს, რომ დავგმოთ სიტყვების ახალ კონტექსტში წარმოდგენის ინიციატივა. ლიტერატურის ისტორიამ იცის მრავალი მაგალითი, როცა ენაში დამკვიდრებული მეტაფორა თუ ეპითეტი რომელიმე მწერლის სახელთანაა დაკავშირებული. სხვაგვარად, ასეთი ექსპერიმენტებისა და ძიებების გარეშე ვერც განვითარდებოდა პოეტური სემანტიკა. მაგრამ ეს ძიება უნდა ეყრდნობოდეს ბუნებრიობის გრძნობას და სიტყვათა შეკავშირების შესაძლო მინიმუმს მაინც უნდა იცავდეს. რა თქმა უნდა, ლაპარაკია არა ასეთ შემთხვევებზე:

„ერთმა ქალმა სხვანაირად მიატეხა თვალები მეჭიბონეს“.

„ცივ სახეზე როგორც იყო, უფერული ღიმილი აიკიდა“...

დასტურდება აგრეთვე მყარი გამოთქმების ფორმის უგულებელყოფის ცდები. ტრადიციით უცვლელად გადმოცემული და ნორმად დაკანონებული იდიომატური მასალა განიცდის თვითნებურ ტრანსფორმირებას:

„პირზე ღიმილით გააპყრობს მზერას“.

მზერის გაპყრობა უხერხულია. ნორმაა მიაპყრობს მზერას.

„სულელები არიან ბიჭები, თორემ თამრიკოსთანა გოგოს თვალს აავლებს ვაქკაცი?“

თუ ავტორი სიტყვა აავლებს ხმარობს იმავე მნიშვნელობით, რაც აქვს სიტყვას შეავლებს, მაშინ ფრაზა აზრობრივადაა გაუმართავი (თამრიკო ხომ ლამაზია!). აქ იგულისხმება თვალს აარიდებს. მერე და დაეწერა ასე! თვალს აავლებს კი არ შეიძლება.

„ნაცნობ სახეს რომ შენიშნავდა, ისევ განაგრძობდა ბოლთას“.

ბოლთა უცხო სიტყვაა (შდრ. იტალ. volta — მოტრიალება) და ქართულში დღეს დამოუკიდებლად არ იხმარება. გვხვდება მხოლოდ ცემა და კვრა ზმნებთან. ავტორს უნდა ეთქვა: „ისევ განაგრძობდა ბოლთის ცემას|| ბოლოს კვრას“.

განსაკუთრებით მტკივნეულია ლექსიკისადმი დამოკიდებულების საკითხი. ზოგიერთ ავტორთან შეინიშნება სალექსიკონო ფონდის გაღარიბების ტენდენცია. არა ჩანს ამ ნაკლის დაძლევის სურვილი და პერსპექტივა. შედეგიც არ აყოვნებს: ნაწარმოები ენობრივად იფიტება, უხერხემლო ხდება და საგაზეთო სტატიის შთაბეჭდილებას ტოვებს.

აქ საჭიროა მცირე შენიშვნა. დღეს გაზეთის ენას ვაგლახად ახსენებენ და უარყოფითად აფასებენ მწერალზე მის გავლენას. სინამდვილეში არც ასეა საქმე. გავიხსენოთ: ბევრი ცნობილი მწერალი ლიტერატურაში გაზეთიდან მოვიდა, მოვიდა და მოიტანა აზრის ნათლად და სხარტად გამოხატვის ჩვევები, ის „კუნთოვანება“ (ლ. ტოლსტოის ტერმინია), რომელიც ყოველგვარი მრავალსიტყვაობის მტერია.

ასეთია გაზეთის დადებითი როლი. ჩვენ გაზეთის უარყოფით გავლენად მიგვაჩნია ზოგიერთ მწერალთან მშრალი კანცელარიული სიტყვებისა და ტერმინების მოძალება.

„ჩაის ბუჩქებს ჩამოუვლის
გმირი წყება მკრეფავ
ქალთა“.

„მამამ იცოდა შრომა უწყვეტი. კუნთმაგარი და მკლავგაუცვეთი“.

ჯერ უწყვეტი შრომა რა არის, და ახლა კიდევ კუნთმაგარი და მკლავგაუცვეთი.

ლექსიკის მარაგის სიმცირეზე მეტყველებს ერთიდაიმავე სიტყვების ერთ პატარა მონაკვეთში გამეორება:

„მაშინ მას თავისივე ხელით შეკერილი დაფოთლილი ჩითის კაბა ეცვა

და ფოთოლივით ცახცახებდა". დაფოთლილი კაბის შემდეგ ფოთოლივით ცახცახი აშკარა პროვინციალიზმია!

„ჰე, მთებო, მთებო, ბურს რად
იბურავთ".

„ყველა მოჯარდა და მოჩხუბართ შემოადგა. — მელამაც იდროვა და უჩუმრად შეერია მოჯარულთ".

ძალაუნებურად გვახსენდება ფლობერი, რომელიც ერთსადაიმავე სიტყვას ერთ გვერდზე მეორედ აღარ გააჭაჭანებდა.

ამ მაგალითებში, როგორც დავინახეთ, გაღარიბებულია და გამოფიტულია ენა. ამ შემთხვევაში ლექსიკის ნიველირების სანაცვლოდ არ ხდება აზრის ქვეტექსტებით გამოხატვა და აქცენტის გადატანა სტილზე. ესაა, ლექსიკის არცოდნა, მისდამი დაუდევარი დამოკიდებულება და სხვა არაფერი. ზოგიერთი ავტორი ცდილობს ამ ჩიხიდან თავის დაღწევას, მაგრამ ეს ისეთი საშუალებებით ხდება, რომ კიდევ უფრო თვალში გეცემათ ავტორის სალექსიკონო ხურჯინის სიცარიელე. ამ-ს ნიმუშია გაბრტყელებულ შედარებებსა და ბრჭყვიალა ფრაზებს ამოფარება:

„თვალები ისე დაებინდა, როგორც ღრუბელამოფარებული მზე".

„მის ლოყებზე სიმინდს მიშვებული წყალივით გაბნეულმა ცრემლებმა ენა დაულბეს".

„რძალი თვალებს პირდაპირ მაშხალებივით აყრიდა ქმარს".

მხატვრული შედარებებით ასე ძლიერ გატაცება მეტწილად ახალგაზრდებს ემჩნევათ. რა თქმა უნდა, ეს ვერ ჩაითვლება კარგ ტონად. მაიაკოვსკი საერთოდ გაურბოდა შედარებას, როგორც პოეტურ სერხს. გაურბოდა სწორედ ჭარბსიტყვაობის გამო. იგი იყენებდა შედარების შემდგომ საფეხურს, უფრო მოქნილსა და „ეკონომიურ" მეტაფორას.

ლექსიკური უსუსურობის შენიღბვის მეორე გზაა განსაზღვრებებისა და ეპითეტების სიჭარბე.

„სიხარულით უბრწყინავდა ხაოჭებშემოვლებული, უძირო, სევდიანი შავი თვალები".

როდესაც რამდენიმე ეპითეტია, ცხადია, ყველა ერთი ღირებულების არაა. ამიტომ ფრაზაც ხელოვნურად გაჭიმულის შთაბეჭდილებას ტოვებს.

„გულის ტალღამ შეგარხია... იქვე ის შენიშნე. იგი ისევე ლამაზი, მიამიტი და თვალმოციაგე იყო, როგორიც დატოვე... მხოლოდ დაქალებული, დასრულებული და დამწიფებული გეჩვენა ახლა".

განსაზღვრებების პირველ მწკრივში ავტორი უბრალოდ ვერ გრძნობს თანმიმდევრობას. უნდა იყოს: ლამაზი, თვალმოციაგე (ერთი რიგის ეპითეტებია) და შემდეგ მიამიტი. მეორე მწკრივში დასრულებული საერთოდ ზედმეტია, დამწიფებული კი — ცუდად ნათქვამი.

დასასრულ, სიტყვიერ სიღარიბეზე მიგვანიშნებს აგრეთვე სინონიმების წამდაუწუმ ხმარება. აქ იგულისხმება არა ექსპრესიული შინაარსით დატვირთული სიტყვების მონაცვლეობა (ახოვანი||წარმოსადეგი), რაც თავისთავად დადებითი მოვლენაა, არამედ კონკრეტული, ემოციურად ნეიტრალური ცნებების აღმნიშვნელ სახელთა წარმოდგენა.

ცალკე გამოყოფის ღირსია „ენის გრძნობის" საკითხი. ამ გამოთქმას ხშირად მიმართავენ, მაგრამ ყველას თავისებურად კი ესმის. ჩვენ აქ ვგულისხმობთ იმ შნოისა და ლაზათის სისხლხორცეულად განცდას, რაც მშობლიური ენისთვისაა დამახასიათებელი. მწერალი, რომელსაც აკვნიდან ესმის ქართული, მთელი არსებით უნდა გრძნობდეს ენის მუსიკას. მან უნდა იცოდეს, მაგალითად, ქართული ზმნის მრავალპირიანობისა და მოქნილობის ფასი, უნდა ისწრაფვოდეს სიტყვის აზრობრივად დატვირთვისა და კეთილხმოვანების მიღ-

---

არლი თაყაიშვილი

წასაშლელი სტრიქონები

წევისათვის, ადვილად უნდა იჭერდეს ფრაზის ინტონაციურ ნიუანსებს და, რაც მთავარია, უნდა შეეძლოს სათქმელის იმ ფორმით გამოხატვა, რომელიც ყველაზე მეტად მოერგება ენის ბუნებას.

მაგრამ ზოგჯერ ყოველივე ამას ივიწყებენ და ფრაზა ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს ქართულს ახლახან ზიარებული უცხოელის ნათქვამიაო. განა ქართული პეწისა რამე სცხია ასეთ სტრიქონებს:

„მთლად გათეთრებული ულვაშები ხელით გადაწ-გადმოწია და მითხრა...“

ულვაშები მისია თუ სხვისი? თუ სხვისია, რა უფლება აქვს გადაწ-გადმოწიოს, ხოლო თუ მისია, რატომ არ გადაიწ-გადმოიწია?!

„სულს გაზაფხულის წვიმით
ვავსებდი,
არა მაქვს ვალი არც მიწის, არც ცის“.

აქ აუცილებლად ვივსებდი უნდა!

„მირიხინობდნენ ნახევრად ცარიელი ტრამვაის ვაგონები, მისრიალებდნენ ტროლეიბუსები, ავტობუსები, მსუბუქი ავტომანქანები“.

ჯერჯერობით ყველაფერი რიგზეა. გსიამოვნებს, რომ ავტორს სმენა არ ღალატობს და ერკვევა ტრანსპორტის ყოველი სახეობის ხმაურში. მაგრამ უცებ:

„თეთრ ხიდზე ტროლეიბუსი ტროლეიბუსს მისდევდა. მორიხინებდნენ ავტობუსები“.

„ბიჭს მოკლეტოტიან შარვალს ჩავაცმევ, გოგოს ზიზია წითელ კაბას“.

რა თქმა უნდა, ეს მოკლე ტოტიც მისაჭრელი აქვს შარვალს: ჯობია მოკლე შარვალი.

„ზოგჯერ კლიენტის მოლოდინში თასმით ჩანიშნულ წიგნს ამოიღებდა და შეწყვეტილ სტრიქონს წამის განმავლობაში მონახავდა“.

„ყურებში საშინელი ძალით აწვებოდა წყალი, საცაა გაჭყლეტდა წნევა, მაგრამ ნებისყოფის უდიდესი დაძაბვით მაინც განაგრძო ლტოლვა სიღრმისაკენ“. ლტოლვა აქ ყალბია და სტილისტურად არ უდგება კონტექსტს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ დაუდევრობა დროის ფაქტორთან დაკავშირებით. ცნობილია, რა დიდი მნიშვნელობა აქვს მოქმედების გარკვეულ გრამატიკულ დროში ლოკალიზებას. ამაზე ბევრადაა დამოკიდებული ნაწარმოების რიტმი. გაბმულ ტექსტში თხრობა უნდა მიმდინარეობდეს ერთი რომელიმე დროის ფარგლებში. მაგრამ ზოგჯერ აქაც მოიკოჭლებს „ენის გრძნობა“, ფრაზის რიტმულობის განცდა, და ერთ პატარა მონაკვეთშიც კი გვაქვს დროთა აღრევა.

„რამაზს კარგად ესმოდა, როგორ ლანძღავდნენ ბუღალტერს, რომელმაც თურმე ბევრი გაფლანგა და აქ ტრესტის მმართველი არაფერ შუაშია. ყველა თანხა მას დაეწერება ზურგზე და ფრჩხილები აღარ შერჩება თავის მოსაფხანად“.

ყველა სიკეთესთან ერთად საინტერესოა, რას გულისხმობს ავტორი თქმაში: ფრჩხილები აღარ შერჩებაო. თუ აქ დასჯის მეთოდზეა ლაპარაკი, იგი მეტისმეტად მკაცრი ჩანს.

ორიოდე სიტყვა ყალბი ტონის შესახებ. აკად. არნ. ჩიქობავა იდეალურ სტილს ასე ახასიათებს: „იდეალური სტილი საუკეთესო შეფარდებაა სათქმელსა (გადმოსაცემ შინაარსსა) და თქმულს (გადმომცემ ენობრივ საშუალებას) შორის“. მართლაც, ამ ორი ელემენტის შერწყმით მუდამ იქმნებოდა ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშები.

მაგრამ როცა სათქმელი არაა ორგანული, როცა მას ზერელედ ეკიდებიან და ვერ პოულობენ შესატყვის ენობრივ საშუალებებს, ხელში გვრჩება ხელოვნური სტილის ნიმუში. ზოგჯერ ასეთი შეუფარდებლობის შედეგია ის მოულოდნელი პათეტიკა, რაც სიყალბის დაღს ასვამს თქმულს. მაგ. ერთ-ერთ ლექსში „პრომეთეს ცეცხლი“ დედა აგზავნის შვილს მეზობლიდან ცეცხლის გადმოსატანად. დააკვირდით დედა-შვილის საუბრის ტონს:

„მე როგორ წავალ? — ვუთხარი
მ შ ო ბ ე ლ ს, —
გზა ხომ არ ვიცი მათთან
მისვლამდი“ (?)
მითხრა: „პ ა ტ ა რ ა ვ, მიჰყევ
ორღობეს,
ცეცხლს მომიტან და გზასაც ისწავლი“.

არა გვგონია, რომელიმე დედამ ასე ოფიციალურად მიმართოს შვილს!

„რამაზი საღამოთი კოხტად გამოწყობილი და ტუფლებ(?)გაპრიალებული სკოლაში მიიჩქაროდა, ხოლო დილით მშენებლის იერით მ შ ე ნ ე ბ ა რ ე (?) სახლის ხარაჩოზე ამაღლებული მებათქაშეებს ჩამოსძახოდა:

— ჩქარა! დრო ჩვენ არ გვიცდის, დროს თვითონ უნდა გავუსწროთ!“

აქ ყალბი პათეტიკაა, „მშენებარე სახლიც“ არაა სწორი.

დიალექტიზმების საკითხი ყოველთვის დგას ლიტერატურული საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში. ამ საკითხის სიმწვავე მუდამ დამოკიდებულია მწერლობაში დიალექტური მასალის მოქცევა-მიქცევის ხარისხზე. მოწინავე მწერლები ცოცხალი მეტყველების ნიმუშებს სალიტერატურო ენის გამდიდრების წყაროდ თვლიან. მაგრამ აქ ანკარიში უნდა გაეწიოს მასალის ხასიათს და თვით სალიტერატურო ენის პრეტენზიებს. „სალიტერატურო ენის საჭიროებას ერთი დიალექტის ლექსიკური მარაგი ვერ დააკმაყოფილებს. კონკრეტულ ცნებათა აღმნიშვნელი საჭირო სიტყვები სხვა დიალექტებშიც შეიძლება აღმოჩნდეს და მისი შემოტანა სალიტერატურო ენას გაამდიდრებს“ (არნ. ჩიქობავა).

ცხადია, აქ ლაპარაკია ისეთ სიტყვებზე, რომლის ბადალი სალიტერატურო ენაში არ მოიძევება. საერთო-სახალხო ენის ნაკადიდან უნდა შეირჩეს შედარებით ემოციური, მოქნილი და აზრობრივად დატვირთული სიტყვები, თორემ რა საჭიროა, მაგალითად, ჭ ა ჭ ვ ი, რომელსაც ერთი ავტორი გვთავაზობს („ტყემლის ყვავილს ჭ ა ჭ ვ ი თ ვხვეტავ, და მეც ვყვირი: „აქ რა დამღლის“), როდესაც არსებობს მისი ლიტერატურული კორელატი პ ე შ ვ ი.

განსაკუთრებით კარდახშულია სალიტერატურო ენა დიალექტური ფორმების მიმართ. იგი გაურბის სიტყვის მორფოლოგიურ-სინტაქსურ ვარიანტებს, „უკუაგდებს სამეტყველო სტიქიიდან ყოველივე შემთხვევითს, დროებითს, კაპრიზულს, ფონეტიკურად დამახინჯებულს, რაც არ ეგუება საერთო-სახალხო ენის წყობას“ (მ. გორკი).

რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში გზას ვერ მივცემთ ავტორთა მიერ შემოთავაზებულ ვერც ერთ საეჭვო ფორმას:

„ი მ ი ს ი მ ა ღ ლ ი დ ა ნ დაჰყურებდა ძირს, რომ კინაღამ შეშინდა“ — ლიტერატურული ნორმაა: ი მ ს ი მ ა ღ ლ ი დ ა ნ.

„ხარები უხალისოდ, ზლაზვნით დაიძრნენ და მოხუცის მ ი ს ო ბ ი ლ მ ა გუთანმა გზა განაგრძო...“ მ ი ს ო ბ ი ლ ი ფორმა მიუღებელია.

„ჭიბონი ერგო ლხინ-დარდის წილად,
მისი ხმა მჟღერი სოფელს
ს ჭ ი რ ო დ ა...“

ს ჭ ი რ ი ა-ს ჭ ი რ ო დ ა აშკარა დიალექტური ფორმებია.

გვინდა შევეხოთ ენობრივი დამახინჯების ისეთ შემთხვევებს, რომლებიც გარკვეული წინაპირობითაა გამოწვეული. ეს წინაპირობაა ლექსი, და ცოდვის ჩამდენიც, რა თქმა უნდა, პოეტია. საქმე ისაა, რომ ლექსს პროზისაგან განსხვავებით (სხვა ფაქტორებთან ერთად) ახლავს ორი ატრიბუტი: მეტრი და რითმა. ეს ანბანური ჭეშმარიტება ბევრმა იცის, მაგრამ განა ასე ადვილია დაიცვა სტრიქონში მარცვალთა რაოდენობა და თანაც ბოლო სიტყვა მიარითმო მისი ქვედა სართულის მეზობელს?! და იწყება ღამეების ტეხა ისეთი გზის გამოსანახავად, რომ არც მწვადი (რითმა) დაიწვას და არც შამფური (მეტრი). დიდი ძიების შემდეგ ხსნა ნაპოვნია—სიტყვა! სიტყვა ისეთი თავმდაბალია, ყოველგვარ

არლი თაყაიშვილი
წასაშლელი სტრიქონები

დამცირებას აიტანს. აი, მაგალითად, როგორ ეწირება იგი მეტრის გადარჩენის კეთილშობილ საქმეს:

„როგორ ენატრებათ ხმელზე
გაგორება,
მათ იციან, ელით ქვეყნად დიდი საქმე“.

აქაც იგივე მდგომარეობაა. მართალია, ხმელი ფორმა იხმარება, ოღონდ სხვა მნიშვნელობით.

„ასე ჩემსავით უყვარხარ ვინმეს,
ნატრულ ჩავცქერი ხევს, ქარაფს,
მღვიმეს“.

არ იფიქროთ, მარტო შეკუმშვა ხდება. მეტრი მოითხოვს დანაკლისი მარცვლის შევსებასაც! და პოეტიც „წელავს“ სიტყვას:

„ის სითბოება, სიტკბოება
სტუმართმოყვრული,
მარადიული იავნანის ტკბილი
გალობა“.

თუ გვაქვს სიტკბო—სიტკბოება, რატომ არ უნდა იყოს სითბო—სითბოება? და ავტორიც ხელოვნურ ფორმას იგონებს.

ახლა ვნახოთ, რა ემართება სიტყვას რითმის გულისათვის:

„ბიჭებო, თქვენი დიდობა მინდა
და თქვენთვის მინდა დღეც და
ბვალიცა“.

„ჩვენ სამშობლოს აყვავება
მუდამ გვწამდა, გვჯეროდა,
მიტომ ჩანგი იმედის ჰანგს
ბორკილებშიც ქღეროდა“.

ჩანგი ქღერდა, ჩანგი ჰანგს აქღერებდა. აი, ეს უკანასკნელი შეცვალა ავტორისეულმა ფორმამ — ქღეროდა.

ან კიდევ:

„მზე რომ ამოარღვევს ლაქვარდების
ღილებს (?)
ჩემი სოფლის თავზე ჩამოჯდება
პირველ...“

დასასრულ, ბუნდოვანების შესახებ. გარდა იმისა, რომ ავტორები გვთავაზობენ შეუწყნარებლად შერყვნილ სიტყვიერ მასალას, ხშირად ვერც აზრის ნათლად ჩამოყალიბებას ახერხებენ. კითხულობთ სტრიქონებს და არ გესმით, რისი თქმა სურს ავტორს. ენის ექსპრესიულ შესაძლებლობათა ჩვენებას ვინღა დაეძებს, უგულებელყოფილია მისი ამოსავალი ფუნქცია — იყოს გაგებინების საშუალება. აბა, სხვანაირად რა ახსნა მოეძებნება ამგვარად გაწყობილ ფრაზებს:

„ცა ფირუზს რომ ავხედავ,
რა არ მომაგონდება,
თვალი ცრემლში
ალხვება (?)“

ან:

„შემოაფინა ფრთხილად კარები
ხმამ იდუმალმა, წყნარმა, შაქარამ,
კუშტს და მდუმარეს მოიარებით
ვარდის ფურცლები შემომაყარა“.

ძნელი მისახვედრია, თუ რას ნიშნავს აქ მოიარებით!

„შვილს ხარები ჭიშკრის ქვეშ ჩაეყვანა და უღელს ადგამდა“.

წარმოუდგენელია ხარების ჭიშკრის ქვეშ ჩაყვანა!

„დამრჩა ერთი რვეული — სტუდენტობის სახსოვარი და მერი დეიდას სიყვარულით სავსე გული, რომელიც არასოდეს განელდება“.

რა არ განელდება: გული თუ სიყვარული?

„გავარვარებულმა გულმა დაბლობისაკენ გაიწია, ნაბიჯიც კი გადადგა (?), მაგრამ კვლავ მოესმა გოდება დედისა“.

ვინ გადადგა ნაბიჯი: გულმა თუ კაცმა? როდესაც ძველ ქართულ ძეგლებში ვკითხულობთ: აბრაამ შვა ისააკ, ვიცით, რომ აბრაამმა შვა ისააკი და არა ისააკმა აბრაამი. მართალია, ორივე სახელი მხოლოდ ფუძითაა წარმოდგენილი, მაგრამ აქ მაორიენტირებლად გამოდის სიტყვათა თანმიმდევრობა. დღეს ამ ფაქტორს აღარა აქვს არსებითი მნიშვნელობა.

ასე გამოიყურება ის ნეგატიური ენობრივი მასალა, რომელმაც ჩვენი ყურადღება მიიქცია ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა, რა საერთო ენობრივ-სტილისტური ხარვეზები აქვს ზოგიერთ ავტორს. მასალა იმდენი იყო, ცხადია, ყველას ვერ განვიხილავდით. ამასთან, წერილი საკმაოდ გაგვიგრძელდა. მაგალითად, არაფერი არ თქმულა ისეთი გრამატიკული შეცდომების თაობაზე, როდესაც ავტორი ვერ არჩევს „მთაზე ჩუხჩუხებს ნაკადულები“ თუ მთაში, „სტუმარმა დერეფანზე გაიარა“ თუ დერეფანში. სიტყვა არ დაძრულა აგრეთვე უცხო ფორმებისა და სინტაქსური კონსტრუქციების მოჭარბებაზე, რითაც აგრერიგადაა გატაცებული ახალგაზრდობა. ხშირად ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს საქმე გვაქვს არა ორიგინალურ თხზულებასთან, არამედ უცხო ენიდან დიდი ჯახირით შესრულებულ სიტყვასიტყვითს თარგმანთან.

მწერალი, რომელიც სცოდავს ენობრივად და იძლევა ენის ბუნების შეუწყნარებელი დარღვევის ნიმუშებს, ვერ მისცემს მკითხველს სულიერ საზრდოს და ვერც თვითონ ატარებს კულტურის მედროშის სახელს.

ყველაზე გულდასაწყვეტი ისაა, რომ ამ მასალაში გამოსჭვივის მწერლობისა და, განსაკუთრებით, ენისადმი უსულგულო დამოკიდებულება. არა ჩანს ის პასუხისმგებლობა, რომლითაც ავტორი უნდა ეკიდებოდეს თავის ყოველ სტრიქონს.

ამ მხრივ რამდენის მთქმელია მწერლობის დიდი წარმომადგენლების ხელნაწერთა გაცნობა და მათს შემოქმედებითს ლაბორატორიაში ჩახედვა! მაგალითად, ზ. ჭუმბურიძის დაკვირვებით, აკაკის ლექსს „განთიადი“ საბოლოო სახის მიღებამდე საკმაო ცვლილებები განუცდია; სტრიქონს — „მნათობი სხივებს მაღლით ფენს“ ჰქონია ორი ამოსავალი ვარიანტი: „მნათობი მოსავს სხივებით“ და „მნათობი სხივებს უხვად ფენს“. ანდა, რამდენს დაკარგავდა მკითხველი, რომ ვაჟა-ფშაველა შეჩერებულიყო შემდეგ ვარიანტზე:

„სამშობლოს არვის წავართმევთ,
ჩვენც ნურვინ მოგვეტანება,
თორემ იცოდეს უტყუვრად
გაჩენა დაენანება“

და დიდი შრომის შემდეგ არ მიეკვლია ამ სტროფისათვის:

„სამშობლოს არვის წავართმევთ,
ჩვენც ნურვინ შეგვეცილება,
თორემ ისეთ დღეს დავაყრით,
მკვდარსაც კი გაეცინება“.

გავიხსენოთ, როგორი გულწრფელობითა და ერთგვარი სიამაყით წერდა მაიაკოვსკი, თუ რა ძნელად იქმნებოდა ესენინისადმი მიძღვნილი ლექსის ყოველი სტრიქონი. ლექსის რიტმი მას უკვე მონახული ჰქონდა, სიტყვებიც მოდიოდა და თანდათან ჯდებოდა ამ რიტმში, ამ გაუთავებელ pa-pa-pa-ში, მაგრამ არ ჩანდა ის ერთადერთი, რომელსაც ელოდა ლექსის ეს მონაკვეთი. და ის ერთადერთი სიტყვა ეწვია მას მხოლოდ ბოლოს, მე-12 ვარიანტში. „მე შემეძლო მთელი სიტყვა წარმომეთქვა ამ ბოლო სტროფის დასაცავად“, — ამბობს პოეტი.

ცნობილია, თუ რა ენერგიას ხარჯავდა გორკი სიტყვაზე მუშაობისას, მაგრამ ის, რასაც ლ. ტოლსტოი აკეთებდა, ყოველივეს აღემატება. მას ოთხჯერ გადაუწერია „აღდგომა“, ეს უზარმაზარი რომანი! უფრო მეტიც: მკვლევარებმა აღმოაჩინეს მისი ერთ-ერთი სტატიის 90 ვარიანტზე მეტი! განსაცვიფრებელია აგრეთვე, თუ რა დაუსრულებლად ვარჯიშობდა იგი ენაში. ა. ფადეევს მოაქვს ცნობა, თუ როგორ იღებდა ტოლსტოი რომელიმე სიტყვას და ისე, „თავისთვის“, ჩამოიწერდა მისი გამოყენების შესაძლო ვარიანტებს.

ამის შემდეგ ჩვენთვის ნათელი ხდება ის საიდუმლოება, რომ ტოლსტოის დიდ აზრს მუდამ სრულყოფილად აქვს მორ-

---

არლი თაყაიშვილი
წასაშლელი სტრიქონები

ეროვნული ბიბლიოთეკა

გებული ენობრივი სამოსელი და ისიც, თუ რატომაა ეს სამოსელი გაძარცული და დაჩაჩანაკებული ზემოთ ნახსენები მასალის ავტორებთან.

საინტერესო დაკვირვება მოახდინა ფედინმა, როდესაც გორკის ლიტერატურულ ინსტიტუტში პროზის სემინარს ხელმძღვანელობდა: მეტ წარმატებას აღწევდნენ ის ახალგაზრდები, რომლებიც ძ ნ ე ლ ა დ წერდნენო. ამას ფედინი ხსნის შემდეგნაირად: ვინც ცდილობს მწერლობასთან დაკავშირებულ სიძნელეთა გადალახვას, მას, ცხადია, უფრო ეძნელება, ვიდრე იმას, ვინც ამ სიძნელეთა გვერდის ავლაზე ოცნებობსო. ამგვარი დამოკიდებულების შედეგად ყალიბდება მწერალთა ორი ტიპი: ღრმა და ზედაპირულიო.

დაბოლოს, სინანულს გამოვთქვამთ, რომ დღემდე უცნობია შემოქმედებითი ლაბორატორია თანამედროვე ქართველი მწერლებისა, რომლებიც ქმნიან ენობრივად და სტილისტურად სანიმუშო ნაწარმოებებს. ვფიქრობთ, სიტყვაზე მათი მუშაობის გამომზეურება დიდ სარგებლობას მოუტანს ბევრ გამოუცდელ ავტორს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბის ცაიშვილი

დავით გურამიშვილი

პარალელები და შენიშვნები

წერილი მეორე

საინტერესო დაკვირვებებია ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში დავით გურამიშვილის შემოქმედებითს ურთიერთობაზე მის თანამედროვე და წინამორბედ ქართულ საერო მწერლობასთან. სამართლიანად შენიშნავს ალ. ბარამიძე, რომ მიუხედავად თეიმურაზ I და გურამიშვილის პოეტურ თვალსაზრისთა პრინციპული სხვაობისა, ამ უკანასკნელს მაინც გარკვეული ხარკი გაუღია თეიმურაზისეული „მაჯამისათვის". მკვლევარი გვაწვდის ერთ, მაგრამ ფრიად დამახასიათებელ მაგალითს:

თ ე ი მ უ რ ა ზ ი:

„გრძლად მიტირა საწუთრომან,
ცრემლთა ღვარი დამელია,
მიჯობდა თუ სიკვდილისა
გლახ-ლახვარი დამელია;
მომაძულა თვისთა ტომთა,
ძმა არ მიძმო, და მელია,
აწ, სოფელო, ვარდთა ზრობად
მოვალ, რადგან დამელია".

გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი:

„ნაღვლით დღენი შემიმოკლდა,
აღარა მაქვს, დამელია,
ყველა მწარედ გარდამექცა,
რაც რამ ტკბილად დამელია,
მძორთა ჩემთა შესაჭმელად
მზა არს ტურა და მელია,
აწ წამოველ მე თქვენთანა,
სად ძმა მიცდი და მელია".

კ. კეკელიძეს რამდენიმე საგულისხმო მაგალითი მოაქვს, როცა ადარებს ერთმანეთს არჩილსა და გურამიშვილს. აქ, სიტყვიერ ფაქტურასთან ერთად, ზოგჯერ განწყობილებათა სიახლოვეც შეინიშნება. განსაკუთრებით აღსანიშნავია აგრეთვე დიდაქტიკური მოტივები, რომლებშიც დავითი აშკარად თანხვდება არჩილს. მაგალითისათვის საკმარისი იქნებოდა „ქართლის ჭირის" 32-ე სტროფი:

„სწავლა სიკვდიმდე შენია,
მუდამ შენთანა მყოფელი,
მას გეცილების ვერავინ,
არ არის გასაყოფელი,
სხვას ყველას მახე უგია,
თავისა გასაყოფელი,
თუ კაცსა ცოდნა არა აქვს,
გასტანჯავს წუთისოფელი".

ამავე მოტივს ანვითარებდა არჩილიც:

„სიბრძნეს ვერ სწორავს ვერა რა,
არც ისე მოსახმარია,
მისი ნაყოფი ბევრია,
ძირი აქვს არ გამხმარია,

* დასასრული. იხ. „ცისკარი", № 11.

სად წახვალთ, თან გამოგყვებათ,
საგზლადაც, მგონ სახმარია,
სხვა დაგრჩება და ის არა,
გვერთ გახლავს ცათ კამარია".
(„საქართ. ზნეობანი", სტრ. 75).

კიდევ უფრო მეტი მასალა მოგვეპოვება გურამიშვილისა და ვახტანგ VI, გურამიშვილისა და საბას, გურამიშვილისა და მამუკა ბარათაშვილის და სხვა მის თანამედროვეთა ლიტერატურული ურთიერთობიდან. ამაზე საუბარს დავამთავრებთ რამდენიმე ნიმუშით, სადაც ნათლად ჩანს ვახტანგ VI გავლენა დავით გურამიშვილის დიდაქტიკურ მოწოდებებზე.

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი:
„სწავლის ძირი მწარე,
ნაყოფს მოგცემს, ბოლოდ ტკბილსა".
(„სიბრძნე მალაღობელი").

დ ა ვ ი თ ი:
„სწავლის ძირი მწარე არის,
კენწეროში გატკბილდების".

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი:
„სჯობს ყოვლს სიმდიდრეს, ქონებას,
სწავლითა გამდიდრებანი,
არც ქურდი რასმე მოჰპარავს, არც
გზირისაგან ვნებანი,
ვერც მძლავრსა ძალუც ძალითა
მისი მიღება, კლებანი"...
(„სიბრძნე მალაღობელი").

დ ა ვ ი თ ი:
„ცოდნა თან დასდევს მცოდნელსა,
რაზომცა დაეტარების,
აქვს უხილავი საუნჯე,
ხელი არ შეეკარების,
არც ცხადის ძალით წაერთმის,
არც მალვით მოიპარების"...

რაც შეეხება მისტიკურ-ალეგორიულ თეორიას, რაც ყველაზე მკვეთრად ვახტანგ VI წამოაყენა და კანონის სახე მიიღო მამუკას „ჭაშნიკში", ამას სპეციალური კვლევა სჭირდება. გურამიშვილი თუმცა ძირითადად იღებს ამ თეორიას, მაგრამ ამასთან ბევრ საკითხში საკუთარ გადაწყვეტას იძლევა (ამის ზოგი მაგალითი პირველ წერილშიც ვნახეთ).

უკვე ის კონტექსტი, რომელშიც გურამიშვილი ახსენებს რუსთველს, თავისთავად მეტყველებს, თუ რა მაღალ შეფასებას აძლევდა იგი თავის დიდ წინამორბედს.

„ლექსი რუსთველსებრ ნათქვამი
მე სხვისა ვერა ვნახეო".

და მოკრძალებით შენიშნავდა:

„მე რუსთველსა ლექსს არ უდრი,
ვით მარგალიტს-ჩალის ძირსა" (7).

რუსთველი მისთვის „ბრძენი და რიტორია", რომელმაც ქართული პოეზიის მარად მწვანე ხე ჩარგო და უხვი ნაყოფი მოიწია. ქართველი პოეტების იმ ხომლში, რომელსაც იგი მომდევნო ლექსში ახსენებს, პირველ ხმას სწორედ რუსთველს ათქმევინებს და მამამთავრად წარმოგვისახავს.

გურამიშვილი რუსთველის პირველი, ყველაზე ღირსეული მემკვიდრეა, მაგრამ ამავე დროს სწორედ მან ყველაზე უფრო მძლავრი ნაბიჯები გადადგა, რათა განთავისუფლებულიყო რუსთველის განუზომელი გავლენისაგან. მართებულია აკაკი წერეთლის შენიშვნა: „გურამიშვილი იყო პირველი მწერალი, რომელმაც... საკუთარი გზით მოინდომა მსვლელობა და თავი დააღწია რუსთველის მონურ მიმბაძველობას".

გურამიშვილის მიმართება რუსთაველთან მაღალი შემოქმედებითი ურთიერთობაა. გავლენასთან ერთად გურამიშვილი ახალ გზებს ეძებს და ქმნის სრულიად ორიგინალურ პოეტურ სამყაროს. თუ რა ახლოსაა გურამიშვილი თავის დიდ წინამორბედთან და რამდენად დაშორდა მას, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, პრობლემათა ფართო წრეს მოიცავს და აქ მხოლოდ რამდენიმე საკითხით შემოვიფარგლებით. დამოკიდებულება ქრისტიანულ რელიგიასთან რუსთველისა და გურამიშვილის მსოფლმხედველობის ერთ-ერთი კარდინალუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი საკითხია, ამავე დროს აქ ნათლად ჩანს მათი მსოფლშეგრძნების მსგავსება-განსხვავებანი. ახლა უკვე განვლილი ეტაპია, როცა რუსთველის რელიგიური მრწამსის საფუძვლებს ხან ისლამში და ხან კი მანიქეველთა ტიპის ერეტიკულ მოძღვრებებში ეძებდნენ. ერთადერთი რელიგია, რომელთანაც რუსთველი აშკარა სიახლოვეს ამჟღავნებს, ეს არის ქრისტიანობა. ამისათვის, რასაკვირველია, არ იქნებოდა საკმარისი ის ფაქტი, რომ ერთ ადგილას „ვეფხისტყაოსანში" ნახსენებია ქრისტიანული რელიგიის უმთავრესი დღესასწაული — აღვსება. პირველი და გადამწყვეტი ის არის, რომ რუსთველისეული ღვთაების ცნება ზუსტად ემთხვევა ქრისტიანულ გაგებას. ამისათვის საკმარისია რამდენიმე ადგილის მოტანა:

„ილოცავს, იტყვის: მაღალო ღმერთო
ხმელთა და ცათაო,
ზოგჯერ მომცემო პატიჟთა,
ზოგჯერ ჟეთილთა მზათაო,
უცნაურო და უთქმელო,
უფალო უფლებათაო,
მომეც დათმობა სურვილთა,
მფლობელო გულის თქმათაო!"
(სტრ. 809)

ან:

„ასმათ თქვა: „ღმერთო, რომელი
არ ითქმი კაცთა ენითა,
შენ ხარ სავსება ყოველთა,
აგვავსებ მზეებრ ფენითა,
გაქო, ვით გაქო, რა გაქო,
არსაქებელო სმენითა!
დიდება შენდა, არ მომკალ
ამათთვის ცრემლთა დენითა!"
(სტრ. 917).

ან:

„იტყვის: „ჰე მზეო, ვინ ხატად
გთქვეს მზიანისა ღამისად,
ერთ-არსებისა ერთისა, მის უჟამოსა
ჟამისად,
ვის გმორჩილობენ ციერნი
ერთის იოტის წამისად,
ზედსა ნუ მიცვლი, მიაჯე, შეყრამდის
ჩემად და მისად!"
(სტრ. 836).

ან კიდევ:

„ვის ხატად ღმრთისად გიტყვიან
ფილოსოფოსნი წინანი,
შენ მიშველე რა ტყვე-ქმნილსა,
ჯაჭვნი მაბიან, რკინანი!
ბროლ-ბადახშისა მძებნელმან
სათნი დავკარგენ, მინანი;
მაშინ ვერ გავძელ სიახლე,
აწ სიშორესა ვინანი";
(სტრ. 837).

ამ ლოცვებიდან რომ ამოვკრიფოთ ღვთაების ის ატრიბუტები ან ეპითეტები, ან, როგორც თეოლოგები იტყვიან, კათაფატიკური და აპოფატიკური სიმბოლოები, დავინახავთ თუ რომელი რელიგიის ღმერთთან გვაქვს საქმე: მაღალი ღმერთი, უცნაური და უთქმელი, უფლება-უფლებათა, გულისთქმის მფლობელი, კაცთა ენათ უთქმელი, ყოველთა სავსება, არ-საქებელი სმენითა, ერთი არსება ერთი, რაც თავის თავში იგივეა, რაც სამება, მზიანი ღამე, უჟამო-ჟამი და ა. შ.; მართებულად შენიშნავდა მ. გოგიბერიძე, რომ ამ ლოცვების ენა და ცნება ქრისტიანულ საეკლესიო მწერლობას ეკუთვნის. ღმერთი დახასიათებულია, როგორც უცნაური, უთქმელი, უფლებათა უფალი. ჩვენ ვნახეთ, რომ საეკლესიო მწერლობის ტიპიურ დარგში — ჰიმნოგრაფიაში ღმერთი შემოსულია ანალოგიური ცნებებით და, რაც აღსანიშნავია, იმავე ცნებებით მეტყველებს თავის ჰიმნებში დავით გურამიშვილი. აქ აშკარად ხვდებიან ერთმანეთს რუსთველი და გურამიშვილი. მე აქ ყურადღება მინდა შევაჩერო კიდევ ერთ ოქსიმორონის ტიპის სიმბოლოზე, რომლის გარშემო რუსთველოლოგიაში საკმაო ლიტერატურა შეიქმნა. მსჯელობა ეხება ცნობილ შესიტყვებას „მზიან ღამეს"

სარგის ცაიშვილი
დავით გურამიშვილი

ერთ-ერთმა პირველთაგანმა, და შეიძლება ითქვას საკმაო სისრულითაც, ეს ადგილი განმარტა თეიმურაზ ბაგრატიონმა. გარკვეული ინტერესის გამო მე მოვიტან მთლიან განმარტებას:

„იტყვის ჰე მზეო, ვინ ხატად გთქვის მზიანისა ღამისა“ — ღმერთი არის მზე დაუბადებელი და უნივთო, ნათელი, ხატი და სახე არს მზიანისა ღამისად, ესე იგი განმანათლებელი არს ღამისა, ე. ი. ღამე უმეცრებას ნიშნავს, მზე ნათელსა და ცნობისა ღმრთისასა. ღამე მოუწთომლობა არის ღმრთისა და მზიანი ღამე ის არის, რაოდენ შესაძლებელი არის კაცისა გონებისაგან ვიცნობდეთ და აღვიარებდეთ ღმერთსა, როგორათაც იოანე მოციქული ღმრთისრეტყველი და მახარებელი იტყვის სახარების პირველ თავში — ნ ა თ ე ლ ი ბ ნ ე ლ ს ა შ ი ნ ა ს ჩ ა ნ ს. ე. ი. გონება კაცისა თუმცა ღმერთს ვერ მისწვდება ბუნებითა და არსებით, რომ ესრეთ იცნას, როგორათაც სხვა ადვილად საცნობი ნივთები...“, აქ ძირითადად სწორადაა მიგნებული თვითონ საკითხის არსი, რომ „მზიანი ღამე“ აშკარად ღვთაების სახელია, მაგრამ არ ჩანს თვით ამ სიმბოლოს საყრდენი, თუ რამ დააკავშირა ორი ურთიერთგამომრიცხავი ცნება. ამ საკითხს შემდეგში რამდენიმე მკვლევარი შეეხო და წინასწარ აღებული კონცეფციების საფუძველზე ახალი გაგების დასაბუთებას შეეცადა. საინტერესო მიხვედრა აქვს ამ საკითხზე გ. იმედაშვილს, როცა იგი ეძებს ამ სიმბოლიური გამოთქმის საყრდენს; კერძოდ, იგი ვარაუდობს, რომ „მზიანი ღამე“ რეალურად არსებული მოვლენაა და შეიძლება ნიშნავდეს ან პოლარულ „ოთხთვიან დღეს“ ან კი „ჩრდილოეთის ნათებას“. მაგრამ შემდგომი დაკვირვება ამხელს, რომ „მზიანი ღამე“ ირეალური, მისტიური სიმბოლოა, რომელიც დამყარებულია არა რეალურ, არამედ რელიგიურ ხილვებზე. ვ. ნოზაძე თავის გამოკვლევაში „ვეფხისტყაოსნის მზის მეტყველება“ სპეციალურ თავს უძღვნის ამ საკითხს. „მზიანი ღამის“ ნოზაძისეული გაგება სწორია და უეჭველად ამაგრებს თეიმურაზ ბაგრატიონის დებულებას; ვ. ნოზაძე აღნიშნავს: „ვეფხისტყაოსნის“ დებულება „მზიანი ღამის“ შესახებ ქრისტიანულ დებულებად მიმაჩნია. რატომ! იმიტომ, რომ მზე არის ხატი ერთისა; მზე არის ხატი, „მზიანი ღამე“, და მზე არის ხატი ერთარსებისა ერთისა. ეს ერთარსება ერთი არის ქრისტიანული სამება, და ამგვარად „მზიანი ღამე“ — ღმერთიც არის ქრისტიანული“ (გვ. 193). მაგრამ როცა ამ სიმბოლოს ახსნას ცდილობს, იგი მაშინდელი ასტროლოგიური წარმოდგენებიდან გამოჰყავს. კერძოდ, „ღამის მზე არის ის მზე, რომელიც ჰორიზონტის ქვემოთ, ცის მეორე, უხილავ ნახევარზე მოძრაობს. ცხადია, ღამის მზე კაცის თვალისათვის დასანახი არაა, რადგან ამ დროს მზე მხოლოდ ჩვენს ქვეშაა. და ჩვენს ქვეშ კი ჩვენთვის ღამეა, თუმცა იქ მზე ანათებს! ის არის აგრეთვე მზიანი ღამე. მზიან ღამეზე წარმოდგენამ შორეულ წარსულში — დასძენს ვ. ნოზაძე, — ბევრი საიდუმლო მოძღვრება წარმოშვა“ (გვ. 190). ამის დაშვება უეჭველად შეიძლება, მაგრამ ირკვევა, რომ თვით ქრისტიანული წიგნები იძლევიან გასაღებს ამ მისტიური ხილვის ამოსახსნელად. „მზიანი ღამე“ არ არის ღვთის ატრიბუტი ან რაიმე შემთხვევითი ეპითეტი; იგი, როგორც ვთქვით, თვითონ ღვთაებაა და საფუძვლად უდევს პირველი ადამიანების მიერ წარმოდგენილი კოსმიური სურათი. გ. ნადირაძე, სრულიად სამართლიანად, ამ პოეტური სურათის განხორციელებას ხედავს ბიბლიის პირველსავე სტრიქონებში. იგი აღნიშნავს: „ქრისტიანული მითოლოგიის კოსმოგონიურ სიმბოლოდ უნდა ჩაითვალოს რუსთაველის „მზიანი ღამე“. იგი გრანდიოზული პოეტური სურათის სახით წარმოგვიდგენს ბიბლიის იმ პირველ აბზაცებს, სადაც მოთხრობილია ღვთაების მიერ სამყაროს შექმნის მითიური ამბავი. რუსთაველის „მზიან ღამეში“, ისევე როგორც მიქელ-ანჯელოს ფრესკაში, დაჭერილია კოსმიური შემოქმედების პირველი აქ-

ტი, სახელდობრ — მნათობის წყვდიადში ანთება. აქ ნათელი და წყვდიადი ჯერ კიდევ არ არიან ერთიმეორისაგან გათიშულნი. მათი „განწვალება“ ანუ გაყოფა კოსმიური შემოქმედების მეორე აქტს წარმოადგენს“.

გ. ნადირაძე ეთანხმება იმ მკვლევართ (კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, ვ. ბერიძე), რომლებიც ფიქრობენ, რომ „მზიანი ღამე... რუსთველის მსოფლმხედველობისათვის დამახასიათებელ ფიგურალურ თქმად უნდა ჩაითვალოს“, და დასძენს: როგორც ირკვევა, „მზიანი ღამე“ თვითონ რუსთველის მიერ შექმნილი პოეტური სიმბოლოა. ჯერ არავის არ უნახავს ეს სახე სხვა პოეტურ ნაწარმოებში და ვფიქრობ „ვეფხისტყაოსნის“ გარდა იგი არც არსად მოიპოვება. „მზიანი ღამის“ რუსთველისეული ორიგინალობა დღესდღეობით სავსებით უეჭველია. ეს უკანასკნელი დებულება, ჩემის აზრით, ზუსტი არ უნდა იყოს. სრულიად შესაძლებელია, რომ რუსთველს ეს სახე-სიმბოლო არა უშუალოდ დაბადების აღნიშნული გააზრებით, არამედ მზამზარეული ფორმულის სახით მიეღო საეკლესიო და, კერძოდ, ნეოპლატონური ფილოსოფიიდან. დანტეს „სამოთხის“ 28-ე ქება, სადაც ლაპარაკია ღვთიურ წერტილზე (პირველი რკალი), რომელიც მზერას უხშობს ადამიანს ბრწყინვალებისაგან, აშკარად ნეოპლატონური თეოგონიის გამოძახილია. სრულიად შესაძლებელია, რომ ამ სახის სიმბოლო ქართულ საეკლესიო მწერლობაში და, კერძოდ, ჰიმნოგრაფიაშიც არსებულიყო. ამას გვაფიქრებინებს შემდეგი მომენტი. ირკვევა, რომ სახე-სიმბოლო „მზიანი ღამე“, როგორც ღვთის სახელი, გამოუყენებია დავით გურამიშვილსაც. ერთ თავის ლექსში, რომელიც ტიპიურ მისტიკურ-ალეგორიული ხასიათის ჰიმნს წარმოადგენს (ჲზ—ამოცანად იგავი, ასახსნელად ადვილი), გურამიშვილი ახსენებს ღვთაების აღნიშნულ სახელს; მთლიანად მოგიტან ამ იგავს:

„ვირემდის განახლდებოდა ძველი
დღე-ღამე მზიანი,
იფქლი კალოზედ ეყარა
განურჩეველი, ბზიანი;
ახალმან დღემან განწმინდა
ღვარძლიან ნაკმაზიანი,
მის დღითგან მოჩანს გარჩევით
სარგებელი და ზიანი.

სანამ დღე ძველი დღეს ახალს
ჩვენ დღედ არ გაგვითენებდა,
მანამდის ჩვენსა დაშლასა ვერავინ
აღაშენებდა;
რა დღე გათენდა ახალი,
ქვეყანას დანამშვენებდა,
ყურითაც კარგსა გვასმენდა,
თვალითაც კარგს გვიჩვენებდა.

ალეგორია ადვილი გასახსნელია. ძველი დღე მამა ღმერთია, რომელმაც მოგვივლინა ახალი დღე — ძე უფლისა, ქრისტე ღმერთი. ძველი დღე გარდამოვიდა ახალ დღეში, რათა იფქლი ღვარძლისაგან განერჩია და ახალი ცხოვრება მოენიჭებინა ადამიანთათვის, რომელთაც ვერ განერჩიათ კეთილი და ბოროტი. თუ დავაკვირდებით, ეს არის ტიპიური ჰიმნოგრაფიული თემა და გურამიშვილი ანალოგიური პოეტური ხერხებით ამუშავებს მას. შორს რომ არ წავიდეთ, გავიხსენოთ იოანე მტბევარის ჰიმნი ბასილისადმი: „ვითარცა ღრუბელმან, აღმოივსე სოფლისა იგი ბრძენთა ჭეცნიერებაი და განარჩიე იფქლი ღვარძლისაგან და შეჰკრიბე საუნჯეთა“.

მაგრამ ჩვენთვის აქ განსაკუთრებით საინტერესოა, რომ გურამიშვილი, რომელიც სხვაგან ღმერთს ძველ დღეს უწოდებს (გაიხსენეთ აგრეთვე კდ. მზეთამზის შესხმა... მიუწვდომელო ნათელო, გრძელო ძველო დღეო), ახალ კონტექსტში ახსენებს ღვთაების ჩვენთვის ნაცნობ სახელებს (კატაფატიკა და აპოფატიკა), რომელშიც ორივე მომენტია ჩაქსოვილი. ღმერთი არის

სარგის ცაიშვილი
დავით გურამიშვილი

ძველი დღე და ღამე მზიანი, ე. ი. ცალ-ცალკე რომ დავშალოთ, იგი არის ძველი დღე მზიანი და ძველი ღამე მზიანი. როგორც ვხედავთ, „მზიანი ღამის“ სიმბოლიკა გურამიშვილისათვის კარგად არის ცნობილი და იგი მას სრულიად შესაფერ კონტექსტში იყენებს. ჩემის აზრით, გურამიშვილი, ისევე როგორც რუსთველი, დავალებულია ძველი საეკლესიო მწერლობისგან და ამ შემთხვევაშიც ისინი (რუსთველი და გურამიშვილი) კიდევ ერთხელ ხვდებიან ერთმანეთს.

თუ ქრისტიანული ღმერთის ცნებაში რუსთველი და გურამიშვილი ერთმანეთთან ასე ახლოს დგანან, ეს არ ითქმის საერთო დამოკიდებულებაზე ქრისტიანულ რელიგიასთან. რუსთველისათვის უცხოა ის ძირითადი მოტივები, რომელიც მსჭვალავს ქრისტიანობას; მაცხოვრობის, ადამიანის თანდაყოლილი ცოდვისა და ამქვეყნიური არარაობის მძიმე განცდა რუსთველისათვის გადალახული პრობლემაა. რუსთველის რელიგია ქრისტიანობის მაღალი საფეხურია და იგი აქ განუზომლად ახლოს მიდის ნეოპლატონურ ფილოსოფიასთან. საკმარისია გავიხსენოთ ნესტანის მიერ წარმოდგენილი მარადიული ქვეყანა, რომ ჩვენთვის ნათელი გახდეს ეს დასკვნა:

„ღმერთსა შემვედრე, ნუ თუ კვლა
დამხსნას სოფლისა შრომასა,
ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, ჰაერთ,
თანა ძრომასა;
მომცნეს ფრთენი და აღვფრინდე,
მიჰხვდე მას ჩემსა ნდომასა,
დღისით და ღამით ვჰხედვიდე
მზისა ელვათა კრთომასა“.
(1304).

ეს არ არის ბიბლიური ქრისტიანობის სამოთხე, — იგი წარმოადგენს მაღალი რანგის ფილოსოფიის მიერ შექმნილ მისტიურ სამყაროს. რუსთველი ბრწყინვალედ იცნობს ნეოპლატონურ თეოსოფიასა და თეოგონიას და იგი მისი მსოფლმხედველობის შემადგენელი ელემენტია. მაგრამ იმ პრობლემის გადასალახავად, რომელიც დასვა ქრისტიანობამ და რომლის გადალახვასაც არსებითად წარმოადგენს „ვეფხისტყაოსანი“, რასაკვირველია, ბევრს არაფერს მისცემდა ნეოპლატონიზმის მოძღვრება, რომელსაც სამართლიანად უწოდებენ სიკვდილის ფილოსოფიას (მ. გოგიბერიძე). რუსთველმა გაბედულად დასვა შუასაუკუნეებისთვის სრულიად მოულოდნელი პრობლემა ადამიანის ადგილისა, მისი ხვედრისა ამქვეყნიურ სამყაროში, და მას ჭეშმარიტად რენესანსული გადაწყვეტა გამოუნახა. ამაში რუსთველს, უწინარეს ყოვლისა, გზას უნათებდა საკუთარი მსოფლშეგრძნება, რომელიც დაფუძნებული იყო გენიალური პოეტის ურთიერთობაზე მე-12 საუკუნის ქართულ სინამდვილესთან. ეს საკითხები ჩვენ შორს წაგვიყვანდა, მაგრამ ამ მოკლე მიმოხილვიდან უკვე კარგად ჩანს, რომ გურამიშვილი დიამეტრულად განსხვავდება რუსთველისაგან და, თუ მკაცრი ანალოგია არ იქნება, განსხვავდება ისევე, როგორც რუსთველის ეპოქა ე. წ. აღორძინების ეპოქისაგან.

გურამიშვილის მსოფლშეგრძნება მთლიანად გამსჭვალულია ქრისტიანული სულით და, რაც აღსანიშნავია, იგი კვლავ იყურება ბიბლიური სამყაროსაკენ, თითქოს კლასიკურ ხანაში ქრისტიანობას არ მიეღწიოს იმ მაღალი საფეხურისათვის, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობდით რუსთველთან დაკავშირებით. ეს არც არის გასაკვირი. მძიმე ქარტეხილების შემდგომ ქართულმა აზროვნებამ უეჭველად დაკარგა ის ძაფები, რომელიც მას მსოფლიო კულტურის უმაღლეს მწვერვალებთან აკავშირებდა. შ. ნუცუბიძე თავის ქართული ფილოსოფიის II ტომში მართებულად შენიშნავს, რომ ამ საუკუნეთა გამოღვიძება თითქოს უკაცრიელ მინდორზე დაწყებულა და სულხან-საბა ორბელიანივით ფხიზელი აზროვნების მოღვაწეები თუ ამჩნევდნენ აქა-იქ ნაცარწაყრილ ნაღვერდალს (გვ. 237). ერთ-ერთი მათგანი იყო გურამიშვილიც. იგი მივიდა კიდეც ამ ნაღვერდალთან, როცა ასე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაეწაფა ძველქართულ ჰიმნოგრაფიას, მაგრამ კლასიკურ სიმაღლეებამდე მისაღწევად ჯერ კიდევ დიდი გზა იყო გასავლელი. ბიბლიური ქრისტიანობა ორგანულად შეერწყა გურამიშვილის მსოფლშეგრძნებას, ამიტომაც გვაგონებს პოეტის მუხთალი „საწუთრო“ და მარადიული „სამოთხე“ ქრისტიანული რელიგიის სამყაროს. აქ იგი საბოლოოდ შორდება რუსთველს და ქრისტიანული აღმსარებლობის მისტიურ საბურველში ეხვევა.

მაგრამ გურამიშვილი, უწინარეს ყოვლისა, იყო გენიალური პოეტი და თავისი ქვეყნის შვილი. მისმა პოეტურმა ალღომ საბოლოოდ გაიმარჯვა ღრმა სულიერ წინააღმდეგობებზე, ნაცვლად ქრისტიანულ-მისტიკური ჭვრეტისა და მარადიული სასუფევლის უშფოთველი მოლოდინისა. იგი ცხოვრებისეული ცეცხლით იწოდა, თავისი ქვეყნის ტკივილებით იტანჯებოდა და ქმნიდა საკუთარი შვილებივით საყვარელ სიმღერებს, რომლებიც ქართველი კაცის ჭირისა და სიხარულის მეგობრებად იქცნენ.

სარგის ცაიშვილი
დავით გურამიშვილი



ᲐᲙᲐᲙᲘ ᲑᲐᲥᲠᲐᲫᲔ

„ᲛᲔ, ᲑᲔᲑᲘᲐ, ᲘᲚᲘᲙᲝ ᲓᲐ ᲘᲚᲐᲠᲘᲝᲜᲘ“

„ენამ გულისა უნდა თქვას და ფერ-უმარული რა საჭიროა?“
ილია ჭავჭავაძე

დიდი ხნის მოლოდინის შემდეგ მაყურებელმა ნახა ნ. დუმბაძისა და თ. აბულაძის ფილმი [1]. პირველმა ემოციამ უკვე გაიარა და ახლა შეიძლება ცივი გონებით (ეს არ გამორიცხავს გულის ფიქრსაც) გავაანალიზოთ კინოსურათი. მაშ, თანდათან მივყვეთ გულის ფიქრის დენას.

რა იყო სცენარში და რა თითქოს არის და არც არის ფილმში?

ფილმის გადაღებისას სცენარის ზოგიერთი ეპიზოდის შეცვლა არაა უჩვეულო ამბავი. ამისი მორალური და იურიდიული უფლება აქვს კინორეჟისორს. მაგრამ ცვლილებისას დასადგენია — უმჯობესდება თუ უარესდება

[1] „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. სცენარის ავტორები: ნ. დუმბაძე და თ. აბულაძე; ღამდგმელი რეჟისორი — თ. აბულაძე; ოპერატორი — გ. კალატოზიშვილი; მხატვრები: გ. გიგაური, გ. ხუციშვილი, დ. ერისთავი; მონაწილეობენ მსახიობები: ს. თაყაიშვილი, ს. ჟორჟოლიანი, გრ. ტყაბლაძე, ზ. ორჯონიკიძე და მ. აბაზაძე. კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ნაწარმოები. 1962 წელი.

ლიტერატურული სცენარი და კონკრეტულად რა იგულისხმება შეცვლაში — მხატვრული ანალიზის გაღრმავება-დამუშავება, იდეური და მხატვრული კონცეფციის შეცვლა თუ ყველაფერი ერთად? წამოჭრილ კითხვას რომ პასუხი გავცეთ, ამისათვის მაგალითებს უნდა მივმართოთ.

მაგალითი პირველი: არის ერთი ეპიზოდი სცენარშიც (ცხადია, მოთხრობაშიც) და ფილმშიც, რომელსაც პირობითად „ილარიონის შვილის დაღუპვის ცნობა“ შეიძლება ეწოდოს. ახლა გავიხსენოთ ამბავთა სვლის თანამიმდევრობა როგორც სცენარისეულ, ისე ფილმისეულ ეპიზოდში.

სცენარში:

ბებია ოლღა და ზურიკელა შინ არიან. საქმიანობენ. იღება კარი და ცოცხალ-მკვდარი ილიკო შემოდის. სამწუხარო ამბავი მოიტანა ილიკომ: ფოსტალიონს მისთვის ილარიონის შვილის დაღუპვის ცნობა მიუცია. შეძრწუნდნენ ბებია და ზურიკელა, მაგრამ სამივემ ერთხმად გადაწყვიტეს, არ გაუმხილონ ილარიონს შვილის დაღუპვის ამბავი. დე, ელოდოს ბერიკაცი. კაცი იმედით ცოცხლობს. ამ დროს გაიღო კარი და მხიარული ილარიონი და აგიტატორი შემოვიდნენ. სამმა ადამიანმა — ბებიამ, ილიკომ და ზურიკელამ — მწუხარება გულში უნდა ჩაიკლან და მთელი საუბარი აგიტატორთან უდარდელი ხუმრობით ჩაატარონ. ასეც მოხდა: ცრემლი და დარდი სიცილით შეინიღბა. აგიტატორმა ფრონტზე გასაგზავნი საჩუქრები მოითხოვა. ილიკომ ნაბადი გაიმეტა. გაოცებული ილარიონი უხმოდ წამოდგა, გაკვირვებული ილიკო, ბებია და ზურიკელა დატოვა და გარეთ გავიდა. არ გაუვლია რამდენიმე წუთს და უკან მობრუნებულმა ილარიონმა თავისი ახალთახალი ჩექმები მოიტანა და ილიკოს ნაბადთან ერთად საფრონტო საჩუქარს მიუმატა.

ასე თავდება ეპიზოდი სცენარში.

ფილმში:

ოთახში არიან ბებია და ზურიკელა. ზურიკელა უკრავს, ბებია აღტაცებულია. იღება კარი და ილარიონი და აგიტატორი შემოდიან. ცოტა ხანიც არ გასულა და ილიკოც მოვიდა. ილიკო არაფერს ამბობს (არც ოლღამ და ზურიკელამ იციან, რა ამბავი მოიტანა ილიკომ და არც მაყურებელმა). გაეხუმრენ ბედოვლათ აგიტატორს. ბევრი იცინეს. ბოლოს გამოირკვა, რომ იგი საფრონტო საჩუქრებისათვის მოსულა. ილიკომ საჩუქრად ნაბადი გაიღო. ილარიონი წამოდგა, ცოტა ხანს მომიცადეთო — თქვა და გარეთ გავიდა. ამ დროს ზურიკელამ წამოიძახა: ილარიონი თავისი ახალი ჩექმების მოსატანად წავიდაო (მაყურებელი დაბრუნებულ ილარიონს ვერ ნახულობს, რადგან ეპიზოდი ისე მთავრდება, რომ ილარიონი არ ბრუნდება. ჩვენ მხოლოდ ზურიკელას უნდა ვენდოთ, რომ ილარიონი დაბრუნდება და ჩექმებს მოიტანს). აგიტატორისა და ილარიონის წასვლის შემდეგ გაუმხილა ილიკომ ბებიას და ზურიკელას ილარიონის შვილის დაღუპვის ამბავი. ოლღა წყევლა-კრულვას უთვლის ჰიტლერს. ბოლოს, ილარიონს არ გავუმხილოთ ეს ამბავიო, გადაწყვიტეს. ილიკომ ცნობა ცეცხლში შეაგდო და ზურიკელა გააფრთხილა — არსად წამოგცდეს ეს ამბავიო.

ასე თავდება ფილმში ეპიზოდი.

აკაკი ბაქრაძე

„მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“

ითქოსდა რეჟისორს არაფერი შეუცვლია, გარდა ეპიზოდის კონსტრუქციისა. მაგრამ ილარიონისა და ილიკოს მოსვლა-წასვლის, ერთი შეხედვით, ამ უბრალო გადაადგილებამ დაარღვია ეპიზოდის დრამატურგია, საგრძნობლად გააღარიბა სახეები; ფაქტის თვალნათლივ ნახვის ნაცვლად კი პერსონაჟის ინფორმაციას უნდა დავუჯეროთ, რომ მაინცადამაინც ასე მოხდება და არა სხვანაირად. უფრო კონკრეტულად ვთქვათ სათქმელი: როცა მაყურებელმა, ბებიამ, ზურიკელამ და ილიკომ ილარიონის მოსვლამდე იცოდა ნოდარას (ილარიონის შვილის სახელია) დაღუპვის ამბავი, დაუოკებელი ინტერესით ველოდით — როგორ გაითამაშებდნენ მწუხარე ადამიანები მხიარულ სცენას, რათა ილარიონს მათ სახეზე საბედისწერო ამბავი არ ამოეკითხა. მგონია სადავო არაა, რომ ერთია ხუმრობა, როცა არაფერი არ გაწუხებს (ფილმში ოლღამ და ზურიკელამ ხომ არაფერი არ იციან, რა უბედურება მოხდა?) და სულ სხვაა ხუმრობა, როცა გულით უდიდეს მწუხარებას ატარებ (სცენარში ბებიამ და შვილიშვილმა იციან რა უბედურება მოხდა და მაინც ხუმრობენ მწუხარების დასამალად). სცენარისეულ ვარიანტში მკითხველი ხედავდა ილიკოს, ოლღას, ზურიკელას კეთილშობილებასა და სულიერ ძალას, — ისინი საკუთარ მწუხარებას სთრგუნავდნენ სხვისი სულიერი სიმშვიდისათვის (აქ იყო ეპიზოდის დრამატურგიული ინტერესიც — ბოლომდე გაუძლებს თუ არა ოლღას, ილიკოს და, რაც მთავარია, ზურიკელას გული ასეთ გამოცდას?). სამივეს — მოხუცებსაც და ახალგაზრდასაც — ეყოთ ნებისყოფა და საიდუმლო საიდუმლოდ დარჩა. სცენარისეულ ვარიანტში ნათლად ვხედავდით და ვრწმუნდებოდით, რომ ზურიკელა ჭეშმარიტად შვილია ბებია ოლღასი, ილიკოსა და ილარიონის; რომ ცხვირმოუხოცელ ბიჭს მამაკაცის ნებისყოფა აქვს (აქ ჩანდა მისი ხასიათიც და სულიერი სამყაროს სიღრმეც), რადგან მკითხველისა თუ მაყურებლის თვალწინ გათამაშდა სცენა, სადაც ზურიკელამ დაამარცხა მწუხარება. ფილმისეულ ვარიანტში კი უსაბუთოდ უნდა დავიჯეროთ, რომ ზურიკელა გაუძლებს და ნოდარას დაღუპვის საიდუმლოს არ გასთქვამს. გარდა ზემოთ თქმულისა, რეჟისორული გადაწყვეტისა და მსახიობთა თამაშის თვალსაზრისითაც, ეპიზოდის სცენარისეული ვარიანტი უფრო საინტერესოა. გაორებული გრძნობის (დამალული მწუხარება და მოჩვენებითი მხიარულება) გადმოცემა მსახიობისათვის ძნელიცაა და მაცდუნებელიც, რადგან იგი დახვეწილ აქტიორულ ოსტატობას მოითხოვს. მსახიობმა ბეწვის ხიდზე უნდა იაროს, რომ მწუხარებისას სენტიმენტალური არ იყოს, ხოლო მხიარულებისას — ხელოვნური და არაბუნებრივი. მაგრამ ასეთი საშიშროება ფილმში „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ გამორიცხული იყო, რადგან რეჟისორს საოცარი სიზუსტით ჰყავს შერჩეული სამივე მოხუცის როლის შემსრულებელი აქტიორები. ს. თაყაიშვილმა, ს. ჟორჟოლიანმა და გრ. ტყაბლაძემ კი დაგვაჯერეს, რომ ადამიანის სულის მოძრაობის ყოველი ნიუანსის გადმოცემა შეუძლიათ, თუ ნაძალადევად არ წავართვით ამის საშუალება. ხსენებულ ეპიზოდში კი რატომღაც რეჟისორმა შეზღუდა თავისთავიც და მსახიობებიც. რაც შეეხება ზ. ორჯონიკიძეს, მიუხედავად იმისა, რომ უჭირს ბეწვის ხიდზე სიარული, რეჟისორის დახმარებით, შეეძლო გაორებული გრძნობის ნათლად გადმოცემა, რის საბუთსაც ფილმის ერთი ეპიზოდი გვაძლევს. გაგახსენებთ ამ ეპიზოდს: ღელის გაღმა ბებია დგას, წყალში გასვლა არ შეუძლია. გამოღმა, ქვის კედელთან ზურიკელა ჩაცუცქულა და ფეხზე იხდის, რომ ღელეში შეტოპოს და ბებია გადმოიყვანოს. ბებია და შვილიშვილი სკოლიდან ბრუნდებიან. მასწავლებლებმა მოახსენეს (მაგალითად, აქაც გამოტოვებულია სკოლის ეპიზოდი, მაგრამ ეს თვალში ოდნავადაც არ გეცემათ, რადგან ამბის თხრობის თანმიმდევრობა არ ირღვევა და არც აზრია გაუგებარი. პირიქით, აქ ზუსტი კინემატოგრაფიული ლაკონიზმია გამომჟღავ-

ნებული) ოლღას ზურიკელას „კაიკაცობა“. გაცეცხლებული ბებია უსაშველოდ ლანძღავს შვილიშვილს, მაგრამ ზურიკელა — ზ. ორჯონიკიძის სახეზე ოდნავადაც არ იგრძნობა აღელვება: ბიჭმა კარგად იცის ბებიამისის ლანძღვის ფასი. იცის, რა უზომო სიყვარულია დამალული ოლღას „წყევლა-კრულვაში“. ისე მშვიდად, კმაყოფილი, თვითდაჯერებით იხდის ფეხზე ზურიკელა, რომ მაქსიმალურად ნათელია ბებიასა და შვილიშვილის ნამდვილი დამოკიდებულების არსი. თუკი რეჟისორმა და ახალგაზრდა მსახიობმა ამ ეპიზოდში შეძლეს დაფარული გრძნობის წინა პლანზე წამოწევა, ნამდვილს და მოჩვენებითს შორის ფაქიზი ხაზის გავლება, ისე რომ მაყურებლისათვის არ დაკარგულა არცერთი ნიუანსი, ცხადია, „ნოდარის დაღუპვის ცნობის“ ეპიზოდშიც შესაძლებელი იყო გვენახა ზურიკელას გაორებული გრძნობა და კიდევ უფრო ღრმად ჩაგვეხედა მის სულიერ სამყაროში, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა.

კიდევ ერთი შენიშვნა და ამით დავამთავროთ საუბარი ამ ეპიზოდზე. სცენარისეულ ვარიანტში ჩექმები ილარიონს მოაქვს. ეს უფრო თვალნათლივიცაა, ეფექტურიც და მოულოდნელობის გრძნობის მატარებელიც (ამდენად უფრო კინემატოგრაფიულიც), ვიდრე ზურიკელას განცხადება ფილმში: ილარიონი ახლა ჩექმებს მოიტანსო. ჯერ ერთი, რასაც თვალით ნახავ, უფრო სარწმუნოა, ვიდრე სხვის ნათქვამზე დაყრდნობა, და, მეორეც, ჩექმების მოტანით ეპიზოდს ესმები და ზუსტი წერტილი და ამბავიც უფრო შეკრული და დამთავრებული იყო. შეიძლება აქ რეჟისორი შეაშინა დროის ფაქტორმა: ილარიონის წასვლასა და მოსვლას შორის არსებული შუალედი რა მოქმედებით შეევსო ეკრანზე? თ. აბულაძემ ძალიან კარგად იცის, რომ კინოში არსებობს უამრავი საშუალება დროის სვლის პირობითი გადაწყვეტისათვის. ასე რომ, დრო ამ შემთხვევაში არაა დამაბრკოლებელი.

მ ა გ ა ლ ი თ ი მ ე ო რ ე: ზურიკელამ საშუალო სკოლა დაამთავრა და სწავლის გასაგრძელებლად თბილისში მიდის. ბიჭი გაჭედილ ვაგონში მოხვდა, რის ვაი-ვაგლახით მგზავრებს შორის გაძვრა, ბარგის დასაწყობ თაროზე აძვრა და არხეინად წამოწვა. ზურიკელას საქციელმა აღაშფოთა მგზავრები, განსაკუთრებით ვისაც ბევრი ბარგი ჰქონდა და ბიჭს პატარა წალაპარაკება-ჩხუბიც მოუვიდა. ბოლოს მგზავრობამ თავისი გაიტანა, პატარა პურმარილი გაიშალა, წეღანდელი მოჩხუბრები შერიგდნენ და ღვინომ მგზავრების ბუნება გაგვიხსნა. თურმე ისინი კეთილი, გულისხმიერი და მოყვასი ადამიანები არიან და, ადამიანური ხასიათისა და ბუნების თვალსაზრისით, ზურიკელაზე არანაკლებ კეთილშობილნი და სულით მდიდარნი.

ასეთი ეპიზოდია სცენარში (ცხადია, მოთხრობაშიც), ფილმში კი მხოლოდ ამ ეპიზოდის პირველი ნახევარია. ფილმისეული ეპიზოდი თავდება იქ, სადაც ზურიკელას მგზავრები წაეჩხუბნენ და იგი არასდიდებით არ ჩამოვიდა ბარგის თაროდან. მგზავრების და ზურიკელას შერიგებისა და პურმარილის სცენა კი მოწყვეტილია. არც ეს უნდა იყოს სადავო, რომ ასე ხელოვნურად რეჟისორს არ უნდა გაეყო ეპიზოდი შუაზე. ეს არღვევს ადამიანებისადმი დამოკიდებულების მწერლისეულ კონცეფციას. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ზურიკელა, სოფლური ყოფის შემდეგ, ჭიანჭველების ბუდეში მოხვდა. რადგან ამბის დასასრული არ ვიცით, გვგონია, რომ მგზავრები მარტოოდენ თავისთავით არიან დაინტერესებულნი და მეტი არაფრით. ნ. დუმბაძე კი ისე გვიხატავს ამ ადამიანებს, რომ ჩვენ ვგრძნობთ, ამ მოჩვენებითი უხეშობის, ეგოიზმისა და, თუ გნებავთ, მტრობის უკან მეგობრობა და სიყვარული იმალება. მწერალი ცდილობს გახსნას ადამიანის ასეთი ბუნება და მის არსებობასა და ჭეშმარიტებაში მკითხველიცა და მაყურებელიც დაარწმუნოს (შეიძლება დავეთანხმოთ ან არ დავეთანხმოთ ამ საკითხში მწერალს,

---

აკაკი ბაქრაძე
„მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“

მაგრამ მისი გამოცვლის უფლება კი არ გვაქვს). ახლა კი გაუგებარია, როგორია ეს ხალხი, ვაგონში რომ მოუყრია თავი; ხოლო ზურიკელას სახეს ჩრდილი მიადგა, რადგან მისმა უარმა, ჩამოვიდეს ბარგის თაროდან, ხულიგნური ელფერი შეიძინა (ორი ხანდაზმული კაცი ედავება ჩამოდიო, თვითონ კი არხეინად იკრიჭება და განძრევასაც არ აპირებს) მაშინ, როდესაც სინამდვილეში საქმე მხოლოდ ბავშვურ გაჯიუტებასთან გვაქვს.

გარდა ამისა, ამ ეპიზოდს, ბოლომდე რომ დარჩენილიყო იგი ფილმში, ჰქონდა სხვა მნიშვნელობაც. ამჟამად, ფილმის მიხედვით ზურიკელა, ბებია, ილიკო და ილარიონი ხალხსა და გარემოსაა მოწყვეტილი. არათუ კონკრეტული პიროვნებანი არ ვიცით, ვისთანაც ფილმის პერსონაჟებს აქვთ ურთიერთობა, არამედ, გამოსახულების თვალსაზრისითაც, ვერ ვნახეთ სოფლის ხედი (გარდა ერთი შორი პლანისა, როცა დათოვლილი სოფელი მოჩანს, მერისა და ზურიკელას სიყვარულის გამჟღავნების ეპიზოდში. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას — გადაღებული გემოვნებით, შთამბეჭდავად და ლამაზად, მაგრამ სოფლის სახეს მაინც ვერ ქმნის) , სადაც ფილმის პერსონაჟები ცხოვრობენ და შრომობენ, რომ სოფლის სახეც დამახსოვრებოდა მაყურებელს (ეს არაა განზოგადოება, ეს უმისამართობაა). არ ვიცით კეთილკაცობა, დიდბუნებოვანება, სიცილის საშუალებით ჭირთან ბრძოლა ოლღას, ილიკოს, ილარიონსა და ზურიკელას ინდივიდუალურ-პიროვნული თვისებაა, თუ ყველაფერი ეს მთელი ერის, ხალხის ბუნებაშია და ფილმის პერსონაჟებიც ამ თვისებებს იმდენად ატარებენ, რამდენადაც ამ ხალხის, ერის შვილები არიან, მათი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი. როცა ვაგონში შემთხვევით შეხვედრილი ამბაკო ზურიკელას მამასავით ექცევა და ბიჭსაც იგი ილარიონისაგან ვერ გაურჩევია (ეს არაა მხოლოდ სიმთვრალის ბრალი. სიმთვრალე ბუნებრიობას ანიჭებს), სწორედ ხალხისა და ოლღა-ილიკო-ილარიონ-ზურიკელას ერთიანობაზე ლაპარაკობდა. ამ ფაქტს ხაზგასმა, წინა პლანზე წამოწევა უსდოდა და არა შუაში გაჭრა. ალბათ თ. აბულაძეს ჰქონდა მიზეზი, როცა ეპიზოდს მეორე ნაწილი მიაჭრა — ან მსახიობთა თამაშმა არ დააკმაყოფილა, ან გამოსახულების ხარისხმა, გადაღების თვალსაზრისით — მაგრამ არცერთმა რეჟისორმა არ უნდა დაივიწყოს ერთი ჭეშმარიტება: „გამოსახულება კი არ ქმნის ფილმს, არამედ სული (დავამატებდი — აზრი) გამოსახულებისა". ეს სიტყვები აბელ ჰანსს ეკუთვნის და ურიგო არ იქნება, თუ დავუჯერებთ მის გამოცდილებასა და ნიჭს.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ხსენებული ეპიზოდის გაყოფამ დაარღვია მწერლის ხერხიც—ამბის თხრობა კონტრასტებზე ააგოს (ამ კონტრასტებით ქმნის იგი დრამატურგიასაც), და წაშალა ქართული მგზავრობის კოლორიტიც. ამ კოლორიტში კი ერის სახის რაღაც ნაწილია და იგი მეტ ყურადღებას მოითხოვს.

მ ა გ ა ლ ი თ ი მ ე ს ა მ ე: იმ დღეს, როცა ზურიკელას ოჯახს აგიტატორი ეწვია და ფრონტზე გასაგზავნი საჩუქრები მოითხოვა, ბებია ოლღამ თავის ლეიბს მატყლი გამოაცალა და მთელი ღამე ქსოვდა ფრონტზე გასაგზავნ წინდებს. ფილმში ბებიას ამ საქციელს აკლია ლეიბიდან მატყლის გამოღება. ეს არაა უბრალო დეტალი, რომელიც შეიძლება შეიტანო ან არ შეიტანო მხატვრულ ნაწარმოებში. მოხუცმა ქალმა, რომლისათვისაც სითბოს სიცოცხლის ფასი აქვს, თავისთავი გაიმეტა და უცნობ ჯარისკაცს უბრალო წინდა კი არა, საკუთარი სხეულის სითბო აჩუქა. ეს გმირობაა, რადგან გმირობა ადამიანის შესაძლებლობასა და გამძლეობაზეა დამოკიდებული. მოხუც ბებიას კი მეტი არ შეეძლო და გარემოებაც ამას მოითხოვდა. ამისთანა სულიერ გმირობაზე თქვა შტეფან ცვაიგმა — როცა ჩვეულებრივი და უბრალო ეჟენი გრანდე მრისხანე და ძუნწი მამის თანდასწრებით ერთ ზედმეტ ნატეხ შაქარს დებს საყვარელი კუზენის, შარლის, ყავაში, იმდენ ვაჟკაცობას ამჟღავნებს, რამდენსაც არკოლეს

ხიდზე, დროშით ხელში, იერიშზე გადასული ნაპოლეონიო. აქაც გარემოებისა და შესაძლებლობის ერთიანობაა და, მიუხედავად გარეგნული დიდი განსხვავებისა, შინაგანად და მორალურად ეჟენი გრანდეს საქციელიც გმირობაა და ნაპოლეონისაც. ასევეა ბებია ოლღას საქციელიც, რომელიც მისი კეთილქალობის და დიდბუნოვანების საბუთიცაა. ამ დეტალის გამოტოვებით ოლღას სახეც გაღარიბდა და ზურიკელას ხასიათის ჩამოყალიბებას ერთი ფაქტორი მოაკლდა. ილიკოს ნაბადი, ილარიონის ჩექმები და ბებია ოლღას ლეიბიდან გამოღებული მატყლით მოქსოვილი წინდები ის გაკვეთილებია, რომელთა მიხედვითაც ზურიკელა კაცურ კაცობას სწავლობდა.

დასკვნისას უნდა ვთქვა, რომ ხსენებულმა ცვლილებებმა, რომელიც როგორც მხატვრული, ისე იდეური კონცეფციის გადააზრების ხასიათს ატარებს, გაუმჯობესების გზით არ წაგვიყვანა. გადაღების პროცესში ამა თუ იმ ცვლილების შეტანას ლიტერატურულ მასალაში მაშინ აქვს ფასი, როცა მხატვრული ანალიზი უფრო დახვეწილი და ზუსტი ხდება, ნაწარმოების იდეური კონცეფცია ღრმავდება და უფრო მნიშვნელოვანი ხდება, აზრი კი — უფრო ნათელი და გასაგები. ყველა სხვა შემთხვევაში ერთნაირად აგებს რეჟისორიცა და მაყურებელიც.

„თვალების მუსიკა“

«Пейзаж может служить конкретным образом воплощения целых космических концепций, целых философских систем».

ს. ეიზენშტეინი

„თვალების მუსიკას“ პეიზაჟსა და დეკორაციას ეძახდა პიეტრო გონზაგო.

დეკორაცია და პეიზაჟი თეატრსა და კინოში ადამიანზე ლაპარაკობს, მის ხასიათსა და ბუნებას უფრო რელიეფურად გამოხატავს, განწყობილებას აძლიერებს, აღრმავებს, აზრის გამოთქმის პლასტიკური საშუალებაა და, ცხადია, დამოუკიდებელი ესთეტიკური ღირებულებაც აქვს. სხვათა შორის, როგორც თეატრში, ისე კინოში დეკორაციისა თუ პეიზაჟის თავისთავადი ესთეტიკური ღირებულებისა და ფილმისა თუ სპექტაკლის აზრის ბუნებრივი და უშუალო შერწყმა-შეხამება ძნელია. აქ უნდა გამოჩნდეს სწორედ მხატვრის ოსტატობა. აქვე უნდა დავუმატოთ, რომ კინოში პეიზაჟი და დეკორაცია ალეგორიის ღირებულებასაც იძენს და ფილმის სამეტყველო ენას უფრო მოქნილს და მრავალფეროვანს ხდის. ამიტომაცაა, რომ ადამიანი-პეიზაჟი-დეკორაცია მთლიანია და კინემატოგრაფიული სახეც ამ მთლიანობის ერთიანი დახატვა-აღქმით იქმნება. ამდენად „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ (და საერთოდ ყოველი ფილმის) ნატურის არჩევას სერიოზული და დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

„მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ რეჟისორსა და მხატვრებს ძირითადად შიშველი პეიზაჟისა და ფონისათვის მიუნიჭებიათ უპირატესობა. როგორც ჩანს, ცდილობდნენ ყოფის სურათის აღდგენისათვის აერიდებინათ თავი, მაგრამ ეს პრინციპი არაა ქცეული ფილმის გამოსახულებითი მხარის ერთიან სტილისტიკად. პირიქით, ეპიზოდებში „საკლასო ოთახში გაკვეთილზე“ და „სიმწიფის ატესტატების დარიგება“ სოფლის სკოლის ყოფა ზუსტადაა აღდგენილი. უფრო მეტიც, „ატესტატების დარიგების“ ეპიზოდში თითქმის პროვინციული ფოტოების მიხედვითაა გადმოცემული პერსონაჟთა პოზები და მიზანსცენები, რაც

ცოცხალსა და ხალისიანს ხდის ეპიზოდს. შიშველი პეიზაჟის და ფონის შენარჩუნებას ფილმის ავტორები უფრო ბებიას, ილიკოს და ილარიონთან დაკავშირებულ ეპიზოდებში ცდილობენ. და სადავოც აქაა.

რეჟისორის მტრული დამოკიდებულება ყოფისადმი იქამდე მივიდა, რომ ერთხელაც (თუნდაც მეორე პლანით) კი არ გვაჩვენა სად ცხოვრობს ილიკო ან ილარიონი. ქვევრის გაძარცვის ერთადერთი ეპიზოდი, დაკავშირებული ილარიონის ეზო-კართან, სილუეტებითაა გადაღებული, რაც საშუალებას არ გვაძლევს დავადგინოთ, სად ხდება მოქმედება (თავი დავანებოთ იმას, რომ დაყირავებული მარანი ჯერ არავის უნახავს ამ ქვეყნად) და ყოფის სურნელი შეიგრძნო. თუნდაც ამ ერთ მარანს ბევრი რამ შეეძლო ეთქვა მაყურებლისათვის ილარიონზე. ოთარაანთ ქვრივის სახლკარი არანაკლებ ნათლად მეტყველებს მისი პატრონის კაიქალობაზე, ვიდრე რომელიმე სხვა ფაქტი ქვრივის ცხოვრებიდან. ამიტომაც აღწერს ეზომ ყურადღებით ილია ოთარაანთ ქვრივის სახლკარს. საცხოვრებელი ადგილის ან ნივთების საშუალებით პერსონაჟის სახის დახატვა არც კინემატოგრაფიისათვისაა უცხო. ფლორესტანო ვანჩინი, რეჟისორი ფილმისა „1943 წლის გრძელი ღამე", სურათის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის ფრანჯოს სახეს სწორედ ოთახისა და ნივთების საშუალებით გვაცნობს. ოთახში მიმობნეული სხვადასხვა ეპოქის, სტილის, ღირებულებისა და გემოვნების ნივთები ნათლად ლაპარაკობენ მათი პატრონის მერყევ და ჩამოუყალიბებელ ხასიათსა, დაბნეულ იდეალსა და გაურკვეველ სიმპატია-ანტიპატიაზე.

ასევე ნათლად შეიძლებოდა ილიკოსა და ილარიონის სახლკარის ჩვენებით კიდევ უფრო ზუსტი, მდიდარი და სრული წარმოდგენა გვქონოდა მათზე, ყოფის ნამდვილი სურათი შეგვექმნა და განუმეორებელი კოლორიტის სურნელით გაგვეჟღინთა ფილმი. ფილმის საერთო ლირიკულ განწყობილებას კი ყოფის და პეიზაჟის კოლორიტი კიდევ უფრო გაამდიდრებდა და გაამშვენიერებდა. გარდა ამისა, სახეების დასახატად ნ. დუმბაძის მიერ არჩეულ მანერას ერთგვარი ერთფეროვნების ელფერი დაკრავს და ამიტომაცაა, რომ ილარიონის ან ილიკოს შინაგანი სამყარო მკვეთრად ინდივიდუალიზირებული არაა და არც მათ შორის პიროვნული განსხვავებაა იოლად საპოვნი. ამ ნაკლის თავიდან აცილება კი ილიკოსა და ილარიონის საგნისეული დახასიათებით შეიძლებოდა. თუ ვაჩვენებდით როგორია თითოეული მათგანის სახლკარი, რა საგნებთან აქვთ ურთიერთობა, შეიძლებოდა დაგვენახა მათი ინდივიდუალური თვისებები. ამისათვის სრულიად არ იყო საჭირო არც დამატებითი ეპიზოდების დაწერა და არც დამატებითი სიტუაციების შექმნა. ყველაფერი ეს ფონით, ანუ მეორე პლანით შეიძლებოდა გადაწყვეტილიყო. ამ შემთხვევაში მეორე პლანი ქვეტექსტივით ილაპარაკებდა და უფრო სრულს და მთლიანს გახდიდა მაყურებლის წარმოდგენას ფილმის სახეებზე. ხოლო რაც შეეხება პეიზაჟს, თავად თ. აბულაძე იძლევა მაგალითს, რა კარგად შეიძლება პეიზაჟის გამოყენება აზრის გამოსახატავად და პერსონაჟთა განწყობის გადმოსაცემად. გაიხსენეთ ზურიკელასა და მერის გავლა დათოვლილი ტყის პირას და სიყვარულის პირველი გამჟღავნება. დაბნეულმა ზურიკელამ არ იცის, როგორ გაუმხილოს მერის თავისი გრძნობა და „მურადაზე" ყვება რაღაცას უთავბოლოდ. გოგო და ბიჭი მიდიან, ხევში ჩადიან და იკარგებიან. ეკრანზე დიდხანს ჩანს თეთრი, თეთრი თოვლი და ისმის „მურადას" უყვარდიო, „მურადა" მიყვარდაო, ხოლო თავად ზურიკელა და მერი აღარ ჩანან, მაგრამ თეთრი თოვლი და სიტყვა „უყვარდიო" შესანიშნავად გადმოგვცემენ, როგორ იბადება თოვლივით სუფთა და სპეტაკი დიდი სიყვარული. სხვათაშორის, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მერე მსგავსი ეპიზოდი კიდევ გაიმეორა რეჟისორმა (იმ განსხვავებით, რომ ახლა უკვე ზამთარში აღარ ხდება ამბავი) ზურიკელას თბილისიდან ჩამოსვლის შემდეგ, მაგრამ ვერ მოახერხა ამ ორ

ერთნაირ ამბავს შორის განმასხვავებელი ზღვარი გაევლო და მაყურებელს ეგრძნო, რომ პირველი ეპიზოდი ბავშვური სიყვარულის გაუბედავი გამხელა იყო, ხოლო გამეორებული — ბავშვობის ტკბილი გახსენება. ახლა მოწიფულ ქალ-ვაჟს სიყვარულის აღარ ერიდებათ.

მივუბრუნდეთ ისევ პირველთქმულს. ბებიას, ილიკოს და ილარიონის პორტრეტები და გარეგნობა მიუთითებენ, რომ ისინი მშრომელი, მიწისმოყვარული და მოტრფიალე ადამიანები არიან. მათ ცხოვრებას არ შეიძლება მიწაზე კვალი არ დაეჩნია. ამიტომ უხერხულობისა და შეუსაბამობის გრძნობა გვეუფლება, როცა ხედავ, როგორ ზის გატყავებულ და ხრიოკ ეზოში ოლღა ბებია — ს. თაყაიშვილი. ოლღას კალთაში ქათამი უზის, აჭმევს თუ ასმევს და რაღაცას ალერსიანად ებუტბუტება. იმდენი სითბოა მოხუცი ქალის ფრინველისადმი დამოკიდებულებაში, შეუძლებელია დაიჯეროთ, რომ ამ ქალს ასე გაუბედურებული ეზოკარი ჰქონდეს. აქ სიმდიდრეზე კი არაა ლაპარაკი, არამედ შრომის სილამაზეზე, რომელიც გლეხკაცისა თუ გლეხქალის შრომასა და ამ შრომით შექმნილში მჟღავნდება. სწორედ ოლღას ნაშრომის სილამაზეზე არ ლაპარაკობს თ. აბულაძის მიერ გადაღებული ეზო-კარი. დარღვეულია ბუნებრივი და ორგანული ერთიანობა ადამიანსა და გარემოს შორის.

კადრმა „ოლღა ბებია ეზოში" დ. კაკაბაძის სურათი „იმერეთი — დედაჩემი" გამახსენა. დავით კაკაბაძის მოხუცი ქალი მშვიდად ზის და ართავს. საოცარი სიმშვიდე, დაჯერება და კმაყოფილებაა მოხუცის სახეზე და მთელ სხეულში. იგი თავისი არსებით იმ ბუნებას შერწყმია, რომლის ფონზეც ზის. ბალახი თუ ყვავილები, ტყრუშული ღობე თუ ლამაზი ჭიშკარი, ალვის ხეები თუ შორეული ყანები, ერთი სიტყვით, მთელი ბუნება ამ ქალის ადამიანური არსების ნაწილია, ხოლო თავად იგი ამ ბუნების ღვიძლი შვილია. მოხუცი ქალის ხასიათი ამ ბუნებას ჩამოუყალიბებია, ხოლო თვით ქალს ბუნებისათვის მისი ხელით შექმნილი მშვენიერებაც — ეზო-კარი — მიუმატებია. ამიტომაც არსებობს ჰარმონია და ერთიანობა ადამიანსა და ბუნებას შორის. ამან მისცა უფლება მხატვარს სამშობლო და დედა გაეიგივეებინა და სურათისათვის „იმერეთი — დედაჩემი" ეწოდებინა.

თ. აბულაძეს დ. კაკაბაძისეული ჰარმონია რომ დაემყარებინა ადამიანსა და პეიზაჟს შორის, შეიძლებოდა კადრის — „ოლღა ბებია ეზოში" — ნახვისას დედისა და სამშობლოს იგივეობის გრძნობა აღგვძროდა, იმდენი მორალური ძალა, სიმშვიდე, სინათლე, სითბო და სიყვარულია ს. თაყაიშვილის მიერ შექმნილ სახეში. მაგრამ ხრიოკმა ბუნებამ ადამიანი და პეიზაჟი გათიშა და, ჰარმონიის ნაცვლად, სიცივე და სიცარიელე დაამყარა მათ შორის.

„თვალების მუსიკა" არ აღმოჩნდა სავსე იმ ლირიზმით და სითბოთი, რაც ბებიას, ილიკოს, ილარიონის და ზურიკელას ადამიანურ ბუნებასა და ურთიერთდამოკიდებულებაშია. ადამიანსა და პეიზაჟს შორის ჰარმონიის დარღვევამ კი რეჟისორისა და მხატვრების მიერ არჩეული ნატურა თვითმიზნური გახადა, თვითმიზნურობა კი მხატვრული ნაწარმოების ღირსება არასოდეს ყოფილა.

დავიწყებული დიდი პლანი

ერთი თავისებურებაც აქვს თ. აბულაძის ფილმს. ესაა დიდ ანუ ახლო პლანთა სიმცირე. საერთოდ, ამჟამად ევროპულსა და ამერიკულ კინოხელოვნებაში შეიმჩნევა დიდი პლანის უარყოფის ტენდენცია. პოლონელმა კინოთეორეტიკოსმა ეჟი პლაჟევსკიმ ამ მოვლენას „ახლო პლანის დაცემა" უწოდა და თანამედროვე კინოხელოვნების ერთ-ერთ დამა-

---

აკაკი ბაქრაძე

„მე, ბებია, ილიკო და ილარიონი"

ხასიათებელ ნიშნად მიიჩნია. მაგრამ საქმე ისაა, რომ უცხოელი კინორეჟისორები, რომლებიც ახლო პლანს მოძველებულ საშუალებად თვლიან, მთლიანად უარყოფენ მას და ფილმებს ძირითადად შორი და საშუალო პლანებით იღებენ. ერთი სიტყვით, დიდი პლანის უარყოფა მათი ფილმების კინემატოგრაფიულ სტილისტიკას განსაზღვრავს. ხოლო ფილმში „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" რეჟისორის პოზიცია ამ მხრივ ნათლად და გარკვეულად არაა გამომჟღავნებული, რადგან თ. აბულაძე ხანდახან მიმართავს დიდ პლანს, როგორც პერსონაჟის ფსიქოლოგიური მდგომარეობის გამხსნელ საშუალებას (მაგალითად, ზურიკელას დიდი პლანით იწყება ეპიზოდი საკლასო ოთახში, ბებიას დიდი პლანები სიკვდილის წინ და სხვანი). ე. ი. ამ შემთხვევაში დიდ პლანთა სიმცირე არ იქცა ფილმის სტილისტიკის განმსაზღვრელად. აქ უფრო ორჭოფობაა, ვიდრე მტკიცე პოზიცია. ამდენად აქ არც თანამედროვე ევროპული კინემატოგრაფიის გავლენაზე შეიძლება ლაპარაკი და არც რეჟისორის პერსონაჟისადმი დამოკიდებულების თავისებურებაზე. მხოლოდ უკმარობის გრძნობა თუ გაუჩნდება კაცს, რადგან არის როგორც პერსონაჟის ფსიქოლოგიური მდგომარეობა, ისე სიტუაცია, სადაც უახლოპლანოდ თითქმის შეუძლებელია აზრის ნათლად გადმოცემა. ამიტომაც არ მიგვაჩნია ხანდახან რეჟისორის სიძუნწე გამართლებულად.

ახლა კონკრეტულ მაგალითებს მივმართოთ.

მ ა გ ა ლ ი თ ი პ ი რ ვ ე ლ ი: წინ ილარიონი და ილიკო მიდიან, უკან ზურიკელა მიყვება. ორ ხანდაზმულ გლეხს ასეთი საუბარი აქვთ (საუბრის დროს სამივე პერსონაჟი ზურგიდანაა გადაღებული და მათ სახეებს მაყურებელი ვერ ხედავს):

„—ოსმალო-თათარის პოლიტიკა რაღაც არ მომწონს ამ ბოლო დროს, ჩემო ილარიონ!

— მაგი ხომ იცი რაფერია, თუ შეატყო გაუჭირდაო, ისევ გერმანიას გამოუცხადებს ომს.

— გაჩუმდი კაცო!

— აგერ ვარ მე და აგერაა გერმანია. აგი ულვაში გამპარსე თუ ასე არ ქნას"... (აქ მხოლოდ შუანაწილია დიალოგის მოტანილი, მაგრამ მაგალითისთვის კმარა, რადგან დიალოგის დასაწყისი და ბოლოც ამავე ტონით მიმდინარეობს).

რა არის ეს — ორი მოხუცის სერიოზული საუბარი თუ სცენარისტის თვითნებური სურვილი უცნაური დიალოგით გააცინოს მაყურებელი? პასუხი ერთია— საუბარი აბსოლუტურად სერიოზულია. უფრო მეტიც, ამ საუბარში ილიკოსა და ილარიონის ბუნებაა. და არა მარტო ამ ორი კაცისა, მთელი იმ ხალხის ბუნებაა, რომელსაც მოსაუბრე მოხუცები ეკუთვნიან. აქ სიცილი კომედიურის კატეგორიას არ ეკუთვნის, რადგან ილიკოსა და ილარიონს, მათ ხალხს გულის დარდის გამოსათქმელად, სერიოზული ფიქრის გამოსამჟღავნებლად ნებსით თუ უნებლიეთ, ცხოვრებისა თუ ბუნების განგებით საღიმილო და სასაცილო ფორმა უპოვიათ. ამ ფორმას მკითხველი თუ მაყურებელი ყოველთვის უნდა გამოყოფდეს, რომ ომით გამოწვეული მსჯელობის მთელი წუხილი, დაინტერესება და სერიოზულობა ვიგრძნოთ. ამიტომაც აუცილებელი იყო ზემოთ მოტანილი დიალოგის დროს მაყურებელს ილარიონ — გ. ტყაბლაძისა და ილიკო — ს. ჟორჟოლიანის სახეები დაენახა და მათ სახეებზე წაეკითხა, რომ ის, რაც მაყურებელს გულიანად აცინებს, მათთვის სრულიად არაა სასაცილო. პირიქით, აქ მათი ადამიანური ბუნება მჟღავნდება და საუბარიც სავსებით სერიოზულად მიმდინარეობს. ხოლო ამ ადამიანური ბუნების გამჟღავნებამ უნდა მიგვიყვანოს ილიკოსა და ილარიონის ხასიათების საიდუმლოსთან, რომელიც სასაცილოთი ტრაგიკულის ბუნებრივ შენიღბვას გულისხმობს. აქ დიდი პლანის გამოტოვებამ (უფრო მეტიც, რეჟისორმა საერთოდ არ გვაჩვენა

ამ საუბრისას ილიკოსა და ილარიონის სახე) კი ამის შეგრძნების საშუალება წაგვართვა და ამიტომ ორივე მოხუცის სულიერი სამყარო სათანადო სინათლით არ გამოჩნდა.

მ ა გ ა ლ ი თ ი მ ე ო რ ე: მასწავლებელმა ბებიას წერილი გაუგზავნა. მერის შეეშალა და მასწავლებლის წერილის ნაცვლად ბებიას ის წერილი მისცა, რომელიც რომულის კარნახით ზურიკელამ მერისათვის დაწერა. გაიხსენეთ როგორაა გადაღებული ზურიკელას წერილის კითხვა ფილმში: კადრის მარცხენა კუთხეში კარებთან ზურიკელა ატუზულა (მისი სახე დიდი პლანითაა ეკრანზე), შორს სიღრმეში ბებია მოჩანს, ილიკო და ილარიონი კადრს გარეთ არიან და მხოლოდ მათი ხმა გვესმის. წერილის კითხვის დასრულებამდე კადრი სტატიკურია, კომპოზიცია არ იცვლება. აუცილებელი კი იყო კინოკამერის მოძრაობა და დიდ პლანთა მონაცვლეობაც, რომ მაყურებელს ნათლად დაენახა პერსონაჟთა განწყობილების ცვლა: გაკვირვება, გაოგნება და მერე უეცარი ხარხარი უცნაური წერილით გამოწვეული.

რეჟისორი მართალია, როცა კადრის კომპოზიციის აგებისას ყურადღების ცენტრში, პირველ პლანზე ზურიკელა ჰყავს. მაგრამ რატომღაც დავიწყებულია მეორე პლანი, რომელიც ბებიას, ილიკოსა და ილარიონს ბიჭთან უწყვეტი ძაფით დააკავშირებდა, რადგან მოხუცების განწყობილებისა და მდგომარეობის ცვალებადობა იწვევს ზურიკელას მდგომარეობისა და განწყობილების ცვლას. თავად ზურიკელაც ხომ სრულიად არ ელოდა იმას, რაც მოხდა. ჯერ იგი შიშით ელოდა მასწავლებლის წერილის წაკითხვას. უცბად, მოულოდნელად დაიწყეს მერისადმი მიწერილი მისივე საკუთარი წერილის კითხვა. აქ პირვანდელი შიშის გრძნობა გაკვირვებამ შეცვალა (გაკვირვებას ურევია სიხარულის გრძნობაც: მასწავლებლის წერილი არ მიუღია ბებიას), გაკვირვება — დაბნეულობამ, რადგან ბიჭმა აღარ იცის უკვე როგორ მოიქცეს. ბოლოს მერი დაბრუნდა, ბოდიში მოიხადა, წერილი შემეშალაო და ბებიას მასწავლებლის წერილი გადასცა. ზურიკელას მდგომარეობა უფრო და უფრო გართულდა: ბებიამ მასწავლებლის წერილიც მიიღო.

ჯერ ერთი, აქ რეჟისორმა არ გვიჩვენა მერის მდგომარეობა, მისი უხერხულობა და დაბნეულობა. გოგომ ხომ იცის, რა ეწერა წერილში, რომელიც მოხუცებმა წაიკითხეს? ამ რეაქციას აუცილებლად სჭირდებოდა ასახვა, რაც ყველაზე სრულყოფილად, ჩვენი აზრით, დიდ პლანს შეეძლო. აქ შესაძლებლობა იყო ნათლად გამჟღავნებულიყო მერის ბავშვური სიწმინდე და გულუბრყვილობა. მეორეც, ზურიკელას განწყობილებებისა და გრძნობების მრავალფეროვანი გამა სრულიად ვერ გადმოსცა ზ. ორჯონიკიძემ. პირიქით, ამ სცენაში მას ისეთი სახე აქვს, თითქოს წინდაწინ იცოდა ბებია მასწავლებლის წერილის ნაცვლად ზურიკელას წერილს რომ მიიღებდა და ახლა კარებთან ატუზულა, რათა სეირით დატკბეს. სამწუხაროდ, ახალგაზრდა ზ. ორჯონიკიძე ვერ მოერია პერსონაჟის სულის მოძრაობის მრავალფეროვანებას და იგი ერთფეროვანი და სწორხაზოვანი გახადა. ხოლო ს. თაყაიშვილს, ს. ჟორჟოლიანს და გ. ტყაბლაძეს არა აქვთ ამ ეპიზოდში საშუალება დახატონ განწყობილების მრავალფეროვნება და ფაქიზი ნიუანსები.

დღეს კინოხელოვნება დიდ ყურადღებას აქცევს ადამიანის სულის მოძრაობის დეტალურ დამუშავებას (გაიხსენეთ თუ გნებავთ ა. ბრესონის ფილმი „სიკვდილმისჯილი გაიქცა". ამ შემთხვევაში გარეგნულ ჟანრობრივ სხვაობას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა), რთული ნიუანსების გადმოცემას. ჩემი აზრით, ყველაზე კარგად ეს დიდ პლანს შეუძლია და ამიტომაც უსაფუძვლოა დიდი პლანის დაცემაზე ლაპარაკი. წერილის კითხვის ეპიზოდში კი თ. აბულაძემ თავისთავი გაძარცვა და იოლი გზით სიარული ირჩია, რადგან ხსენებულ ეპიზოდს

მხოლოდ საინფორმაციო მნიშვნელობა მიანიჭა და ხუმრობის კილოთი ჩაატარა.

მაგალითი მესამე: ფინალი სცენარში ასე იყო: ბებია გარდაიცვალა. მიცვალებულის სარეცელთან გახევებული ზურიკელა დგას. სიჩუმეს ნელნელა არღვევს ზურიკელას შინაგანი მონოლოგი: „მე ვიგრძენი, რომ ვიღაც შემოვიდა ოთახში და ჩემს უკან დადგა. მე ვიგრძენი, რომ იგი აღარასოდეს წავიდოდა აქედან და არ დამტოვებდა მარტო. მე უკან არ მიმიხედია, მაგრამ ვიგრძენი, რომ ეს იყო მერი, რადგან მას ამ ბნელ ოთახში უზომო სინათლე შემოჰყვა. მერე მე მაინც ავდექი და შემოვტრიალდი, რომ დამენახა ის სინათლე და ამ სინათლეზე ჩემი ილიკო, ჩემი ილარიონი და ჩემი ბებია“...

ფილმში ფინალი სხვანაირადაა: დამტოვეთო, მოითხოვა ბებიამ. ზურიკელა ეზოში გამოვიდა (კადრს გარეთა ხმით გვესმის, როგორ ლოცავს სიკვდილის წინ ბებია შვილიშვილს). ზურიკელამ ჭიშკართან მდგარ მერის უსიტყვოდ ჩაუარა და მინდვრად გავიდა... მიდის ხნულში და გვესმის შინაგანი მონოლოგი: „...მე მოვიყვან ილიკოს და ილარიონს ჩემთან და ყველანი ერთად ვიცხოვრებთ. მე მეყოლება უამრავი შვილი, შვილიშვილი, შვილთაშვილი, იმათი შვილები და მთელი სოფელი ჩვენ ვიქნებით. მერე ჩვენ გავმრავლდებით და მთელი ქვეყანა ჩვენ ვიქნებით... ჩვენ ვიქნებით მთელი ქვეყანა და არასოდეს აღარ დავიხოცებით, აღარ დავილევით, აღარ გავთავდებით“... ზურიკელამ გაიარა ხნული, გავიდა გზაზე, წინ მერი შემოეგება... ისინი ერთად მიდიან (ყველაფერი ეს შორი პლანითაა ნაჩვენები).

რა თქმა უნდა, რეჟისორს აქვს უფლება ფილმის ფინალი ისე გადაწყვიტოს როგორც უფრო მიზანშეწონილად მიაჩნია. ამიტომ ახლა ორი — სცენარისეული და ფილმისეული — ფინალის გახსენება ერთმანეთისათვის შესადარებლად კი არ გვჭირდება, არამედ ზურიკელას და მერის სახეებთან დაკავშირებული ერთი საკითხის გადასაწყვეტად.

სამწუხაროდ, ფილმში არაა ზურიკელას ხასიათის ჩამოყალიბება-დავაჟკაცება, მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრების საკმაო გზა განვლო: ომის წლების გაჭირვება გადაიტანა, დაამთავრა საშუალო სკოლა და უმაღლესი სასწავლებელი, შეუყვარდა ქალი, მოუკვდა გამზრდელი ბებია. ამ ფაქტების ზეგავლენა და ამ ზეგავლენით მისი ხასიათის თანდათანობითი ჩამოყალიბება — მომწიფება კი კადრს გარეთ დარჩა: ზურიკელა— ზ. ორჯონიკიძე ფინალშიც ისეთივეა, როგორიც ფილმის დასაწყისში იყო. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ეს პროცესი ხასიათის ზრდისა და დავაჟკაცებისა პლასტიკურად, მოქმედებასაქციელით გადაწყვეტილი, არც სცენარში იყო. მაგრამ კინოხელოვნებას აქვს საშუალება, ასეთი პროცესები სხვა გზებით და ხერხებით ასახოს. აქ უპირველესი მშველელი რეჟისორის არის პერსონაჟის კინოპორტრეტი, მეორეპლანი, კინომეტაფორა და ა. შ. სამაგალითოდ საკმარისია გავიხსენოთ დევიდ გრიფიტის „დამტვრეული ყლორტები“. თითქმის ყველა კინოსახელმძღვანელოშია შესული ეპიზოდი, რომელშიც ამერიკელმა რეჟისორმა მსახიობის პოზით (სხეულის მოძრაობით დაჯდომისას) და პორტრეტით დახატა მეძავის სახე, მიუხედავად იმისა, რომ ფილმის გმირი მთელი ფილმის მანძილზე პატიოსანი და წმიდა გოგოა, ხოლო ზნეობრივი დაცემის პროცესი კადრს გარეთაა გატანილი. დ. გრიფიტს არ უხმარია არავითარი მოჭარბებული გრიმი ან სხვა ამგვარი საშუალებანი. ფილმის მთავარი პერსონაჟი ფინალშიც ისევ ისე მშვენიერი კოხტა და მოხდენილი გოგოა. მხოლოდ სხეულის დაღლილობა, უსირცხვილობა და თვალების უზომო სევდაა ფინალურ კადრში. დ. გრიფიტს ფილმში ამ სურათის შესაქმნელად დიდი პლანი აქვს გამოყენებული. ასეთივე გზით შეიძლებოდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამაჯერებლად გადაწყვეტილიყო ფილმის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ ფინალი და გვენახა ზურიკელას დავაჟკაცებული სულიერი სამყარო (აქ ლაპარაკი არაა ულვაშებით დამშვენებულ გარეგნულ პორტრეტზე). ამის შესაძლებლობას იძლევა როგორც სცენარისეული, ისე ფილმისეული ფინალი (მიუხედავად იმისა, რომ სცენარის ფინალი უფრო ლოგიკური მგონია). მაყურებლისათვის რომ ზურგი არ შეექცია ზურიკელას და მისთვის თვალებში შეეხედა, ჩვენ დავინახავდით მის სულიერ სამყაროს დავაჟკაცებულს, მომზადებულს უპატრონოს ბებიას დატოვებულ ოჯახს, გასწიოს დამოუკიდებელი ცხოვრების უღელი.

ზემოთ ითქვა, რომ ფილმში პეიზაჟი ადამიანზე უნდა გველაპარაკებოდეს და ეს აზრი ფინალთან დაკავშირებითაც უნდა გამეორდეს, რადგან თ. აბულაძემ ფინალი ნატურაზე გადაიღო. ზურიკელა ხნულში მიდის და მაყურებელს მისი შინაგანი მონოლოგი ესმის. მკერდგახსნილი და სათესლედ გამზადებული მიწის მხატვრული სახე და ზურიკელას ახლო პორტრეტი რომ ერთმანეთთან დაკავშირებულიყო, მაშინ მიწა და კაცი შეიძლებოდა აღგვექვა სიცოცხლის გაგრძელებისა და ნაყოფიერების სახედ. მაგრამ არა მარტო ზურიკელამ გაიარა ხნულში გულგრილად, არამედ კინოკამერამაც სხვათაშორის გადაუარა მას და მაყურებლის ფიქრის საგნად არ გახადა.

როგორც ზურიკელას სახისათვის, ისე მერის რელიეფურად დასახატავად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფინალურ ეპიზოდს, რადგან საერთოდ მერის სახე სქემატურია. მერის ხასიათი, ბუნება, თვისებები ემოციურად, სრულად და მხატვრული დამაჯერებლობით ვერაა მოცემული. თუმცა გულახდილად უნდა ითქვას, პორტრეტულად რეჟისორმა მშვენიერი შემსრულებელი მოუძებნა მერის მ. აბაზაძის სახით. მაგრამ პიროვნული ინდივიდუალურობისა და დამოუკიდებელი ცხოვრების თვალსაზრისით, მერი ფილმში მხოლოდ ზურიკელას სიყვარულის საგნად დარჩა. ამიტომაც, როცა იგი მწერალმა სინათლეს შეადარა და ოთახში, სადაც სიკვდილმა ერთი წუთით გაიმარჯვა, სიცოცხლის შემოტანა დაავალა, უნდა პლასტიკურად დასამახსოვრებელი კინემატოგრაფიული სახე — მერი-სინათლე — შექმნილიყო. თუ ბებიას სიკვდილით ზურიკელას ოჯახის ბურჯი წაიქცა, მერის მოსვლითა და იქ დარჩენით ახალი ბურჯი შეუდგა ოჯახს. ამაში იქნებოდა მერისა და ოლღა ბებიას სახის ერთიანობა-გაგრძელება (ოლღა გუშინდელი მერია და მერი ხვალინდელი ოლღა). ამიტომაც არის ნათქვამი — არასოდეს დავილევით, არასოდეს წავიშლებითო. მერისა და ზურიკელას შეხვედრით შორ პლანზეკი მივიღეთ მხოლოდ ინფორმაცია მათი ერთად დარჩენისა და, აზრის გამოხატვის თვალსაზრისით, უფრო შორსა და ღრმად ვერ წავედით.

არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ აქაც დიდი პლანისადმი ერთგვარმა გულგრილმა დამოკიდებულებამ შეუშალა ხელი. რა იქნებოდა ფ. ფელინის „კაბირიას ღამეები“ კაბირიას დიდი პლანითა და ბაგეზე ათამაშებული ღიმილით რომ არ დამთავრებულიყო, ანდა ჩ. ჩაპლინის ახლო პლანი და ღიმილი რომ არ გვენახა „დიდი ქალაქის ჩირაღდნების“ დასასრულს? გაგვიჭირდებოდა, უფრო მეტიც, შეიძლება ვერ გაგვეგო ხსენებული ფილმების იდეური კონცეფცია და მათი ავტორების მოვლენებისა და ადამიანის ბედისადმი დამოკიდებულება. ამიტომ, როცა ესა თუ ის მხატვრული ხერხი ან საშუალება მოძველებულად ან გაცვეთილად გვეჩვენება, იგი უკეთესი თუ არა ტოლფასოვანი საშუალებებით მაინც უნდა შევცვალოთ, თორემ ნებსით თუ უნებლიეთ მხატვარი თავისსავე პალიტრას გააღარიბებს.

ფილმიდან „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ ერთი ეპიზოდი ცალკე უნდა გამოვყოთ და ვილაპარაკოთ. ესაა „ომში გაცილების“ ეპიზოდი. იგი მეტად საინტერესოა დრამატული დაძაბულობით. აქ მთელი სოფლის მწუხარება ერთ საერთო სახალხო მწუხარებად შენივთდა — შეერთდა. ამოცანაც ის იყო, რომ შექმნილიყო ამ საერთო მწუხარების მხატვრული სახე-სურათი. ამიტომაც არ დაუზოგავს ძალა რეჟისორს, რათა ეპიზოდისათვის შთამბეჭდავი, ემოციური ძალა მიენიჭებინა. მართლაც, შეიძლებოდა იგი საქრესტომათიო ეპიზოდად ქცეულიყო, რომ, ჩემი ფიქრით, რამდენიმე სხვადასხვა ხასიათის შეცდომა არ ყოფილიყო დაშვებული.

მხატვრულ-გამოსახულებითი სტრუქტურის თვალსაზრისით, ეპიზოდი დამწუხრებულ ადამიანთა ფიგურების კომპოზიციური განლაგების პრინციპითაა აგებული, თავისთავად კომპოზიციები — იქნება იგი ჯიბეებში ხელებჩაწყობილი პატარა ბიჭი თუ მარტოდმარტო, უპატრონო მუსიკალური ინსტრუმენტების ამარად დარჩენილი მოხუცი მაესტრო, ან ჩვილბავშვიანი ქალი და მისი მოხუცი მამამთილი თუ თავად ბებიას, ილიკოსა და ილარიონის ფიგურები — საინტერესოდ არის მოფიქრებული და განლაგებული, მაგრამ დიდი ადამიანური მწუხარება არ მგონია თავისთავის გამოსამჟღავნებლად ესოდენ დახვეწილ ფორმებს ეძებდეს. იგი უფრო აშლილი, ნერვიული და ქაოტიურია, სტიქიურად გადმონთხეული და არა ლამაზ კალაპოტში მომდინარე. ასეთი შთაბეჭდილება გვრჩება: ცოცხალი ადამიანები კი არ დგანან, არამედ ოსტატის ხელით დაწყობილ-განლაგებული ქვის სკულპტურული ფიგურები, რომელთაც ერთმანეთთან ცოცხალი გულის ფეთქვა არ აკავშირებთ. ეს არაა მწუხარებისაგან გახევება-გაქვავება, რადგან ასეთ თავზარდაცემას მოულოდნელი უბედურება იწვევს. გაცილების ეპიზოდის დროს კი ომი აღარაა ასეთი უბედურება, რადგან იგი ამ ხალხისათვის უკვე ავად თუ კარგად შეჩვეული ფაქტია.

აქ ვგულისხმობ ისეთ მოულოდნელ თავზარდაცემას, როგორიცაა, მაგალითად, გ. ჩუხრაის „მოწმენდილ ცაში“ მატარებლის არშეჩერება. ქალები პლატფორმაზე დგანან და ელიან, რომ ფრონტზე მიმავალი მატარებელი რამდენიმე წუთით შეჩერდება და ისინი ქმრებს, შვილებს, ძმებს ნახავენ, მაგრამ მატარებელი არ გაჩერდა. მოლოდინი არ გამართლდა. აქ შეიძლებოდა ორგვარი რეაქცია და ორივე ფსიქოლოგიურად მართალი იქნებოდა. ერთი — ყველანი მოულოდნელობისაგან გაშეშებულიყვნენ და მეორე — როგორც ეს ფილმშია, სულის გამყინავი წივილ-კივილი ატეხილიყო. თ. აბულაძის ფილმში კი გაცილების სცენას ეს მოულოდნელი თავზარდაცემა აკლია (ომში რომ მიდიან, ეს შეჩვეული უბედურებაა და არა მოულოდნელი, ხოლო შეჩვეულ უბედურებას კი უკიდურესი რეაქცია არ მოსდევს), რომ ადამიანები გააქვავოს და გააშეშოს. როგორც ჩანს, მოულოდნელი ზარის დაცემის ელემენტი რომ აკლდა ეპიზოდს, რეჟისორიც გრძნობდა, რადგან ამ მხარის შევსება მუსიკით გადაწყვიტა. მაყურებელზე მართლაც ძლიერ და მოულოდნელ ემოციურ შთაბეჭდილებას ახდენს „ომში გაცილების“ ეპიზოდის ბოლო, როცა ბალახზე დაყრილი, უპატრონოდ დარჩენილი მუსიკალური ინსტრუმენტები თავისით იწყებენ: „Идет война народная“-ს დაკვრას. მაგრამ ეს მოულოდნელობა, ჯერ ერთი, მაყურებელზეა გამიზნული და არა ფილმის პერსონაჟებზე; მეორეც, მუსიკალურ ელემენტს დრამატურგიული ამბის შეცვლა არ შეეძლო და მესამეც, თავად მხატვრული ხერხი უკვე იყო ერთხელ გამოყენებული აბელ ჰანსის ფილმში — „ნაპოლეონი“. ლაშქრის ორსკეტრის წევრები დაიხოცნენ. მუსიკა შეწყდა, ინსტრუმენტები უპატრონოდ ყრია, მაგრამ მოულოდნელად მათ თავისით დაიწყეს დაკვრა და

ფრანგთა მხედრობას ისევ შთაბერეს მებრძოლი სული.

ხელოვნურად განლაგების შთაბეჭდილება კიდევ იმით ძლიერდება, რომ ეპიზოდს შინაგანი დრამატურგია არა აქვს და გრძნობათა თანდათანობითი დაძაბვა-აფეთქება არ ხდება. ემოციური ტონუსი სწორხაზობრივად ვითარდება და არა კულმინაციისაკენ თანდათანობითი სვლით. გრძნობათა დაძაბვის კულმინაცია მოითხოვდა მოულოდნელ შემოტრიალებას (ემოციურობისა და მოულოდნელობის თვალსაზრისით, რაღაც იმგვარს, გლოვის დროს ასთამურის ცეკვა რომ არის ნ. შენგელაიას „ელისოში"), თორემ მაყურებლის სულის შერყევა არ ხდება. ეს შერყევა რომ მომხდარიყო და ამის შედეგად გვენახა ზურიკელას მეზობლები თავზარდაცემულნი და გაქვავებულნი, მაშინ რეჟისორისა და მხატვართა მიერ არჩეული კომპოზიციები შეიძენდნენ არამარტო გარეგნულ სილამაზეს, არამედ შინაგან ფსიქოლოგიურ სიმართლესაც.

იქნება დიდ დრამატიზმს ფილმის საერთო რბილი ლირიკული განწყობილება უშლიდა ხელს და ამიტომაც აკვარელური ტონი არჩია აქაც რეჟისორმა? ეს არ უნდა იყოს მართალი, რადგან უკვე „ომში გაცილების" ეპიზოდშივე აკვარელურ სირბილეს არღვევენ ძაძებიანი ქალების ფიგურები. მეორეც, ამ ეპიზოდის ტრაგიკული განწყობილებიდან პირდაპირი გზაა ილარიონის შვილის დაღუპვით და ოლღას სიკვდილით გამოწვეული განწყობილებისაკენ. მათ შორის უნდა არსებულიყო სტილისტიკური და ემოციური კავშირი. მესამეც, ფილმის საერთო სტილისტიკის თვალსაზრისითაც, საქმე არ გვაქვს კლასიკურ ზომიერებასთან, რადგან არც ზურიკელასა და ილარიონის ნადირობისა და სიმწიფის ატესტატის მიღების შემდეგ ერთრიგად გამწკრივებული ბებიას, ზურიკელას, ილიკოსა და ილარიონის სვლის სცენების გაუმართლებელი ექსცენტრიზმი შეესაბამება ფილმის საერთო სტილს. ასე რომ, „ომში გაცილების" ეპიზოდის დრამატიზმის გაუფერულება არ შეიძლება ავხსნათ ფილმის საერთო ლირიკულობით.

ბოლოთქმა

ამ წერილის წაკითხვისას შეიძლება მკითხველმა გაიკვირვოს — „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" მხატვრული დონით ბევრად სჯობს კინოსტუდია „ქართული ფილმის" უკანასკნელი წლების პროდუქციას და რაღა მას დაესხით დაუნდობლად თავსო? მართალია, თ. აბულაძის ფილმი რომ ხელოვნება არ ყოფილიყო, მასზე ამდენი ლაპარაკი უაზრობა იქნებოდა, მაგრამ ჩვენ ღრმად გვჯერა, ბრმა პანეგირიკს გულახდილი კრიტიკა რომ სჯობს და ამიტომაც გულის ფიქრი საჯაროდ გავუზიარეთ ფილმის ავტორებს. ჰიმნი და ხოტბა-ქებანი ანალიზს ხელს უშლის. უანალიზოდ კი ავ-კარგის პოვნა და წინსვლა შეუძლებელია. ადამიანი იმიტომ ცხოვრობს, ფიქრობს და იბრძვის, რომ მან უკეთესისაკენ იაროს და სხვაც გაიყოლოს.

აკაკი ბაქრაძე

„მე, ბებია, ილიკო და ილარიონი"

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერება და ტექნიკა

იაროსლავ პუჯიკი



პროფესორ ოპენჰეიმერის საქმე

ეს ისტორია 1954 წლის გაზაფხულზე დაიწყო.

ეს იყო არაჩვეულებრივი შემთხვევა.

პირველი ატომური ბომბის შექმნისათვის დაფნის გვირგვინით შემკული პროფესორი ოპენჰეიმერი ბრალდებულის სკამზე აღმოჩნდა. მას ბრალად ედებოდა აზროვნების ანტიამერიკული ხასიათი. იმ წრეებში, სადაც დიპლომატიურ ლექსიკონს არ მიმართავენ, აშკარად ლაპარაკობდნენ ჯაშუშობაზე. ამ საქმემ საზოგადოებრიობის ყურადღება მიიქცია. განსაკუთრებული იყო ბრალდებულის პიროვნებაც და ის ორგანიზაციაც, რომელიც ბრალს სდებდა. ოპენჰეიმერი წარსდგა არა სასამართლოს, არამედ უშიშროების კომიტეტის მიერ საგანგებოდ შექმნილი ატომური კომისიის წინაშე. ეს არ იყო პროცესი სახელმწიფოს ღალატის საქმეზე. არც მეგობრული საუბარი, არც აკადემიური კამათი, ეს იყო განსაკუთრებული სასამართლო განხილვა, რომელიც მოგვაგონებდა ერთსაც, მეორესაც და მესამესაც.

საქმის განსახილველად გამოძიების ფედერალური ბიუროს საიდუმლო პოლიციამ მოამზადა ათასობით საბუთები და ფოტოასლები, კილომეტრობით მაგნიტოფონის ფირები, მრავალრიცხოვანი ფილმები — ყველაფერი, რაც სახელმწიფო უშიშროების თანამედროვე აპარატს ხელთა აქვს. საქმესთან დაკავშირებით გამოძახებულ იქნა მრავალი მოწმე და ვაშინგტონელმა საქმოსნებმა ბევრი იფიქრეს ისეთი ადგილის გამოსანახავად, რომელიც არც ციხის საკანს ემგვანებოდა და არც სხდომათა დარბაზს. საბოლოოდ ბილდინგ T — 3-ის სამუშაო შენობაში გაათავისუფლეს ვრცელი კანცელარია რიგითი ნომრით 2022. ეს კანცელარია მოთავსებული იყო ოფიციალური დეკრეტივით მკაცრ ნაცრისფერ კორპუსში და ზედვამოჭრილი აღმოჩნდა აღნიშნული შემთხვევისათვის.

სხდომები 1954 წლის 12 აპრილს დაიწყო. თავმჯდომარეობდა გორდონ გრეი, ყოფილი მინისტრი, ამ დროისათვის კი შტატ ჩრდილო კაროლინის უნივერსიტეტის პრეზიდენტი. მსაჯულებად იყვნენ თომას ა. მორგანი — საზოგადოება „სპერრი კორპორეიშნის“ ყოფილი პრეზიდენტი და დოქტორი უორდ ვ. ივენსი — ჩიკაგოს უნივერსიტეტის ქიმიის პროფესორი. კომიტეტის მრჩეველად იყო სენატორ მაკართან სამსახურში მყოფი ვექილი რ. რობი.

მოწმეთა ჩვენებები მანქანაზე ნაბეჭდ 3000 გვერდს აღემატებოდა; გამოძიების ფედერალური ბიუროს მომზადებული საბუთები კი უფრო მეტი იყო. ამ „წმიდა აღშ-

ფოთებაში" პროცესის ორგანიზატორებს დაავიწყდათ ინკვიზიტორული სასამართლოს კლასიკური პრინციპი: „მერწმუნეთ, საუკეთესო მტკიცებაა — მტკიცების უქონლობა, ეს არის ერთადერთი დამტკიცება, რომელზედაც დავა არ შეიძლება", ისინი ამ ბრძნული პრინციპით არ ხელმძღვანელობდნენ.

პროცესის მიზანი იყო პროფესორ ოპენჰეიმერის არალოიალობისა და პოლიტიკური უნდობლობის დამტკიცება. ოპენჰეიმერისათვის ეს ნიშნავდა ნდობის დაკარგვას და სამხედრო და სამეცნიერო საბუთებით სარგებლობის უფლების აკრძალვას, რაც მას ლოგიკურად ატომგულის ფიზიკის დარგში სამეცნიერო კვლევას ჩამოაშორებდა და, მაშასადამე, კარიერის დასასრულიც მოჰყვებოდა.

ოპენჰეიმერს ადანაშაულებდნენ არა იმაში, რაც მან გააკეთა, არამედ, რაზედაც ის ფიქრობდა, რასაც გრძნობდა, და რაც მთავარია, იმაში, რომ იგი არასაკმაოდ ენთუზიაზმით მოეკიდა წყალბადის ბომბის შექმნას. ეს იყო თანამედროვე ინკვიზიტორული პროცესი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მაგრამ, როგორც ეს ხშირად ხდება ჰსვავს პროცესებზე, იგი ბრალმდებელთა საბრალმდებლო პროცესად გადაიქცა. სხდომების სტენოგრამულმა ჩანაწერებმა არა მარტო ცხადყვეს მეცნიერის ბედის დრამატიზმი ამერიკულ საზოგადოებაში, არამედ გამოაშკარავეს ამერიკული სინამდვილეც; ამერიკა—არც თუ ისე ხშირად ასეთ ჭეშმარიტ და ულმობელ სარკეში. ვინც ამ სარკეში ყურადღებით ჩაიხედა, ბევრი დაინახა. წიგნის მოქმედი პირები და ეპიზოდები მოგონილი არ არის. ავტორმა თავის თავს ნება მისცა, მრავალრიცხოვანი მოწმეებიდან, ექსპერტებიდან, პროკოკატორებიდან, ჯაშუშებიდან, დამცველებიდან აერჩია მხოლოდ ოთხი, რომლებიც მან ყველაზე საინტერესოდ მიიჩნია. ესენი არიან:

დოქტორი ედუარდ ტელერი. ფიზიკოსი—ატომისტი, წყალბადის ბომბის ერთ-ერთი შემქმნელი, მის „მამად" წოდებული.

ბორის პახი. უშიშროების სამსახურის ოფიცერი, რომელსაც ომის დროს ლოს-ალამოსის ატომური ლაბორატორიის დაცვა ებარა.

ადმირალი ლუის ლ. სტრაუსი. მრავალი წლის მანძილზე ატომური ენერგიის კომისიის თავმჯდომარე, ბანკ „კუინ-ლების" ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

და ბოლოს, თვით რობერტ ოპენჰეიმერი, ფიზიკოსი — ატომისტი, „ატომური ბომბის მამად" წოდებული.

ეს ხალხი ნამდვილად აძლევდა ჩვენებებს უშიშროების კომიტეტს. ისინი შეიძლება ჩაითვალონ ამ დრამის მთავარ მოქმედ პირებად. ის, რასაც წაიკითხავს მკითხველი, არ წარმოადგენს მათი გამოსვლების ზუსტ სტენოგრამას, ეს მხოლოდ პროცესის მასალების თავისუფალი თხრობაა. მაგრამ ავტორის თხრობის ეს თავისუფლება არ ეწინააღმდეგება ფაქტებს და იგი შორსაა იმ თვითნებობისაგან, რომლის უფლებაც მაგალითად თავის თავს მისცა ბორის პახმა, როცა პროცესზე ჩვენებას აძლევდა.

დოქტორ ედუარდ ტელერის ჩვენება

— მე მგონია, არავინ იქნება წინააღმდეგი, თუ პროფესორ ოპენჰეიმერის საქმეზე ჩემს ჩვენებას პირად გრძნობებზე ლაპარაკით დავიწყებ.

უშიშროების კომიტეტმა კარგად იცის, რომ მე და პროფესორი ოპენჰეიმერი მრავალი წლის მანძილზე ერთსა და იმავე სარბიელზე ვმოღვაწეობდით. სამეცნიერო ინტერესები ისე მჭიდროდ გვაახლოებდა, როგორც შეუძლიათ მათ დააახლოვონ მხოლოდ ის ადამიანები, რომლებიც აღფრთოვანებულნი არიან საერთო იდეით და ანხორციელებენ მას ერთად. სამწუხაროა, რომ ასეთი თანამშრომლობა ხშირად მეგობრული და გულთბილი არ არის. მიზეზი, რომელთა ზუსტად დადგენა ახლა ძნელია იმის გამო, რომ დიდი დრო გავიდა, ჩვენი ურთიერთდამოკიდებულება თავიდანვე დაძაბული, უფრო სწორად

ფრთხილი იყო, ვიდრე ამხანაგური. და წლები, რომლებიც საერთოდ კეთილად მოქმედებენ ამ დროს, ჩვენ უფრო და უფრო გვაშორებდა ერთმანეთს. მაგრამ ეს ჩემი აღსარება ხელს არ მიშლის ხელმეორედ გამოვხატო ჩემი გულწრფელი აღტაცება პროფესორ ოპენჰეიმერის უდიდესი ტალანტისა და შრომისუნარიანობის გამო და კუთვნილი მივუზღო მისი პიროვნების განუმეორებელ მიმზიდველობას.

იურიდიული თვალსაზრისით ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ, შესაძლებელია თუ არა, რომ მომავალში პროფესორი ოპენჰეიმერი დავუშვათ ატომური კომისიის საიდუმლო მასალებთან. საკითხის ყოველგვარი გადაწყვეტა ბრალდებულის ბედის გადაწყვეტას ნიშნავს. მაგრამ მე მიმაჩნია, რომ ყოველივე ამას მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს იმ მთავარ პრობლემასთან შედარებით, რომელიც მთელ საქმეს საფუძვლად უდევს. თუ მე სწორად მესმის ამ პროცესის ნამდვილი არსი, მაშინ ჩვენ მოგვეთხოვება, პასუხი გავცეთ კითხვაზე: რას ნიშნავს აზროვნების ნამდვილი ამერიკული ხასიათი, როგორია ჩვენი იდეალები და რაა მათთან შეუთავსებელი. სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩვენ ვკისრულობთ იმ ფუნქციებს, რომლებიც იურიდიულად ჩვენს უმაღლეს ორგანოებს: პრეზიდენტს, უმაღლეს სასამართლოს, მთავრობას და კონგრესს ეკუთვნის. რამდენადმე პარადოქსულია, რომ ამგვარ საკითხებზე უნდა გამოვიდე მე. მე, ემიგრანტმა, უნდა ვილაპარაკო ადამიანზე, რომლის ამერიკელობაშიაც ეჭვს ვერავინ შეიტანს. ამიტომ მე მინდა გთხოვოთ, რომ ჩემი ჩვენებების მოსმენისას იხელმძღვანელოთ მხოლოდ ფაქტებითა და არგუმენტებით და არა მოწმის ვინაობით...

თავმჯდომარე გორდონ გრეი: უშიშროების კომიტეტი, ისევე, როგორც მთელი ამერიკა, დიდ პატივს სცემს თქვენს აზრს და იცის, რომ თქვენი ერთგულება თქვენ დაამტკიცეთ საქმით. ეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თქვენი ამერიკაში დაბადება.

ედუარდ ტელერი (მადლობის ნიშნად თავს ხრის):

— მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ყველანი და მათ შორის პროფესორი ოპენჰეიმერიც, შევთანხმდებით, თუ რა მიგვაჩნია ნამდვილი ამერიკელის პოზიტიურ იდეალებად. ჩვენ ალბათ გვაქვს საერთო შეხედულება: პიროვნების, რელეგიის, თავისუფლებისა და დემოკრატიული საზოგადოების ძირითადი პრინციპების მნიშვნელობაზე. მაგრამ უთანხმოება წარმოიშობა მაშინვე, როგორც კი შევეცდებით, მაგალითად, გადავჭრათ ასეთი საკითხი: პროგრესულია ინგლისის კოლონიალიზმის როლი თუ რეაქციული? ან განვსაზღვროთ: ხელსაყრელია თუ არა ინდოეთის ნეიტრალიტეტი ჩვენი ინტერესებისათვის? მაგრამ ყველაზე დიდი უთანხმოება უეჭველად თავს იჩენს მსოფლიო კომუნიზმის პრინციპების განხილვისას. კომუნისტებთან კამათი არ შეიძლება, როგორც ეს ზოგიერთ გულუბრყვილო მეცნიერს ჰგონია. კომუნიზმის დამარცხება ძალის გამოუყენებლად შეუძლებელია. ის, რასაც მე ვლაპარაკობ, წარმოადგენს პოლიტიკურ ანბანს, მაგრამ ბევრი მერყეობს, როდესაც ამ ანბანიდან აუცილებელი და თავისთავად ნაგულისხმევი დასკვნების გამოტანაა საჭირო. განსაკუთრებით მერყეობს ინტელიგენცია. მე წლების მანძილზე ვებრძვი ამ მერყეობას, რომელიც კრიტიკულ მომენტში შესაძლებელია საბედისწერო გახდეს. ჯერ კიდევ 1947 წელს მე ვამტკიცებდი, რომ მომავალში სამხედრო ძალას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ექნებოდა. მე ვაფრთხილებდი ყველა ჩვენგანს, ვინც პირველი ატომური ბომბის შექმნაზე მუშაობდა, რომ მათი პირდაპირი მოვალეობაა გაითვალისწინონ მთელი ის საშიშროება, რომელიც ჩვენს აღმოჩენებს მოჰყვება. ჩვენ უკვე ვიგემეთ ცოდნის ხის ნაყოფი, — ვუთხარით მათ, — და როგორც მეცნიერებს, უნდა გვეყოს ნებისყოფა, და იქნებ თავხედობაც კი, რათა დავრწმუნდეთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ეს აღმოჩენა კეთილის გამარჯვებამდე მიგვიყვანს.

თუკი რწმენის ან ენთუზიაზმის ნაკლებობა შეიძლება დანაშაულად მივიჩნიოთ, მაშინ ოპენჰეიმერი დამნაშავედ უნდა ჩაითვალოს და ვერავითარი შემამსუბუქებელი გარემოებანი ვერ უშველის. მე მესმის ამ აზრის შეუსაბამობა, მაგრამ ამგვარი ბრალდების მთლიანად მოხსნა მე არ შემიძლია. არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ ყოველგვარი მოქმედება გამოიყურება სულ სხვაგვარად, როცა ის ხელსაყრელია მოწინააღმდეგისათვის.

მ რ ჩ ე ვ ე ლ ი რ ო ჯ ე რ რ ო ბ ი (თანხმობის ნიშნად თავს უქნევს):

— სწორია.

ე დ უ ა რ დ ტ ე ლ ე რ ი:

— გადავდივარ ფაქტებზე. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ პროფესორ ოპენჰეიმერის მერყეობა დაიწყო მაშინ, როცა მტკიცედ უნდა გადაგვეწყვიტა — ვაწარმოოთ თუ არა წყალბადის ბომბი. დღეს, როდესაც წარმატებითაა ჩატარებული მთელი რიგი ექსპერიმენტები და წყალბადის ბომბი უახლოეს მომავალში ჩვენი სამხედრო არსენალის ჩვეულებრივ იარაღად იქცევა, ეს საკითხი შეიძლება ზედმეტად მოგვეჩვენოს. სამწუხაროდ, ჩვენ უნდა დავუბრუნდეთ ამ ისტორიას, რათა გავიხსენოთ, თუ როგორი არასერიოზულობით ეპყრობოდნენ ამერიკის შეერთებული შტატების საზელმწიფო უშიშროების საკითხს. საკმარისი იქნება, თუ აქედან, მომავლისათვის მაინც, გავაკეთებთ სათანადო დასკვნას. მე მესმის იმ ბრალდების მთელი სერიოზულობა, რომელსაც ვაყენებ, მაგრამ არ შემიძლია მოვიქცე სხვანაირად. ჩვენ გაცილებით წინ წავიდოდით ჩვენი თავდაცვითი ძლიერების განვითარების საქმეში, რომ არ ყოფილიყო პროფესორ ოპენჰეიმერის უარყოფითი დამოკიდებულება წყალბადის ბომბის წარმოებისადმი. პროფესორი ოპენჰეიმერი ყველაფერს აკეთებდა, რომ ჩვენ არ გვქონოდა ბომბი.

მ ს ა ჯ უ ლ ი თ ო მ ა ს მ ო რ გ ა ნ ი:

— შეიძლება თუ არა თქვენი სიტყვები ისე გავიგოთ, თითქოს ოპენჰეიმერი წყალბადის იარაღის დამზადების პრინციპს შეგნებულად მალავდა?

ე დ უ ა რ დ ტ ე ლ ე რ ი:

— არა, არაფერი მსგავსის გაკეთება მას არ შეეძლო. ვინც ამ საკითხში გათვითცნობიერებული არ არის, ხშირად ეჩვენება, თითქოს წყალბადის ბომბი წარმოადგენს უკანასკნელი წლების აღმოჩენას, მაგრამ ეს შეცდომაა. მისი თეორიული საფუძვლები დიდი ხანია დადგენილია. ჯერ კიდევ 1927 წელს ინგლისელმა ფიზიკოსმა ატკინსონმა გამოთქვა აზრი, რომ მზეზე მსუბუქი ელემენტების შეერთების შედეგად მიმდინარეობს თერმოატომგულის რეაქციები, რასაც კოლოსალური ენერგიის გამოყოფა მოსდევს. მსუბუქი ელემენტების ატომების შეერთება, ე. წ. „fusion"-ის პრინციპი ცნობილი იყო ყველაზე მძიმე ელემენტების ატომების გახლეჩაზე დამყარებული ატომური ბომბის შექმნის იდეამდე. მეორე ვარიანტი უფრო იოლი იყო და როცა სწრაფი შედეგების მიღება დაგვჭირდა, ის გამოვიყენეთ. მაგრამ შეერთების პრინციპი არ შეიძლებოდა ცხრაკლიტულში დარჩენილიყო. მე პირადად წყალბადის ბომბის შექმნის აზრი ჯერ კიდევ ომის დროს მიტაცებდა. მე ვცდილობდი დამედგინა და გამომეთვალა ზოგიერთი თეორიული წინაპირობა. მე საკმაოდ კარგ თეორიულ შედეგებს მივაღწიე და ჩემთვის ნათელი გახდა, რომ შესაძლებელია წყალბადის ბომბის შექმნა. არასოდეს დამავიწყდება ის დიდი მღელვარება და, გამოგიტყდებით, შიშის გრძნობაც კი, რომელმაც შემიპყრო, როდესაც ამ ნაყოფიერი იდეის გამოკვლევის შედეგად სრულიად უცხო სამყაროს ამოხსნისა და მისი შესაძლებლობების მიჯნაზე აღმოვჩნდი. მე, რასაკვირველია, არ შემეძლო გამეგრძელე-

---

ბინა ჩემი გამოკვლევები საფუძვლიანი ლაბორატორიული მუშაობისა და სპეციალური სამეცნიერო ცენტრების დაუხმარებლად.

მაშინ, ეს იყო 1944 წელი, მე გადავწყვიტე მიმეწერა წერილი სამხედრო მინისტრ სტიმსონისათვის და შემეტყობინებინა მისთვის, რომ არსებობს ისეთი ბომბის შექმნის პრაქტიკული შესაძლებლობა, რომლის ფეთქებადი ძალა ათასჯერ მეტი იქნებოდა გახლეჩის პრინციპზე მოქმედი ბომბის ძალაზე. ამ ახალი იდეით შეპყრობილმა, მე მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ შევამჩნიე, თუ როგორ შეიცვალა ჩემს მიმართ ჩემი კოლეგების დამოკიდებულება. და თუმცა მე ბევრს მისაყვედურებდნენ, რომ თითქოს ცოტას ვმუშაობ ატომური ბომბის შექმნაზე, მე მხოლოდ მოგვიანებით მივხვდი, რომ აქ საქმე ეხება რაღაც უფრო მნიშვნელოვანს. მე ვფიქრობ, რომ ყოყმანი პროფესორ ოპენჰეიმერისა და მისი უახლოესი თანამშრომლებისა, რომლებზედაც მან თავისი ნიჭით იმოქმედა, ჯერ კიდევ მაშინ, 10 წლის წინათ დაიწყო. მეცნიერებს სტანჯავდა დანაშაულის გრძნობა ჯერ კიდევ ჩვეულებრივ ატომურ ბომბზე მუშაობის დროს და ეს გრძნობა, იმის გაფიქრებისთანავე, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია, კოშმარებში გადადიოდა. მეცნიერებს ეშინოდათ შესაძლო შედეგებისა და ნატრობდნენ, რომ იგი არასოდეს განხორციელებულიყო. ისინი იმედოვნებდნენ, რომ ამგვარი იარაღის შექმნას ტექნიკურად რაიმე შეუშლიდა ხელს და ქვეცნობიერად შიშობდნენ, რომ მათ ოდესმე შესთავაზებენ მიიღონ მონაწილეობა მის შექმნაში. უდავოა, ასეთი შიში განპირობებული იყო კეთილშობილური გრძნობებით. მე მესმის ყველაფერი, შიშიც, მერყეობაც, და მიუხედავად ყოველივე ამისა, პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ ეს მერყეობა ჩვენი ქვეყნისათვის შეიძლება დამღუპველი გამხდარიყო. ჩვენ რომ დროზე არ გამოვფხიზლებულიყავით, ახლა ალბათ მსოფლიო კომუნიზმის ტყვეობაში მოვექცეოდით.

როჯერ რობი:

— სწორია.

ედუარდ ტელერი:

— ყველა მეცნიერი როდი იყო წყალბადის ბომბის წინააღმდეგი. ბევრი მათგანი სინდისის ქეჯნის მიუხედავად პრობლემის ტექნიკური და მეცნიერული მხარით დაინტერესდა. ისინი მიიზიდა იმან, რასაც ჩვენ „technical sweet"-ს[1] ვუწოდებთ. თვითონ მე კარგად ვიცი, თუ რა ძნელია ამ გატაცებასთან ბრძოლა. პრობლემის ტექნიკურმა სიძნელემ მიიზიდა ენრიკო ფერმი და ისეთი დიდი მეცნიერი, როგორიცაა ჰანს ბიოტე. მაგრამ ჩვენ ძალზე ცოტა რამ გავაკეთეთ. ექსპერიმენტები მაშინ დამთავრდა, როცა წარმატებით იქნა ჩამოგდებული ჩვენი ატომური ბომბები. იმ დღეებში, როცა მსოფლიო განიცდიდა ადრეულ სიხარულს დიდი ხნის ნანატრი მშვიდობის დამყარების გამო, არავის სურდა გაეგრძელებინა კვლევითი მუშაობა ამ საშინელ გამანადგურებელ იარაღზე. ატომური ბომბის წარმოებაზე მომუშავე მეცნიერთა უმეტესობა მსოფლიოს ამ ზეიმს თავისებურად გამოეხმაურა. ახლა როდესაც ომი უკვე დამთავრდა, მათ თავი არა ხალხისათვის თავდადებულ მებრძოლებად, არამედ ჯოჯოხეთის საზიზღარ მსახურებად მიიჩნიეს, და ისინი გრძნობდნენ პირად პასუხისმგებლობას ხიროსიმაში დაღუპული ყოველი ბავშვის წინაშე. მე მესმის მდგომარეობა და სულიერი დაბნეულობა იმ ხალხისა, რომლებმაც ომის წლები ფრონტზე კი არ გაატარეს, არამედ კეთილმოწყობილი ლაბორატორიების სასიამოვნო სიმყუდროვეში და რომლებიც მთელი ხალხის ზრუნვით იყვნენ გარემოცულნი. ჩვენ ყველა შეგვძრა იმ ამბავმა, რომ პროფესორმა ოპენჰეიმერმა, პრეზიდენტ ტრუმენთან ვიზიტის დროს იტირა და დასწყევლა თავისი ხელები და ტვინი, რომლებიც თითქოსდა ასეულ ათასობით ადამიანის დაღუპვის მიზეზი გახდა. მე მესმის ეს გრძნობები, მათ შეეძლოთ

[1] ტექნიკური აღმოჩენის სიხარული (შენიშვნა აქაც და შემდეგშიც ავტორისაა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამედროვე შექსპირისათვის ჩვენი საუკუნის ტრაგედიის სიუჟეტი მიეცათ. თვით მე საკუთარი თავისათვის ბევრჯერ დამისვამს ამგვარი კითხვა და შემშინებია მსგავსი აზრებისა. მე მგონია, შევძელი მომენახა სულ სხვა და, რა თქმა უნდა, უფრო სწორი პასუხი, ვიდრე ეს პროფესორმა ოპენჰეიმერმა შესძლო. ემოციების შესწავლა არ წარმოადგენს ჩვენს ამოცანას. უშიშროების კომიტეტმა კარგად იცის, რომ ყველაფერი, რასაც ასე თუ ისე, შეიძლება გამართლება მოეძებნოს, გრძნობების სფეროთი არ შემოფარგლულა. ზოგიერთი ჩვენი მეცნიერის ემოციები თავისებურ პოლიტიკურ მიმართულებად გადაიქცა. ისინი ერეოდნენ ყველაფერში და ხალხი მათ მოწიწებით უსმენდა. ეს აიხსნება ჩვენი მეცნიერების ავტორიტეტის უდიდესი ზრდით, მათ სინამდვილედ აქციეს, რაც შეუძლებლად იყო მიჩნეული. რეკლამის წყალობით მათ თითქმის ზებუნებრივ შესაძლებლობებს აწერდნენ. ამ პოლიტიკურობანას თამაშს მოჰყვა ისეთი შედეგები, რომელთა წარმოდგენა თვით მათაც არ შეეძლოთ.

მე სწრაფად ვიგრძენი ამ ახალი განწყობილებების პრაქტიკული შედეგი. 1945 წელს, იაპონიასთან ომის დამთავრებისთანავე, მე გამომიძახა ლოს-ალამოსის ლაბორატორიის ახლად დანიშნულმა დირექტორმა, დოქტორმა ნორის ბრედბერიმ და შემომთავაზა თეორიული ფიზიკის განყოფილების ხელმძღვანელობა. მე მაშინ 37 წლისა ვიყავი და, რა თქმა უნდა, ასეთ თავბრუდამხვევ კარიერაზე არც კი ვოცნებობდი. მაგრამ გულახდილად რომ ვთქვა, ჩემს სიხარულს თან ახლდა ეჭვი. ვეჭვობდი, რომ ბრედბერი, რომელმაც პროფესორი ოპენჰეიმერი შეცვალა და მისი უახლოესი მეგობარი იყო, უანგაროდ არ შემომთავაზებდა ამგვარ მაღალ თანამდებობას და სურდა, რომ მე მისგან მორალურად დამოკიდებული ვყოფილიყავი. ამიტომ მე ვთხოვე დრო მოეცა, მომეფიქრებინა. ყველაფერი გავითვალისწინე და გადავწყვიტე დავთანხმებულიყავი ორი პირობით. პირველი: მოვითხოვე ყოველწლიურად ჩაგვეტარებინა არანაკლებ ათი ატომური ბომბის გამოცდა, და მეორე: წინადადება შევიტანე, დაუყოვნებლივ დაწყებულიყო წყალბადის ბომბის წარმოების მზადება. როდესაც მე განვუცხადე ჩემი მოთხოვნები, დოქტორმა ბრედბერიმ ძლივს შეიკავა თავისი აღშფოთება. მან მაშინვე უარი მითხრა... და მეც უარი ვუთხარი. ამის შემდეგ ლოს-ალამოსი სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე იმყოფებოდა და კინაღამ ასრულდა პროფესორ ოპენჰეიმერის სურვილი, რომელსაც უნდოდა ეს მივიწყებული კუთხე ინდიელებისათვის დაებრუნებინა. და თუ ეს არ მოხდა, ამაში არც მე და არც ოპენჰეიმერს არ მიგვიძღვის დამსახურება.

მაგრამ მე ოდნავადაც არ გადამიხვევია ჩემი მრწამსიდან. მე ლექციებს ვკითხულობდი ჩიკაგოს უნივერსიტეტში და თავისუფალ დროს, სადაც კი შემეძლო, ვაგრძელებდი ჩემი იდეის აგიტაციას. სამწუხაროდ, საერთაშორისო მდგომარეობა ადასტურებდა ჩემი მოსაზრების სისწორეს. იმ დროს, როცა მე დონკიხოტურ ბრძოლას ვეწეოდი, პროფესორ ოპენჰეიმერს მთავარი საკონსულტაციო კომიტეტის თავმჯდომარის მაღალი თანამდებობა ეკავა. ატომური კომისიის საქმიანობა მთლიანად მასზე იყო დამოკიდებული. ბედის დაცინვაა, რომ თერმოატომგულის იარაღის დამზადება ეპარა იმ ადამიანს, რომელიც სხვადასხვა მიზეზების გამო თავიდანვე მისი წარმოების წინააღმდეგი იყო. პროფესორი ოპენჰეიმერი აშკარად თითქმის არასოდეს არ გვეწინააღმდეგებოდა, ყოველთვის შემოვლით გზებს ირჩევდა. ის დაბეჯითებით გაურბოდა ამ საკითხზე ყოველგვარ პირდაპირ და აშკარა შეხლას. დამახასიათებელია, მაგალითად, მისი რეაქცია ჩემს წინადადებაზე, შემუშავებულიყო თავდაცვითი საშუალებების, მათ შორის წყალბადის ბომბის წარმოების განვითარების დაახლოებით 10 წლიანი, პერსპექტიული გეგმა. თათბირი, რომელზეც მე ეს წინადადება წა-

---

იაროსლავ პუტიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვაყენე ექვსი წლის წინათ, აქედან არც თუ ისე შორს, პენტაგონში, მიმდინარეობდა. ჩვეულებისამებრ პროფესორი ოპენჰეიმერი თვითონ არაფერს არ გვთავაზობდა, ყველაფერზე თანახმა იყო, ყველაფერს ემხრობოდა, მაგრამ შემდეგ იურიდიულად კარგად დასაბუთებული არგუმენტაციის გამოყენებით დაამტკიცა, რომ ატომური კომისია არაა კომპეტენტური, შეიმუშაოს ამგვარი გეგმები. მე მეხივით დამეცა განცხადება, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ათი წლით თერმოატომგულის იარაღის წარმოების დაგეგმვა. ეს, მისი სიტყვებით, ძალზე დიდი პერიოდია და ჩვენ ზუსტად არ შეგვიძლია ვიცოდეთ, რა მოხდება ამ დროის განმავლობაში თერმოატომგულის მეცნიერებაში. მე არ მიყვარს მყვირალა ფრაზების ხმარება, მაგრამ განა ასეთი განცხადება დემაგოგიას არ წარმოადგენს? ოპენჰეიმერს უბრალოდ არ სურდა ბომბები. ჩვენ მაინც შევძელით მისი წინააღმდეგობის გადალახვა და ამას უნდა ვუმადლოდეთ სამ გამოჩენილ პიროვნებას, რომლებმაც ამისათვის არ დაიშურეს არავითარი ძალღონე და გამოიჩინეს პოლიტიკური წინდახედულება. სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოებრიობა მათ ნაკლებად იცნობს, ვიდრე ეს მათ დაიმსახურეს. ესენი არიან ლოურენსი, კომპტონი და ლუის ალვარესი. უიმათოდ არ იქნებოდა პრეზიდენტ ტრუმენის 1950 წლის 31 იანვრის ისტორიული გადაწყვეტილება. ეს ადამიანები, რომლებთანაც საუკეთესო მეგობრული გრძნობები მაკავშირებს, ხანგრძლივი დროის მანძილზე შეშფოთებით აღევნებდნენ თვალყურს პროფესორ ოპენჰეიმერის მოქმედებას. როდესაც დადასტურდა ცნობები, რომ რუსებმა მაინც შესძლეს ატომური ბომბის შექმნა უფრო მოკლე დროის განმავლობაში, ვიდრე ჩვენ გვეგონა, ცხადი გახდა, რომ ყოველგვარი შემდგომი მერყეობა დანაშაულს წარმოადგენს, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების უშიშროებას ემუქრება. დიდი მორალური და სამეცნიერო ავტორიტეტის მქონე ეს პატრიოტები შემარიგებლობისა და ჩვენს სამეცნიერო სამყაროში გამეფებული სენტიმენტალური განწყობილების წინააღმდეგ საბრძოლველად აღსდგნენ. მათ მიმართეს თეთრ სახლს და ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ჩვენ ერთად გავტეხეთ ოპენჰეიმერის წინააღმდეგობა.

მ ს ა ჯ უ ლ ი თ ო მ ა ს მ ო რ გ ა ნ ი:

— თქვენ დარწმუნებული ხართ, ბატონო ტელერ, რომ ოპენჰეიმერმა რაიმე შეთქმულება მოაწყო?

ე დ უ ა რ დ ტ ე ლ ე რ ი:

— მე ამას არ ვამტკიცებ.

რ ო ჯ ე რ რ ო ბ ი:

— ეს თავისთავად ცხადია.

თ ო მ ა ს მ ო რ გ ა ნ ი:

— რამდენი დროა დაკარგული?

ე დ უ ა რ დ ტ ე ლ ე რ ი:

— პროფესორ ოპენჰეიმერის გამო ჩვენ დაგვაგვიანდა რამდენიმე წლით. გავბედავ და ვიტყვი, რომ ეს იყო ერთერთი ყველაზე საშინელი შეცდომა მათ შორის, რომელიც ოდესმე დაშვებულა...

სამწუხაროდ, ეს მწარე სიმართლე ძლივს იკვლევდა თავის გზას. საკმარისია გავიხსენოთ, როგორ მიიღო დოქტორი ლოურენსი და ლუის ალვარესი ატომური ენერგიის კომისიის მაშინდელმა თავმჯდომარემ ლილიენტალმა. ჩვენი წამყვანი მეცნიერების განცხადებაზე, რომ წყალბადის ბომბის შექმნა წარმოადგენს რეალობას, ლილიენტალმა, რომელიც ამ საკითხებით ყველაზე მეტად უნდა ყოფილიყო დაინტერესებული, მათ ზურგი შეაქცია და პასუხიც კი არ გასცა. დიახ, სწორედ ასე მოიქცა ლილიენტალი. არ არის გასაკვირი, რომ კიდევ უფრო მეტი დაბნეულობა სუფევდა მეცნიერებს შორის. მე ხშირად ვეკითხებოდი ჰანს ბეთეს, სურს თუ არა იმუშაოს ჩვენთან წყალბადის ბომბის შექმნაზე, მაგრამ ნათელი პასუხის მიღება მისგან მაინც ვერ შევძელი. როგორც მოგეხსენებათ, დოქტორმა კონანმა, ჰარვარდის უნივერსიტეტიდან, ისიც კი განაცხადა, რომ წყალბადის ბომბის შექმნას ცოცხალი თავით არავის დაანებებს. ამგვარ დაძაბულ მდგომარეობაში ჩვენ უნდა მოგვემზადებინა ნიადაგი ახალი მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადასადგმე-

ლად. სრულიად ფორმალურად მე პროფესორ ოპენჰეიმერსაც ვთხოვე, ეთანამშრომლა ჩვენთან. ჩვეულებისამებრ მან არ მომცა არც დადებითი და არც უარყოფითი პასუხი, მაგრამ მისი ნამდვილი პოზიცია ჩემთვის უკვე ნათელი იყო. მან თავი გამოააშკარავა იმით, რომ მთავარი საკონსულტაციო კომიტეტის სხდომაზე, რომელიც 1949 წლის 29 ოქტომბერს მიმდინარეობდა, თავისი და მის რწმუნებაში მყოფი კომიტეტის წინააღმდეგობა ჩამოაყალიბა შემდეგ ცნობილ თეზისებში:

1. ბომბის წარმოება, მორალური მიზეზების გამო, შეუძლებელია;

2. ბომბის წარმოების პროცესი ძალზე სახიფათოა და არ არის ცნობილი, შეიძლება თუ არა მისი წარმოება საერთოდ;

3. სამხედრო თვალსაზრისით ამ იარაღს გააჩნია ძალზე დიდი დამანგრეველი ძალა და მსხვერპლი უაზროდ დიდი იქნება.

4. შეუძლებელია წყალბადის ბომბის მშვიდობიანი მიზნით გამოყენება.

კარგად ჩაუფიქრდით ოპენჰეიმერის არგუმენტაციას. რას აყენებს იგი პირველ ადგილზე? მორალური ხასიათის დაბრკოლებებს... ამგვარად, ვფიქრობ, ჩვენ განსახილველი საქმის ერთ-ერთ საკვანძო საკითხს ვუახლოვდებით. სინდისის ქენჯნა და მორალის პრინციპების კრიტერიუმის დაცვა მხოლოდ ნამდვილად თავისუფალ ადამიანს შეიძლება ახასიათებდეს. მაგრამ, როგორც მეცნიერს, მე არ შემიძლია თვით ყველაზე წმინდა გრძნობების წინაშეც კი დავიჩოქო. ჯერ კიდევ სკოლაში მასწავლიდნენ, რომ სინდისი ეს არის თავისებური, შინაგანი მოუსყიდველი მსაჯული, რომელიც ყველა ჩვენს მოქმედებას, მდგომარეობისა და დროებითი ინტერესების ზემოქმედების მიუხედავად, განსჯისო. აქედან გამომდინარეობს, რომ სინდისი სრულებითაც არ წარმოადგენს ობიექტურ საზომს, რომ ერთსა და იმავე ფაქტს ორი ადამიანი სრულიად განსხვავებულად შეიძლება აფასებდეს. ერთი იგრძნობს სინდისის ქენჯნას, მეორე კი პირიქით, სიამაყით სავსე და კმაყოფილი იქნება. ასევე ცნობილია, რომ სინდისი მხოლოდ და მხოლოდ მორალური კატეგორიაა და არა მეცნიერული. მე ყოველგვარი სამეცნიერო კვლევისათვის დამღუპველად მიმაჩნია, როცა მას წინასწარ განპირობებული მორალური, პოლიტიკური ან ფილოსოფიური საზომით უდგებიან. მეცნიერებას არაფერი აქვს საერთო მათთან, ისევე, როგორც არაფერი აქვს მას საერთო რელიგიასთან. ეს სხვა სფეროს პრობლემებია და მეცნიერება მათდამი გულგრილია. მეცნიერი, რომელიც სამეცნიერო იდეას მორალის თვალით შეხედავს, დაიბნევა არა მარტო როგორც მორალისტი, არამედ, უპირველეს ყოვლისა, როგორც მეცნიერი. პროფესორ ოპენჰეიმერის საქმე ამის ნათელი დადასტურებაა.

პროფესორმა ოპენჰეიმერმა და მისმა ჯგუფმა მორალური შეფასების თავისებური მონოპოლია მიითვისეს. გაურკვეველია რატომ, მაგრამ ისინი თავს გრძნობდნენ მსაჯულებად, რომლებიც მოწოდებულნი არიან განსაჯონ სხვათა მოქმედება, ამტყუნებდნენ მეცნიერებს, რომლებმაც წყალბადის ბომბის შექმნას თავისი ნიჭი და ცოდნა შესწირეს. მე მგონია, რომ საკუთარი მოქმედება მათ ამის უფლებას არ აძლევს. დარწმუნებული ვარ, პროფესორმა ოპენჰეიმერმა ყოველთვის კარგად იცოდა, რომ წყალბადის ბომბის შექმნა სავსებით რეალურია. ის რომ თანამიმდევრული და პრინციპული ყოფილიყო, უნდა ეთქვა: დიახ, წყალბადის ბომბი რეალობაა, მაგრამ პროფესორი ოპენჰეიმერი სხვადასხვა მიზეზების გამო მისი შექმნის წინააღმდეგია. იმ დროს, როდესაც პრეზიდენტმა ტრუმენმა მიიღო თავისი ისტორიული გადაწყვეტილება, მე ლოს-ალამოსში ვიმყოფებოდი. ცხადია, მე მაშინვე ადგილზე ვცადე შემემოწმებინა თერმოატომგულის იარაღის დამზადების შესაძლებლობანი. მე, როგორც ახლად კურს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამთავრებული, რომელმაც თითქოს ესესაა ჩააბარა ყველა გამოცდა, სიხარულით აღსავსე მივედი ლაბორატორიაში. მაგრამ მალე გამომაფხიზლეს. ნორის ბრედბერიმ, რბილად რომ ვთქვა, წამიკითხა მორალი და განმიცხადა: „პრეზიდენტ ტრუმენის გამოსვლის აზრი საკმაოდ ნათელი არ არის“.

პრეზიდენტის ბრძანება სავსებით ნათელი იყო მთელი ამერიკისათვის, გამონაკლისს მხოლოდ ატომური ლაბორატორიების ხელმძღვანელი შეადგენდა. ცოტა ხნის შემდეგ მე მივხვდი, რომ პროფესორი ოპენჰეიმერი თვით პრეზიდენტის გადაწყვეტილების შემდეგაც კი არ დაჰყრის იარაღს. გამოთქმა „არცერთი ბრძოლა ჯერ არც წაგებულა და არც მოგებულა“, რომელიც როგორღაც წამოსცდა ოპენჰეიმერს, ლამაზ სიტყვებს არ წარმოადგენდა.

 გ ო რ დ ო ნ გ რ ე ი:

— ესე იგი პროფესორი ოპენჰეიმერი მაინც იყო რაღაც შეთქმულების ხელმძღვანელი ჩვენს სამეცნიერო სამყაროში...

ე დ უ ა რ დ ტ ე ლ ე რ ი:

— ეს ერთნაირად მოაზროვნე ხალხის შეთქმულებას უფრო ჰგავდა.

რ ო ჯ ე რ რ ო ბ ი:

— ხომ არ ფიქრობთ, რომ ოპენჰეიმერის ამგვარი მოქმედების მიზეზს მისი პატივმოყვარეობა და დიდების წყურვილი წარმოადგენდა?

ე დ უ ა რ დ ტ ე ლ ე რ ი:

— მე მეძნელება ამის განსჯა... მაგრამ მჯერა, რომ დიდება მხოლოდ იმისი ხვედრია, ვინც მისკენ მიილტვის... (სიცილი).

ჩვენი მუშაობა არანაკლებ დაამუხრუჭა მეცნიერთა იმ ჯგუფმა, რომელიც მართალია ყოყმანით, მაგრამ მაინც დათანხმდა ემუშავა წყალბადის ბომბის შექმნაზე. ისინი რუსებთან მოლაპარაკებას მოითხოვდნენ. ეს განსაკუთრებით ფერმის, რაბისა და ბიოტეს ჰქონდათ დაჟინებული. კიდევ და კიდევ იშველიებდნენ უცილობელ არგუმენტს თუ როგორ შეგვიძლია ჩვენ, რომლებიც მუდამ ვიცავდით მორალის პრინციპებსა და ადამიანის ღირსებებს, პირველებმა დავიწყოთ ასეთი ტოტალური მოსპობის იარაღის წარმოება? ჩვენ კვლავ და კვლავ მოთმინებით ვუმტკიცებდით, რომ ეს მეცნიერების კი არა, არამედ პოლიტიკური მოღვაწეებისა და, საბოლოო ანგარიშში, მთელი ამერიკელი ხალხის საქმეა... ოპენჰეიმერი ისე შორს წავიდა, რომ „fractional crit“-ის[1] პრინციპით დამზადებული ატომური ბომბის გამოცდის შედეგები გამოიყენა. მაგრამ ეს ხომ ჩემი საკუთარი იდეა იყო! იგი ჩაებღაუჭა მეთოდს, რომელსაც მე უკვე განვლილ ეტაპად ვთვლიდი და თავგამოდებით უწევდა პროპაგანდას მეცნიერებისა და სამხედრო წრეების წარმომადგენელთა გაერთიანებულ სხდომებზე. ძნელია უფრო მეტი ტრაგიკომედიის წარმოდგენა: მე უარვყოფ ჩემს საკუთარ აღმოჩენას, ოპენჰეიმერი კი იცავს მას. მე ვემუქრები შეერთებული შტატების უშიშროებას, ოპენჰეიმერი კი გამოდის, როგორც მფარველი ანგელოზი.

რ ო ჯ ე რ რ ო ბ ი:

— ამის შესაძლებლობა მას უკვე აღარასოდეს აღარ ექნება.

ე დ უ ა რ დ ტ ე ლ ე რ ი:

— გამოსვლა ძალზე გამიგრძელდება, თუ იმის თხრობას შევუდგები, რა დაუსრულებელი კინკლაობა და ბრძოლა დაგვჭირდა მე და ჩემს მეგობრებს, რომ შეგვესრულებინა პრეზიდენტის ბრძანება წყალბადის ბომბის შექმნის შესახებ...

თ ო მ ა ს მ ო რ გ ა ნ ი:

— თქვენი მოქმედება განსაცვიფრებელია. ჩემის აზრით, თქვენ უფრო მეტი უნდა გეთქვათ თქვენს მუშაობაზე.

---

[1] მეთოდი შესაძლებლობას იძლევა შემცირდეს გასახლეჩი მასალის კრიტიკული მასის წონა, TNT-სა ან სხვა რომელიმე ჩვეულებრივი ფეთქებადი ნივთიერების გამოყენებით. ამ მეთოდის საშუალებით შეიძლება დამზადდეს იმავე ძალის, მაგრამ მეტი რაოდენობისა და უფრო იაფი ატომური ბომბი. ამგვარი ბომბების ექსპერიმენტული აფეთქებანი ჩატარდა ნევადაში 1951 წელს.

ედუარდ ტელერი:

— სიამოვნებით...

არავის, თვით გენიალურ პიროვნებასაც კი არ ძალუძს დამოუკიდებლად წამოაყენოს ორიგინალური იდეების აუცილებელი რაოდენობა, ასევე არ ძალუძს მიჰყვეს ერთი იდეის ყველა ნიუანსს, ან გამოიყენოს მასში არსებული ყველა შესაძლებლობანი. ამისათვის ჩვენს დროში საკმარისი არ არის მხოლოდ ანალიტიური და დედუქტიური შესაძლებლობანი, აუცილებელია აგრეთვე მრავალი სპეციალური დისციპლინების საფუძვლიანი ცოდნა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩვენი ძირითადი ამოცანის გადასაწყვეტად, წყალბადის ბომბის შექმნის ქმედითი და არც თუ ისე მძიმე ხერხის მოსანახად, საჭირო იყო მაღალკვალიფიციური მეცნიერმუშაკების მთელი ჯგუფი. ოპენჰეიმერსა და მისი ამხანაგების დიდ ჯგუფს არ სურდათ დაგვხმარებოდნენ თავიანთი ცოდნითა და ენერგიით, ეს საბოლოო ჯამში იმას ნიშნავდა, რომ ჩვენ წინ მივიწევდით უფრო ნელა, ვიდრე ეს შეესაბამებოდა ჩვენს შესაძლებლობას. ოპენჰეიმერს, რაბის და მრავალ სხვას, არ უნდოდათ დაგვხმარებოდნენ. შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ მეცნიერებს აქვთ ამის უფლება. ჯარისკაცს მოეთხოვება, რომ მან ომში გაიღოს ყველაფერი — ენთუზიაზმი, მთელი მორალური პოტენციალი და გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა, რაც მას გააჩნია. იგივე უნდა მოვითხოვოთ ჩვენი მეცნიერებისაგანაც. მით უმეტეს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დაცვისათვის მათი მუშაობა დღეს გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ჩვენი ჯარისკაცების საბრძოლო თვისებები.

როჯერ რობი:

— შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ოპენჰეიმერის წყალობით ჩვენ დავკარგეთ რამდენიმე წელი და რუსებმა თითქმის გაგვასწრეს?

ედუარდ ტელერი:

— დიახ, მე ასე მიმაჩნია.

როჯერ რობი:

— გმადლობთ. ეს მთავარია

დოქტორი უორდ ივენსი:

— მეცნიერებს უფლება აქვთ შეცდნენ. ეინშტეინს არ სჯეროდა, რომ შესაძლებელია ატომის გახლეჩა, ვის შეუძლია ამისათვის განსაჯოს იგი.

ედუარდ ტელერი:

— ამჟამად შეერთებული შტატები კვლავ მოიცვა აღტაცებამ და ჩვენ, მეცნიერები, ისევ ვხდებით ხალხის რჩეულნი. ჩვენი წარმატებები ცნობილია მსოფლიოსათვის და ამას მთელი გულით უნდა შევხაროდეთ, მაგრამ მე ჩემს თავს მოვალედ ვთვლი გულახდილად მოგახსენოთ იმ საშიშროებაზე, რომელიც დაფარულია ამ ოპტიმიზმსა და ჩვენი მეცნიერების გადაჭარბებულ შეფასებაში. ამერიკელ მეცნიერებს ისევ იხმობენ მიკროფონებთან, ისინი კვლავ გამოდიან პრესაში. მაგრამ ფართო საზოგადოებრიობისათვის უცნობია, რომ ესა თუ ის მეცნიერი უკანასკნელ წუთამდე ჩვენი წინააღმდეგი იყო და რომ ბევრმა მათგანმა ზიანი უფრო მეტი მოგვიტანა, ვიდრე სარგებლობა... ადამიანები ხშირად სცდებიან, როცა ჰგონიათ, რომ მოღვაწეობა ერთ რომელიმე სფეროში განაპირობებს ინტელექტუალური შემოქმედების განსაკუთრებულ ნიჭს სხვა დარგებშიც. ხანდახან ასეთი შეცდომა დიდ ადამიანებსაც კი მოსდით. ჩერჩილი ხატავს, ოპენჰეიმერი წერს ლექსებს... და სამწუხაროდ, მარტო ლექსებს არა. ოპენჰეიმერი უპირველეს ყოვლისა ერევა პოლიტიკაში და, რაც უფრო ცუდია, ერთმანეთში ურევს პოლიტიკასა და ფიზიკას. ბოლოს და ბოლოს, ეს მარტო მისი დანაშაული არ არის. თქვენ ყველამ იცით, რომ მას ეკავა ათობით ძალზე მნიშვნელოვანი და მაღალი თანამდებობა, ხელმძღვანელობდა ატომურ კომისიას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ლაპარაკობდა აშშ-ის სახელით, ექსპერტად გამოდიოდა კონგრესში. მას იწვევდნენ მთელი მსოფლიოს უნივერსიტეტები. ყოველ კვირას გამოდიოდა რადიოთი და ტელევიზიით. მას ისეთ სა-

---

კითხებზე სთხოვდნენ დასკვნებს, რომლებშიც არაფერი გაეგებოდა. ჩვენი სახელმწიფოს ყველაზე გამოჩენილი ადამიანები იწვევდნენ მას და ცდილობდნენ გაეგოთ მისი აზრი ვან გოგზე, ლექსებზე, სანსკრიტულ თარგმანებზე. ის უხსნიდა მათ გეიზენბერგის განუზღვრელობის პრინციპს, კომენტარს უკეთებდა ვიშინსკის გამოსვლებს, ჭკუას არიგებდა აჩესონს, რჩევას აძლევდა ბარუხს, ლაპარაკობდა და სწერდა... და რა არის გასაკვირი, რომ საბოლოოდ თვით მოექცა ამ ცრუ რწმენის გავლენის ქვეშ და თავი საგარეო საქმეთა მინისტრად და თვით შეერთებული შტატების პრეზიდენტადაც კი წარმოიდგინა.

დ ო ქ ტ ო რ ი უ ო რ დ ი ვ ე ნ ს ი:

— ასევე ვიქცეოდით მე და ბევრი ჩემი კოლეგა.

ე დ უ ა რ დ ტ ე ლ ე რ ი:

— ოპენჰეიმერს თავისი გამოსვლების მნიშვნელოვანი ნაწილი საპროგრამოდ მიაჩნდა. ცნობილია, რომ ბევრ გამოსვლაში იგი შენიღბულად გამოსთქვამდა აზრს, რომ მსოფლიოს მართვა მხოლოდ მეცნიერებს შეუძლიათ. ვინც მას უსმენდა, ეს აზრი სერიოზულად არ მიაჩნდა. მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ოპენჰეიმერი სრულებითაც არ ხუმრობს. ეს აზრი გაცილებით მეტადაა გავრცელებული მეცნიერებს შორის, ვიდრე შეიძლება ამაზე ვიმსჯელოთ მათი საჯარო გამოსვლებისა და აღიარების მიხედვით. მე თვით ხშირად დავუფიქრებივარ ამ ძველ აზრს, რომელიც მე მგონი, პირველად სენ-სიმონმა გამოთქვა. დღეს, როდესაც მეცნიერების ხელში გაერთიანებულია უდიდესი ძალები, ეს იდეა უფრო მიმზიდველი და მაცდური ხდება. ძალიან ადვილია ირწმუნო ის აზრი, რომ ძალა, რომელიც შენ გაანთავისუფლე, კანონით შენ გეკუთვნის. ძალზე მაცდურია მთავრობის არმიასა ან ბუნების სიძლიერესთან საკუთარი პიროვნების გათანაბრების აზრი. მაგრამ მე სიცილს ვერ ვიკავებ, როცა ამ იდეალებს განხორციელებულად წარმოვიდგენ და ეხედავ ბოდვითი ოცნებებით შეპყრობილ ჩვეხს დოქტორებსა და პროფესორებს, რომლებიც კომუნისტ პოლიტიკოსებთან მოსალაპარაკებლად მაგიდას შემოსხდომიან და ცდილობენ დიფერენციალური აღრიცხვის გამოყენებით დაუმტკიცონ მათ ამერიკული დემოკრატიის უპირატესობანი. ეს სანახაობა ძალზე ექსტრავაგანტური იქნებოდა, მაგრამ საუბედუროდ მეცნიერები თავიანთ ფანტაზიას ისე სერიოზულად ეკიდებიან, რომ ამისათვის მზად არიან საკუთარი სახელმწიფოს ინტერესებიც კი გასწირონ. საქმე იქამდე მივიდა, რომ ზოგიერთმა ისიც კი შემოგვთავაზა, გავუმჟღავნოთ ჩვენი საიდუმლოებანი საბჭოთა კავშირს და ამით დავამყაროთ ძალთა თანაფარდობა, რომელიც, მათი გულუბრყვილო წარმოდგენით, მშვიდობის საწინდარია.

დ ო ქ ტ ო რ ი უ ო რ დ ი ვ ე ნ ს ი:

— მაგრამ თქვენთვის ხომ კარგადაა ცნობილი, რომ მეცნიერებს ყველგან და ყოველთვის მიდრეკილება ჰქონდათ პაციფიზმისა და იდეალიზმისაკენ.

ე დ უ ა რ დ ტ ე ლ ე რ ი:

— მე ეს ვიცი. მაგრამ როგორ გგონიათ თქვენ, პაციფიზმი განა საშიში არ ხდება? მე ეს გარემოება მით უფრო საგანგაშოდ მიმაჩნია, რომ საზოგადოებრივობა მას ჯეროვნად ვერ აფასებს. სამეცნიერო წრეებში პაციფიზმი რაღაც აუცილებლობად ითვლება. ის თითქოსდა კარგი აღზრდის მაჩვენებელია. ის თითქმის ყველა მეცნიერმუშაკის რწმენის სიმბოლოს წარმოადგენს. შეერთებულ შტატებში ეს ტრადიცია ცოცხლობს ბენიამინ ფრანკლინის დროიდან — მაშინ ის გამართლებული იყო, ამჟამად კი საზიანოა. თუ ზერელედ ვიმსჯელებთ, პაციფისტური შეხედულებანი სავსებით გონივრულია. ხომ უდავოდ პაციფისტები არიან ისეთი კეთილშობილი ადამიანები, როგორიცაა ეინშტეინი და შვეიცერი, როლანი და შოუ. ასევე უდავოა, რომ მეცნიერებისათვის უმჯობესია, არ განიცდიდეს არმიის არავითარ ზეგავლენას, რომ აღარაფერი ვთქვათ ომზე.

მე პატივს ვცემ ადამიანებს, რომლებზედაც ახლა ვლაპარაკობდი, მაგრამ მიუხედავად ამისა, მე მათ არ ვეთანხმები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღევანდელ მეცნიერებას მებრძოლი სული უნდა ჰქონდეს.

დ ო ქ ტ ო რ ი უ ო რ დ ი ვ ე ნ ს ი:

— კარგით, მაგრამ ხომ უნდა არსებობდეს პაციფიზმის წარმომშობი მიზეზები?

ე დ უ ა რ დ ტ ე ლ ე რ ი:

...მე ვფიქრობ, ადამიანები პაციფიზმისაკენ მიიღტვიან იმიტომ, რომ არ ძალუძთ გაიგონ ომი, როგორც კაცობრიობის განვითარების ერთ-ერთი შესაძლო ფორმა. ისინი იქცევიან ბავშვებივით. ფიქრობენ, რომ საშიშროება გაქრება თუ თვალებს დახუჭავენ. ომის ფსიქოპატიური შიში, უპირველეს ყოვლისა, მეცნიერებს მთლიანად უბორკავს ხელ-ფეხს. წარსულ ომში მომხდარ საშინელებათა გამო მათ თავი დამნაშავედ მიაჩნდათ, ამიტომაც პანიკა ეუფლებათ, როცა ესმით, რომ შესაძლოა დაიწყოს ახალი ომი. ჩვენ, რასაკვირველია, დავცინებდით ისეთ გენერალს, რომელიც გამორიცხავდა იმ არმიის ბრძოლებში მონაწილეობას, რომელსაც ის წვრთნის. ინტელიგენტებს ამგვარი აზრები ეპატიებათ. მაგრამ მე მგონია, რომ უკვე დავამტკიცე თუ რატომ უნდა სთვლიდნენ მეცნიერები თავს ჩვენი შეიარაღებული ძალების ავანგარდად და, უპირველეს ყოვლისა, მებრძოლებად. თუ თანამიმდევრული ვიქნებით, საჭიროა ვაღიაროთ: მეცნიერი, რომელიც რაიმე მიზეზების გამო გამორიცხავს ომს, როგორც მსოფლიო პრობლემების გადაწყვეტის ერთ-ერთ საშუალებას, ლოგიკურად უნდა იქცეს ჩვენს მოწინააღმდეგედ, და ადრე თუ გვიან, ის თავისუფალი სამყაროს შექმნის საქმეს ზიანს მოუტანს...

შეიძლება მითხრან, რომ ჩემს მსჯელობას ცოტა აქვს საერთო იმ შემთხვევასთან, რომელსაც ჩვენ ვიხილავთ, მაგრამ როდესაც მე საერთო მოვლენებზე ვლაპარაკობდი, მხედველობაში სწორედ პროფესორი ოპენჰეიმერი მყავდა. ის სწორედ ისეთი მეცნიერია, რომელსაც არ ძალუძს, ან არ უნდა შექმნილი მდგომარეობიდან სათანადო დასკვნები გამოიტანოს. მისი პოზიცია დიამეტრულად ეწინააღმდეგება იმ მდგომარეობას, რომელიც მას ამჟამად უკავია. სწორედ ამაშია ჩვენი დავის დედაარსი. ტყუილად კი არ უწოდებენ ოპენჰეიმერს ეინშტეინის სულიერ მემკვიდრეს. მან მემკვიდრეობით მიიღო არა მარტო მეცნიერული სიშმაგე, არამედ ემოციები ბიბლიური წინასწარმეტყველისა, რომელიც ცოდვების მონანიებას ქადაგებდა. ოპენჰეიმერი — ეს დანაშაულთა კომპლექსით განადგურებული ადამიანია, რომელიც მზადაა მონანიებით გამოისყიდოს ცოდვები. წყალბადის წინააღმდეგ ბრძოლა სწორედ აქტიური მონანიების თავისებურ გამოვლინებას წარმოადგენს.

დ ო ქ ტ ო რ ი უ ო რ დ ი ვ ე ნ ს ი:

— ამით მას დანაშაული არ ჩაუდენია.

რ ო ჯ ე რ რ ო ბ ი:

— ობიექტურად ეს დანაშაულია.

ე დ უ ა რ დ ტ ე ლ ე რ ი:

— მე იმას კი არ ვამტკიცებ, რომ მან დანაშაული ჩაიდინა, არამედ ვცდილობ განვიხილო ოპენჰეიმერის აზრები. მცდარ აზრებს მცდარი მოქმედებანი მოჰყვება. მე თანახმა ვარ, რომ ჩვენ არ უნდა გვაინტერესებდეს მსგავსი საქმეები, მაგრამ ჩვენ საქმე გვაქვს პარადოქსულ ფაქტთან. ის კაცი, რომელიც მთელი ძალით იბრძოდა წყალბადის ბომბის შექმნის წინააღმდეგ, ამავე დროს საკონსულტაციო კომიტეტის თავმჯდომარე იყო და პრაქტიკულად ხელმძღვანელობდა ატომური კომისიის მუშაობას, რომელსაც უნდა შეესრულებინა თერმოატომგულის იარაღის შექმნის ბრძანება.

დ ო ქ ტ ო რ ი უ ო რ დ ი ვ ე ნ ს ი:

— ჩემთვის გაუგებარია, რა მოტივებით ხელმძღვანელობდა იგი.

რ ო ჯ ე რ რ ო ბ ი:

— ამას ჩვენ დავინახავთ.

გ ო რ დ ო ნ გ რ ე ი:

— თქვენ კიდევ გაქვთ რაიმე შენიშვნა პროფესორ ოპენჰეიმერის მოღვაწეობაზე?

ე დ უ ა რ დ ტ ე ლ ე რ ი:
(ხანგრძლივი დუმილის შემდეგ):

— არა. მე მხოლოდ ვცდილობდი, რაც

შეიძლება ობიექტურად შემესრულებინა მოწმის მოვალეობანი და ზიანი არ მიმეყენებინა პროფესორ ოპენჰეიმერისა და მისი თანამოაზრე მეცნიერებისათვის, მაგრამ მე ასევე არ შემეძლო და არც მსურს სიმართლის დამახინჯება... საბოლოოდ მე მინდოდა შევჩერებულიყავი კიდევ ერთ საკითხზე. მე დიდხანს ვყოყმანობდი, მომეხსენებინა ეს უშიშროების კომიტეტისათვის, თუ უმჯობესი იყო გავჩერებულიყავი. მაგრამ მე მიმაჩნია, რომ ამით პროფესორ ოპენჰეიმერს უკეთ დავახასიათებ. და ამიტომ ვალდებული ვარ, ყველაფერი ვაღიარო დაუფარავად. თუ რაში ვცდებოდი მე, თქვენ განსაჯეთ.

ჩემს ჩვენებებში მე არ ვფარავ, რომ ჩემი ურთიერთობა ოპენჰეიმერთან არ იყო მეგობრული. მაგრამ მე მგონია, რომ არცერთხელ არ მითქვამს ისეთი რამ, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა პროფესორ ოპენჰეიმერის ავტორიტეტსა და მეცნიერულ კვალიფიკაციას. მე ეჭვი არ მეპარება, მაგრამ გულახდილად რომ ვთქვა, მე მგონია, რომ ამაში თვით პროფესორ ოპენჰეიმერს ეპარება ეჭვი. მე მჯერა, რომ იგი კმაყოფილი არ არის თავისი სამეცნიერო კარიერით. ოპენჰეიმერის ტალანტი გვხიბლავს. იგი განსაცვიფრებლად მსუბუქი, მოძრავი და ნათელი ინტელექტის მქონე მეცნიერია, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ოპენჰეიმერს არა აქვს არც ერთი აღმოჩენა, რომელიც ისევე მნიშვნელოვანია, როგორც მაგალითად გეიზენბერგის, ბორის ან რეზერფორდის აღმოჩენები. ატომურ ბომბზე მუშაობისათვის, რომელიც ასე თუ ისე მაინც ორგანიზაციული სამუშაო იყო, მან მსხვერპლად გაიღო წმინდა მეცნიერება, რომელიც მისთვის ისევე, როგორც მეცნიერთა უმრავლესობისათვის, წარმოადგენს უმაღლეს მოწოდებას. და რადგან მან ვერ შესძლო ამ გზით მიეღწია უკვდავებისათვის, თავისი ბედი დაუკავშირა ატომურ ბომბს და მასთან ერთად მიდიოდა დიდებისა და მარადისობისაკენ. ატომური ბომბი გადაიქცა მის პირად საკუთრებად. ის დაუკავშირდა მას, სთვლიდა თავის მიღწევად და თავგამოდებით იცავდა. თერმონატომგულის იარაღის იდეა არ იყო მისი. იგი გვეკუთვნოდა მე და ჩემს თანამშრომლებს. ჩვენი წარმატება ოპენჰეიმერის დიდების სწრაფ გაუფერულებასა და დაჭკნობას ნიშნავდა. მე გავბედავ და ვიტყვი, რომ ეს პირადი შეურაცხყოფის გრძნობა ჩვენს წინააღმდეგ მისი ბრძოლის მიზეზი იყო. ყველა დანარჩენი — პოლიტიკური მრწამსი, მორალური მერყეობა და სინდისის ქენჯნა მეორეხარისხოვანია, რომლითაც ის თავის წინაშე თავისსავე მოქმედებებს ამართლებს.

ეს მხოლოდ ჩემი ვარაუდია, მაგრამ ვისთვისაც ცნობილია ჩვენი უნივერსიტეტების მდგომარეობა, გამიგებს და დამეთანხმება, რომ პირად დამოკიდებულებას, მეგობრობას, სიყვარულს, სიძულვილს აქვს გაცილებით დიდი მნიშვნელობა, ვიდრე ეს ცნობილია ფართო საზოგადოებრიობისათვის. და ეს შემთხვევაც არ იქნებოდა გამონაკლისი, რომ თავის თავით უკმაყოფილო და ეჭვებით სავსე მეცნიერზე არ ყოფილიყო დამოკიდებული შეერთებული შტატების უშიშროება.

 დ ო ქ ტ ო რ უ ო რ დ ი ვ ე ნ ს ი:

— თქვენი ვარაუდი არ იძლევა პასუხს იმ ძირითად კითხვაზე, რომელიც ჩვენ ყველაზე უფრო გვაინტერესებს. შეგვიძლია თუ არა პროფესორი ოპენჰეიმერი ვცნოთ უდანაშაულოდ და მივცეთ მას ატომურ გამოკვლევებში მონაწილეობის უფლება?

რ ო ჯ ე რ რ ო ბ ი (გაბრაზებით):

— დოქტორმა ტელერმა დაამტკიცა, რომ ჩვენ არ შეგვიძლია გამოვიტანოთ ასეთი გადაწყვეტილება, თუ არ გვინდა ვუღალატოთ ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებს.

თ ო მ ა ს მ ო რ გ ა ნ ი:

— მე დოქტორ ტელერის დასკვნები ძალზე საინტერესოდ და ჭკუის სასწავლებლად მიმაჩნია.

გ ო რ დ ო ნ გ რ ე ი:

— დოქტორო ტელერ, თქვენ სცნობდით პროფესორ ოპენჰეიმერის უდანაშაულობას?

ედუარდ ტელერი:
(ყოყმანობს):

ამ კითხვაზე ვერ ვიტყვით უბრალოდ: ან ჰო, ან არა. მე მიმაჩნია, რომ პროფესორ ოპენჰეიმერის პირადი თვისებები უზადოა. მე არ მჯერა, რომ იგი შეგნებულად ჩაიდენდა ისეთ რაიმეს, რაც საფრთხეს შეუქმნიდა ჩვენი ქვეყნის უშიშროებას. ამ თვალსაზრისით, პროფესორს შეიძლება ვენდოთ. მაგრამ თუ თქვენ გნებავთ, რომ პროფესორ ოპენჰეიმერზე ვიმსჯელოთ იმ საქმეებით, რომელიც მას გაუკეთებია 1945 წლიდან მოყოლებული, მიუხედავად მისი კეთილი სურვილებისა, ვფიქრობ, საფრთხეს უქმნის ჩვენი ქვეყნის უშიშროებას და ამიტომ უმჯობესი იქნებოდა უარი გვეთქვა მისთვის შემდგომ ნდობაზე. მაგრამ ეს ჩემი პირადი აზრია და არ მსურს ზეგავლენა მოვახდინო უშიშროების კომიტეტზე.

გორდონ გრეი:

— გმადლობთ. აქვს კიდევ ვინმეს შეკითხვები? არა.

Who's Who[1]

(ბიოგრაფიული ცნობები)

თითქმის ყველა, ვინც კი იცნობს დოქტორ ტელერს, ამტკიცებს, რომ იგი არასასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს. ტელერი ვერ ფარავს თავის მოწყენილობას იმასთან, ვინც ტოლად არ მიაჩნია და ყველას ნათლად აგრძნობინებს, რომ მისი სული ნავარდობს ისეთ მაღალ სფეროებში, რომელიც მოკვდავთათვის მიუწვდომელია.

ამ კოჭლ, ჭაღარა, ელეგანტურ ადამიანს, რომელიც თავისი ნაცნობების მხიარულებას იწვევს იმით, რომ ცდილობს თავი გაასაღოს ფორტეპიანოს ვირტუოზად, უჩვეულო წარსული აქვს.

იგი დაიბადა 1908 წელს ბუდაპეშტში, მდიდარი ვექილის ოჯახში, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა ამ ქალაქში. მართალია, ტელერი მოესწრო დუნაის მეტროპოლიის არისტოკრატიული ბრწყინვალების უკანასკნელ ანარეკლს, მაგრამ მას სამუდამოდ შერჩა მისწრაფება ეტრიალა უმაღლეს წრეებში და დარჩა ზიზღნარევი დამოკიდებულება ადამიანებისადმი, რომლებიც არ ეკუთვნოდნენ მაღალ სფეროებს. ბურჟუაზიული განწყობილება სუფევდა ყველგან, თვით მეცნიერებაშიც კი. ტელერი თვით ამბობს, რომ მისი ახალგაზრდობის წლებში, ბუდაპეშტში მოდაში იყო ინტელექტუალური სნობიზმი და სტუდენტი რაც უფრო აბსტრაქტულ საგანს სწავლობდა, მით უფრო მეტი პატივისცემა ჰქონდა. ტელერმა, ბუნებრივია, ხელი მოჰკიდა აბსტრაქტული მეცნიერების შესწავლას. ბედის დაცინვით, კაცობრიობას დღეს სწორედ ეს აბსტრაქტული მეცნიერებანი აინტერესებს, განსაკუთრებით... ბუდაპეშტში ტელერმა დაამთავრა ტექნოლოგიური ინსტიტუტი, რომელიც ჩვენს ძველ, ჩეხურ რეალურ გიმნაზიას შეესაბამება. შემდეგ ის სასწავლად გაემგზავრა ვაიმარის გერმანიაში, რომელიც მეორე ბურჟუაზიული დემოკრატიის მიჯნასთან იმყოფებოდა. თავდაპირველად ის სწავლობდა მიუნხენში, თავისუფალ დროს კი მთლიანად ბავარიის ალპებში ტურიზმს ანდომებდა, სწორედ ტურიზმია მისი დასახიჩრების მიზეზი. როცა ის, გერმანული ჩვეულებისამებრ დიდი ზურგჩანთით დამძიმებული, ტრამვაის ახტებოდა, ფეხი დაუცურდა და მანქანის ქვეშ მოჰყვა. მას შემდეგ ის კოჭლობს და, როგორც ეს ხშირად პატივმოყვარე ადამიანებს ემართებათ, ფიზიკური ნაკლის შეგრძნება სულიერი ამაღლებისაკენ მისწრაფებაში გადაეზარდა.

შემოვი იგი დროდადრო ჩერდებოდა ქალაქებში — კარლსრუეში, ლაიპციგში, ვიოტიხგენში, სადაც ის მოხვდა გამოჩენილი ფიზიკოსების საზოგადოებაში. იმ დროს იგი გაიტაცა ქვანტური მექანიკის პრობლემამ. „მე დამამარცხა ქვანტურმა მექანიკამ, — ამბობს ტელერი — მიუხედავად იმისა, რომ იგი მხოლოდ ორი წლისა იყო, მე კი ოცი წლისა

[1] ვინ, ვინ არის (ინგლისური) — ბიოგრაფიული კითხვარების ჩვეულებრივი დასახელება.

ვიყავი, მაგრამ ბრძოლა მაინც უთანასწოროდ მიმაჩნდა“.

ნაციზმის შემოტევის გამო 1933 წელს მან, როგორც ეინშტეინმა და ათობით სხვა ფიზიკოსმა, დატოვა გერმანია და გადასახლდა კოდანში, სადაც თეორიული ფიზიკის ინსტიტუტში მუშაობდა ერთ-ერთ ყველაზე უფრო გამოჩენილ ატომისტ პროფესორ ნილს ბორთან. ამან განაპირობა ტელერის შემდგომი სამეცნიერო კარიერა. კოდანში იგი როკფელერის ფონდის დიდი მხარდაჭერით სარგებლობდა. ამაში მას ეხმარებოდა ცოლი, რომელიც შეერთებულ შტატებში სწავლობდა და კავშირი ჰქონდა როკფელერის წრეებთან. მას შემდეგ ტელერი იმყოფება მილიარდერ როკფელერის მფარველობის ქვეშ. ამ დახმარებამ მას საშუალება მისცა სწავლა გაეგრძელებინა ინგლისში, მსოფლიოში სახელგანთქმული ბიოქიმიკოსის, დოქტორ დონანის ინსტიტუტში. ამგვარი ინსტიტუტები მიუღწეველი იყო ახალგაზრდა და უცნობი ემიგრანტებისათვის.

ამ კავშირის წყალობით იგი მალე მოხვდა შეერთებულ შტატებში და უკვე 1935 წელს შესთავაზეს ორი მნიშვნელოვანი ადგილი: სტეპენდია პრინსტონში და პროფესურა გეორგ ვაშინგტონის სახელობის უნივერსიტეტში. ტელერმა პროფესურა ირჩია. მაშინ იგი ჯერ კიდევ 27 წლისაც არ იყო და ამგვარი კარიერა მისთვის მეტად საპატიო იყო. ოთხი წლის მანძილზე მან გეორგ გამოვთან ერთად გამოაქვეყნა მთელი რიგი მეცნიერული ნაშრომები, რომელთა წყალობით მისი სახელი ცნობილი გახდა სპეციალისტებისათვის. ტელერი სიამოვნებით იგონებს ერთ ეპიზოდს დისკუსიიდან — შესაძლებელი იქნება თუ არა ოდესმე გამოყენებულ იქნას ატომგულის ენერგია. ყველა დიდი ფიზიკოსები შეთანხმდნენ, რომ ეს შეუძლებელია. ტელერმა კი განაცხადა, „ეს თითქმის შეუძლებელიაო“.

გაგრძელება იქნება

ტექნიკური რედაქტორი გიორგი ქავთარაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, მახარაძის ქ. № 14, ტელ. № 3-07-02

ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/III-63 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 13,7. შეკვ. № 69. უე 01498. ქაღალდის ზომა 70×108. ტირაჟი 6.800.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი ნიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата, Министерства культуры Грузинской ССР. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

სატირა და იუმორი



საინტერესოა. რა არის შიგნით?



გოდიში. ეს ჩემი ადგილია.

ნახ. ვაჟა მიშველაძისა.

უტექსტო ხუმრობა გ. ფირცხალავასი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წარდგენილია საპატიო ჯილდოზე

ახელგანთქმული რუსი მწერლის ალექსანდრე გრიბოედოვის მონუმენტის ავტორი მერაბ მერაბიშვილი ახალგაზრდა ქართველი მოქანდაკეა. იგი ჯერ კიდევ სანახატვრო აკადემიაში სწავლის დროს დაინტერესდა დიდი რუსი კომედიოგრაფის პიროვნებით და ამიტომაც იყო, რომ მან სადიპლომო ნაწარმოებად სწორედ ეს თემა აირჩია. ამ თემაზე მუშაობა მას არც აკადემიის დამთავრების შემდეგ შეუწყვეტია და ის მონუმენტი, რომელიც ახლა მტკვრის მარცხენა ნაპირზეა აღმართული, მისი ხანგრძლივი მუშაობის, ფიქრისა და შემოქმედებითი ძიების ნაყოფია.

მონუმენტი შესრულებულია აკადემიური, კლასიკური მანერით და რეალისტური ქანდაკების ტრადიციების გარკვეული გამოხატველია.

ალექსანდრე გრიბოედოვის ძეგლი სიმბოლოა ხალხთა ერთობისა და სიყვარულისა და შემთხვევით არ არის, რომ ეს მონუმენტი საბჭოთა კავშირის სამხატვრო აკადემიის მიერაა წარდგენილი ლენინურ პრემიაზე.

ჟურნალ „ცისკრის“ რედაქცია მიესალმება ახალგაზრდა ქართველი მოქანდაკის ამ თვალსაჩინო წარმატებას და უსურვებს ახალ შემოქმედებით მიღწევებს.

გარეკანის პირველ გვერდზე ალექსანდრე გრიბოედოვის ძეგლი თბილისში

გარეკანის მეორე გვერდზე ამავე ძეგლის დეტალი

ფოტო ი. გილგენდოლგფისა

ფასი 60 კ

1

წაიკითხეთ შემდეგ ნომერში

გიორგი ქავთარაძის

„ჯარისკაცის ჩანაწერები“

ივანე თარგას

ახალი პოემა „რაჟდენ ჟიბა“

ნოდარ ჩხეიძის

წერილი **რეზო ჭეიშვილის** მოთხრობების კრებულზე „**ბზიანეთი**“

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„ЦИСКАРИ“

ИЗДАТЕЛЬСТВО „САБЧОТА МЦЕРАЛИ“

ИНДЕКС 76236